

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ინგლისური ფილოლოგია

სალომე ციხისელი

ინგლისური, ჩინური და ქართული იდიომატური გამოთქმების შედარებითი კვლევა  
(კულტურის, ფერთა შედარებისა და თარგმანის ჭრილში)

ფილოლოგიის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ნათია ნემსაძე

თანახელმძღვანელი:

განათლების დოქტორი, ლანჯოუს უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ჩე რუშანი

თბილისი

2020

წინასიტყვაობა .....	გვ. 5
შესავალი .....	გვ. 10
<b>თავი I. ინგლისური, ჩინური და ქართული იდიომატური გამოთქმების წარმოშობის თეორიები და სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენა მათ ფორმირებაზე</b>	
1.1 ინგლისური იდიომატური გამოთქმების წარმოშობის თეორიები .....	გვ. 12
1.2 ჩინური იდიომატური გამოთქმების წარმოშობის თეორიები .....	გვ. 15
1.3 ქართული იდიომატიკის წარმოშობის თეორიები .....	გვ.17
1.4 ცოცხალი გარემოს როლი ინგლისური, ჩინური და ქართული იდიომატური გამოთქმების ფორმირების საკითხში .....	გვ.18
1.5 რელიგიისა და რწმენის გავლენის ასახვა ინგლისურ, ჩინურ და ქართულ იდიომატურ გამოთქმებში .....	გვ.21
1.6 ისტორიული ფაქტორების ზეგავლენა ინგლისურ, ჩინურ და ქართულ იდიომატურ გამოთქმებზე .....	გვ.25
1.7 იგავებისა და მითოლოგიების როლი ინგლისური, ჩინური და ქართული იდიომატური გამოთქმების ფორმირებაში .....	გვ.32
1.8 ადათ-წესებიდან მიღებული ინგლისური, ჩინური და ქართული იდიომატური გამოთქმები .....	გვ.35
1.9 გეოგრაფიული ადგილმდებარეობის გავლენა ინგლისური, ჩინური და ქართული იდიომატური გამოთქმების ფორმირებაზე .....	გვ.37
1.10 ცხოველების ზეგავლენა ინგლისური, ჩინური და ქართული იდიომატური გამოთქმების ფორმირებაზე .....	გვ.40
1.11 ფერების ზეგავლენა ინგლისური, ჩინური და ქართული იდიომატური გამოთქმების ფორმირებაზე .....	გვ.42
1.12 1-ლი თავის დასკვნები .....	გვ.43

## **თავი II. კვლევის მეთოდები**

- 2.1 კვლევაში გამოყენებული რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევითი კატეგორიების დახასიათება .....გვ.45
- 2.2 ინგლისურ, ჩინურ და ქართულ ენებს შორის არსებული თავისებურებების კვლევის ანალიზი .....გვ.46
- 2.3 კვლევის აქტუალობის მნიშვნელობა და მიზანი .....გვ.48

## **თავი III. ფერთა ტერმინების კვლევა ინგლისურ, ჩინურ და ქართულ იდიომატურ გამოთქმებში**

- 3.1 ფერთა კონოტაცია სამი ქვეყნის კულტურულ ჭრილში .....გვ.50
- 3.2 ინგლისური, ჩინური და ქართული ფერთა ტერმინოლოგიის კლასიფიკაცია და მათი ანალიზი .....გვ.54
- 3.3 ინგლისური, ჩინური და ქართული ფერთა მეტაფორების დიფერენციაცია და მათი ანალიზი .....გვ.59
- 3.4 ინგლისურ და ჩინურ იდიომატურ გამოთქმებში არსებული საბაზისო ფერების შედარებითი კვლევა .....გვ.92
- 3.4.1 წითელი ფერის განმარტების მსგავსება-განსხვავება ინგლისურ, ჩინურ და ქართულ იდიომატურ გამოთქმებში .....გვ.99
- 3.4.2 თეთრი ფერის განმარტების მსგავსება-განსხვავება ინგლისურ, ჩინურ და ქართული იდიომატურ გამოთქმებში .....გვ.101
- 3.4.3 შავი ფერის განმარტების მსგავსება-განსხვავება ინგლისურ, ჩინურ და ქართულ იდიომატურ გამოთქმებში .....გვ.103
- 3.4.4 ყვითელი ფერის განმარტების მსგავსება-განსხვავება ინგლისურ, ჩინურ და ქართულ იდიომატურ გამოთქმებში .....გვ.104
- 3.4.5 ლურჯი ფერის განმარტების მსგავსება-განსხვავება ინგლისურ, ჩინურ და

ქართულ იდიომატურ გამოთქმებში .....	გვ.106
3.5 ინგლისურ და ჩინურ იდიომატურ გამოთქმებში შემავალი ფერთა ტერმინების სემანტიკურ დონეზე შედარება .....	გვ.107
3.6 მე-3 თავის დასკვნები .....	გვ.110

**თავი IV. ინგლისური და ჩინური იდიომატური გამოთქმების თარგმნის თავისებურებანი,  
მათი ეკვივალენტური შესატყვისები და შედარებით-შეიპისპირებითი კვლევის ანალიზი  
ქართულ ენაზე**

4.1 ინგლისური და ჩინური იდიომატური გამოთქმების თარგმნის თავისებურებანი და მათი ეკვივალენტური შესატყვისები ქართულ ენაზე .....	გვ.114
4.2 ინგლისური და ჩინური იდიომატური გამოთქმების თარგმნის მეთოდები და მათი თარგმნის სპეციფიკა ქართულ ენაზე .....	გვ.123
4.3 ინგლისური და ჩინური იდიომატური გამოთქმების თარგმნისადმი პრაგმატული მიდგომა კულტურულ ჭრილში .....	გვ.134
საერთო დასკვნები და რეკომენდაციები .....	გვ.140
გამოყენებული ლიტერატურა .....	გვ.144
დანართი .....	გვ.148

## წინასიტყვაობა

წინამდებარე ნაშრომში განხილულია ინგლისური, ჩინური და ქართული იდიომატური გამოთქმების შედარებითი კვლევის ანალიზი და მათი თარგმნის თავისებურებანი. ნაშრომში თვალსაჩინოა სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შედეგად ფორმირებული ინგლისური, ჩინური და ქართული იდიომატური გამოთქმების შედარება, მათში არსებული ფერთა ტერმინების განმარტების მსგავსება-განსხვავება და მათი თარგმნის მეთოდები და სპეციფიკა.

ჩვენ მიერ წარმოდგენილი ნაშრომი **აქტუალურია** იმდენად, რამდენადაც წარმოადგენს ქართულ ენაზე არსებულ უნიკალურ ნაშრომს, რომლის კვლევაც ეფუძნება ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებულ გენეტიკურ ენებს. განსხვავებულ ენებში არსებული იდიომატური გამოთქმების კვლევა გვამღევეს იმის პერსპექტივას, რომ საფუძვლიანად შევისწავლოთ ინგლისურ, ჩინურ და ქართულ ენათა ტიპოლოგია, განსხვავებული ფსიქოლოგია და კულტურა, ასევე დავადგინოთ ენათა სტილისტური თავისებურებები.

ჩვენი ნაშრომის მთავარ **მიზანს** წარმოადგენს ინგლისური, ჩინური და ქართული იდიომატური გამოთქმების სტრუქტურულ, სემანტიკურ და კულტურულ დონეზე შესწავლა, მათში არსებული ფერთა ტერმინების მსგავსება-განსხვავების დადგენა და მათი თარგმნის მეთოდების განსაზღვრა. მიზნის გასახორციელებლად მოვახდინეთ შემდეგი განსხვავებული კვლევითი მეთოდების დიფერენციაცია:

1. იდიომატური გამოთქმების ზოგადი განმარტება და ასპექტი, კერძოდ, რას გულისხმობს ინგლისური, ჩინური და ქართული იდიომატური გამოთქმები.
2. ინგლისური, ჩინური და ქართული იდიომატური გამოთქმების ფორმირებაზე სხვადასხვა ზემოქმედების ფაქტორის გამიჯვნა და განსაზღვრა.
3. ინგლისურ, ჩინურ და ქართულ იდიომატურ გამოთქმებში არსებული ფერთა ტერმინების შედარება-შეპირისპირება.

4. ინგლისური და ჩინური იდიომატური გამოთქმების თარგმნის მეთოდების დიფერენციაცია და მათი თარგმნის სპეციფიკა ქართულ ენაზე.

ნაშრომის **სიახლე** მდგომარეობს შემდეგში:

1. იგი პირველად გვაჩვენებს ქართულ ენაზე ინგლისური, ჩინური და ქართული ფრაზეოლოგიური ერთეულების - იდიომატური გამოთქმების შედარებით-შეპირისპირებითი კვლევის ანალიზს სტრუქტურულ, სემანტიკურ და კულტურულ დონეზე.

2. პირველად გვაჩვენებს ქართულ ენაზე ინგლისურ, ჩინურ და ქართულ იდიომატურ გამოთქმებში არსებული ფერთა ტერმინების შედარებით ანალიზს.

3. დადგენილია მსგავსება - განსხვავებები მათი შედარებით-შეპირისპირებითი ანალიზის საფუძველზე.

4. პირველად გვაჩვენებს ქართულ ენაზე ინგლისური და ჩინური იდიომატური გამოთქმების თარგმნის თავისებურებებს და მათ შესაბამის ქართულ გამონათქვამებს.

ნაშრომის **თეორიულ საფუძველს** ქმნის შემდეგი თეორიული კვლევითი წყაროები:

ჩინური იდიომატური გამოთქმები (Tan Hua Peng 1986); იდიომატური გამოთქმები და მათი თარგმნა ჩინურიდან ინგლისურ ენაზე (Wang Ziyu 2007); ინგლისური და ჩინური იდიომატური გამოთქმების შედარებითი კვლევა (陈定安 1991); საბაზისო ფერთა ტერმინები (Berlin, B&P. Kay 1962); ფერთა ტერმინების მნიშვნელობები სემანტიკურ, კულტურულ და კოგნიტურ ლინგვისტიკაში (Wierzbicka 19990); ჩინური და ინგლისური კულტურების შედარება (Zhang Lexing 2010); იდიომატური გამოთქმების სტრუქტურა და სემანტიკა ქართულში (შედარებით შეპირისპირებითი ანალიზი: ინგლისური, ახალი ბერძნული და რუსული ენების მასალის საფუძველზე) (ირინა ლობჟანიძე 2012); ინგლისური და ჩინური იდიომატური გამოთქმების შედარებითი კვლევა (სალომე ციხისელი 2019); ინგლისური და ჩინური იდიომატური გამოთქმების თარგმნის თავისებურებანი (სალომე ციხისელი 2019); ინგლისური მეტაფორული იდიომები და მათი ქართული ეკვივალენტები (ლ. კანდელაკი 1955); იდიომების წარმოშობის

ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ფაქტორები (ნ. სტამბოლიძე, ნ. ბახტაძე 2019).

მიმდინარე სამეცნიერო კვლევაში გამოვიყენეთ როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისობრივი კვლევის კატეგორიები. ინგლისურ, ჩინურ და ქართულ ენებზე არსებული იდიომატური გამოთქმების შესადარებლად გამოვიყენეთ სტრუქტურირებული მიდგომა, რაოდენობრივი და სისტემატური გაზომვების საფუძველზე მივიღეთ სტატისტიკური ანალიზი. ამისთვის გამოვიყენეთ 13 ლექსიკონი, რომელშიც ინგლისური, ჩინური და ქართული იდიომატური გამონათქვამებია მოცემული: Oxford Idioms Dictionary for Learners of English Chinese Edition (publisher: foreign language teaching and research press, oxford; publication date: January 1, 2005; ISBN-10 – 7560048927; ISBN-13 – 978 – 7560048925); A Chinese-English Dictionary of Chinese Idioms and Phrases (Author: Hu Zhiyong; Publication Date: 08/2010; ISBN: 9787313062581; Publisher: Shanghai Jiaotong Univeristy Press);朱源, 徐. (2019). 汉英成语大词典. 大连海事大学出版社.(ჩინურ-ინგლისური იდიომების ლექსიკონი); A Concise Dictionary of Chinese Idioms with English Explanations, Chen Ru; Publisher: Sinolingua; Dictionary of Chinese Idioms; 华语教学出版社; Longman Dictionary of English Idioms, (LDEI (აბრევიატურა) 1979; NTC's English Idioms Dictionary, (NTC (აბრევიატურა), 1993; A Handbook of Chinese Idioms with English Translation , 1981, (CIET - აბრევიატურა); A New Concise Dictionary of Chinese-English Idioms 1981, (DCEI 2008 - აბრევიატურა); A Chinese-English Dictionary of Chinese Idioms 2001, (published by Chinese Pedagogics Pub House, ISBN 10: 7800522377/ISBN 13: 9787800522376; 汉英中华文化图词典, 上海外语教育出版社, 2000); ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი (თედო სახოკია, თბილისი, სახელგამი, 1950-1955); საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ქართული იდიომების ელექტრონული ლექსიკონი; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული იდიომების ელექტრონული ლექსიკონი.

აღნიშნულ ლექსიკონებში მოცემულია ინგლისური, ჩინური და ქართული იდიომატური გამოთქმები, ჩინური იდიომის ინგლისურენოვანი ახსნა-განმარტება, ინგლისური და ჩინური ეკვივალენტური იდიომი, ქართული იდიომატური გამოთქმები და მათი ეტიმოლოგია. 13 ლექსიკონში არსებული რესურსის თანახმად, ჩვენ საერთო ჯამში მოვიძიეთ 860 ინგლისური, ჩინური და ქართული იდიომი, აქედან 312-ს შეადგენს

ინგლისური იდიომატური გამოთქმა, 318-ს - ჩინური იდიომატური გამოთქმა, ხოლო 230-ს კი ქრთული იდიომატური გამოთქმა. სამივე ენაზე არსებული იდიომატური გამოთქმების არჩევა და დიფერენციაცია შესრულდა მათზე არსებული გარემოებების, რელიგიური, ისტორიული, მითოლოგიური, გეოგრაფიული ფაქტორების, ადათ-წესებისა და ფერების ზემოქმედების საფუძველზე. დანართში მოცემულია 10 ცხრილი, რაც კიდევ უფრო თვალსაჩინოს ხდის ინგლისური, ჩინური და ქართული იდიომატური გამოთქმების შედარებით-შეპირისპირებითი კვლევის ანალიზის საფუძველს. (იხ. გვ. 148)

ასევე, თვისობრივი კვლევის საფუძველზე, კვლევაში გამოყენებულია რამდენიმე მკვლევრის მიერ ჩატარებული რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევების ანალიზიც, ინგლისურ და ჩინურ იდიომატურ გამოთქმებში არსებული ფერთა ტერმინების შესახებ, (ჩინური და ინგლისური ფერთა მეტაფორების შედარებითი კვლევა (Guimei He 2011); ფერთა მეტაფორები ინგლისურ და ჩინურ იდიომატურ გამოთქმებში: კოგნიტური მიდგომა (Zhang Bingyan 2012); საბაზისო ფერთა ტერმინები (Berlin & Kay 1969), რომელიც ქვემოთ მოცემულ თავებში აქტიურად არის განხილული.

ჩვენი სამეცნიერო კვლევის უმნიშვნელოვანეს კომპონენტს დაკვირვება წარმოადგენს, რის შედეგადაც განხორციელდა ინგლისური, ჩინური და ქართული იდიომატური გამოთქმების ერთმანეთთან შედარების მიზანმიმართული პროცესი, რომლის შედეგებიც აღწერით არის დაფიქსირებული. **ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება** გამოიკვეთა მასში განხილული მაგალითების საფუძველზე. თვალსაჩინოა ის ფაქტი, რომ ჩვენ საკვლევ სფეროს წარმოადგენს ფრაზეოლოგიური ერთეული, იდიომა, რომლის კვლევაც სამ არამონათესავე ენობრივ ასპარეზზე, ჩინური, ინგლისური და ქართული ენების საფუძველზე განხორციელდა. მიღებული მონაცემების თეორიული თუ პრაქტიკული გააზრების შედეგად ნათელი გახდა, რომ რაც უფრო დაცილებულია ერთმანეთისგან გენეტიკურად საკვლევ ენები, მით უფრო ფართოა პერსპექტივა, მით უფრო მნიშვნელოვანი შედეგები შეიძლება მოგვცეს ინგლისური, ჩინური და ქართული იდიომატური გამოთქმების შედარებით-შეპირისპირებითა ანალიზმა. ჩატარებული კვლევის შედეგად შესაძლებელია მოხდეს კონკრეტულ ენათა ტიპოლოგიისა და მათი დიფერენციალური ფსიქოლოგიის შესწავლა, ენათა სტილისტური თავისებურებების დადგენა.



კვლევის შედეგად მიღებულ დასკვნებსა და რეკომენდაციებს ცალსახად გამოიყენებენ ლინგვისტები, ანგლისტები, სინოლოგები, ამ სამ ენაზე მომუშავე მთარგმნელები, უშუალოდ ის სტუდენტები და მკვლევრები, რომლებიც მოცემულ ენებში არსებული ფრაზეოლოგიური ერთეულების შესწავლითა და კვლევით არიან დაინტერესებულები.

**ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა** შედგება წინასიტყვაობის, შესავლის, ოთხი თავის, (თავი I. ინგლისური, ჩინური და ქართული იდიომატური გამოთქმების წარმოშობის თეორიები და სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენა მათ ფორმირებაზე; თავი II. კვლევის მეთოდები; თავი III. ფერთა ტერმინების კვლევა ინგლისურ, ჩინურ და ქართულ იდიომატურ გამოთქმებში; თავი IV. ინგლისური და ჩინური იდიომატური გამოთქმების თარგმნის თავისებურებანი, მათი ეკვივალენტური შესატყვისები და შედარებით-შეპირისპირებითი კვლევის ანალიზი ქართულ ენაზე), საერთო დასკვნების, რეკომენდაციების, ბიბლიოგრაფიისა და დანართის სახით მოცემული პრაქტიკული მუშაობის შედეგად მიღებული 10 ცხრილის ფორმით. სადისერტაციო ნაშრომი შეიცავს კომპიუტერულად ნაბეჭდ 156 გვერდს.

## შესავალი

*“Where there is a will, there is a way”*

*“有志者,事竟成”*

ყველასათვის ცნობილია, რომ ენა არის ინფორმაციისა და იდეების გაცვლის პირდაპირი საშუალება, რომელიც ასრულებს დამაკავშირებელი ჯაჭვის როლს სხვადასხვა ხალხსა და კულტურას შორის. იდიომატური გამოთქმა, როგორც ენის განსაკუთრებული ფორმა, შეიცავს დიდ კულტურულ ინფორმაციას, როგორცაა ისტორია, გეოგრაფია, რელიგია, ადათი, ეროვნული ფსიქოლოგია და ა.შ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ის წარმოაჩენს ისტორიულ მემკვიდრეობას და კულტურული განვითარების პროდუქტს. აქედან გამომდინარე, ჩვენ გვაქვს საშუალება იდიომატური გამოთქმების კვლევით გავიგოთ უფრო მეტი სხვადასხვა ქვეყნის კულტურაზე და პირიქით, კულტურული მემკვიდრეობის შესწავლით სიღრმისეულად ჩავწვდეთ სხვადასხვა ქვეყნის იდიომატურ გამოთქმებს.

ჩვენი ნაშრომის მთავარ საკვლევ თემატიკას წარმოადგენს ინგლისური, ჩინური და ქართული იდიომატური გამოთქმების შედარება, მათ ფორმირებაზე გავლენის მქონე ფაქტორების განსაზღვრა, მათში არსებული ფერთა ტერმინების შედარება, რომლებიც ხალხის გამოცდილების, შეხედულებებისა და ემოციების გამოხატულებაა და ინგლისური და ჩინური იდიომატური გამოთქმების თარგმნის ძირითადი თავისებურებები და მათი ეკვივალენტური შესატყვისი გამონათქვამები ქართულ ენაზე.

იდიომატური გამოთქმები ძალიან დიდ როლს თამაშობენ ნებისმიერ ენაში. ასევე, საკმაოდ საინტერესოა საკუთრივ ინგლისური და ჩინური იდიომატური გამოთქმების შედარებითი კვლევა და მათი დამკვიდრება ქართულ ენაში, რაც მიმდინარე კვლევის სამომავლო პერსპექტივას წარმოადგენს. როგორც მოგახსენეთ, იდიომატური გამოთქმა, როგორც ენის განსაკუთრებული ფორმა, შეიცავს დიდ კულტურულ ინფორმაციას, როგორცაა ისტორია, გეოგრაფია, რელიგია, ადათი, ეროვნული ფსიქოლოგია და ა.შ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ის წარმოაჩენს ისტორიულ მემკვიდრეობას და კულტურული განვითარების პროდუქტს. აქედან გამომდინარე, ჩვენ გვაქვს საშუალება, სამი ენის იდიომატური გამოთქმების კვლევით, მეტი გავიგოთ ინგლისურ, ჩინურ და

ქართულ კულტურებზე და პირიქით, კულტურული მემკვიდრეობის შესწავლით სიღრმისეულად ჩავწვდეთ იდიომატურ გამოთქმებს.

კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ ჩვენ მიერ წარმოდგენილი ნაშრომი იმდენად აქტუალურია, რამდენადაც დაცილებულია და განსხვავებულია ერთმანეთისაგან გენეტიკურად საკვლევი ენები. განსხვავებული ენების ფრაზეოლოგიური ერთეულების კვლევა გვაძლევს იმის პერსპექტივას, რომ საფუძვლიანად შევისწავლოთ კონკრეტულ ენათა ტიპოლოგია, განსხვავებული ფსიქოლოგია და კულტურა, ასევე დავადგინოთ ენათა სტილისტური თავისებურებები.

თითოეულ ენას გააჩნია თავისი ღრმა კულტურული მიდრეკილება საკუთარი ფიზიოლოგიის, კონვენციის, რელიგიური რწმენისა და ცოდნის შესახებ. ამერიკელმა ლინგვისტმა ნიდამ კულტურა ხუთ სახეობად დაჰყო: ეკოლოგიური კულტურა, ენობრივი კულტურა, რელიგიური კულტურა, მატერიალური კულტურა და სოციალური კულტურა. (Nida 1944:28) ინგლისური, ჩინური და ქართული იდიომატური გამოთქმები, რომლებიც მჭიდრო კავშირშია საკუთარ კულტურებთან, ატარებენ თავიანთი ერის სხვადასხვა კულტურულ მახასიათებელსა და გზავნილს, რომელიც თავიანთი მდიდარი კულტურების გამოხატულებაა. ბრიტანელმა ესეისტმა და კრიტიკოსმა, ლ.პ. სმიტმა, რომელმაც ასევე ბევრი ნაშრომი მიუძღვნა იდიომატურ გამოთქმებს, თავის ერთ წიგნში როგორც აღნიშნა, საუკეთესო იდიომატური გამოთქმები სათავეს იღებს ქარხნებიდან, სამზარეულოებიდან, ფერმებიდან და არა ბიბლიოთეკებიდან, მისაღები ოთახებიდან ან აყვავებული თეატრებიდან. იდიომატური გამოთქმა წარმოიშვა ხალხის სამუშაო გარემოში და სამყაროს აღიარების პროცესში. იდიომატი, სარკის მსგავსად, ასახავს ხალხის კულტურულ მახასიათებლებს. (Smith 1923:47)

რაც შეეხება მათი წარმოშობის საკითხს, გაცილებით მეტი განსხვავებაა ვიდრე მსგავსება ინგლისურ, ჩინურ და ქართულ იდიომატურ გამოთქმებს შორის. ერთმანეთთან შედარების საფუძველზე, ჩვენ ვიღებთ ინგლისურ, ჩინურ და ქართულ იდიომატურ გამოთქმებში გადმოცემულ სხვადასხვა კულტურულ მახასიათებელს. ჩვენი კვლევის საფუძველზე, მოცემულ ენებზე იდიომატურ გამოთქმებს შორის განსხვავებები ქვემოთ მოყვანილი ასპექტებით არის წარმოდგენილი, ამიტომ თარგმნის პროცესში, მთარგმნელმა დიდი ყურადღება უნდა დაუთმოს მათ.

## თავი I

### ინგლისური, ჩინური და ქართული იდიომატური გამოთქმების წარმოშობის

#### თეორიები და სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენა მათ ფორმირებაზე

##### 1.1 ინგლისური იდიომატური გამოთქმების წარმოშობის თეორიები

იდიომის განმარტებისა და მისი მნიშვნელობის განსაზღვრის საკმაოდ მრავალფეროვანი ალტერნატივა არსებობს, თვალსაჩინოებისთვის განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი:

1. იდიომა წარმოადგენს გამონათქვამს, რომლის მნიშვნელობის ცალკე ერთეულებად ფორმირება არ შეიძლება. (Longman Dictionary 1985)

2. იდიომა წარმოადგენილია ფრაზის, კონსტრუქციის ან გამოთქმის სახით, რომელიც ენაში გამოყენებულია როგორც ცალკეული ერთეული და თავისი შემადგენელი ნაწილით ქმნის განსხვავებულ მნიშვნელობას. (Webster's New World College Dictionary 1996)

3. ცნობილი ლინგვისტის ვაინრაიჰის განმარტებით, ფრაზეოლოგიური ერთეული სულ ცოტა ორ პოლისემიურ კომპონენტს მოიცავს, რომლის მთავარ ეკვივალენტურ კონტექსტუალურ ელემენტს იდიომა ეწოდება.

მე-20 საუკუნის დასაწყისში ბევრ ენათმეცნიერულ ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო იმ მოვლენას, რომ სხვადასხვა ენაში, გარდა სიტყვათა საკმაოდ ვრცელი მარაგისა, არსებობს მყარი შესიტყვებები, რომლებიც განსაკუთრებული ექსპრესიულობით გამოირჩევა. რასაკვირველია, აღნიშნული შესიტყვებების არსებობის შესახებ ადრეც ბევრი იწერებოდა, მაგრამ მანამდე მათ არ მიიჩნევდნენ ლინგვისტური კვლევის საგნად. ფრაზეოლოგიის ფუძემდებლად ფრანგი ლინგვისტი შარლ ბალი გვევლინება, რომელმაც ფრაზეოლოგიური ერთეულები სემასიოლოგიური თვალსაზრისით გამოიკვლია და შესიტყვებათა ოთხი ჯგუფი გამოყო:

1. თავისუფალი შესიტყვებანი;
2. ჩვეულებრივი შესიტყვებანი;
3. ფრაზეოლოგიური რიგები;
4. ფრაზეოლოგიური ერთიანობანი.

აღნიშნულ ჯგუფებს შორის განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ფრაზეოლოგიურ რიგებზე, რომლებიც წარმოადგენს საერთო მნიშვნელობის მატარებელ სიტყვათა რიგს, რომელთა კომპონენტებს თავისუფლად შეუძლიათ მოძრაობა, საკუთარი სემანტიკა დაკარგული აქვთ და საერთო მნიშვნელობით ერთიანდებიან. მიუხედავად იმისა, რომ შარლ ბალის მიერ შემოთავაზებული თეორიები განვითარდა და სხვა საფეხურზე გადაინაცვლა, იგი კვლავ რჩება ფრაზეოლოგიის ერთ-ერთ ფუძემდებლად და მისი შრომები დღემდე აქტუალურია.

როდესაც ვსაუბრობთ ინგლისურ ფრაზეოლოგიაზე, მასში ძირითადი აქცენტი იდიომატურ გამოთქმაზეა გადატანილი. ინგლისური ფრაზეოლოგიის ფუძემდებლად ლ. სმითს მიიჩნევენ, რომელიც იდიომატური გამოთქმების ეტიმოლოგიურ საფუძველს იკვლევდა. მან იდიომის კონკრეტული ეტიმოლოგიური ჯგუფები ჩამოაყალიბა, სადაც სხვადასხვა სემანტიკური ჯგუფის დიფერენციაცია მოახდინა. ამავე პერიოდის შრომებს ეკუთვნის ფ. ვიზეტელის ნაშრომი, რომელშიც ინგლისური იდიომატიკის კვლევის ისტორიაში პირველად არის ზედმიწევნით მოცემული იდიომის ცნება. ფ. ვიზეტელი იდიომს მის საერთო სემანტიკას უკავშირებს და იქვე აღნიშნავს, რომ იდიომატური გამოთქმის მნიშვნელობა არ შეესაბამება მასში შესული სიტყვების მნიშვნელობებს. მიუხედავად იმისა რომ მისი ნაშრომის მთავარ საკვლევ ობიექტს იდიომა წარმოადგენს, მასში ასევე დახასიათებულია სხვა კონკრეტული ფრაზეოლოგიური ერთეულებიც. ცხადია, რომ იმ პერიოდისთვის ინგლისურ ფრაზეოლოგიაში იდიომის შესახებ განმარტება საკმაოდ მრავალფეროვანი იყო. (Vizetelly 1923)

არაჩვეულებრივი ნაშრომი “The Science of Idiom”, რომელშიც იდიომა განსხვავებული კუთხით განიხილება, კერძოდ, ავტორი გამოთქვამს აზრს, რომ იდიომა ისტორიის მენტალური ძეგლია, რომელიც ხალხის მიერ არის შექმნილი და თვით გრამატიკაც კი უნდა მოიაზრებოდეს მის ჭრილში. იდიომს ახასიათებს როგორც გრამატიკული ასევე ლექსიკური თავისებურებანი. იდიომა არის სიტყვის თუ გამოთქმის თავისებური ფრაზა, რომელიც ხანგრძლივი გამოყენების გამო ინგლისურ ენაში სტერეოტიპად დამკვიდრდა. (Roberts 1944:298)

1952 წელს პირველად ჩატარდა კონფერენცია სათარგმნი მანქანების შესახებ. მის ორგანიზატორს იემუა ბარ-ჰილელს წარმოდგენილი ჰქონდა მოხსენება იდიომის

დამუშავების თაობაზე მანქანური თარგმნის პერსპექტივების გათვალისწინებით. ამ ნაშრომში მკაფიოდ არის წარმოჩენილი ის პრობლემები, რომლებიც შეიძლება წამოიჭრას იდიომის უცხო ენაზე გადმოცემისას. ავტორის აზრით, ფრაზეოლოგიურ ლექსიკონში საკმარისი რაოდენობის იდიომის დეფიციტის მთავარი საფრთხე მდგომარეობს არა იმაში, რომ სიტყვასიტყვითი თარგმანი გაუგებარი იქნება, არამედ იმაში, რომ ასეთი თარგმანის მხოლოდ ნაწილს ექნება მნიშვნელობა - თანაც არასწორი მნიშვნელობა, რის გამოც რედაქტორს არ ექნება ამ შეცდომის ამოცნობის საშუალება. აღნიშნული შემთხვევა დღემდე ითვლება მანქანური თარგმანის პირველ სამეცნიერო კონფერენციად, თუმცა კონფერენციის მასალების გამოქვეყნება ვერ მოხერხდა. (ლობჟანიძე 2012:28)

საკმაოდ ბევრი ნაშრომი მიემდვნა ინგლისურენოვანი იდიომატური გამოთქმების წარმომავლობის საკითხს, მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ინგლისურენოვანი იდიომატიკის პირველი ანალიტიკური შრომა ჩ. ჰოკეტს ეკუთვნის. 1956 წელს მის გამოქვეყნებულ ნაშრომში იდიომის ცნება შემდეგნაირად განიმარტა: „იდიომი წარმოადგენს გრამატიკულ ფორმას, ცალკეულ მორფემას, რომლის მნიშვნელობის ახსნას არანაირი საერთო აქვს მის სტრუქტურასთან“. მისი აზრით, გრამატიკული ფორმა, რომლის მნიშვნელობაც არ არის დამოკიდებული მის სტრუქტურაზე, ჩვეულებრივ შეგვიძლია იდიომად წარმოვიდგინოთ. შესაბამისად, თუ დეტალურად აღვწერთ და გავითავისებთ მის მიერ შემოთავაზებულ თეორიას, დავასკვნით რომ ნებისმიერ შესიტყვებას, ისევე როგორც სრულ წინადადებას, შესაძლოა იდიომატურობის ფონი გასდევდეს.

ასევე საინტერესო კვლევა აქვს იდიომის შესახებ ლინგვისტს ალან ჰილს. იგი იდიომატურობის ცნებას უფრო კონკრეტულ ჭრილში განიხილავს და მისი განმარტებით, იდიომი მორფემებისა და სიტყვების ისეთ ჯგუფს წარმოადგენს, რომლის მნიშვნელობაც დამოუკიდებლად განისაზღვრება და მისი შემადგენელი ნაწილების მნიშვნელობაზე არ არის დამოკიდებული. (Hill 1984)

გარდა ზემოთ განხილული მოსაზრებებისა, საკმაოდ ბევრი თეორია არსებობს იდიომის განსაზღვრის ასპექტში, როგორც ურთიერთსაპირისპირო, ასევე იდენტურიც.

იდიომატური გამოთქმები ენის თვისებების გამოხატვის საუკეთესო საშუალებაა. ამავდროულად, მსგავსი გამოთქმები სათავეს იღებს ამა თუ იმ ქვეყნის კულტურული,

ისტორიული და ტრადიციული ფესვებიდან, რაც თითოეული ქვეყნის თავისებურების წარმომჩენია. ცხადია, რომ იდიომატური გამოთქმების ღრმა ცოდნა ხელს უწყობს ნებისმიერი ადამიანის მჭევრმეტყველური დონის ამაღლებას. აგრეთვე, შესაძლებელია საკუთარი ენის გაფართოება სხვა ენის იდიომატური გამოთქმების შესწავლისა და მათი საკუთარ ენაში გამოყენების გზით. თვალსაჩინო ფაქტია ის, რომ ინგლისურსა და ევროპულ ენებს უფრო მეტი საერთო აქვთ, ვიდრე ინგლისურსა და ჩინურს, თუმცა მაინც არსებობს ბევრი საინტერესო მსგავსება განსხვავებული ენების იდიომატურ გამოთქმებს შორის, რომ არაფერი ვთქვათ ჩინური იდიომის ტერმინის (成语-Chengyu) პირდაპირი გადმოტანა ინგლისურ ტექსტებში განმარტების გარეშე.

## 1.2 ჩინური იდიომატური გამოთქმების წარმოშობის თეორიები

ახლა უმუშაოდ განვიხილოთ ჩინური იდიომის წარმომავლობისა და მისი ისტორიის შესახებ თეორიები. ჩინური იდიომების წარმომავლობის ისტორია, არსებული მასალების საფუძველზე, ჩვენს წელთაღრიცხვამდე 403-221 წლების საბრძოლო პერიოდს უკავშირდება. (Grace Feng 2012) თანამედროვე ჩინურ ენაში იდიომატური გამოთქმის უფრო მეტ კომბინაციას ვხვდებით ვიდრე ძველ ჩინურ ენაში. თანამედროვე ლიტერატურის ავტორები თავიანთ ნამუშევრებში უფრო ხშირად იყენებენ ფრაზეოლოგიურ გამოთქმებს, რომლებსაც მყარად აქვს ფესვები გადგმული ჩინურ პოეზიასა თუ ცნობილი ადამიანების გამონათქვამებში, მოთხრობებში, რომლებიც ისტორიულ ფაქტებს უკავშირდება.

ჩინური ენის სწავლის პროცესში ხშირად ვაწყდებით ოთხ თანმიმდევრულ მარცვალს, რომელსაც საკუთარი ალიტერაციული თავისებურებებიდან გამომდინარე ერთ მყარ შესიტყვებად მოვიაზრებდით. ნებისმიერ შემთხვევაში, გამონაკლისის გარდა, ჩინური იდიომატური გამოთქმები ოთხი იეროგლიფით გადმოიცემა. ომოფონების დიდი რაოდენობა ჩინურ ენაში ართულებს ამ უკანასკნელის ზუსტი მნიშვნელობის გაგებას. სწორედ, ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ჩინელები საშუალო სკოლიდანვე იწყებენ იდიომატური გამოთქმების შესწავლასა და მათი ლექსიკონების გამოყენებას.

აღნიშნულის ნათელსაყოფად წარმოგიდგინთ მაგალითს, ჩინური იდიომი “枯鱼之肆” (kū yú zhī sì) პირდაპირი თარგმანით „გამხმარი თევზის მაღაზია“-ს (“dried fish market”) ნიშნავს. ალბათ, ვერც კი წარმოიდგენთ რას უნდა გულისხმობდეს. აღნიშნული ოთხ-იეროგლიფიანი იდიომი მოგვითხრობს შემდეგ ისტორიას - „იყო ერთი კაცი, რომელმაც გზად ნახევრად მკვდარი თევზი იპოვა. თევზმა მას წყალი სთხოვა თავის გადასარჩენად. კაცმა მიუგო, რომ ის მდინარე იანძისკენ აპირებდა წასვლას და მობრუნებისას წყალს გამოაყოლებდა. თევზმა უთხრა: სანამ შენ მობრუნდები, მე ალბათ გამხმარ თევზად მაღაზიაში გამყიდვანო“. იმ დღიდან მოყოლებული, ჩინელები აქტიურად იყენებენ აღნიშნულ გამოთქმას მაშინ, როცა მძიმე სიტუაციიდან გამოსასვლელად დახმარების აღმოჩენა უკვე გვიანია. ინგლისურ ენაზე აღნიშნული იდიომი შეგვიძლია შემდეგი შესატყვისით გამოვიყენოთ “When all help comes too late”.<sup>1</sup>

ჩინური იდიომების რიცხვი დაახლოებით 5000-მდე მერყეობს, მაგრამ ეს რაოდენობა სავარაუდოა შემდეგი მიზეზების გამო:

1. ბევრ ჩინურ იდიომატურ გამოთქმას მოეძებნება სინონიმი, რომელსაც საფუძვლად ერთი და იგივე ისტორია უდევს, მაგრამ განსხვავება არის ერთ ან ორ ზედმეტ იეროგლიფში, ალბათ, აღნიშნული ფაქტი ადგილობრივი დიალექტების მრავალრიცხოვნებით აიხსნება ჩინურ ენაში.

2. ზოგიერთი ფრაზა გამოიყენება იდიომის მნიშვნელობით, მაგრამ არ აკმაყოფილებს ამ უკანასკნელის სტრუქტურულ კრიტერიუმს, ოთხ-იეროგლიფიან სიტყვათშეთანხმებას და მის სემანტიკურ მხარეს. (Grace Feng 2012)

ფაქტია, რომ ჩინელები იდიომატური გამოთქმების გამოყენებას სისტემატურად მიმართავენ. შეიძლება ითქვას, რომ ეს მათი ყოველდღიური სალაპარაკო ენის შემადგენელი ნაწილია. ისინი ყველა არსებულ რეგისტრს ისე ლაკონიურად მოარგებენ გამონათქვამს, რომ შთაბეჭდილება გრჩებათ თითქოს ენის სწავლას ფრაზებთან ერთად იწყებენ. ნამდვილად სანიმუშო ფაქტია, მაგრამ ენაში არსებული მდიდარი ლექსიკური

---

<sup>1</sup> 朱源, 徐. (2019). 汉英成语大词典. 大连海事大学出版社. (ჩინურ-ინგლისური იდიომების ლექსიკონი)



მარაგიც უნდა გიწყობდეს ხელს, რომ იდიომატიკური გამოთქმების მრავალფეროვნება ამოუწურავი იყოს.

### 1.3 ქართული იდიომატიკის წარმოშობის თეორიები

საქართველოში დაახლოებით XX საუკუნის შუა პერიოდიდან იწყება იდიომატიკის საკითხისადმი მიძღვნილი კვლევების გამოჩენა. აღნიშნულ დარგში პირველ ნაშრომად 1938 წელს გამოქვეყნებული თ.სახოკიას ნაშრომი „ვეფხისტყაოსნის ფიგურალური სიტყვანი და გამოთქმანი“ შეგვიძლია მივიჩნიოთ. ფრაზეოლოგიური კვლევების მიმართულებით, ასევე საინტერესოა კანდელაკის სადისერტაციო ნაშრომი „ინგლისური მეტაფორული იდიომები და მათი ქართული ეკვივალენტები“ (1955წ.), სადაც ავტორი ორი არამონათესავე ენის ფრაზეოლოგიური მასალის შეპირისპირებითი ანალიზის საფუძველზე ადგენს სემანტიკურ ჯგუფებს. იგი იდიომების ორი ტიპის დიფერენციაციას გვამლევს: ხატოვანი იდიომები და გაქვავებული იდიომები. საბოლოო დასკვნის სახით ცხადყოფს, რომ ქართულ და ინლისურ ენებში იშვიათია ერთმანეთის იდენტური იდიომური გამოთქმები.(ქ. კანდელაკი 1955)

ქართული იდიომატიკის სფეროში სამაგიდო წიგნად ითვლება თედო სახოკიას სამტომეული „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“, რომელშიც იდიომების ეტიმოლოგიაა მოცემული. „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“ Iტ-1950წ., IIტ-1954წ., IIIტ-1955წ. გახლავთ ლექსიკოგრაფიული ხასიათის ნაშრომი, რომელშიც არ არის წარმოდგენილი იდიომატიკასთან დაკავშირებული თეორიული საკითხები, თუმცა, მასში თავმოყრილია დაახლოებით 7000 ერთეული, გადატანითი მნიშვნელობით გამოყენებული სიტყვები და თქმანი, განმარტებული მნიშვნელობითა და ზოგ შემთხვევაში მოყვანილი ეტიმოლოგიით. ფაქტია, ნაშრომი ქართული ფრაზეოლოგიის მკვლევართათვის ფასდაუდებელ განძს წარმოადგენს.

იდიომატიკის, როგორც ცალკეული დარგის განვითარება, 1954 წელს ა. ონიანის სადისერტაციო ნაშრომს „ქართულ-სვანური იდიომატიკის საკითხები“ უკავშირდება, რომელიც თეორიულ საკითხებთან ერთად, სვანური ენის მონაცემთა ანალიზს წარმოადგენს და მის წარმომავლობას იკვლევს.

80-იანი წლებიდან კიდევ ბევრი ნაშრომი შეემატა ქართული ფრაზეოლოგიის კვლევას თეორიული თუ პრაქტიკული თვალსაზრისით. კვლევები, ქართული

ფრაზეოლოგიზმების მსგავსებასა და განსხვავებაზე უცხოურ ენებთან მიმართებაში, მიუძღვნეს: ც.ახვლედიანმა, ც.ბიბილეიშვილმა, დ.ბახტაძემ, ი.გომხეთელიანმა, ნ.სურგულაძემ, მ.ჩხარტიშვილმა, ნ.ჯანელიძემ, ქ.ჯაშმა, ნ.ჯიქიამ, ნ.სტამბოლიშვილმა, ლ. თაბუაშვილმა და ა.შ.

#### 1.4 ცოცხალი გარემოს როლი ინგლისური, ჩინური და ქართული იდიომატური გამოთქმების ფორმირების საკითხში

ენა, როგორც მოგეხსენებათ, ქვეყნის კულტურული ფონის გამოხატულებაა. ბუნებრივი გარემო, რომელიც შედგება გეოგრაფიული მდებარეობისგან, კლიმატური და ეკოლოგიური პირობებისგან, ენის ფორმირების საკითხში დიდ როლს თამაშობს.

იდიომატური გამოთქმები მჭიდროდ არის დაკავშირებული ხალხის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან, აქედან გამომდინარე მათ სჭირდებათ სიტყვები, რომლითაც ახსნიან და გადმოსცემენ საგნებს თავიანთ კულტურებში. იმის გამო რომ ბრიტანეთი არის კუნძულოვანი ქვეყანა და ადგილობრივები ცხოვრობენ ზღვისპირა მხარეს და მათი საარსებო წყარო დამოკიდებულია ზღვაზე, მათი იდიომატური გამოთქმებიც ხშირად უკავშირდება წყალს, ნაოსნობას, კუნძულსა და თევზს. ბრიტანელებს კარგად გამოსდით ნადირობა და მეთევზეობა, ისინი ხშირად ჯირითობენ კიდეც, ეს მათი ყოველდღიური ცხოვრების წესია. ბევრ გამოთქმას შეხვდებით, სადაც მათი ცხოვრების გარემო პირობებია ასახული და ბევრიც სოფლის მეურნეობასთან არის დაკავშირებული:

Feel like a fish out of water -感到不自在; -შენთვის შეუფერებელ, არაკომფორტულ გარემოში ყოფნა;

Have all one's eggs in one basket-孤注一投; - ყველა ძალისხმევის მობილიზება მხოლოდ ერთ საქმეზე;

Ride on the high horse - 盛气凌人; ქედმაღლურად მოქცევა; მაგ.: თავს ამეტებს;

Put out to grass - 年老退休 - დაატოვებინო სამსახური ხანდაზმულობის გამო; (კენსიაზე გასვლა).

ისტორიულად, ქართველები მიწათმოქმედებას მისდევდნენ, ყოველდღიური შეხება ჰქონდათ მიწასთან, წყალთან, შესაბამისად ქართულ ენაზე მოგვეპოვება ისეთი გამონათქვამები, როგორებიცაა:

„არანდით მოსახვეტია” - ბლომადაა, ბევრია (Too much; 有很多) არანდი წარმოადგენს სამეურნეო იარაღს, რომელსაც კალოზე გაღეწილი პურისა და ნამჯის მოსახვეტად იყენებენ, მოუგროვებელს თითქმის არაფერს ტოვებს, ყველაფერს ასუფთავებს. (თედო სახოკია 1954:208)

„აქ გატყდა ტაბიკი” - გაჭირდა საქმე (To get in trouble; 惹麻烦) გამონათქვამი უღლის ტაბიკიდან მომდინარეობს, როდესაც უღლის ტაბიკი გატყდება, ხარები ურემს ვედარ წაიყვანენ, რადგან უტაბიკოდ უღელი კისერზე აღარ გაუჩერდებათ. (თედო სახოკია 1954:209)

„დორანში ჩავარდნა” - კეთილი ცხოვრება, სიმდიდრე, იღბალი (Wealth, luck, prosperity; 财富, 运气, 繁荣) დორანი იმ მყუდრო ადგილს ჰქვია წყალში, სადაც თევზები ბუდობენ, ერთად არიან თავმოყრილნი და სადაც მათი დაჭერა ადვილია. დორანში ჩავარდა კაციო მაშინ იტყვიან, როდესაც სიღარიბის შემდეგ ადვილად გამდიდრდება. (თედო სახოკია 1955:238)

განსხვავებული აღქმისა და ტრადიციების გამო, სხვადასხვა ერს ცალსახად გააჩნია კულტურული განსხვავებები მეტაფორასა და ესთეტიკურ სტანდარტებში. დასავლეთის კულტურაში ძალი ადამიანის მეგობარია, ისინი ინტელექტუალურ, კარგად მოაზროვნე და ადამიანის ერთგულ არსებებად მიიჩნევიან, ამიტომ ძალი ჩვეულებრივ ასოცირდება ყველაფერ პოზიტიურთან და დადებითთან, განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი:

As faithful as a dog - 极其忠诚; -ძალივით ერთგული;

A lucky dog - 幸运儿 -იღბლიანი (მაგ.: ძალის ბედი აქვს);

To be top dog - 重要的人 - წარმატებული და მნიშვნელოვანი პერსონა თავის პროფესიაში.

თუკი დასავლეთის ხალხი ვინმეს “Old dog” -ად მოიხსენიებს, ეს ნიშნავს რომ ის მას აქებს და აფასებს, კარგად გამოწვრთნილ, ნამდვილ ექსპერტად მიიჩნევს. ასევე აქვთ ძალის ტერმინის შემცველი შემდეგი გამოთქმა “A running dog”, (უპრინციპო ადამიანი, ვინც სხვის ბრძანებებს ბრმად ასრულებს), მაგრამ ამგვარი ოდნავ ნეგატიური შეფასებაც კი

არ ცვლის ძაღლის სტატუსს. ძაღლი კვლავ მიიჩნევა ადამიანის საუკეთესო მეგობრად შეერთებულ შტატებში, დიდ ბრიტანეთსა და დასავლეთის სხვა ქვეყნებში.

თანამედროვე ჩინურ სამყაროში ძაღლი ძალიან უყვართ. მიუხედავად ძაღლის შინ ყოლისა და მოვლისა, წარმოუდგენელია მისთვის ასეთი მაღალი პატივსაცემი სტატუსის მინიჭება და მაინც შემორჩენილია გამონათქვამები, სადაც, ზოგადად, ძაღლი ასოცირდება უსიამოვნებასა და უარყოფით თვისებებთან. მაგალითად:

狗胆包天 - Monstrous audacity - უზომოდ თავხედი;

狗急跳墙 - A cornered beast will do something desperate -კუთხეში მომწყვდეული სასოწარკვეთილი მხეცი (ძაღლი), საშინელების ჩამდენია;

狗嘴里吐不出象牙 - A filthy mouth can't utter decent language.<sup>2</sup> - ცუდ ადამიანებს არ ძალუძთ კეთილი სიტყვის თქმა (ჩინური გამოთქმის მიხედვით, ცუდ ადამიანში გაიგივებულია ძაღლი).

რაც შეეხება ქართულ კულტურაში ძაღლს ძირითადად დადებითი როლი აქვს, თუმცა უარყოფით კონტექსტშიც გვხვდება. განვიხილოთ მაგალითები:

ძაღლის ბედი - Lucky; A lucky dog -幸运;

ძაღლის ყბის გამოზმა - გაუთავებელი ლაპარაკი, ყბედობა -Endless talk (Motormouth, chatterbox) -无休止的谈话;

ძაღლი პატრონს ვეღარ ცნობს - (დიდი არეულობა, განუკითხაობა) - Big mess, disorder - 大混乱, 无序.

ძაღლთან მიმართებაში არსებული სხვადასხვა ასოციაცია ასახავს სხვადასხვა ქვეყნის განსხვავებულ კულტურას, სწორედ ეს წარმოადგენს ერთ-ერთ მაგალითს, რომელშიც აშკარად იგრძნობა ზოგადი კულტურული სხვაობები.

---

<sup>2</sup> 朱源, 徐. (2019). 汉英成语大词典. 大连海事大学出版社.(ჩინურ-ინგლისური იდიომების ლექსიკონი)

## 1.5 რელიგიისა და რწმენის გავლენის ასახვა ინგლისურ, ჩინურ და ქართულ იდიომატურ გამოთქმებში

რელიგიური კულტურები, ფორმირებული რელიგიური რწმენისა და შეგნების შედეგად, წარმოადგენს ადამიანთა კულტურის მთავარ კომპონენტებს. სხვადასხვა რელიგიური კულტურა ასახავს სხვადასხვა ერის მიდგომას თაყვანისცემასა თუ ტაბუს მიმართ. დასავლურ ქვეყნებში რელიგია მნიშვნელოვან როლს თამაშობს ხალხის სოციალურ ცხოვრებასა და იდეოლოგიის სფეროში, რაც განსახიერებულია და გამოხატულია ჩვეულებებსა და ხელოვნებაში. როგორც ჩინეთს, ისე ინგლისურენოვან ქვეყნებს და საქართველოს გააჩნიათ თავიანთი მდიდარი კულტურა. ცხადია, ისინი საკმაოდ განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ჩინური კულტურის წყარო არის კონფუცის ფილოსოფია და რელიგიას წარმოადგენს ბუდიზმი, მაშინ როცა ინგლისური და ქართული კულტურა ძირითადად ქრისტიანობით არის წარმოდგენილი. შესაბამისად, იდიომების თარგმნის დროს ერთი ენიდან მეორე ენაზე, რომელიც შეიცავს რწმენის ელემენტებს, ჩვენ აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ რელიგიური ფაქტორი, რათა არ მოხდეს იმპლიციტური აზრის დამახინჯება და მისი სათარგმნ ენაზე არასწორად გადმოტანა.

რელიგია ასევე მნიშვნელოვანი წყაროა იდიომებისთვის. ვინაიდან რელიგიას უზარმაზარი გავლენა ჰქონდა ადამიანებზე ფეოდალური წყობის პერიოდში, უამრავი იდიომა არებობს, რომელიც იმდროინდელ რელიგიურ რწმენას ასახავს. სხვადასხვა რელიგიის გამო, ინგლისელ, ჩინელ და ქართველ ხალხს სხვადასხვა რელიგიური ალუზიებით აქვთ წარმოდგენილი „ღმერთი“, „სამოთხე“, „ანგელოზი“,

„ემმაკი“, „ჯოჯოხეთი“, „ეკლესია“, „აღდგომა“, „შობა“ და ა.შ. ეს სიტყვები ხშირად გამოიყენება ინგლისურენოვან და ქართულენოვან იდიომატურ გამოთქმებში, მაშინ როცა ჩინურში გამოიყენებენ შემდეგ სიტყვებს: “和尚” (ბერი), “佛” (ბუდა), “庙” (ტაძარი) და ა.შ.

წარმოგიდგენთ რელიგიასთან დაკავშირებულ რამდენიმე ინგლისურ იდიომას:

God helps those who help themselves - ღმერთი ეხმარება მათ, ვინც თავის თავს ეხმარება;

As poor as church mouse - ღარიბი, როგორც მონასტრის თავგი;

To play the devil with – ემმაკთან თამაში.

წარმოგიდგენთ რელიგიასთან დაკავშირებულ რამდენიმე ჩინურ იდიომს:

跑了和尚,跑不了庙 - ბერი შეიძლება გაიქცეს, მაგრამ ტაძარი ვერ გაიქცევა მასთან ერთად;

无事不登宝殿 - არავინ მიდის ტაძარში უმიზეზოდ (დასახმარებლად მიმართო ვინმეს, როდესაც გასაჭირში ხარ);

借花献佛 - ნათხოვარი ყვავილებით ბუდასთან წარდგენა (სესხის აღება საჩუქრის გასაკეთებლად).

წარმოგიდგენთ ქართულ ენაში დამკვიდრებულ რელიგიასთან დაკავშირებულ რამდენიმე იდიომს:

„აღდგომის დღის გათენება“ - ძლიერ გახარება, შვების გრძნობა (რაიმე შემთხვევის გამო);

„ანგელოზმა ჩამოიარა“ - სიჩუმე ჩამოვარდა;

„აირია მონასტერი“ - წესი დაირღვა, არეულობაა, უმცროსი უფროსს აღარ ემორჩილება. (თ. სახოკია 1950)

„ახლად დაბადება/მეორედ დაბადება/ მეორედ შობა“ - რამე კარგი, მეტის-მეტად სასიამოვნო შემთხვევის განცდა საკუთარ თავზე; ძალიან გახარება, აღტაცება;

„ბაბილონის გოდოლის აშენება“ - ღრიანცელი, უაზრო ხმაური, არევ-დარევა, უთავბოლობა (A tower of Babel; 巴别塔) (რომლის ალუზიაც შემდეგში მდგომარეობს, ბიბლიის მიხედვით, ბაბილონის ძლიერი სამეფოს შემქმნელმა, ნიმროდმა, მთელს ქვეყანაზე გაბატონების მიზნით, დაიწყო გოდოლის ანუ მაღალი კოშკის აშენება, რომელიც ცას უნდა მიბჯენოდა. ნიმროდის თავხედური საქციელით განრისხებულმა ღმერთმა გოდოლის მშენებლობაზე მომუშავე უამრავ ხალხს ენა აურია და ყველა სხვადასხვა ენაზე ალაპარაკა, რამაც გამოიწვია ქაოსი, არევ-დარევა და მშენებლობის ჩაშლა). (თ. სახოკია 1950)

როგორც კულტურული ფენომენი, რელიგია, რომელიც ადამიანისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ელემენტია, ხშირად აისახება ადამიანების მიერ წარმოთქმულ ფრაზებში, ყოველდღიურ გამონათქვამებში. ყველას გვსმენია “Judas’s kiss”( 犹太之吻 ) - „იუდას ამბორი“. იუდამ, რომელიც ქრისტეს 12 მოწაფეთაგანი ერთ-ერთი იყო, უღალატა და 30

ვერცხლად გასცა იესო და შეაპყრობინა იუდეველთა მღვდელმთავრებს, რომელთაც რომაელების დახმარებით იგი ჯვარს აცვეს. შუა საუკუნეების და აღორძინების ხანის ხელოვნებაში წარმოსახვდნენ ღალატის სცენას, სადაც იუდა ისკარიოტელი კოცნის იესოს და ამით მიანიშნებს მასზე. აქედან წარმოიშვა გამოთქმა - იუდას ამბორი. აღნიშნულ გამოთქმას იყენებენ მოღალატის, გამცემის სინონიმად.

განვიხილოთ შემდეგი გამოთქმა: “Turn the other cheek” (甘受侮辱) - „მეორე ლოყის მიშვერა”. ახალი აღთქმის მიხედვით, იესო ამბობს: „მე კი გეუბნებით თქვენ, წინ ნუ აღუდგებით ბოროტს, არამედ, თუ ვინმემ მარჯვენა ლოყაში სილა გაგაწნას, მეორე ლოყაც მიუშვირე”, აქედან წარმოიშვა გამოთქმა “Turn the other cheek” (甘受侮辱) და ასეთი მრავალია. ქვეყნების განსხვავებული კულტურიდან და რწმენიდან გამომდინარე, არსებობს ისეთი სახის იდიომატური გამოთქმები, რომლებიც კულტურათა შორის ასპარეზზე თავისი პირდაპირი მნიშვნელობით არ ითარგმნება, უფრო დამკვიდრებულია ეროვნული რეალიის სტატუსით. მაგალითად, ჩინელების გარკვეული რაოდენობა ბუდისტია, ისინი ღრმად შთაგონებულნი არიან ბუდიზმით და აქედან გამომდინარე ხშირად ხდება გამონათქვამების გადაკეთება ეროვნულ ყაიდაზე რელიგიის გათვალისწინებით. მაგალითად, “谋事在人, 成事在天” - “Man proposes, God disposes”, რაც ჩვენთვის კარგად ნაცნობი გამონათქვამია „კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდა”. ჩინელების აზრით, გამონათქვამის ზუსტი ეკვივალენტური შესატყვისით გადმოტანა „ღმერთის” პროპაგანდის მატარებელი სიტყვა იქნებოდა, ამიტომ „ღმერთი” „ციური“-თ შეცვალეს. უმეტესი გამონათქვამი თანამედროვე ცივილიზაციამდე რელიგიიდან მომდინარეობს. მაგალითად, ბევრი ინგლისური და ქართული გამონათქვამი ბიბლიას უკავშირდება: “My God”(上帝); “As poor as a church mouse” (一贫如洗) . ასევე, გვხვდება რელიგიური მოტივით არსებული გამოთქმები ქათულ ენაზე: „ადამის ჟამის, ადამის ხნის” - ძველისძველი, დიდი ხნის; „ალალმა დაჰქროლა” - მოულოდნელი უბედურება, თავზარის დაცემა, გულის გახეთქა; „აღდგომის გათენება” - დიდი სასიხარულო დღის დადგომა. ბევრი ჩინური გამონათქვამი კი ბუდისტური სწავლებიდან მომდინარეობს, მაგალითად, “佛法无边”(The powers of Buddha are unlimited) ; “道高一尺, 魔高一丈”(Where God has his church, the devil will have his chapel); “临时抱佛脚”(Seek help at the last moment). (Ma Mei 2011)

რელიგიური კულტურა, რომელიც ჩამოყალიბებულია სხვადასხვა ხალხის რელიგიური რწმენითა და ცნობიერებით, არის ადამიანის კულტურის მთავარი კომპონენტი, რომელიც ასახავს განსხვავებულ დამოკიდებულებას თითოეული ერის აღტაცებისა და ტაბუს მიმართ.

დასავლეთის ქვეყნებში ქრისტიანობის, როგორც დომინანტური რელიგიის მქონე ხალხების წმიდა წიგნებსა და წერილებში ხშირად გვხვდება იდიომატური გამოთქმები. განვიხილოთ შემდეგი მაგალითი: “To kill the fatted calf” – აღნიშნული გამონათქვამი უკავშირდება ისტორიას, რომლის თანახმადაც მამამ სანადიროდ წასულ ვაჟს ნადიმი მოუწყო შინ მშვიდობით დაბრუნების ნიშნად. აღნიშნული გამონათქვამი ჩინურად შემდეგნაირად თარგმნილა: “热烈欢迎亲人归来” (Rèliè huānyíng qīnrén guīlái), რაც გულისხმობს „თბილად მივესალმები ახლობლების დაბრუნებას“. თვალსაჩინოებისთვის განვიხილოთ შემდეგი მაგალითები:

To fall from grace - 堕落, 犯罪 ; დანაშაულის ჩადენა სულიერად, მორალურად;

At the last gasp - 在奄奄一息时, 在最后关头; სიცოცხლის ბოლო წუთი;

The salt of the earth - 社会中坚; სანდო, დასაყრდენი ( ადამიანის დასახასიათებლად შეგვიძლია გამოვიყენოთ);

To see eye to eye - 看法相同, 意见一致. მსგავსი აზრის, შეხედულების ქონა.

ინგლისურენოვან ქვეყნებში, სადაც ქრისტიანობა დომინანტური რელიგიაა, ჩვენ ადვილად წავაწყდებით უამრავ იდიომს წმიდა წიგნიდან - ბიბლიიდან, მაგალითად “To wash one’s hands” (ხელები დაიბანა), რაც ნიშნავს პასუხისმგებლობის მოხსნას, რომელსაც ჩვენ, ქართველების ხშირად ვიყენებთ „ხელებიც დამიბანია“, როდესაც რამე საქმეს აღარ ვეკიდებით პასუხისმგებლობით და აღარ გვანტერესებს მისი შედეგი. “A fly in ointment” (ბუზი მალამოში), რაც ნიშნავს განსაკუთრებით მცირე არსებას, რომელიც აკნინებს ან ანადგურებს სხვის ფასეულობას ან მნიშვნელობას.

ჩინურ ენაში, ბუდიზმმა და დაოსიზმმა შემდეგი იდიომის შექმნაში დიდი როლი ითამაშეს: “魔高一尺, 道高一丈” - ამ იდიომის ალუზია შემდეგში მდგომარეობს: თავდაპირველად, რელიგიის წარმომადგენლები გაფრთხილებას აძლევდნენ მათ, ვინც



ბუდიზმს ნებისმიერი გარე საცდურის წინააღმდეგ იყენებდა, ხოლო დაოსიზმის სიბრძნეს კი როგორც ჯანსაღი, ისე ცუდი ტენდენციებისთვის. ამ ალუზიის მიხედვით, ჩვენ შეგვიძლია განვსაზღვროთ იდიომი შემდეგნაირად „რაც უფრო დიდია ნათება, მით მეტია ცდუნება“.

განვიხილოთ ჩინური მაგალითები:

临时抱佛脚 - To embrace Buddha's feet in one's hour of need; To seek help at the last moment; დახმარების აღმოჩენა ბოლო მომენტში;

人面兽心 - A beast in human shape; A fair face may hide a foul heart; ცხვრის ტყავში გახვეული მგელი;

放下屠刀，立地成佛 - To drop one's cleaver and become a Buddha; To achieve salvation as soon as one gives up evil; მიატოვო ბოროტება და ეზიარო ხსნას (ხელახლა დაბადება).

## 1.6 ისტორიული ფაქტორების ზეგავლენა ინგლისურ, ჩინურ და ქართულ იდიომატურ გამოთქმებზე

ჩინური, ინგლისური და ქართული იდიომები დამკვიდრებულია საზოგადოებაში და ფართოდ გამოიყენება ხალხის მიერ წლების მანძილზე. ისინი ჩამოყალიბდა საზოგადოების განვითარების პროცესში და გადაეცემოდა თაობიდან თაობებს. ზოგიერთი მათგანი წარმოიშვა ისტორიული მოვლენების, მითოლოგიისა და ლიტერატურის წყაროებიდან. მთელი რიგი იდიომატური გამოთქმები ისტორიულ-კულტურული თვისებების მატარებელია, ასე რომ ინგლისურ, ჩინურ და ქართულ იდიომებს შორის არსებული ისტორიულ-კულტურული განსხვავებები იდიომების თარგმნის პროცესში ხშირ შემთხვევაში პრობლემატურია.

ისტორიული კულტურა ფორმირდება სპეციფიკური ისტორიული განვითარებით და ისტორიული მემკვიდრეობით. ინგლისურ, ჩინურ და ქართულ კულტურებს აქვთ

განსხვავებული ისტორიული ორბიტები, რადგან ისინი წარმოადგენენ სრულიად სხვადასხვა კულტურულ სისტემას. ისტორიული კულტურის შემადგენელი ნაწილებია ალუზია, ტრადიცია, კანონები და წესდებები, მითები, პოემები, უძველესი წიგნები და ჩანაწერები. მათ შორის ალუზია წარმოადგენს ყველაზე მნიშვნელოვან და ეროვნულ კომპონენტს. მხოლოდ მისი კულტურული შინაარსის სრულად გაგების შედეგად შეგვიძლია ადვილად გამონათქვამის მნიშვნელობა.

სხვადასხვა ენაზე დაწერილი ნაწარმოები, თხზულება, რომანი თუ მოთხრობა მოგვითხრობს გმირების ან მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენების შესახებ ამბავს, იდიომატური გამონათქვამები კი მჭიდროდ უკავშირდება ქვეყნის ისტორიას. ინგლისელებს ათასზე მეტი წლის ისტორია აქვთ და ბევრი იდიომატური გამონათქვამიც მათი ისტორიული ფრაგმენტებიდან მომდინარეობს. მაგალითად, “To meet one’s Waterloo”(遭遇滑铁卢) - აღნიშნული გამონათქვამი ნაპოლეონის 1815 წლის 18 ივნისს ვატერლოოსთან საბოლოოდ დამარცხებიდან იღებს სათავეს, რომელ გამოთქვასაც სწორედ რომ საბოლოო დამარცხების სინონიმად იყენებენ, რადგან აღნიშნულმა ბრძოლამ ბოლო მოუღო ნაპოლეონის იმპერატორობას საფრანგეთში. განვიხილოთ ინგლისურ ენაზე არსებული შემდეგი მაგალითები: “Do in Rome as the Roman’s do”(入乡随俗), რაც ჩვენთვის კარგად ნაცნობი და ხშირად გამოყენებადი გამონათქვამი გახლავთ ქართულ ენაზე „სადაც ხარ, იქაური ქუდი დაიხურე“; “To put up the sword”(讲和); აღსრულება, მშვიდობის დამყარება ხმლის გამოყენებით და ა.შ.

რაც შეეხება ხალხურ გამონათქვამებს, ვერასდროს განვსაზღვრავთ მათი შექმნის დროს, მაგრამ ის ხალხის გამოძახილია, შესაბამისად, ნებისმიერ დროსა და სიტუაციას ადვილად ერგება. მაგალითად, გამონათქვამი “Get cold feet” გადმოსცემს შემდეგ ისტორიას, ერთ ღამეს, ცოლს ოთახში თავის ხმა შემოესმა და ქმარს სთხოვა იგი გარეთ გაეგდო, შიშით შეპყრობილმა ქმარმა ცოლს მიუგო, რომ შეუძლოდ იყო სიცივისგან და ადგომის თავიც კი არ ჰქონდა. დღეს აღნიშნული გამონათქვამი “Get cold feet” მშიშარა ადამიანების სინონიმად გამოიყენება.

ქართულ ენაზე არსებობს ასეთი ხატოვანი გამოთქმა „ცეცლი მოასვენე“ - რაც გულისხმობს ცეცხლის ჩაქრობას (Extinguish the fire; 灭火) ამ სიტყვებში შემორჩენილია

ცეცხლის ძველი თაყვანისცემის გადმონაშთი. დაძინების წინ, ვისაც ცეცხლი უნდა ჩაექრო, ეტყოდნენ - ცეცხლი მოასვენეო და არა ცეცხლი ჩააქრო, ცეცხლისთვის ჩაქრობის კადრება არ შეიძლებოდა. (თ.სახოკია 1955)

„ათასი ქისა მარჩილი” - ბევრი ფული, უთვალავი სიმდიდრე (Lots of money, countless riches; 大量的钱, 无数的财富) ისტორიული წყაროების მიხედვით, მარჩილი ძველად ქართული ფულის ერთეული იყო და ქართლსავე ვერცხლის სამ აბაზს უდრიდა. როდესაც სურდათ რომელიმე ნივთის დიდი ღირებულება გამოეხატათ, იტყოდნენ, ამას ათას ქისა მარჩილადაც ვერ მოგცემო. (თედო სახოკია 1955)

„ზოგი ალთას იძახდა, ზოგი ბალთას” - უთანხმოება, აზრისა თუ ნაფიქრის სხვადასხვაობა (Disagreement, difference of opinion or thought; 意见分歧或思想分歧) აღნიშნული გამონათქვამის ეტიმოლოგია შემდეგ ისტორიულ წყაროზე დაყრდნობით შეიძლება გავითავისოთ: ცნობილი ქართველი მეცნიერის, აკაკი შანიძის გამოკვლევით, ალბანურ ანბანში პირველ ასოს ერქვა ალთ, მეორეს - ბალთ. ალბანელები სამხრეთ კავკასიის ბინადარი ხალხი იყო, რომელიც შუა საუკუნეებში გაქრა, თურქული მოდგმის ტომებსა და მეზობელ ხალხებში გაითქვიფა. აღნიშნულ გამოთქმაში ორი, ერთმანეთის საწინააღმდეგო შინაარსის აზრი უპირისპირდება ერთმანეთს. (თედო სახოკია 1955)

შესაძლოა ყველაზე რთული ჩინური იდიომი იყოს ის, რომელიც ჩინეთის ისტორიის ბაზაზე წარმოიშვა და რომლის ჩანაწერიც 2000 წელზე მეტს ითვლის. თუ ადამიანი ძალიან კარგად არ ერკვევა ჩინეთის განვითარების ისტორიაში, მას ძალიან დააბნევს ისეთი იდიომატური გამონათქვამების მნიშვნელობისა და აზრის გაგება, როგორებიცაა: “望梅止渴”, “完璧归赵”, “请君入瓮” და “塞翁失马, 安知非福”. თითოეული ჩამოთვლილი იდიომი შეიცავს ალუზიას. იდიომის “望梅止渴” ალუზია არის შემდეგი: ცაო ცაომ წაიყვანა თავისი ჯარი ისეთ ადგილას, სადაც არ იყო წყალი. ჯარისკაცებს ძალიან მოსწყურდათ. ცაო ცაომ ისინი მოატყუა რომ წინ შეხვდებოდათ ქლიავის ხეები, რომლებსაც ესხა უამრავი მწიფე და ტკბილი ქლიავი. ქლიავის უბრალო ხსენებაზე ჯარისკაცებს ნერწყვი მოადგათ და წყურვილის შეგრძნება გაუქრათ. ასე რომ თავისუფალი თარგმნის მეთოდით აღნიშნული იდიომი შეგვიძლია გადმოვიტანოთ როგორც "Satisfaction with the imagination" (წარმოსახვით დაკმაყოფილება).

განვიხილოთ მორიგი იდიომის “完璧归赵” ალუზია, რომელიც მდგომარეობს შემდეგში: მეგრძოლი სამეფოების პერიოდში, ჯოუს სამეფომ ჩუს სამეფოსგან ნეფრიტის ფირფიტა მიიღო. ცინის იმპერატორმა თავი მოიკატუნა, რომ ნეფრიტის ფირფიტას თხუთმეტ ქალაქში გაცვლიდა. ჯოუს იმპერატორმა ლინ ქსიანრუ ცინის სამეფოში გადასაცვლელად გაგზავნა. ლინ ქსიანრუ გაემგზავრა ცინის სამეფოში და წარუდგინა ფირფიტა ცინის იმპერატორს, მაგრამ ცინის იმპერატორმა უარი უთხრა ქალაქების გადაცემაზე. ლინმა მოახერხა ის რომ ნეფრიტის ფირფიტა ჯოუს სამეფოში უვნებლად დააბრუნა. ამრიგად, ჩინურ იდიომატურ გამოთქმას “完璧归赵” მეტაფორული მნიშვნელობით ხშირად იყენებენ, რაც გულისხმობს “To return something to its owner safely”(დაუბრუნო ნივთი პატრონს უვნებლად).

“请君入瓮”- იდიომის ალუზია შემდეგში მდგომარეობს: თანგის დინასტიის წარმომადგენლის ვუ ზეტანის მმართველობის ხანაში, ულმოხელი მოსამართლე სახელად ჯოუსინი ეჭვიტანილი იყო სახელმწიფოს ღალატში და მის მოადგილეს ლაი ჯუნჩენს დაევალა ამ საქმის გამოძიება. იმისათვის რომ მიეღო აღიარება ჯოუსინისგან, ლაიმ მლიქვნელურად მიიპატიჟა იგი წვეულებაზე და სთხოვა გაენდო პატიმრის გამოტეხვის საუკეთესო გზა. ჯოუსინმა შესთავაზა პატიმრის ჩასმა ცხელი ნახშირით სავსე აუზში. საჭირო და შესაფერის დროს ლაიმ უთხრა ჯოუსინს: „დადგა შენი გამოტეხვის დრო და ჩადი აუზში“-ო (Please, get into the boil pot). აღნიშნულ იდიომში გამოხატული ალუზია გულისხმობს - " To try what you have devised to torture others "(შენ თავზე გამოცადო ის, რაც სხვების საწამებლად მოიფიქრე).

განვიხილოთ შემდეგი იდიომის ალუზია - “塞翁失马,安知非福”. აღნიშნული იდიომა შემდეგ შინაარსს ეფუძნება: როდესაც გაჭირვების ზღვარზე მყოფმა მოხუცმა კაცმა დაკარგა თავისი ცხენი, ხალხი მიდიოდა მასთან და უთანაგრძნობდა, მოხუცი კი ამბობდა: „საიდან იცით, რომ ცხენის დაკარგვა კარგ ამბავს არ მომიტანსო?!“ რამდენიმე დღის შემდეგ, მისი დაკარგული ცხენი დაბრუნდა მეორე კარგ ცხენთან ერთად, ამიტომ შეგვიძლია აღნიშნული იდიომის ალუზია შემდეგნაირად გავიგოთ - “A loss may turn out to be a gain” (დანაკარგი შესაძლოა მოგებად იქცეს).

ბუნებრივია, იდიომით გამოხატული აზრის გაგება, მასზე სხვადასხვა ფაქტორის ზემოქმედების გამო, ხშირ შემთხვევაში მკითხველისთვის რთულია. შემოთავაზებული პრაქტიკა ინგლისურენოვან ვიზიტორებთან საუბრისას არის ის, რომ მსგავსი იდიომების უხეში ეკვივალენტი ან მოკლე ახსნა ვიპოვოთ, დეტალებში ჩაძიების გარეშე, ისე რომ არ მოვწყდეთ იდიომით გამოხატულ მთავარ აზრს.

არსებობს ინგლისურ ენაზე იდიომი, რომლის შინაარსიც მრავალი წლის ისტორიას ითვლის, მაგალითად: “Egg of Columbus” – “哥伦布竖鸡蛋”; “万事开头难” (კოლუმბის კვერცხი). საკვები კვერცხი, რომელიც სადემონსტრაციოდ კრისტოფერ კოლუმბმა გამოიყენა ესპანელ დიდებულებთან გამართულ სადილზე და იქვე აღნიშნა, რომ ვერცერთი ადამიანი, ვინც სადილზე იმყოფებოდა, ვერ შეძლებდა კვერცხის ფეხზე დაყენებას. მას შემდეგ რაც ყველამ უშედეგოდ სცადა, კოლუმბმა კვერცხზე ხელის ნაზად დაჭერით და ოდნავ დარტყმით იგი დააყენა მაგიდაზე. აღნიშნულმა ფაქტმა იდიომატურ გამოთქმაში ჰპოვა ასახვა, რისი ალუზიაც გულისხმობს - “The things that look impossible to achieve until someone proves that they are not”(ერთი შეხედვით რაც შეუძლებელია, ფაქტობრივად შესაძლებელია).

“To eat crow” – “吃下乌鸦”; “忍受侮辱” (ყვავის შეჭმა) აღნიშნული გამოთქმის წარმომავლობას რამდენიმე ისტორია უდევს საფუძვლად. ერთ-ერთი ისტორიული ფაქტი გვიამბობს, რომ 1812 წელს, ომის დასრულების შემდეგ, ამერიკელმა ჯარისკაცმა ნადირობისთვის მტრის ხაზები გადალახა. მან შემთხვევით ყვავს ესროლა. იგი დაიჭირეს ბრიტანელმა ჯარისკაცებმა და იძულებული გახადეს თავის მიერ მოკლული ყვავი შეეჭამა იმ ფაქტის აღიარებისთვის რომ აკრძალულ ტერიტორიაზე ნადირობდა. აღნიშნულ იდიომს ხშირად იყენებენ არასწორი საქციელის აღიარებისთვის - “My friend has proved that I was wrong, I will have to eat crow”(To admit that you were wrong about something). ჩინურად პირდაპირი თარგმანი – “吃下乌鸦” - რაც სიტყვასიტყვით ყვავის ჭამას გულისხმობს, ჩინელებისთვის გაუგებარია, მაგრამ მათ აღნიშნული იდიომი შემდეგნაირად გადმოუტანიათ “忍受侮辱” - რაც შეურაცხყოფის მოთმენას გულისხმობს.

ბევრი ერთმანეთისგან გასხვავებული იდიომი არსებობს ინგლისურ, ჩინურ და ქართულ ენებში, რაც ასევე გამოწვეულია სხვადასხვა პერიოდში განვითარებული ისტორიული მოვლენებისა და ისტორიული მემკვიდრეობის გავლენით. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ინგლისურ, ჩინურ და ქართულ ენებს აქვთ განსხვავებული ისტორიული ორბიტები, რადგან მათ გააჩნიათ სრულიად კონტრასტული კულტურული სისტემა. ისტორიული კულტურა შედგება ალუზიისგან, ტრადიციებისგან, კანონებისა და დადგენილებებისგან, მითებისგან და უძველესი ჩანაწერებისგან. იდიომი არის ენის ყველაზე დახვეწილი ფორმა იმისათვის, რომ მოვახდინოთ ისტორიისა და წინაპართა გამოცდილების შეჯამება და მათი ლაკონიურად გადმოცემა.

ჩინური იდიომის უმეტესობა სათავეს იღებს უძველესი ჩინეთიდან. აქედან გამომდინარე, თუ ადამიანი კარგად არ იცნობს ჩინეთის ისტორიას, ძალიან დაიბნევა იდიომის მნიშვნელობის ნიუანსების გაგებაში, როგორც არის ზემოთ მოყვანილი მაგალითები: “完璧归赵” - დაუბრუნო პატრონს ნივთი უვნებლად. ასევე, ინგლისურ ენაზე არსებული იდიომატური გამოთქმები: “Egg of Columbus” (კოლუმბის კვერცხი); “To eat crow” („ყვავის შეჭმა“ - მარცხის აღიარება) -და “To meet one’s Waterloo” („ვატერლოოს ბრძოლაში დამარცხება“ - საბოლოოდ მარცხი) და სხვა; თუკი არ ვიცნობთ ორი ქვეყნის ისტორიულ ფაქტებს, რთულია მოცემული გამოთქმების ალუზიის ახსნა და გაგება. (Salvador 2016)

მაგალითად, „მარილი“ ინგლისელების კვების უმნიშვნელოვანესი ატრიბუტია. ერთ დროს, ბრიტანეთს ძალიან გაუჭირდა და შიმშილის პირას იყო მისული. ამ პერიოდში მარილი მეფის სუფრის შეუცვლელი ნაწილი გახდა. აქედან გამომდინარე, არის ამასთან დაკავშირებული იდიომი, როგორცაა “Sit above/below the salt” (იჯდე მარილის ზემოთ ან ქვემოთ - განსაზღვრავს სოციალურ სტატუსს) “上座/末座”. იგივე მდგომარეობა იყო ძველ რომშიც, მარილის ტრანსპორტირება ძალიან მკაცრად კონტროლირდებოდა, რათა დაეცვათ ის მძარცველებისგან. ასევე ჯარისკაცებს ხელფასს ფულის ნაცვლად მარილით უხდიდნენ. ამ ალუზიისგან წარმოიშვა სიტყვა „ხელფასი“ - “Salary” და ასევე არსებობს შესაბამისი იდიომი: “Somebody worth his salt” („ის იმსახურებს კუთვნილ მარილს“ - გასამრჯელოს დამსახურებულად მიღება). (Ma Mei 2011)

ისტორიული მოვლენები ყალიბდება განსაკუთრებული ისტორიული განვითარების და ისტორიული მემკვიდრეობის შედეგად, და შედგება ალუზიების, კანონების, რეგლამენტების, მითების, პოემების, უძველესი წიგნებისა და ჩანაწერებისგან. მათ შორის ალუზია თამაშობს ყველაზე მნიშვნელოვან და ეროვნულ როლს, რის შედეგადაც მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენის შეჯამება ხორციელდება იდიომატურ გამოთქმაში. ჩინელმა, ინგლისელმა და ქართველმა ხალხმა საკუთარი ისტორიის მიხედვით ბევრი იდიომი შექმნა. ჩინური იდიომი, რომელიც აშკარად ეროვნულ მოტივებზეა შექმნილი, ძალიან ახლო კავშირშია ხანის კულტურასთან, მაგალითად, “有眼不识泰山” “暗渡陈仓”(გაკეთო რამე, სხვა რამის დაფარვის მიზნით), “逼上梁山” (იძულებული იყო ჩაედინა რამე სასოწარკვეთილების ნიადაგზე).

ბევრი იდიომი ინგლისურ ენაზე ჩამოყალიბდა სხვადასხვა ქვეყნის ცნობილი ისტორიული მოვლენების გავლენით, მაგალითად, გამოთქმა, რომელიც ბერძნული გამოთქმიდან „anterrhiptho kubos” ინგლისურ ენაზე ითარგმნა “Cross the Rubicon and burn one’s boats (bridges)” – ძველ რომში იულიუს კეისარმა გადაკვეთა მდინარე რუბიკონი თავის მეომრებთან ერთად და უკან დასაბრუნებელი გზა მოიჭრა. “To cross the Rubicon” (გადადგა გადამწყვეტი და შეუქცევადი ნაბიჯი).

განვიხილოთ ქართულ ენაზე ისტორიული ფაქტორით შექმნილი გამონათქვამი „კაკას ხიდის გავლა”, რაც გულისხმობს ასავალ-დასავლის დაკარგვას, უკან ვედარ დაბრუნებას ( To be lost, disappeared; 迷路了, 消失了) იგი სათავეს იმ ისტორიული ფაქტებიდან იღებს, როდესაც საქართველოში ფეხი მოიკიდა ოსმალეთის ბაზრებისთვის ქართველი ტყვეების გაყიდვამ. დასავლეთ საქართველოდან ოსმალეთისთვის ტყვეები შავი ზღვით გურია-სამეგრელო-აფხაზეთიდან გაჰყავდათ, ხოლო ქვემო იმერეთიდან კი კაკას ხიდიდან. კაკას ხიდი ერქვა მიუვალ კლდეზე აშენებულ ციხეს, თუ მომტაცებელი ტყვეს კაკას ხიდს გაატარებდა და მას გასცდებოდა, ტყვე დაკარგულად ითვლებოდა და მისი პოვნის იმედიც აღარ არსებობდა. (თ. სახოკია 1955) აღნიშნული გამონათქვამის ალუზია გულისხმობს, რომ „კაკას ხიდის გავლის” შემთხვევაში უკან დაბრუნების გზა დაკარგულია, რაც ფაქტობრივად გაუჩინარების ტოლფასია.

„ყურებზე ხახვი არ დააჭრას” - ვერაფერს უზამს, ვერაფერს დააკლებს (Impossible to hurt him/her; 不可能伤害他/她) ისტორიული ფაქტების თანახმად, ძველად, ტყვეებს მონობის ნიშნად ყურებს აჭრიდნენ, ხოლო სისხლის შესაჩერებლად და სადუზინფექციოდ ჭრილობაზე ხახვს ადებდნენ. ამ გარემოებასთან უნდა იყოს დაკავშირებული აღნიშნული გამოთქმა. (თედო სახოკია 1955)

### 1.7 იგავებისა და მითოლოგიების როლი ინგლისური, ჩინური და ქართული იდიომატური გამოთქმების ფორმირებაში

იდიომატური გამოთქმები ძალიან მჭიდროდ არის დაკავშირებული განსხვავებული კულტურების იგავებთან და მითოლოგიებთან. მოგეხსენებათ, რომ ბერძნულმა და რომაულმა ცივილიზაციებმა დიდი გავლენა მოახდინეს ინგლისურ ენაზე, მათ მეტად გაამდიდრეს ინგლისური იდიომატური გამონათქვამები და ასევე დაიმკვიდრეს თავი ქართულ იდიომებს შორის. “Achilles’ heel”(致命弱点) -გამონათქვამი „აქილევსის ქუსლი”, რომელიც ბერძნული მითოლოგიიდან მომდინარეობს და მისი მნიშვნელობა შემდეგია: ერთი სუსტი ადგილი ყველა ადამიანს მოემბნება. ასევე: “A Pandora’s box” (პანდორას ყუთი), რომელიც ასევე ბერძნული მითოლოგიიდან მომდინარეობს და ნიშნავს ყველა ბოროტების საწყისს. ბევრი მსგავსი მაგალითის მოყვანა შეიძლება, მაგალითად, “Hercules choice”(永存, 不朽), “The Hercules efforts”(费九牛二虎之力), “The pillars of Hercules”(天涯海角), აღნიშნული გამონათქვამები ბერძნული მითოლოგიის ძლევამოსილი გმირის ჰერკულესის ცხოვრების ფრაგმენტებს უკავშირდება, რომელსაც თანამედროვე ცხოვრებაში აქტიურად იყენებენ. არსებობს სხვადასხვა იდიომა ინგლისურ, ჩინურ და ქართულ ენებზე, რომელიც დაკავშირებულია მითოლოგიასთან. ინგლისურ ენაში ასეთი იდიომატური გამოთქმები ძირითადად წარმოდგებიან ბერძნული და რომაული მითოლოგიებისგან, რომელიც სათავეს იღებს ბერძენი და რომაელი წინაპრების მიერ ბუნების სხვადასხვა ნაწილის გაღმერთებით. ანალოგიურად, ჩინური იდიომა ძირითადად ჩინური მითოლოგიისგან წარმოიშვა, რომელიც ასახავს ჩინური კულტურის



ჩამოყალიბებას ძალიან ადრეული ეტაპიდან. ისინი წარმოაჩენენ მსოფლიოს პრიმიტიული ცნობიერების მთლიან ჩარჩოს. (Jin Yuting 2011:287) რაც შეეხება ქართულ გამონათქვამებს, მათზე იგავებისა და მითოლოგიების გავლენა ხშირად გვხვდება როგორც ადგილობრივი კულტურიდან ისე ბერძნული და რომაული ცივილიზაციებიდან. მაგალითად, ჩვენც ხშირად ვიყენებთ ისეთ გამოთქმებს, როგორებიცაა „აქილევსის ქუსლი“, „პანდორას ყუთი“ და ა.შ.

განვიხილოთ მაგალითად დრაკონი “龙”. დრაკონი ხშირად გვხვდება ჩინურ და ინგლისურ მითოლოგიებში, შესაბამისად, არსებობს დრაკონთან დაკავშირებული ბევრი მითოლოგიური იდიომი, თუმცა, მასთან ასოცირებული მნიშვნელობა ინგლისურ, ქართულ და ჩინურ კულტურებში განსხვავებულია. ინგლისურ ენაზე დრაკონს ძირითადად აღწერენ როგორც საშინელ, ცეცხლისმფრქვეველ მონსტრს ან გოლიათს, რომელიც ჭამს ადამიანებს. ცნობილი ლეგენდის თანახმად, „ბეოვულფში“ წარმოდგენილია სამთავიანი, ცეცხლისმფრქვეველი დრაკონი, რომელიც იცავს ეშმაკების განძს. აქედან გამომდინარე, დრაკონი ყოველთვის ასოცირდება ეშმაკთან. შუა საუკუნეებში დრაკონი დაკავშირებული იყო „ცოდვასთან“ და „მწვალებლობის“ სიმბოლო იყო. დღესდღეობით არსებობს იდიომი “Chase the dragon” (სდიო დრაკონს), რაც ნიშნავს „ნარკოტიკების მიღებას“. აქედან ჩანს თუ რა ნეგატიურ სიმბოლოდ აღიქმება დასავლეთის ხალხში დრაკონი. (Woody 2004)

ამის საპირისპიროდ, დრაკონთან ასოცირებული მნიშვნელობა ჩინურ ენაზე ყოველთვის არის დიდების გამომხატველი. უპირველეს ყოვლისა, დრაკონი ჩინელებისთვის წარმოადგენს ტოტემს. ჩინელები დიდი სიამაყით უწოდებენ საკუთარ თავებს დრაკონის შთამომავლებს, მაგალითად, “龙子龙孙”. მეორეც, ჩინეთში დრაკონი ასოცირდება „იმპერატორთან“, რადგან იმპერატორები თავიანთ თავებს ყოველთვის დრაკონს ადარებდნენ “真龙天子” (ნამდვილი დრაკონის შთამომავალი იმპერატორი). მესამეც, დრაკონი ასოცირდება კეთილშობილებასთან, რისი მაჩვენებელი იდიომიც არის “龙生龙子, 虎生豹儿”, რაც ნიშნავს იმას რომ „დრაკონის შთამომავალი შვილი კეთილშობილია, ხოლო ვეფხვის შთამომავალი - სასტიკი, მტარვალი“. აღნიშნულ

გამონათქვამს ხშირად იყენებენ ადამიანის წარმომავლობის შესახებ. დრაკონი ასევე ასოცირდება „ილბალთან და წარმატებასთან“, მაგალითად, “望子成龙” რაც ნიშნავს - „იმედია თქვენი შვილები წარმატებას მიაღწევენ” და ა.შ. (Jin Yuting 2011:392)

ქართული კულტურაში ეროვნული მითოლოგიური ფიგურა დრაკონი არასდროს ყოფილა, ჩვენს მითოლოგიებში უარყოფითი პესონაჟის სახით დევია გამეფებული, რომელსაც ამირანი თავისი ხმლით ებრძვის. რაც შეეხება იგავებისა და მითოლოგიების როლს ქართულ იდიომატურ გამოთქმებში, გვხვდება მსგავსი მაგალითები, რომლებსაც აქვე განვიხილავთ. ხატოვანი გამონათქვამი: „ამირანის ხმალს იქნევს” - დიდი ვაჟკაცია, გულმაგარია, მხნეა (Brave, courageous; 勇敢) აღნიშნული გამოთქმა ლეგენდარული ამირანიდან მომდინარეობს, რომლის ხმალიც ქართველებში ვაჟკაცობისა და მძლეეთამძლეობის სინონიმია. (თედო სახოკია 1955)

გვაქვს „დევის” ტერმინის მატარებელი ასეთი სახის გამონათქვამი: „დევი ყურით არ დაუჭერია” - რამე განსაკუთრებული, საგმირო საქმე არ ჩაუდენია (He did not commit heroic deeds; 他没有做过英雄事迹).

ქართულ ენაზე ხალხის რწმენის გავლენით შექმნილ ბევრ იდიომატურ გამოთქმას შევხვდებით, მაგალითად, „ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული” (Born under a lucky star; 生于幸运星下) ადამიანების რწმენით, კაცი რომ იბადება, მისი სახელის ვარსკვლავიც ჩნდება. ზოგი ვარსკვლავი ბედნიერია და მის სახელზე დაბადებულ კაცს ბედნიერება მოელის ცხოვრებაში. ზოგი ვარსკვლავი კი უბედურია და მის სახელზე დაბადებული კაციც უბედურია, ამბობენ კიდევ: ეს კაცი უბედურ ვარსკვლავზეა დაბადებულიო. (თედო სახოკია 1955)

ასევე, ქართულ ენაზე ხალხის რწმენის შედეგად ფორმირებულ ასეთი სახის გამოთქმასაც შევხვდებით: „ბეწვის ხიდი” (Fortune bridge; 命运之桥) ხალხის რწმენით, ვიდრე ადამიანი სამოთხეში ან ჯოჯოხეთში შევა, ადუღებული კუპრის ზღვაზე გადებული ბეწვის ხიდი უნდა გაიაროს. თუ ცოდვილია, ჩაუტყდება და საუკუნოდ კუპრში დარჩება, ხოლო თუ კეთილია, ხიდს უპრობლემოდ გაივლის და სამოთხის კარს მიაღებება. (თედო სახოკია 1955)

## 1.8 ადათ-წესებიდან მიღებული ინგლისური, ჩინური და ქართული იდიომატური გამოთქმები

განსხვავებული ზნე-ჩვეულებების გამო, სხვადასხვა ერში აშკარა კულტურული განსხვავებები იგრძნობა. ის ფაქტი, რომ ინგლისელ, ჩინელ და ქართველ ხალხს გააჩნია როგორც ცხოვრებისეული მსგავსებები, ისე განსხვავებები, ეს კარგად ჩანს იდიომატურ გამოთქმებში.

მაგალითად, კულტურული ტრადიციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია საკვები-სამზარეულო, რომელიც ინგლისურ იდიომატურ გამოთქმებში აისახება. ევროპის უმეტეს ქვეყანაში, პური, კარაქი, ყველი, ჯემი და ა.შ. ყოველდღიური საკვების სახეობებია, ასე რომ ინგლისურში ბევრი ისეთი გამონათქვამი გვხვდება, სადაც აღნიშნული საკვები სახეობებია გამოყენებული. მაგალითად, “Hard cheese”(倒霉); “Bread and butter”(日常所需) ასევე, ცხოველების გამოყენება გამონათქვამებში: “Clever dog” რაც ჭკვიანი ბიჭის ან კაცის ეპითეტად გამოიყენება.

As strong as an ox (很健壮); ხარივით ძლიერი;

To help a lame dog over a stile (雪中送炭); უმნიშვნელო დახმარების გაწევა;

Love me, love my dog (爱屋及乌); გიყვარდე ისეთი, როგორიც ვარ;

Birds of a feather (性格不同的人); სხვადასხვა ხასიათის მქონე ადამიანები(ხალხი ჭრელია).

გვაქვს ქართული გამოთქმა, რომელიც ძველად საქართველოში გავრცელებული წესის გამოხატულებაა და სადაც ცხოველის ტერმინია გამოყენებული:

„ვირზე შესმა” - ვინმეს საჯაროდ შერცხვენა, დასჯა, გალანძღვა (Publicly embarrassing, punishing, insulting someone; 公开尴尬, 惩罚, 侮辱某人). ძველად საქართველოში დამნაშავეს, განსაკუთრებით, ზნეობის კანონის დამრღვევს, ვირზე პირუკუღმა შესვამდნენ, ვირის კუდს ხელში დააჭერინებდნენ და მთელ სოფელს შემოატარებდნენ. მას დიდი თუ პატარა თავზე ლაფს ასხამდა და აფურთხებდა.

ასევე გვხვდება ქართული გამონათქვამები საკვები-სამზარეულოს ასპექტის გამოყენებით, მაგალითად, „აჯაფსანდალი გახდა” - ძალიან აირია საქმე, თავსა და ბოლოს

ვერ გაიგებ (Complicated situation, messy; 复杂的情况下, 凌乱) მოგეხსენებათ, აჯაფსანდალის გასაკეთებლად მრავალი სახის ბოსტნეულს იყენებენ და მისი ალუზიაც არეულ-დარეულის მნიშვნელობას გვაძლევს.

„ბალბა არ მომიხარშო“ - ვერას მიზამ, ვერას დამაკლებ, ვერ დამჭრი იარაღით, რომ საჭირო იქნეს ჩემთვის ჭრილობაზე მოხარშული ბალბის დადება, ისიც შენი ხელით. ბალბა მცენარეა, ქართლ-კახეთში საჭმელადაც ხმარობენ და ჭრილობის მოსარჩენადაც. (თედო სახოკია 1955)

განვიხილოთ კიდევ ერთი საინტერესო მაგალითი: ინგლისში ფქვილი, რომელიც უფრო ხშირად პურის გამოსაცხობად გამოიყენება, წარმოადგენს ყოველდღიური ცხოვრების უმთავრეს ატრიბუტს. შესაბამისად, პური არის ძირითად საკვები ისევე როგორც რძე, კარაქი, ყველი და ჯემი ხალხის ყოველდღიური საკვებია. ვნახოთ ამასთან დაკავშირებული იდიომი: “Butter to butter is no relish” – (კარაქზე წასმული კარაქი არ არის გემრიელი) - ნიშნავს „დადგენილი წესების მიყოლას“; “Earn one’s bread” - ნიშნავს „პურის ფულის შოვნას“; “Hard cheese” (მაგარი ყველი) - ნიშნავს „ცუდ იღბალს“. პარალელურად, ჩინეთის უმეტეს რეგიონში, განსაკუთრებით სამხრეთში, ხდება ბრინჯის კულტივაცია და შესაბამისად, ბევრი ჩინური იდიომი დაკავშირებულია ბრინჯთან და არა ფქვილთან. მაგალითად: “难为无米之炊”(ყველაზე ჭკვიან ცოლსაც კი არ შეუძლია საჭმლის მომზადება ბრინჯის გარეშე); “不当家不知柴米贵”(米(mǐ) - ბრინჯი) „ვინც იღებს ვადლებულებას, გრძნობს თავის წილ პასუხისმგებლობას”. (Huang Pinpin 2003)

ასევე, საინტერესოა ძველი ქართული ადათ-წესის საფუძველზე მიღებული გამონათქვამები: „ნამუსის ლეჩაქი“ - ქართველი მანდილოსნის პატიოსნების საზომი (Measuring the honesty of a Georgian woman(according to the old Georgian custom) 衡量格鲁吉亚女人的诚实(根据古老的格鲁吉亚风俗)), „ნამუსის ქუდის ახდა“ - უნამუსობა, უპატიოსნობა (Dshonest; 不诚实) როგორც ქართველი მამაკაცისთვის ქუდი, ისე დედაკაცისთვის ლეჩაქი სიმბოლოა ნამუსიანობისა, პატიოსნებისა, ზნეობრივი სიწმინდისა. ძველად, ქართველ ქალს საფიცრად ჰქონდა თავისი ლეჩაქი, როცა უნდოდა ეთქვა, ზნეობრივად ფაქიზი ვარო,

იტყვოდა: თუ ნამუსის ლეჩაქი მხურავს, რასაც მოგახსენებ, სისწორეა, ერთი ბეწო სიყალბე არ ურევიაო. (თედო სახოკია 1955)

### 1.9 გეოგრაფიული ადგილმდებარეობის გავლენა ინგლისური, ჩინური და ქართული იდიომატური გამოთქმების ფორმირებაზე

ქვეყნების გეოგრაფიული ადგილმდებარეობა გადამწყვეტ როლს თამაშობს ქვეყნის კულტურის ფორმირებასა და ადამიანის განვითარებაში. განსხვავებული გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე განსხვავებულია გამონათქვამების მნიშვნელობებიც.

ყველამ ვიცით, რომ ბრიტანეთი კუნძულია, რომელიც სახმელეთო საზღვარს არავისთან იზიარებს გარდა ირლანდიის რესპუბლიკისა, ამიტომაც ბრიტანელებს წყლისკენ დიდი მიზიდულობა აქვთ. ჩინეთი კი პირიქით, წყლის რესურსისგან შორს არის და მათთვის პრიორიტეტული მიწაა. განსხვავებული გეოგრაფიული პირობებიდან გამომდინარე განსხვავებულია იდიომატური გამოთქმებიც ერთმანეთისგან, მაგალითად ერთ-ერთი ჩინური გამონათქვამის მიხედვით, “挥金如土” (ტალახავით, მიწასავით ისვროდე ფულს) მიუთითებს ფულის დახარჯვაზე, მაგრამ ინგლისური გამონათქვამი “Spend money like water”; “All is fish that comes to one’s net” წყალთან და წყლის სამყაროსთან ასოცირდება. ბუნებრივი გარემო ადამიანების არსებობისთვის აუცილებელი პირობაა, შესაბამისად, განსხვავებული საცხოვრებელი გარემო სხვადასხვა სახის გავლენას ახდენს ერების კულტურისა და ასევე ენის ფორმირებაზე. გეოგრაფიულად ბრიტანეთი კუნძულოვანი ქვეყანაა, რომელიც გარემოცულია ზღვით და რომელსაც ხანგრძლივი ისტორია აქვს ნაოსნობისა და მეთევზეობის სფეროში. კუნძულის ბინადრებს ისევე უყვართ თავიანთი ზღვა, როგორც მიწათმოქმედებს თავიანთი მიწა. აქედან გამომდინარე, ინგლისური იდიომის დიდი ნაწილი დაკავშირებულია ზღვასთან, მაგალითად:

“Be all at sea” (დაბნეული, გაურკვევლობაში მყოფი);

“A sea change” (სიღრმისეული ცვლილება) – “完全彻底的改变”;

“Sweep back the ocean” (ოცნების რეალობად აღქმა) – “痴心妄想”.

მეორე მხრივ, ჩინური ლეგენდის მიხედვით, მას მერე რაც პან გუმ გამოყო ერთმანეთისგან სამოთხე და დედამიწა და ნაყოფიერი მიწა უბოძა ადამიანთა მოდგმას, ჩინეთი წარმოადგენს სოფლის მეურნეობის მიმდევარ ქვეყანას და მიწა წარმოადგენს ჩინელი ხალხის შემოსავლის წყაროს, ამიტომ ჩინელი ფერმერები მჭიდროდ არიან დაკავშირებული მიწასთან და ნიადაგთან. აქედან გამომდინარე არსებობს მიწასთან დაკავშირებული ჩინური იდიომი: “斩草除根”(აღმოფხვრა პრობლემის წყარო); “拔苗助长”(ზედმეტი მონდომება ყველაფერს აფუჭებს) და სხვა.

აქვე განვილიხავთ ორ ქართულ იდიომატურ გამოთქმას, რომელიც გეოგრაფიული ადგილმდებარეობის, დასავლეთისა და აღმოსავლეთის საკრალული ადგილების მიხედვით შთაგონებულ გამონათქვამებს წარმოადგენს, ერთი გახლავთ „კაკას ხიდის გავლა” - ასავალ-დასავლის დაკარგვა, კვალწმინდად დაღუპვა (თედო სახოკია 1955) რაც ზემოთ მოცემულ 1.6 თავში განვმარტეთ და მეორე გახლავთ „ჩაილურის წყალი დალია” - უკვალოდ დაიკარგა, რასაც იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც ზემოთ აღნიშნულ გამონათქვამს, განსხვავება გახლავთ სხვადასხვა გეოგრაფიული ადგილმდებარეობის შემცველი ადგილები. ჩაილური გახლავთ სოფელი კახეთში, რომელსაც ჩაუდის პატარა მდინარე - ჩაილურის წყალი. ძველად მოპარულ საქონელს ქურდი ლეკები თუკი ჩაილურის წყალზე გადაატარებდნენ, უკვე სამშვიდობოს ეგულეობდათ თავი. შემდეგ „ჩაილურის წყალდალევილებულს” ამბობდნენ ყველაფერზე, რაც კი დაიკარგებოდა და რისი დაბრუნების იმედიც აღარ არსებობდა. (თედო სახოკია 1955)

როგორც უკვე მოგახსენეთ, ბრიტანეთი არის კუნძულოვანი სახელმწიფო, სადაც ზღვა მთავარ როლს თამაშობს, მაშინ როდესაც ჩინეთი ძირითადად მიყვება ფერმერობას და სახმელეთო ცხოვრებას. აღნიშნულმა მდგომარეობამ დიდი გავლენა ჰქონდა ორივე ქვეყნის იდიომატური გამოთქმების ფორმირებაზე, მაგალითად, ინგლისელები მფლანგველი ადამიანის დასახასიათებლად შემდეგ იდიომატურ გამოთქმას იყენებენ: “Spend money like water” (ფული წყალს გაატანო), სადაც წყლის ელემენტია გათვალისწინებული, ხოლო

ჩინურად მსგავსი შინაარსის იდიომატური გამოთქმა ასე ჟღერს: “挥金如土” (Huījīnrútǔ), სადაც მიწის ელემენტია ჩადებული. ამასთანავე, არსებობს უამრავი ინგლისური იდიომი დაკავშირებული გემთან და წყალთან, რომელსაც არ გააჩნია შესაბამისი თარგმანი ჩინურ ენაზე, მაგალითად, “To keep one’s head above water” (თავი დაიჭირო წყლის ზემოთ); “To rest on ones oars” (დაასვენო ნიჩაბი); “All at sea” (ყველა ზღვაზე); “To trim the sails to the wind” (მომართო იალქნები ქარის მიმართულებით), აღნიშნულ იდიომატური გამოთქმას შეიძლება მოვუძებნოთ შესაბამისი ჩინური იდიომატური გამოთქმა “看风使帆”.

როგორც მოგეხსენებათ, საქართველო მდიდარია ბუნებრივი წყლის რესურსით, შესაბამისად ქართულ ენაზე უხვად ვხვდებით წყლის ელემენტის შემცველ გამონათქვამებს, მაგალითად, „ზღვაში წვეთი” - სულ ცოტა, სულ მცირე (At the very least; 至少); „წყალი არ გაუვა” - უდავოა, უეჭველია, ნამდვილია (Undoubted, real; 无疑, 真实); „წყალი შეუდგა” - სიმტკიცე მოაკლდა, საფუძველი შეერყა (To shake the foundations of something; 打动某物的基础); „წყალს ასხამს (ვინმეს) წისქვილზე” - ეხმარებ(ვინმეს), ვიღაცის სასარგებლოდ მოქმედებს (Acts in favor of someone; 他/她为某人行事); „წყალში გადაყრა” - უსარგებლოდ დაკარგვა, არდაფასება (Useless loss, underestimation; 无用的损失, 低估); „წყლის ნაყვა” - უსარგებლო საქმის კეთება, ფუჭი შრომა (Doing useless work, vain labor; 做无用的工作, 白费力气); „წყლიდან მშრალი ამოსვლა” - თავის გამართლება, თავის მოხერხებულად დაძვრენა (Escape from trouble conveniently; 轻松摆脱麻烦).

ჩინური კულტურა წარმოადგენს ტიპური მეცხოველეობისა და მიწათმოქმედების კულტურას, შესაბამისად არსებობს უამრავი ჩინური იდიომი, რომელიც დაკავშირებულია მიწათმოქმედებასა და ფერმერობასთან და რომელსაც არ გააჩნია შესაბამისი ეკვივალენტი ინგლისურ ენაზე არც მნიშვნელობის და არც აღქმის მხრივ, მაგალითად, “桑梓之情” (თანამემამულეების მეგობრობა); “叶落归根”(სიცოცხლის ბოლომდე დარჩე მშობლიურ მიწაზე); “船立足之地” (ადგილი, სადაც ცხოვრობ); “平分秋色” (გქონდეს თანაბარი ღირსება, ძალაუფლება); აღნიშნულს ქართულად შეიძლება შევუსაბამოთ შემდეგი ხატოვანი გამონათქვამი: „მთა და ბარის გასწორება”, რას მნიშვნელობით უთანაბრდება ჩინური გამოთქმის შინაარსს და გულისხმობს უფლებრივად ყველას და ყველაფრის გათანაბრებას, გათანასწორებას. შესაბამისად, იდიომატურ გამოთქმებში ასახული რეგიონული

კულტურების ფაქტორი მათი თარგმნის პროცესში დიდ კულტურულ ბარიერებს იწვევს და ართულებს მათში ჩადებული აზრის გაგებას.(Jin Yuting 2011:392)

### 1.10 ცხოველების ზეგავლენა ინგლისური, ჩინური და ქართული იდიომატური გამონათქვამების ფორმირებაზე

ცხოველები ადამიანების მეგობრები არიან. მათ ბევრი რამ აკავშირებთ ადამიანებთან და მათ ენასთან. თანამედროვე ცივილიზაციის ჩამოყალიბებამდე, გარკვეული პერიოდიდან მოყოლებული დღემდე, ძირითადი საჭიროებები ადამიანის ცხოვრებაში, როგორც არის საჭმელი, ტანსაცმელი, ტრანსპორტირება და ა.შ. არის პირდაპირ და ირიბ კავშირში სხვადასხვა ცხოველთან. ყველა სხვა ცხოველს შორის, ძაღლებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ საკუთრების დაცვაში, ნივთების პოვასა და ნადირობაში. მტრელებს დიდხანს იყენებდნენ წერილების გასაგზავნად. რა თქმა უნდა, ზოგიერთ ცხოველს ასევე ზიანის მიყენება შეუძლია ადამიანისთვის, მაგალითად მგელს, ვირთხებს და ა.შ. მაგრამ არ აქვს მნიშვნელობა რას აკეთებენ ისინი, კარგს თუ ცუდს, ცხოველები მაინც ძალიან მჭირდო კავშირში არიან ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებასთან, მათ შორის ყოველდღიურ საუბარში და ცხოველებთან დაკავშირებული ბევრი იდიომატური გამონათქვამიც კი არსებობს.

ინგლისურ იდიომატურ გამოთქმებში ჭარბად ვაწყდებით ძაღლს, მაგალითად, “A lucky dog” (იღბლიანი ძაღლი) – “幸运儿”; “Love me, love my dog” (თუ მე გიყვარვარ, გიყვარდეს ჩემი ძაღლიც) – “爱屋及乌”; “Help a lame dog over a stile” (დაეხმარე კოჭლ ძაღლს საფეხურზე გადასვლაში); “助人渡过难关” და ა.შ. რა თქმა უნდა, ტერმინი „ძაღლი“ გამოიყენება იდიომში ასევე დამამცირებელ კონტექსტშიც, გამოუსადეგარი, უძლურებაში მყოფი მდგომარეობის აღსაწერად. მაგალითად: “A dog in the manger” (ძაღლი ცხოველების მანქეში) – “占着位子不做实事”; “Lead a dog’s life” (ძაღლივით ცხოვრება – “过着可悲的生活“),



და ა.შ. მეორე მხრივ, ჩინურ იდიომატურ გამოთქმებში ძალიან გამოყენებულია სიდატაკის აღსაწერად. აქედან გამომდინარე, ძაღლებთან დაკავშირებული ჩინური იდიომატური გამოთქმები ხშირ შემთხვევაში დამამცირებელ ხასიათს ატარებენ, მაგალითად: “狗尾续貂” – “A wretched sequel to a fine work, incongruous” - „კარგი ნამუშევრის უვარგისი გაგრძელება უგუნურებაა”; “狗急跳墙”-“ A cornered beast will do something desperate” (კუთხეში მიმწყვდეულ მხეცს (ძაღლს) შეუძლია საშინელების ჩადენა) და ა.შ. (Jin Yuting 2011)

რაც შეეხება ქართულ ენაზე არსებულ გამონათქვამები, სადაც ძალიან აქტიურად ფიგურირებს, საკმაოდ გვხვდება, ძირითადად დადებითი როლის კონტექსტში, თუმცა უარყოფით კონტექსტშიც გვხვდება. განვიხილოთ მაგალითები:

„ძაღლის ბედი” - Lucky; A lucky dog - 幸运;

„ძაღლის ყბის გამობმა” - გაუთავებელი ლაპარაკი, ყბედობა -Endless talk (Motormouth, chatterbox) -无休止的谈话;

„ძაღლი პატრონს ვეღარ ცნობს” - დიდი არეულობა, განუკითხაობა - Big mess, disorder - 大混乱, 无序;

„ძაღლი გარეთ არ გაიგდება” - ძალიან სიცივეა, ცუდი ამინდია - Cold, bad weather; 寒冷, 恶劣的天气.

ძაღლთან მიმართებაში არსებული სხვადასხვა ასოციაცია ასახავს სხვადასხვა ქვეყნის განსხვავებულ კულტურას, სწორედ ეს წარმოადგენს ერთ-ერთ მაგალითს, რომელშიც აშკარად იგრძნობა ზოგადი კულტურული სხვაობები.

## 1.11 ფერების ზეგავლენა ინგლისური, ჩინური და ქართული იდიომატური გამონათქვამების ფორმირებაზე

ინგლისურსა და ჩინურ ენებზე არსებობს ფერებთან დაკავშირებული ბევრი იდიომა, რასაც ვერ ვიტყვით ქართულ გამონათქვამებზე, თუმცა ფერთა აღქმის ფსიქოლოგიასა და იმ მწირი მაგალითების შესახებ, რომლებიც ფერთა ტერმინებს შეიცავენ ქართულ იდიომატური გამონათქვამებში, მომდევნო თავებში გესაუბრებით, როგორცაა შავი ფერი - “black” (黑) და თეთრი ფერი - “white” (白). შავი სინამდვილეში არის ყველანაირი სინათლის მშთანთქავი, თეთრი კი პირიქით - სინათლის მომგვრელი. ჩინურ, ინგლისურ და ქართულ გამონათქვამებში თეთრი და შავი გამოიყენება თავისი პირველადი მნიშვნელობით, როგორცაა “Black and white” (შავი და თეთრი) “黑白分明”; “In black and white” (შავში და თეთრში) – “白纸黑字”; “Turn black into white” (შავის თეთრად გადაქცევა) “颠倒黑白” და ა.შ. მაგრამ არსებობს რამდენიმე განსხვავება მათ მეტაფორულ მნიშვნელობაში.

ინგლისურ და ქართულ იდიომებში შავი გამოიყენება სისასტიკის, სიკვდილის და ავის მომასწავებელი ამბების აღსაწერად, მაგალითად “A black day” (შავი დღე), “不吉利的日子”; “Black sheep” (შავი ცხვარი) “害群之马” და ა.შ. ასევე გვაქვს ქართულ ენაზე გამონათქვამი „შავი დღე გაგვიტენდა” - რაც უბედურ შემთხვევაზე მოასწავებს. მაგრამ ხანდახან შავი ფერი გამოიყენება ხეირიან კონტექსტშიც, მაგალითად “A business in the black” (შავი ბიზნესი - მომგებიანი ბიზნესი) “盈利的事业”. გვაქვს ქართული იდიომატური გამოთქმა „შავი ბაზარი”, რაც არაოფიციალურ, სპეკულანტურ ბაზარს გულისხმობს.

იდიომებში თეთრი ფერი აღნიშნავს უმანკოებას, პატიოსნებასა და დახვეწილობას, მაგალითად, “The white day” (თეთრი დღე) “良辰吉日” და “White wedding” (თეთრი ქორწილი) “白色的婚礼” - რაც ნიშნავს ბევრი გოგონასთვის საოცნებო, რომანტიკულ ქორწილს. (Collins 1956)

ჩინურ იდიომებში შავი ფერი გამოიყენება მხოლოდ არასწორი, ცუდი და კრიმინალური შემთხვევების აღსაწერად. მაგალითად, “心黑手狠” - „უგულო და სასტიკი“ და ა.შ. ჩინურ იდიომებში გამოყენებული თეთრი ფერის ტერმინის განმარტება ინგლისურისგან და ქართულისგან განსხვავდება. თეთრი ფერი ჩინურში აღნიშნავს სილატაკეს და დიდ დანაკარგს, მაგალითად “白手起家” – “Start something from scratch” (საქმის ნულიდან დაწყება) ; “一穷二白” (ღატაკი და ცარიელი); ინგლისურ, ჩინურ და ქართულ იდიომებში გამოხატულ ფერთა ტერმინებს და მათი კონოტაციის საკითხს უფრო ვრცლად მესამე თავში იხილავთ.

### 1.12 1-ლი თავის დასკვნები

ზემოთ განხილული კვლევის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ:

1.ინგლისური, ჩინური და ქართული იდიომატური გამოთქმების წარმომავლობის თეორიები და წყარო ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებულია. თუმცა, ინგლისური და ქართული იდიომატური გამოთქმების წარმომავლობის საკითხს იმაზე მეტი თეორიული ნაშრომი ამყარებს, ვიდრე ეს ჩინურ კვლევებში მოიპოვება.

2.გარემო ფაქტორების ზემოქმედების შედეგად ფორმირებულ ინგლისურ, ჩინურ და ქართულ იდიომატურ გამოთქმებს შორის, იმპლიციტური აზრის გაგების თვალსაზრისით, არსებობს ბევრი თანხვედრა და ბევრი განსხვავება.

3.ინგლისური, ჩინური და ქართული იდიომატური გამოთქმების აზრის გაგების განსხვავებულობაზე გავლენას ახდენს კულტურის, ისტორიის, რელიგიის, ადათ-წესების, გეოგრაფიული მდებარეობის, განსხვავებული ფსიქოლოგიის და ა.შ. ფაქტორები, რომლებიც სამივე ენის წარმომადგენელ ქვეყანას ერთმანეთისგან განსხვავებული აქვს.

4. რაც შეეხება მსგავსებას, კაცობრიობის ცივილიზაციის განვითარების შესაბამისად, ინგლისურ და ჩინურ იდიომატურ გამოთქმებს განუვითარდათ მეტი მსგავსი ძირითადი მორალური ცნებები და ღირებულებები, რამაც განსაზღვრა ამ ორი კულტურისთვის საერთო ბაზის ჩამოყალიბება. ეს მსგავსებები მდგომარეობს შედეგში:

უპირველეს ყოვლისა, ინგლისურშიც და ჩინურშიც გვხვდება მსგავსი იდიომი, რომელიც გამოხატავს შრომისმოყვარეობას, სიმამაცეს, ადამიანის შეუპოვარ ბუნებას, კეთილ ნებასა და მიმტევებლობას. ორივე ენაზე ვაწყდებით ბევრ იდიომს პიონერული სულისკვეთების ამაღლების შესახებ, მაგალითად, “有志者,事竟成”, -“Where there is a will, there is a way” (სადაც არის მონდომება, სურვილი, იქ არის შესაძლებლობაც); “既往不咎”- “Let by gones be by gones” (გაუშვი, წარსულს ჩაბარდეს); “心安理得” –“Have peace of mind” (მოიპოვო სიმშვიდე); “有始有终”- “From beginning to end” (დასაწყისიდან დასასრულამდე) და ა.შ. მეორე მხრივ, ორივე ენაზე არსებული იდიომატური გამოთქმები, რომლებიც გამოხატავენ ჭეშმარიტებას, გადმოსცემენ ერთსა და იმავე აზრს, მაგალითად: “眼见为实” – “Seeing is Believing” (დანახვა ნიშნავს დაჯერებას); “种瓜得瓜,种豆得豆” – “As someone sow, so will someone reap” (რასაც დათესავ, იმას მოიმკი) და ა.შ.

ზემოთ აღნიშნული მსგავსებები კულტურათაშორის კომუნიკაციისთვის აუცილებელია. სხვადასხვა კულტურას შესაძლოა ჰქონდეს აზრთა სხვადასხვაობა ბევრ ასპექტში, მაგრამ უნდა თანხმდებოდეს ძირითად მორალსა და ფასეულობებზე. მხოლოდ ძირითად მორალსა და ფასეულობებზე შეთანხმების საფუძველზე არის შესაძლებელი კულტურათაშორისი კომუნიკაციის დამყარება და კულტურული კონფლიქტების რიცხვის დაყვანა დასაშვებ დონემდე.

## თავი II

### კვლევის მეთოდები

აღნიშნულ თავში წარმოდგენილია კვლევის ის მეთოდები, კონკრეტულად, რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევითი კატეგორიები, რომლებსაც ეფუძნება მოცემული ნაშრომი.

#### 2.1 კვლევაში გამოყენებული რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევითი კატეგორიების დახასიათება

როგორც მოგეხსენებათ, კვლევის ორი ძირითადი კატეგორია არსებობს: რაოდენობრივი და თვისობრივი, რომლებიც სამეცნიერო კვლევებში აქტიურად გამოიყენება.

რაოდენობრივი კვლევა სტრუქტურირებულ მიდგომას და კვლევებში მძლავრი სტატისტიკური ანალიზის გამოყენებას გულისხმობს. მის ძირითად ელემენტებს რაოდენობრივი და სისტემატური გაზომვები წარმოადგენენ.

თვისობრივი კვლევა კი პირიქით, არ ითვალისწინებს შედეგების რაოდენობრივ აღწერას სტატისტიკური დასკვნებისა და ანალიზის გამოყენებით. ის აკადემიური თუ პროფესიული ლიტერატურის განხილვას გულისხმობს, მაგალითად შესაძლებელია სხვა მკვლევართა მიერ ჩატარებული რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევების ანალიზის გამოყენება და დაკვირვებები ინსტრუმენტების გამოყენების გარეშე. თვისობრივი ანალიზის შედეგების გამეორება რთულია. (ნინო არჩვაძე 2015)

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენს სამეცნიერო კვლევაში გამოვიყენეთ როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისობრივი კვლევის კატეგორიები. ინგლისურ, ჩინურ და ქართულ ენებში არსებული იდიომატური გამოთქმების შესადარებლად მივმართეთ სტრუქტურირებულ მიდგომას და რაოდენობრივი და სისტემატური გაზომვების საფუძველზე მივიღეთ სტატისტიკური ანალიზი. ამისთვის გამოვიყენეთ 13 ლექსიკონი, რომელშიც ინგლისური, ჩინური და ქართული იდიომატური გამოთქმებია მოცემული. ჩვენ საერთო ჯამში მოვიძიეთ 860 ინგლისური, ჩინური და ქართული იდიომა, აქედან 312-ს შეადგენს ინგლისური იდიომატური გამოთქმა, 318-ს

- ჩინური იდიომატური გამოთქმა, ხოლო 230-ს კი ქართული იდიომატური გამოთქმა. სამივე ენაზე არსებული იდიომატური გამოთქმების არჩევა და დიფერენციაცია შესრულდა მათზე არსებული გარემოებების, რელიგიური, ისტორიული, მითოლოგიური, გეოგრაფიული ფაქტორების, ადათ-წესებისა და ფერების ზემოქმედების საფუძველზე. ასევე, შვეიმუშავეთ ინგლისური, ჩინური და ქართული იდიომატური გამოთქმების შედარების ცხრილები, რომლებიც შეგიძლიათ იხილოთ დანართის სახით. (იხ. გვ 148)

ჩვენი სამეცნიერო კვლევის უმნიშვნელოვანეს კომპონენტს დაკვირვება წარმოადგენს, რის შედეგადაც განხორციელდა ინგლისური, ჩინური და ქართული იდიომატური გამოთქმების ერთმანეთთან შედარების მიზანმიმართული პროცესი, რომლის შედეგებიც აღწერით არის დაფიქსირებული.

## **2.2 ინგლისურ , ჩინურ და ქართულ ენებს შორის არსებული თავისებურების კვლევის ანალიზი**

ალბათ ძალიან საინტერესოა ამ ენათა სფეროში მოღვაწეთათვის, რა არსებითი თავისებურებები არსებობს ინგლისურ, ჩინურ და ქართულ ენებს შორის.

განსხვავებას ვაწყდებით შემდეგ გრამატიკულ სეგმენტში: დამწერლობა, ფონოლოგია, სალაპარაკო ენა, ლექსიკონი, გრამატიკა, სიტყვების თანმიმდევრობა, წინადადების წყობა.

ქართული და ინგლისური დამწერლობები ანბანური სისტემის საფუძველზეა წარმოდგენილი მაშინ, როდესაც ჩინური დამწერლობა ლოგოგრაფიულია. ჩინურ იეროგლიფებში ძირითადად გამოვყოფთ ორ ნაწილს: ერთი წარმოადგენს მნიშვნელობას, მეორე კი - ჟღერადობას. ერთი და იგივე სიმბოლო ხშირად წარმოადგენს განსხვავებულ ჟღერადობას და მსგავსი ჟღერადობა ხშირად გამოისახება სხვადასხვა სიმბოლოთი. როგორც აღვნიშნეთ, ჩინურ ენას არ გააჩნია ანბანური დამწერლობა, ასე რომ ჩინური იეროგლიფების ტრანსკრიფცირების დროს ვიყენებთ

ლათინურ ანბანს. ჩინეთმა სტანდარტული ლათინური სისტემის გამოყენება 1958 წელს დაიწყო.

ზოგიერთი ქართული და ინგლისური ფონემა არც კი მოიპოვება ჩინურ ენაში, ინტონაციებიც განსხვავებულია. ჩინური ტონების მქონე ენაა, სწორედ რომ ეს განაპირობებს ჩინური ენის ექსპრესიულობასა და მუსიკალურ ჟღერადობას. ქართულსა და ინგლისურში კი ამ მხრივ არ არის პრობლემა, ტონის ცვალებადობა არ იწვევს სიტყვის მნიშვნელობის შეცვლას.

ჩინურ ენაში ოთხი ტონია, რომელიც სალაპარაკო ენაში მკაცრად უნდა დავიცვათ. ინგლისურ ენაში უფრო მეტი ხმოვანი ბგერებია, ვიდრე ჩინურში. ჩინური ენის შემსწავლელთათვის სირთულეს წარმოადგენს ორი კონსონანტის გამომხატველობა, ესენია „ლ“ და „რ“, „შ“ და „ს“. იგივე პრობლემას წააწყდებით ჩინურ დიალექტებში, სამხრეთელებს უჭირთ ბგერა „რ“-სა და „შ“-ს წარმოთქმა და მის ნაცვლად „ლ“-სა და „ს“-ს ამბობენ. მაგალითად, სიტყვა ხორცი (肉) სალიტერატურო ჩინურ ენაზე გამოითქმის როგორც „როუ“, ხოლო რამდენიმე დიალექტურ ფორმაში ვაწყდებით „ლოუ“-ს, ასევე ზმნა-შემასმენელი (说) რომელიც „თქმას“ ნიშნავს, გამოითქმის როგორც „შოუ“, ხოლო სამხრეთელების უმეტესობა მას გამოთქვამს როგორც „სოუ“.

ინგლისურ ენას აქვს მთელი რიგი ზმნებისა, რომლებიც წინდებულების დამატების შემდეგ ფრაზეოლოგიურ ზმნებად წარმოგვიდგებიან და იცვლიან მნიშვნელობას, მაგალითად: take on, give up, look up to და ა.შ. რაც შეეხება ჩინურ ენას, მას არ მოეპოვება ფრაზეოლოგიური ზმნები და არც არტიკლები.

ქართულ ენაში ზმნა იუღლება და პირის ნაცვალსახელთან ერთად ზმნის ფორმაც იცვლება, რასაც ვერ ვიტყვით ჩინურ ზმნაზე, ჩინურ ენაში ნებისმიერი პირის ნაცვალსახელს ზმნა უცვლელ ფორმაში შეეწყობა.

ენები რამდენადაც განსხვავებულია ერთმანეთისაგან, იმდენად განსხვავებულია მათი კულტურები. ლექსიკა მთავარი შემადგენელი ნაწილია ენისა, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული კულტურასთან. განსხვავებულ ეროვნებებს აქვთ საკუთარი კულტურული სისტემა, რომლის ფორმირებაზეც გავლენას ახდენს ისტორია, გეოგრაფია, ადამიანი, ჩვეულება და ა.შ.

როგორც ენის არსებითი ელემენტი, იდიომი წარმოადგენს განუმეორებელ გამოხატულებას თავისი განსაკუთრებული მნიშვნელობით. ის ხალხის ყოველდღიურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ხალხი მიდრეკილია იდიომატური გამოთქმების გამოყენებისკენ, რადგან მათში ჩადებულია აზრის ლაკონიური და მკაფიო გამომხატველობა. აღნიშნული გამოთქმების მოხმარებით, ადამიანები უკეთესად წვდებიან ერთმანეთის კულტურების მსგავსებასა და განსხვავებას. იდიომატური გამოთქმების გამოყენება ხელს უშლის სხვადასხვა ქვეყნის კულტურათა კომუნიკაციის ბარიერს.

იდიომატური გამოთქმა შეიძლება შევადაროთ სარკეს, რომელიც მკაფიოდ აჩვენებს ერების განსხვავებულ მახასიათებლებს. მაგალითად: “小菜一碟” ნიშნავს რაღაცას, რაც ადვილად გასაკეთებელია, ინგლისურად კი ეს იდიომატური გამოთქმა შემდეგნაირად ჟღერს: “A piece of cake”- რაც იმავე მნიშვნელობას გადმოსცემს, ოღონდ სიტყვის “菜” - „კერძი” გამოყენების გარეშე. მართალია ქართულად იგივე მნიშვნელობის გამონათქვამი შეგვიძლია გამოვხატოთ შემდეგი სახით „ეს ჩემთვის ანი ბანია” - ეს ჩემთვის ძალიან მარტივია, ადვილია, მაგრამ არ შეიცავს და ვერც ეკვივალენტურად გადმოვცემთ იმ ლექსიკურ ერთეულებს, რაც ინგლისურსა და ჩინურ გამოთქმებშია მოცემული.

### 2.3 კვლევის აქტუალურობის მნიშვნელობა და მიზანი

როგორც უკვე მოგახსენეთ, ჩვენ მიერ წარმოდგენილი ნაშრომი იმდენად აქტუალურია, რამდენადაც ქართულ ენაზე არსებულ უპრეცედენტო ნაშრომს წარმოადგენს, რომლის კვლევაც ეფუძნება ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებულ გენეტიკურ ენებს. განსხვავებული ენების იდიომატური გამოთქმების კვლევა გვაძლევს იმის პერსპექტივას, რომ საფუძვლიანად შევისწავლოთ კონკრეტულ ენათა ტიპოლოგია, განსხვავებული ფსიქოლოგია და კულტურა, ასევე დავადგინოთ ენათა სტილისტური თავისებურებები.



ჩვენი ნაშრომის მთავარ მიზანს წარმოადგენს ინგლისური, ჩინური და ქართული იდიომატური გამოთქმების სტრუქტურულ, სემანტიკურ და კულტურულ დონეზე შესწავლა, მათში არსებული ფერთა ტერმინების მსგავსება-განსხვავების დადგენა და აღნიშნული გამოთქმების თარგმნის მეთოდების განსაზღვრა. მიზნის გასახორციელებლად, კვლევის მეთოდების გამოყენების საფუძველზე, მოვახდინეთ შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხების დიფერენციაცია:

1. იდიომის ზოგადი განსაზღვრება და ასპექტი, კერძოდ, რას გულისხმობს ინგლისური, ჩინური და ქართული იდიომატური გამოთქმები;
2. ინგლისური, ჩინური და ქართული იდიომატური გამოთქმების ფორმირებაზე სხვადასხვა ზემოქმედების ფაქტორის გამიჯვნა და განსაზღვრა;
3. ინგლისურ, ჩინურ და ქართულ იდიომატურ გამოთქმებში არსებული ფერთა ტერმინების შედარება-შეპირისპირება;
4. ინგლისური და ჩინური იდიომატური გამოთქმების თარგმნის მეთოდების დიფერენციაცია და მათი შესატყვისი ქართული გამონაქვამების დადგენა

ნაშრომის სიახლე მდგომარეობს შემდეგში:

1. იგი პირველად გვაჩვენებს ქართულ ენაზე ინგლისური, ჩინური და ქართული ფრაზეოლოგიური ერთეულების - იდიომატური გამოთქმების შედარებითი კვლევის ანალიზს სტრუქტურულ, სემანტიკურ და კულტურულ დონეზე.
2. პირველად გვაჩვენებს ქართულ ენაზე ინგლისურ, ჩინურ და ქართულ იდიომატურ გამოთქმებში არსებული ფერთა ტერმინების შედარებით ანალიზს.
3. დადგენილია მსგავსება - განსხვავებები მათი შედარებით-შეპირისპირებითი ანალიზის საფუძველზე.
4. პირველად გვაჩვენებს ქართულ ენაზე ინგლისური და ჩინური იდიომატური გამოთქმების თარგმნის თავისებურებებს ქართულ ენაზე.

### თავი III

#### ფერთა ტერმინები ინგლისურ, ჩინურ და ქართულ იდიომატურ გამოთქმებში

##### 3.1 ფერთა კონოტაცია სამი ქვეყნის კულტურულ ჭრილში

ყველასათვის ცნობილია, რომ ენა არის ინფორმაციისა და იდეების გაცვლის პირდაპირი საშუალება, რომელიც ასრულებს დამაკავშირებელი ჯაჭვის როლს სხვადასხვა ხალხსა და კულტურას შორის. იდიომატური გამოთქმა, როგორც ენის განსაკუთრებული ფორმა, შეიცავს დიდ კულტურულ ინფორმაციას, როგორცაა: ისტორია, გეოგრაფია, რელიგია, ადათი, ეროვნული ფსიქოლოგია და ა.შ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ის წარმოაჩენს ისტორიულ მემკვიდრეობას და კულტურული განვითარების პროდუქტს. აქედან გამომდინარე, ჩვენ გვაქვს საშუალება იდიომატური გამოთქმების კვლევით, გავიგოთ უფრო მეტი სხვადასხვა ქვეყნის კულტურაზე, და პირიქით, კულტურული მემკვიდრეობის შესწავლით სიღრმისეულად ჩაწვდეთ სხვადასხვა ქვეყნის იდიომატურ გამოთქმებს.

საგრძნობლად დიდი განსხვავებაა ინგლისურ, ჩინურ და ქართულ კულტურებს შორის და შესაძლოა აღნიშნულმა განსხვავებამ საკმაოდ დიდი დილემის წინაშე დააყენოს ლექსიკოგრაფები. სრულიად დასაშვებია, შეუძლებლად ჩათვალონ სწორი ეკვივალენტური ერთეულის პოვნა. ყველა ქვეყანა ფლობს განსაკუთრებულ მემკვიდრეობას და გააჩნია მშობლიური ენა, ამ შემთხვევაში ინგლისურ, ჩინურ და ქართულ იდიომატურ გამოთქმებს აქვთ სხვადასხვა წარმომავლობა, გასხვავდებიან თავიანთი ზნე-ჩვეულებებით, თუმცა, ხშირ შემთხვევაში, განსხვავებული ქვეყნები იზიარებენ ერთმანეთის წეს-ჩვეულებებსა და შეხედულებებს.

ჩვენ მიერ წარმოდგენილი თავი ასახავს სამივე ენაზე არსებული ფერების კლასიფიკაციას და ინგლისურ და ჩინურ იდიომატურ გამოთქმებში ფერთა მეტაფორების შედარებით კვლევასა და ანალიზს. რაც შეეხება ფერთა ტერმინების შემცველი ქართულ იდიომატური გამოთქმების არსებობას, მათი რაოდენობა საკმაოდ მწირია, თუმცა არსებულ მაგალითებზე დაყრდნობით ნაშრომში განხილულია იმ ფერთა შედარებების

მსგავსება და განსხვავება, რომლებიც არსებობს ინგლისურ, ჩინურ და ქართულ გამონათქვამებში და ეს მათ განსხვავებულ კულტურაზე მეტყველებს.

ჩვენ მიერ ჩატარებულ კვლევაში კვლევის სამი ანალიზი გამოიკვეთა:

1. ინგლისურ და ჩინურ იდიომატურ გამოთქმებში კონკრეტულ ფერებს: შავს, თეთრსა და წითელს უმეტეს შემთხვევაში ერთი და იგივე მეტაფორული მნიშვნელობა აქვთ. რაც შეეხება ქართულ გამონათქვამებში არსებული წითელი და შავი ფერებიც, შედარების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ინგლისურ და ჩინურ გამონათქვამებში არსებული წითელი და შავი ფერების მსგავსი მეტაფორული მნიშვნელობებით ხასიათდება, ხოლო თეთრი ფერის შემცველი მხოლოდ სამი ქართული იდიომატური გამონათქვამი იქნა მოპიებული.
2. მსგავსი მეტაფორული მნიშვნელობები შესაძლოა გამოყენებული იყოს სხვადასხვა ენაში განსხვავებული ფერთა მნიშვნელობით.
3. კონკრეტულად ინგლისურ, ჩინურ და ქართულ იდიომატურ გამოთქმებში, ფერების მეტაფორული განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ ინგლისური და ქართული ფერთა შედარება უფრო ხშირად ადამიანის ემოციურ მდგომარეობას აღწერს მაშინ, როდესაც ჩინურ ენაში ფერები ამ კონტექსტით იშვიათად გვხვდება.

როგორც მოგახსენეთ წინმდებარე თავებში, იდიომატური გამოთქმების გამოყენებას ძალიან დიდი ხნის ისტორია აქვს. იდიომატური გამოთქმა ხასიათდება ექსპრესიულობითა და ლაკონიურობით, რომელიც შეიცავს ეროვნულ რეალიას, ტრადიციას, კულტურას, რელიგიურ რწმენას, ისტორიულ წყაროს. ფერთა საკითხს რაც შეეხება, ძალიან საინტერესო ფენომენია იდიომატურ გამოთქმებში, რომელსაც მეტაფორული დატვირთვა აქვს. საკმაოდ ბევრი ფერთა მეტაფორა არსებობს ინგლისურსა და ჩინურ იდიომატურ გამოთქმებში, რასაც ვერ ვიტყვით ქართულზე. თვალსაჩინოებისთვის წარმოგიდგინო მაგალითს, “In the red” ინგლისურში ნიშნავს „ვალში ყოფნას”. ჩინელებს აქვთ ასეთი გამოთქმა: “近墨者黑”, სადაც “黑” ნიშნავს შავ ფერს და გამონათქვამი გულისხმობს, თუკი ერთ ადამიანს მეორე ცუდ ადამიანთან

აქვს კავშირი, ისიც მისნაირი ხდება, რასაც ჩვენთვის კარგად ნაცნობი ანდაზა შეესაბამება „ხარი ხართან რომ დააბა, ან ზნეს იცვლის ან ფერსაო“. ამ შემთხვევაში რომელიმე კონკრეტული ფერი არ არის გამოკვეთილი, მხოლოდ ტერმინის „ფერი“ ზოგადი გამოყენებით ვიღებთ იმავე მნიშვნელობას, რასაც ჩინური გამონათქვამი გადმოსცემს და მასში მთავარი მეტაფორული ფერი „შავი“ გახლავთ, რასაც მორალური დატვირთვა აქვს.

ჩვენი ნაშრომის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს ინგლისურ, ჩინურ და ქართულ ენებში არსებული იდიომატური გამოთქმების ფერთა მეტაფორების მსგავსებისა და განსხვავების კვლევა და მათი ანალიზი.

კვლევაში დასმულია შემდეგი კითხვა:

1. რა მსგავსება და განსხვავება არსებობს ინგლისური, ჩინური და ქართული იდიომატური გამოთქმების ფერთა მეტაფორებში?
2. რა კოგნიტური ფაქტორები მოქმედებს მათ მსგავსებასა და განსხვავებაზე?

იდიომი არ არსებობს როგორც ცალკე განყენებული სიტყვათშეთანხმება, არამედ იგი ენის განუყოფელი ნაწილია. ბევრმა მეცნიერმა შეისწავლა იდიომის ფენომენი სხვადასხვა კუთხით. ყველამ კარგად ვიცით, რომ მსგავს გამოთქმებში შემავალი სიტყვების, როგორც ცალკე ერთეულებად თარგმნა მიუღებელია, რადგან ვერ მივიღებთ იმ იმპლიციტურ მნიშვნელობას, რაც მასში დევს. მაგალითისთვის განვიხილოთ შემდეგი გამონათქვამი: “Black sheep”, რაც არ ნიშნავს შავ ცხვარს, არამედ იგი გულისხმობს ოჯახის ან გუნდის ერთ-ერთ წევრს, რომელიც არ ეთანხმება ან არ ემორჩილება დანარჩენებს, ამის პარალელურად შეგვიძლია ქართულ ენაზე არსებული გამოთქმა გავიხსენოთ: „შენ რა, წითელი კოჭი ხარ?!“ - რომელშიც ასევე შეიძლება მოვიაზროთ ოჯახის წევრი, რომელიც გამოყოფილია თავისი აზრით, მდგომარეობით, შესაძლებლობითა და პრიორიტეტულობით ოჯახის სხვა დანარჩენ წევრებს და თავ ამეტებს მათ.

თვალსაჩინოებისთვის განვიხილოთ კიდევ ერთი მაგალითი: “Somebody has green fingers”, არსებობს ასეთი ინგლისური გამოთქმა, რაც რა თქმა უნდა არ ნიშნავს იმას, რომ

ვილაცას მწვანე თითები აქვს, იგი გულისხმობს, რომ ვილაცას კარგად გამოსდის დარგვა და მცენარეების მოშენება. ამის პარალელურად, ქართულ ენაზე არსებული მეტაფორული გამონათქვამი „ვილაცას ოქროს ხელები აქვს” - რაც გულისხმობს ადამიანს, რომელსაც ყველა საქმე საუკეთესოდ გამოსდის.

ჩინელმა ლინგვისტებმა ლი და ლიუმ გაიზიარეს კოგნიტური მიდგომა იდიომატური გამოთქმების კვლევის კუთხით. ისინი თვლიან, რომ კვლევისადმი მსგავსი მიდგომით უფრო ღრმად შეისწავლიან იდიომატურ გამოთქმებს. კოგნიტური ლინგვისტიკა ავითარებს იმ აზრს, რომ ენა არის ადამიანის შთაგონების და შემეცნების გამოხატულება. ამ საკითხზე საკმაოდ ბევრი ლინგვისტი მუშაობდა, რის საფუძველზეც, 1970 წელს ენისა და შემეცნების კომბინირებული სწავლებით, ჩამოაყალიბეს კვლევის ახალი მიმართულება - კოგნიტური ლინგვისტიკა. კოგნიტური ლინგვისტიკის მიხედვით, ენა არის საფუძველი, რომელზეც აღმოცენებულია ადამიანის მიერ ობიექტის აღქმის უნარი და გამოცდილება. ერთ-ერთი მკვლევრის, ლენგეკერის მიხედვით, ენასა და კოგნიტურ უნარს შორის დიდი კავშირია. მისი აზრით, ადამიანებს აქვთ ხუთი სახის შემეცნების უნარი: შეღწევა, აბსტრაქცია, კატეგორიზაცია, კომპოზიცია და სიმბოლიზაცია. მას ღრმად სწამს, რომ ენა არის უზარმაზარი წყარო, რომელიც ენის სტრუქტურის განსხვავებული აბსტრაქციისა და გაგების შედეგია. აღნიშნული სტრუქტურები აერთიანებს კატეგორიზაციასა და კომპოზიციას. ფერთა მეტაფორების კოგნიტური პროცესები შეგვიძლია დავყოთ ვიზუალურ, ფსიქოლოგიურ და მეტაფორულ აღქმებად. ზოგადად, შედარება, შემეცნება და კულტურა ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. შემეცნება დამყარებულია კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობების აღქმასა და შეგნებაზე. რადგან ქვეყნების სოციალური და კულტურული ფონი ერთმანეთისგან განსხვავებულია, შესაბამისად მათი იდიომატური გამოთქმებიც სხვადასხვანაირად აღიქმება. მაგალითად, ინგლისურსა და ჩინურში არსებობს ბევრი ისეთი მეტაფორა, რომელიც დაკავშირებულია თეთრ ფერთან. ინგლისურში „თეთრი” ფერი ასოცირდება სისპეტაკესთან და უმანკოებასთან. მათ აქვთ ასეთი გამოთქმა “White soul”, რაც გულისხმობს სუფთა გულის ადამიანს, ჩინურში კი ფერი „თეთრი” ასოცირდება სიკვდილთან, მაგალითად, მათ აქვთ ასეთი გამოთქმა “红白喜事”, სადაც თეთრი ფერი 白 (白事) გამოხატავს დაკრძალვას. არსებული კვლევის

შედეგად, საქართველოში თეთრი ფერი ასოცირდება სიწმინდესთან, მშვიდობასთან, სიხარულთან. (გ. მანასიანი 2011:121)

განვიხილოთ შემდეგი მაგალითი: “In the red”, რაც ნიშნავს ვალში ყოფნას. ამ შემთხვევაში ტერმინი „წითელი” არ შეიცავს მხოლოდ მის პირდაპირ მნიშვნელობას, არამედ აქვს მეტაფორული დატვირთვა „დანაკარგის” მნიშვნელობით. როდესაც ბიზნეს დანაკარგი არსებობს, მაშინ იყენებენ ამ გამოთქმას “In the red”. წითელი ფერის ამ სახის დატვირთვა ძველი ისტორიული წყაროებიდან დასტურდება, როდესაც წითელ მელანს იყენებდნენ დანაკარგის ჩასაწერად. მეორე მხრივ, შავი მელნით ფიქსირდებოდა „მოგება”, ამიტომ ინგლისურ ენაში არსებობს ასეთი სახის გამოთქმა: “In the black”, რაც ნიშნავს ფულის შოვას. მაგალითად ფერი „შავი” მოცემულ გამოთქმაში “Work like a black” უშუალოდ ფერადკანიანებს გულისხმობს. ეს მაგალითი იმის დასტურია, რომ ფერის ტერმინი „შავი” არ ატარებს მეტაფორულ დატვირთვას. ასევე, ქართულში ვხვდებით გამოთქმას „კუპრივით შავი”, რაც იმ ადამიანის ფიზიკური გარეგნობის დასახასიათებლად გამოიყენება, რომელიც ზედმიწევნით მუქი ფერის ვიზუალით, მუქი ფერის კანით გამოირჩევა.

### **3.2 ინგლისური, ჩინური და ქართული ფერთა ტერმინოლოგიების კლასიფიკაცია და მათი ანალიზი**

ეს თავი წარმოადგენს მეთოდოლოგიის შესწავლას, რაც მოიცავს სამ ენაში ძირითადი ფერების ტერმინოლოგიის ინდენტიფიცირებას, იდიომების შეგროვებას, კლასიფიკაციასა და მათ ანალიზს.

ბერლინისა და ქეის მიხედვით, ენის ძირითადი ფერების ტერმინოლოგია უნდა შეესაბამებოდეს შემდეგ კრიტერიუმებს: ტერმინები უნდა შედგებოდეს მხოლოდ ერთი ადგილობრივი წარმოშობის სიტყვისგან (განსხვავებით მომწვანო-ლურჯისა და ფირუზისფერისგან - Greenish-blue და Turquoise); მათი გამოყენება არ უნდა

შემოიფარგლებოდეს ობიექტების ვიწრო კლასით (განსხვავებით, მაგალითად, ინგლისური და გერმანული სიტყვა Blond-ისგან (ქერა)); სიტყვები უნდა მოდიოდეს გონებაში მზა სახით და ყველასთვის ძალიან ნაცნობი უნდა იყოს ან მინიმუმ ამ ენაზე მოლაპარაკე უმრავლესობისთვის მაინც, მაგალითად, განსხვავებით ალისფერის (Vermilion), მოისფრო-ვარდისფერის (Magenta) და ინდიგოსგან (მუქი ლურჯი - Indigo). (Schmid and Ungerer 1996:8)

ისინი აერთიანებენ ენაში ძირითადი 11 ფერის ტერმინს: თეთრი, შავი, წითელი, მწვანე, ყვითელი, ლურჯი, ყავისფერი, იასამნისფერი, ვარდისფერი, სტაფილოსფერი და ნაცრისფერი. (Berlin and Kay 1969)

ენაში ძირითადი ფერების ტერმინების განსაზღვრის შესახებ ბერლინისა და ქეის კრიტერიუმების მიმოხილვის შემდეგ, ჩინელი ლინგვისტი ლი აკეთებს დამატებით შენიშვნებს იმის თაობაზე, რომ ეს კრიტერიუმები საკმარისად სრულყოფილი არ არის. ის აცხადებს, რომ ენაში, ძირითადი ფერების ტერმინოლოგიის განსაზღვრის პროცესში, გარდა ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმებისა, ჩვენ ასევე მხედველობაში უნდა მივიღოთ ისტორიული განვითარების ფაქტორები, ფერის ტერმინის გამოყენების სიხშირე და სიტყვის ფორმაციის უნარი. ჩინურ ენაში ის გამოყოფს 8 ძირითადი ფერის ტერმინს. ესენია: 红 hóng - წითელი, 白 bái - თეთრი, 黄 huáng - ყვითელი, 黑 hēi - შავი, 绿 lǜ - მწვანე, 蓝 lán - ლურჯი, 紫 zǐ - იასამნისფერი და 灰 huī - ნაცრისფერი. ლი ასევე აღნიშნავს, რომ ფერის ტერმინი - 褐 hè (ყავისფერი) პოტენციური ძირითადი ფერის ტერმინია ჩინურში და არ არსებობს მტკიცებულება, რომ 橙 chéng - სტაფილოსფერი და 粉红 fěnhóng - ვარდისფერი უნდა ჩაითვალოს ძირითადი ფერის ტერმინად ჩინურ ენაში. ლის არგუმენტი ეჭვის ქვეშ აყენებს ბერლინისა და ქეის (1969) მტკიცედ დასაბუთებულ თეორიას ფერების ტერმინების უნივერსალურობის შესახებ.

ძალიან საინტერესოა გაიანე მანასიანის მიერ ჩატარებული კვლევა ფერის აღმნიშვნელი ტერმინების ასოციაციებისა და მნიშვნელობების შესახებ. მის მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე გამოიკითხა 80 ქართველი სტუდენტი, რის შედეგადაც კვლევაში მოცემული 10 ფერის ტერმინის მიმართ ასოციაციები შემდეგნაირად გადანაწილდა: შავი - სიკვდილი

50%, ბოროტება 39%, გაბრაზება 13%, ეჭვიანობა 4%, სოლიდურობა 2%, სიცოცხლე 1%; თეთრი - სიწმინდე 69%, მშვიდობა 33%, სიყვარული 10% , გაჭირვება 1%; წითელი - ვნება 86 % , საშიშროება 78%, სიმშვიდე 4%, ბუნება 1% ; ცისფერი - სიმშვიდე 74%, იმედი 84%, ენერგია 24%, სიმდიდრე 4% ; ყვითელი - ბედნიერება 55%, ცხოვრება 66%, დამცირება 28%, ბოროტება 16 % ; მწვანე - ჯანმრთელობა 74%, სიბრძნე 41%, მოწყენა 15%, შური 15%

(ასოციაციები: ბუნება, მშვიდობა, მეგობრობა, სიხარული მიუთითა გამოკითხულთა 1%-ზე ნაკლებმა); სტაფილოსფერი - შემოქმედება 64%, ჯანმრთელობა 18%, მშვიდობა 13%, შიში 10% (ასოციაციები: სიხარული, მოძრაობა, სიჩქარე მიუთითა გამოკითხულთა 1%-ზე ნაკლებმა); იისფერი - ფუფუნება 48%, სიმშვიდე 34%, სიბრაზე 10%, საშიშროება 1% (ასოციაციები: ღირსება, მისტიკა, სიცივე, სწავლა, დამცირება მიუთითა გამოკითხულთა 1%-ზე ნაკლებმა); ყავისფერი - სიამაყე 38%, ფუფუნება 30%, დამცირება 28 % , ენერგია 23%, (ასოციაციები: უბრალოება, მოწყენა, უმოქმედობა, სიყვარული, ყავა, უღიმღამობა, ცხოვრება, უაზრო ყოფა მიუთითა გამოკითხულთა 1%-ზე ნაკლებმა); ნაცრისფერი - მოწყენა 48%, ხანდაზმულობა 44%, შიში 10%, სიკვდილი 9% (ასოციაციები: ზამთარი, სისადავე, სიცარიელე, ახალგაზრდულობა, სპორტული, მოდური მიუთითა გამოკითხულთა 1%-ზე ნაკლებმა). (გაიანე მანასიანი 2011)

ბერლინისა და ქეის სწავლება ცხადყოფს იმ ფაქტს, რომ ისტორიულ წარსულში ფერთა აღმნიშვნელი ტერმინების რაოდენობა ცოტა იყო, ხოლო საზოგადოების განვითარებასთან ერთად, მისი რიცხვიც გაიზარდა, ახალი მნიშვნელობები შეიძინა და მათ ხშირად გამოყენებამ თავისთავად ფერთა სემანტიკური ველის გაფართოება გამოიწვია.

ზემოთ ხსენებული ცნობების გათვალისწინებით, კონტრასტული კვლევისთვის შეგვიძლია გამოვიყენოთ ფერთა ტერმინების რვა შესაფერისი წყვილი ინგლისურ და ჩინურ ენებში, კერძოდ, თეთრი, შავი, წითელი, ყვითელი, ლურჯი, მწვანე, ყავისფერი და იასამნისფერი, ხოლო ქართულ ენაში აღნიშნულ ფერთა შედარებას მხოლოდ 6 ფერთა ტერმინით შევეცდებით (თეთრი, შავი, წითელი, ყვითელი, ლურჯი, მწვანე). ეს ის ფერთა ტერმინებია, რომლებიც გვხვდება ქართულ იდიომატურ გამოთქმებში.

მიმდინარე ნაშრომი ემყარება შემდეგ ძირითად ლექსიკონებს:



Longman Dictionary of English Idioms, 1979, (LDEI -აბრევიატურა);

NTC's English Idioms Dictionary, 1993, (NTC -აბრევიატურა);

A Handbook of Chinese Idioms with English Translation , 1981, (CIET 1981- აბრევიატურა);

A New Concise Dictionary of Chinese-English Idioms 1981, (DCEI 2008 - აბრევიატურა);

თედო სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, 1950-1955;

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ქართული იდიომების ელექტრონული ლექსიკონი <http://www.nplg.gov.ge/civil/statiebi/idioma/idioma.htm>

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული იდიომების ელექტრონული ლექსიკონი <http://idioms.iliauni.edu.ge/?q=ka>

LDEI (1979) მოიცავს 3500-მდე იდიომს, NTC (1993) შეიცავს დაახლოებით 5500 ინგლისურ იდიომს, CIET (1981) - 4000 ერთეულს, ხოლო DCEI (2008) - დაახლოებით 5000 იდიომს. ეს ლექსიკონები შემთხვევით არ იქნა შერჩეული. თითოეული მათგანი გამოცემულია ავთენტური გამომცემლობის მიერ და ბევრჯერ არის დამოწმებული იდიომების შემსწავლელი კომისიის მიერ. აღნიშნული ლექსიკონების დეტალურად წაკითხვისა და გაცნობის საფუძველზე, საბოლოო ჯამში 138 ინგლისური, 115 ჩინური და 32 ქართული ფერებთან დაკავშირებული იდიომის შეკრება მოხერხდა.

წინასწარი ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ სამივე ენაზე არსებული იდიომი, რომელიც ფერის ტერმინს შეიცავს, ზოგ შემთხვევაში აღნიშნავს ფერს თავისი პირდაპირი მნიშვნელობით, ზოგ შემთხვევაში არა. მაგალითად, ტერმინი “Black” - შავი, იდიომში “Work like a black” (იმუშავო შავივით) აღნიშნავს აფრო-ამერიკელ ადამიანს, ქართული იდიომი „კუპრივით შავი”, აქ ფერის ტერმინი შავი მიუთითებს ფიზიკურად მუქი ფერის ადამიანზე, ხოლო ჩინური ტერმინი - 黄 huáng (ყვითელი) იდიომში - “飞黄腾达” (fēi huáng téng dá) - „ღვთიური ცხენის გაჭენება” (წარმატებული იყო კარიერაში) აღნიშნავს უფრო მეტად ლეგენდარული ცხენის სახელს, ვიდრე ყვითელ ფერს. ამის გარდა, ფერის ტერმინებთან დაკავშირებით, ზოგიერთ ინგლისურ და ჩინურ იდიომს არ გააჩნია მეტაფორული ფუნქცია. ამის მაგალითია შემდეგი იდიომი - “Like the Black Hole of Calcutta”

(როგორც კალკუტას შავი ხვრელი). ეს იდიომი შეიცავს ტერმინს „შავი“, მაგრამ ის არ არის გამოყენებული მეტაფორული მნიშვნელობით. The Black Hole (შავი ხვრელი) ქვია პატარა საპყრობილეს ქალაქ კალკუტაში. ეს დაკავშირებულია ერთ შემთხვევასთან, რომელსაც ადგილი ჰქონდა ქალაქ კალკუტაში, ინდოეთში, 1756 წელს, როდესაც ბევრი ევროპელი ადამიანი ერთი ღამით ძალიან პატარა ციხეში ჩასვეს. მეორე დილას მხოლოდ რამდენიმე მათგანი გადარჩა ცოცხალი. ეს იდიომი გამოიყენება ისეთი ადგილის აღსაწერად, სადაც ძალიან ცხელა და რომელიც ძალიან არაკომფორტულია. აქედან ჩანს, რომ ამ იდიომში ტერმინი „შავი“ არ ატარებს მეტაფორულ დატვირთვას. (LDEI 1979:167)

ამასთან ერთად, ძალიან ბევრ იდიომში ფერთა ტერმინები გამოყენებულია უფრო მეტონიმური მნიშვნელობით, ვიდრე მეტაფორულით. ლაკოფი და ჯონსონი (Lakoff and Johnson 1980:38) აღნიშნავენ, რომ მეტონიმსა და მეტაფორას შორის განსხვავება არსებობს მეტონიმკურ აღქმაში, რომელიც მოიცავს ერთადერთ კოგნიტიურ სფეროს და არა ყველა სფეროს მასშტაბს. ასევე კამათის საგანია ის, რომ მეტონიმია თავის თავში მოიცავს ურთიერთკავშირს სიტყვის პირადპირ მნიშვნელობასა და მის გადატანით მნიშვნელობას შორის. (Schmid and Ungerer 1996:115)

მეტონიმიაში არსებობს რამდენიმე ტიპის ურთიერთკავშირი: ნაწილი მთლიანისთვის (მაგ.: All hands on deck - ყველა ხელი გემბანზე), მთლიანი ერთი ნაწილისთვის (მაგ.: To fill up the car - გაავსო მანქანა საწვავით), კონტეინერი შიგთავსისთვის (I'll have a glass - ერთ ჭიქას დავლევ), მასალა საგნისთვის (მაგ.: შუშა, რკინა), მწარმოებელი პროდუქტისთვის (მაგ.: Buy a Ford - იყიდო ფორდი (ავტომობილი), ადგილი ინსტიტუციისთვის (მაგ.: Talks between Washington and Moscow - მოლაპარაკება ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის ), ადგილი ღონისძიებისთვის (მაგ.: Watergate changed our politics - უოტერგეიტის სკანდალმა შეცვალა ჩვენი პოლიტიკა), კონტროლი კონტროლერისთვის (The buses are on strike - ავტობუსები (მძღოლები) არიან გაფიცულები) და მიზეზ-შედეგობრიობა (მაგ.: His native tongue is German - მისი მშობლიური ენა არის გერმანული). (Schmid and Ungerer 1996:118)

მეტაფორასა და მეტონიმის შორის განსხვავებაზე მუშაობის პროცესში აღმოვაჩინეთ რომ ბევრი იდიომი, რომელიც შეიცავს ფერთა ტერმინებს, წარმოადგენს მეტონიმას. მაგალითად, იდიომი “Blue blood” - რაც ქართულად „ცისფერისხლიანის” სახელწოდებით

ითარგმნება და აღნიშნავს არისტოკრატიული წარმოშობის ადამიანს. ეს თავდაპირველად დაკავშირებული იყო ცისფერ ვენებთან, რომელიც განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს თეთრი კანის მქონე ადამიანების სხეულზე. (LDEI 1979:29) ეს განიხილება როგორც მეტონიმია, რადგან ეს სქემა მოიცავს ადამიანის მხოლოდ ერთ სფეროს და ის მიეკუთვნება „ნაწილი მთლიანისთვის” მეტონიმის ურთიერთკავშირს. ჩინურ ენაში, ტერმინი “绿” (lǜ) „მწვანე” შემდეგ იდიომში “绿鬓朱颜” ნიშნავს იყო ლამაზი (ქალზე), პირდაპირი მნიშვნელობით ეხება გოგონების წარბებს. თუ ვივარაუდებთ, რომ წარბებში მოისაზრება მთლიანად პიროვნება, კოგნიტიური ლინგვისტიკები (მაგ: Soriano & Valenzuela 2009:337) იწყებენ მტკიცებას, რომ ეს ლინგვისტიკური ქცევა არის სისტემური აზროვნების ნიმუში, რომელსაც ემახიან კონცეპტუალურ მეტონიმებს. თუმცა ზოგიერთ მკვლევარს ერევა ფერთან დაკავშირებული მეტაფორა და მეტონიმი ერთმანეთში და ფერის მეტაფორად მოჰყავს ფერის მეტონიმები.

მას შემდეგ, რაც გამოვრიცხავთ სამი ტიპის იდიომს, კერძოდ, ფერები, რომლებიც არ აღნიშნავენ ფერს, ფერთა ტერმინები, რომლებიც აღნიშნავენ იდიომებში ფერებს ყოველგვარი გადატანითი მნიშვნელობის გარეშე და ფერების მეტონიმები, ჩვენ საბოლოოდ მივიღებთ იდიომების ფერთა მეტაფორების კრებულს შემდეგი რაოდენობით: 138 ინგლისური, 115 ჩინური და 32 ქართული იდიომი. მოცემული იდიომები თავის მხრივ, არის დაყოფილი რვა ჯგუფად სხვადასხვა ფერის მიხედვით. ჩვენ გამოვითვალეთ ფერების ტერმინების გამოყენების სიხშირე და გავაკეთეთ შედარება ყოველი ფერთა წყვილის ტერმინის პრაქტიკულ მაგალითებზე, კოგნიტიური ლინგვისტიკის თეორიაზე დაყრდნობით, რომელსაც იხილავთ მომდევნო თავში.

### **3.3 ინგლისური, ჩინური და ქართული ფერთა მეტაფორების დიფერენციაცია და მათი ანალიზი**

ფერების აღქმა ძალიან ახლო კავშირშია ადამიანთა გამოცდილებაზე, ამიტომ ინგლისური, ჩინური და ქართული ფერების მეტაფორებს ძალიან მჭიდრო კავშირი აქვთ

ემპირიულ შემეცნებასთან. ამ თავში მოყვანილია თეორიები ინგლისურ, ჩინურ და ქართულ იდიომებში ფერის მეტაფორების კოგნიტიური ლინგვისტიკიდან კონტრასტულ შესწავლამდე. ეს კვლევა შედეგება ორი საფეხურისგან. უპირველეს ყოვლისა, წარმოდგენილია ფერთა მეტაფორები იდიომატურ გამოთქმებში მათი გამოყენების სიხშირის მიხედვით. მეორე ეტაპზე, ტექსტზე დაყრდნობით, გაკეთდა განსაზღვრული კონტრასტი მეტაფორული მნიშვნელობის მქონე ფერების ტერმინებზე.

**ფერების მეტაფორების გამოყენების სიხშირე ინგლისურ, ჩინურ და ქართულ იდიომატურ გამონათქვამებში**

როგორც მოგახსენეთ, მიმდინარე თავში წარმოგიდგინთ 138 ინგლისურ, 115 ჩინურ და 32 ქართულ იდიომს. უფრო ზუსტად, მეტაფორული მნიშვნელობის თითოეული ფერის ტერმინის გამოყენების სიხშირე წარმოდგენილია მოცემულ ცხრილში:

**ცხრილი № 1. იდიომში მეტაფორული მნიშვნელობის ფერის ტერმინის გამოყენების სიხშირე**

ფერების ტერმინოლოგია			ინგლისური		ჩინური		ქართული
ინგ.	ჩინ.	ქართ.	F	P (%)	F	P (%)	F
White	白 bái	თეთრი	15	16.2	20	48.7	3
Black	黑 hēi	შავი	16	17.4	9	13.8	17
Red	红 hóng	წითელი	17	21.3	3	5.9	6
Yellow	黄 huáng	ყვითელი	4	4.6	4	7.8	2
Blue	蓝 lán	ლურჯი	13	16.2	2	2.5	1
Green	绿 lǜ	მწვანე	12	14.1	0	0.0	2
Gray	灰 huī	ნაცრისფერი	2	1.6	6	10.5	0

Purple 紫 zǐ	იასამნისფერი	0	0	2.5	4.6	0
		79	89.8	46.5	93.8	31

(F = სიხშირე; P = პროცენტულობა)

მოცემულ ცხრილში, სტატისტიკური ციფრებიდან გამომდინარე, შესაძლებელია შემდეგი დასკვნის გაკეთება: 1) ინგლისურ, ჩინურ და ქართულ იდიომატურ გამონათქვამებში მეტაფორული მნიშვნელობის ფერების ტერმინების გამოყენების სიხშირე საბოლოო ჯამში საკმაოდ განსხვავდება ერთმანეთისგან. ჩინურ იდიომში ტერმინი 白(bái) - თეთრი უფრო ხშირად არის გამოყენებული მეტაფორებში, ვიდრე სხვა რომელიმე ფერი. ხოლო ტერმინი 绿 (lǜ) - მწვანე საერთოდ არ არის ხსენებული. 2) ინგლისურ იდიომატურ გამონათქვამებში ყველაზე ხშირად გამოყენებული მეტაფორული ფერის ტერმინი არის Red - წითელი, ხოლო იასამნისფერის გამოყენება საერთოდ არ ფიქსირდება. 3) ინგლისურ იდიომში, გარდა ყვითელის, ნაცრისფერისა და იასამნისფერის, მეტაფორულ ფერთა ტერმინოლოგიების გამოყენება შედარებით დაბალანსებული პროპორციულობით გვხვდება. 4) ქართულ იდიომატურ გამონათქვამებში ფერის ტერმინი „შავი“ ყველაზე ხშირად გვხვდება, ხოლო ნაცრისფერი და იისფერი ფერთა ტერმინები საერთოდ არ გვხვდება. ქვემოთ მოყვანილი სამივე ენის იდიომატურ გამოთქმებში შავი ფერის ტერმინი ხშირად არის გამოყენებული, ასევე ინგლისურ და ჩინურ იდიომატურ გამოთქმებში დიდი სიხშირით გვხვდება თეთრი ფერიც, თუმცა იასამნისფერ ფერთან დაკავშირებული ტერმინები სამივე ენის იდიომატურ გამოთქმებში შედარებით ნაკლებად ან საერთოდ არ გვხვდება. ეს დაკვირვება მოწმობს ბერლინისა და ქეის (1969) ძირითადი ფერების ტერმინოლოგიის ევოლუციის თანმიმდევრობაზე, რომლის თანახმადაც თეთრი და შავი გამოჩნდა თანმიმდევრულ ევოლუციაში ყველაზე ადრე, ასე რომ ისინი უფრო ნაცნობია ადამიანებისთვის და უფრო პროდუქტიულია მეტაფორების შექმნაში. ამის საპირისპიროდ, იასამნისფერი ფერი გაჩნდა ამ ევოლუციის უფრო გვიანდელ ეტაპზე, ამიტომ მას ძალიან ნაკლები გავლენა აქვს ადამიანის აზროვნებაზე და შესაბამისად, მეტაფორებშიც იშვიათად გვხვდება.

„თეთრი“ ფერის შემცველი მეტაფორები

სამივე - ინგლისური White, ჩინური 白 bái - „თეთრი“ და ქართული ფერის ტერმინი „თეთრი“ ასოცირდება სისპეტაკესთან და უმანკობასთან. თეთრი საგნები არ შთანთქმის სინათლეს, არამედ, პირიქით, ისვრის მას ჰაერში. აქედან გამომდინარე, თეთრი ფერი აღიქმება ყველა დანარჩენი ფერისგან დამოუკიდებლად და ასოცირდება პოზიტიურ ცნებებთან, როგორც არის სისპეტაკე და უმანკობა. როგორც ჩანს, სისპეტაკის და უმანკობის აბსტრაქტული ცნებების კონცეპტუალიზაცია, ჩვენს ცნობიერებაში დაღეჟილია როგორც თეთრი ფერი. ამასთან ერთად, ინგლისურ და ქართულ კულტურებში თეთრი არის სიწმინდის სიმბოლო. თეთრი ფერის უპირატესობა ქრისტიანობაში აისახება განსაკუთრებულ რელიგიურ გრძნობებში. ამის შედეგად, თეთრი ფერი ატარებს სისპეტაკის და უმანკობის მეტაფორულ მნიშვნელობას. ამ მნიშვნელობას შეიცავს იდიომი „A white soul“ (თეთრი სული), რომელიც აღნიშნავს ისეთ ადამიანს, რომელსაც არა აქვს ბოროტი და დამაზიანებელი ფიქრები ან ზრახვები. აღნიშნული იდიომი განვიხილოთ შემდეგ მაგალითში: “My Grandfather was a kind man who wouldn’t think bad thoughts about anyone: he really has a white soul” - „ჩემი ბაბუა იყო კეთილი კაცი, რომელიც არავიზე ცუდს არ ფიქრობდა. მას ნამდვილად ჰქონდა „თეთრი სული“. ჩინურ იდიომებშიც თეთრს აქვს ასეთივე მეტაფორული მნიშვნელობა. ჩვენ ვიყენებთ ფრაზას - “白璧无瑕” (bái bì wú xiá) “Flawless white jade” (უნაკლო თეთრი ნეფრიტი), იმისათვის რომ გადმოვცეთ ადამიანის სისპეტაკე და უმანკობა. ქართულშიც ხშირად შევხვდებით ადამიანის თვისებებისა და მისი სულიერი სამყაროს შეფასების დროს გამონათქვამს: „ის თეთრი სულის ადამიანია, წმიდა და სპეტაკი“. 1953 წელს ცნობილი ემიგრანტი რუსთველოლოგის, ვიქტორ ნოზაძის წიგნი ”ვეფხისტყაოსნის“ ფერთამეტყველება” გამოიცა ბუენოს-აირესში, სადაც თეთრი ფერი პოემაში მიჩნეულია სიკეთის, სინათლის, სიმშვიდის, სიახლის, ძიებისა და აღმოჩენის ფერად. თეთრი ფერის ქვები, ბროლ-ფიქალი, ასევე სადაფი და მარგალიტი ითვლება გონებისა და სულის სინათლის ფერებად. (მაკა სახურია 2019)

ინგლისური White და ჩინური 白 შესაძლოა იყოს სილატაკის გამომხატველი. თეთრი ფერი ხშირად ასოცირდება სისუფთავესთან. ამასთან ერთად, ის აღძრავს სიცარიელის შეგრძნებას, ამიტომ მას ასევე აქვს სილატაკის მნიშვნელობა ორივე ენაში. მაგალითად

იდიომი “白手起家” (bái shǒu qǐ jiā) ნიშნავს სილატაკისგან თავის დაღწევას, საქმის თავიდან დაწყებას. ქართულ ენაში მსგავსი ფერის ტერმინით არ გადმოიცემა იგივე მნიშვნელობა, მაგრამ სხვა ლექსიკური ერთეულით შეგვიძლია გამოვხატოთ მსგავსი მდგომარეობა, მაგ.: „საქმის ნულიდან დაწყება”. ინგლისურ ენაში „თეთრი” შესაძლოა იგივე გზით იყოს გამოყენებული. ინგლისური იდიომი “Bleed white” წინადადებაში “You’ve bled me white over the years and I refuse to pay you another penny” (წლების განმავლობაში შენ მაძინე თეთრი სისხლი და უარს ვაცხადებ კიდევ ერთი პენის გადახდაზე), ნიშნავს, დაახარჯინო ვინმეს მთელი ფული. ტერმინი თეთრი ამ იდიომში ასევე გამოხატავს ფულის არქონას.

სამივე ენის ფერის ტერმინმა „თეთრი” შესაძლოა გამოხატოს რამე სწორი და სამართლიანი. ფერის ტერმინებს „თეთრი”, „შავი” აქვთ მკვეთრი ვიზუალური კონტრასტი, ამიტომ ხშირად ისინი ასოცირდებიან ერთმანეთის საპირისპირო კონცეფციებთან, როგორც არის სწორი და არასწორი, სამართლიანობა და უსამართლობა და ა.შ. ეს კონცეპტუალური ასოციაცია არის ძალიან ფართოდ გავრცელებული ენაში (Soriano & Venezuela, 2009:418). ვიზუალური კონტრასტი ხელს უწყობს გადასვლას ფერის ცნებიდან მორალურ ცნებაზე. ინგლისურ ენაში იდიომი “To separate from black and white”, რაც ქართულად ჩვენთვის კარგად ნაცნობი გამოთქმაა „განასხვავო ერთმანეთისგან თეთრი და შავი”, ნიშნავს „გაავლო მკაფიო ზღვარი სწორსა და არასწორს შორის”. ამის ეკვივალენტი მოიძებნება ჩინურ იდიომშიც: “黑白分明”(hēi bái fēnmíng) - „ისეთი განსხვავებული როგორც თეთრი და შავი”. ამ შემთხვევაში ტერმინი „თეთრი” წარმოადგენს ჭეშმარიტს, მართალს.

სამივე ენაში ფერის ტერმინმა „თეთრი” შესაძლოა გამოხატოს უსარგებლობა, წარუმატებლობა. თეთრი ფერის მნიშვნელობა ინგლისურ იდიომში “A white elephant” (თეთრი სპილო) არის კულტურაზე ორიენტირებული. ის აღნიშნავს ძალიან ძვირფას საკუთრებას, რომელიც მისი მფლობელისთვის შეუფასებელია და ამავე დროს უქმნის პრობლემებს. ლეგენდის მიხედვით, სიამის მეფეს უნდოდა თავისი მიმდევრების მოშორება, რომლებიც პატივს სცემდნენ მას, ის ჩუქნიდა მათ თეთრ სპილოს. სპილო ისეთი ხარჯიანი შესანახი იყო, რომ მფლობელს აკოტრებდა. ეს იდიომი დღემდე გამოიყენება თანამედროვე ინგლისურში და აღნიშნავს სრულიად უსარგებლო ნივთს.

მაგალითად: “The car we bought last year is a white elephant: it uses a lot of petrol and breaks down again and again” (NTC 1993:365) - „მანქანა, რომელიც გასულ წელს ვიყიდეთ, თეთრი სპილოა: ის უამრავ საწვავს წვავს და თან ხშირად ფუჭდება”. ჩინურ იდიომში თეთრი ფერი ასოცირდება უსარგებლოსთან, სავარაუდოდ, იმიტომ რომ ვიზუალურად ის მკრთალია. შემდეგი მაგალითით ხდება ამ მეტაფორული გამოყენების ილუსტრაცია: იდიომი - “白费唇舌” (báifei chún shé) ნიშნავს ბევრი ილაპარაკო უაზროდ და ტერმინი თეთრი აქ გამოხატავს უსარგებლოს. ეს იდიომი ეკვივალენტურია ინგლისური ჟარგონისა “Speak to the wind” (ესაუბრო ქარს), რაც ასევე ნიშნავს უსარგებლო ჩხუბს ან ლაპარაკს.

ქართულ ენაზე არსებული იდიომატური გამოთქმა, რომელიც თეთრი ფერის ტერმინს შეიცავს და ასევე უარყოფით კონტექსტში გვხვდება: „ღამის თეთრად გათენება” - რაც გულისხმობს უძილო ღამეს.

ადამიანებს აქვთ წარსულის სხვადასხვა გამოცდილება, ამიტომ მათ შეიძლება ჰქონდეთ ერთიდაიგივე ფერის სხვადასხვა აღქმა. თეთრმა ფერმა შეიძლება გამოხატოს „კეთილი განზრახვა”. როგორც აღვნიშნეთ, თეთრ ფერთან დაკავშირებულმა ტერმინებმა შეიძლება გამოხატონ სისპეტაკე და უმანკოება ერთსა და იმავე ენაზე. ამგვარი მეტაფორული გამოყენება ეხმარება თეთრი ფერის მეტაფორის გადასვლას საწყისი სფეროდან სამიზნე მნიშველობაზე, რათა განსაზღვროს „კარგი ზრახვების” მნიშვნელობა. იდიომი “A white lie” (თეთრი ტყუილი) ნიშნავს ტყუილ განცხადებას, რომელიც გაკეთებულია კარგი განზრახვით, რათა ვინმეს გული არ ეტკინოს. ტერმინი „თეთრი” ამ შემთხვევაში ატარებს „კარგი განზრახვის” მეტაფორულ მნიშვნელობას. ამ იდიომის შემცველი მაგალითი არის შემდეგი წინადადება: “He asked if you had been badly hurt in the accident, and I told him a white lie and said that you were well and back at work” - „მან მკითხა, ძალიან დაშავდი თუ არა უბედური შემთხვევის დროს და მე მას ვუთხარი თეთრი ტყუილი, რომ შენ კარგად ხარ და უკვე დაუბრუნდი სამსახურს. (LDEI 1979:185)

ფერის ტერმინი „თეთრი” ერთ-ერთ ქართულ იდიომატურ გამოთქმაში გამოხატავს მზაკვრულ განზრახვას: „თეთრ კბილს უჩვენებს” - პირფერობს, ფარისევლობს.

ფერის ტერმინმა „თეთრი” შეიძლება გამოხატოს მარცხი. წარსულში, ადამიანების გამოცდილებამ ომში ჩამოაყალიბა თეთრი დროშის შემდეგი აღქმა: თეთრ დროშას



აღმართავდა ხოლმე დამარცხებული მხარე თავისი სამხედრო მოწინააღმდეგის დასანახად, როგორც დანებების ნიშანს. ასეთი წარმოდგენა მკაფიოდ მიუთითებს იმაზე, რომ აბსტრაქტული კონცეფციის კოგნიტური მოდელები სინამდვილეში დაფუძნებულია ძირითად გამოცდილებაზე. “Show the white flag”(თეთრი დროშის აღმართვა, ჩვენება - მტერს დანებება, უსიტყვო კაპიტულაცია) - ეს იდიომი ნიშნავს მარცხის აღიარებას. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ვახდენთ მარცხის კონცეპტუალიზაციას „თეთრი” ფერის ტერმინით. ჩინურ ენაში გამოიყენება ამის შემდეგი გამოთქმა “白旗” (báiqí) White flag (თეთრი დროშა), რათა გამოვხატოთ იგივე მნიშვნელობა, მაგრამ ასეთი შემთხვევა რთულად დასაფიქსირებელია ჩინურ იდიომში.

სხვადასხვა გამოცდილებისა და ტრადიციის საფუძველზე ჩამოყალიბებულ იდიომატურ გამოთქმებს აქვთ ერთმანეთის საპირისპირო მეტაფორული მნიშვნელობები. გარდა მარცხის მნიშვნელობისა, ტერმინმა „თეთრი” შეიძლება ასევე გამოხატოს წარმატება. იდიომი “The great white hope” (დიდი თეთრი იმედი), ნიშნავს ადამიანს ან ნივთს, რომელიც აღიარების, ტრიუმფის, გამარჯვების და ა.შ. მომტანია იმ ჯგუფისთვის, რომელსაც ის წარუდგინეს. ამ იდიომით თავდაპირველად აღინიშნებოდა თეთრკანიანი მებრძოლი ბოქსში, რომელიც ცდილობდა დაეჯახნა შავკანიანი მებრძოლი. აფრო-ამერიკელი ბოქსიორები ძირითადად იმარჯვებდნენ სპორტში და იღებდნენ პირველ ადგილს. (LDEI 1979:187)

თეთრი ფერით შეიძლება გამოიხატოს კეთილდღეობა. ქრისტიანულ მოძღვრებაში იესოს და მის ანგელოზებს აცვიათ თეთრი ფერის ტანსაცმელი, ამგვარად თეთრ ფერს აქვს მინიჭებული ისეთი პოზიტიური მნიშვნელობა, როგორც არის სიწმინდე, სისპეტაკე, კეთილდღეობა, მადლიერება, სიამოვნება. ეს შეიძლება გადმოიცეს მაგალითით: “Days marked with a white stone” (დღეები აღნიშნული თეთრი ქვით), რაც ნიშნავს კეთილდღეობას. გადმოცემით, რომაელები იყენებდნენ თეთრ ქვებს ან ცარცს იმისთვის, რომ მოენიშნათ კეთილდღეობის დღეები კალენდარზე, ამასთან ერთად, ფრაზა „White moment of life” აღნიშნავს ცხოვრების საუკეთესო დღეებს. (Cao 2009:148)

თეთრი ფერი ასევე ფართოდ გამოიყენება ჩინურ იდიომატურ გამოთქმებში. ჩინურ ენაში „თეთრი” სამი ექსკლუზიური მეტაფორული ფორმით გვხვდება.

白 bái “white” - თეთრმა ფერმა შეიძლება აღნიშნოს სისწორე. თეთრ მატერიას, მკაფიო კონტრასტის გამო, კარგად ეტყობა ლაქები და ჭუჭყი, შედეგად, 白 ხშირად დაკავშირებულია სისწორესთან ან სისუფთავესთან. იდიომი - “不明不白” (bù míng bù bái) ნიშნავს, რომ აზრი არ არის ნათელი, გაუგებარია. ეს იდიომი არის ინგლისური იდიომის “In a fog” (ნისლში) ეკვივალენტი, რაც ნიშნავს შეგრძნებას, როცა რაღაც ბოლომდე სუფთად არ არის, გაურკვეველია.

ტერმინი „თეთრი“ შეიძლება აღნიშნავდეს გამოუცდელობას. ეს მეტაფორული ფორმა შესაძლოა დაკავშირებული იყოს ადამიანის თეთრ კანთან, რაც ითვლებოდა უძველეს ჩინეთში სწავლულების სიმბოლოდ. ისინი მიჩნეულნი იყვნენ ფერმკრთალებად, რადგან ძირითადად სწავლაში ატარებდნენ დროს და ამგვარად, გარეთ მზეზე იშვიათად გამოდიოდნენ. ეს ტერმინი მომდინარეობს ჩინელი სწავლულებისგან და აღნიშნავს გამოუცდელობას. თუ ვინმეს აღწერენ როგორც “白面书生” (bái miàn shūshēng) ან “白面儒生” (bái miàn rúshēng) ნიშნავს, რომ ეს ადამიანი სწავლულივითაა - გამოუცდელია ცხოვრებაში. ამისგან განსხვავებით, ინგლისურ ენაში მწვანე ფერი გამოიყენება გამოუცდელის აღსანიშნავად, რასაც ასევე განვიხილავთ.

თეთრი ასევე ასოცირდება სიკვდილთან. ეს უნიკალური ასოციაცია თეთრი ფერის სიკვდილის სიმბოლოსთან ახლო კავშირშია კულტურასთან. ჩინურ კულტურაში დაკრძალვის რიტუალების დროს ადამიანებს აცვიათ თეთრი ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და ქუდი, რათა გამოხატონ თავიანთი წუხილი გარდაცვლილის მიმართ. აზროვნების ასეთი ფორმა ასახავს კულტურის სპეციფიკურობას და “白” ასევე წარმოადგენს სიკვდილის ფერ სიმბოლოს ჩინურ ენაში. მაგალითად იდომში “红白喜事” (hóng bái xǐ shì) საქორწინო ცერემონიები და დაკრძალვები, ფერის ტერმინი “白” (თეთრი) მიეკუთვნება დაკრძალვას და აღნიშნავს სიკვდილს.

„შავი“ ფერის შემცველი მეტაფორები

შავი ფერი უკავშირდება სინათლის არ არსებობას, რაც მკაფიო კონტრასტს ქმნის თეთრ ფერთან. ის ხშირად აღძრავს იდუმალების და ძლიერი შიშის შეგრძნებას. ეს

ფსიქოლოგიური გამოცდილება ხელს უწყობს მნიშვნელობის კონცეპტუალურ ტრანსფორმაციას ფერის კონცეფციიდან სხვა სფეროში.

„შავი“ ფერის შემცველი მეტაფორები

სამივე ენაზე ფერის ტერმინმა „შავი“, „Black“, „黑“ (hēi) შეიძლება გამოხატოს მსგავსი მეტაფორული მნიშვნელობა. ამ ფერის აღმნიშვნელი ტერმინი ძირითადად ურაცოვით კონტექსტში გვხვდება. შავი არის ერთ-ერთი მკვეთრად გამოხატული ფერი. ის ძირითადად ასოცირდება სიბნელესთან. ტერმინის „შავი“ საწყისი სფეროდან სამიზნე სფეროში (თავბრუსხვევა) ტრანსფორმაცია დაკავშირებულია ძირითადად ფიზიკურ გამოცდილებასთან. თუ ადამიანს თავბრუსხვევის შეგრძნება აქვს, მას თვალეში უბნელდება. ეს ფიზიკური გამოცდილება არის უნივერსალური, რადგან ინგლისურ, ჩინურ და ქართულ მაგალითებში გვხვდება ამ მეტაფორული მნიშვნელობით. იდიომი „Go black“ (გაშავდე) ნიშნავს „გაქრე თვალთახედვის არედან, ვინაიდან გაქვს თავბრუსხვევის შეგრძნება“. ამ იდიომის მაგალითია: “As I entered, somebody came up behind me and hit me with a hammer, and suddenly the room went black” (როგორც კი შევედი, ვიღაც უკნიდან მომიახლოვდა და ჩამარტყა ჩაქუჩი, უცბად ოთახი გაშავდა). მსგავსად ჩინური იდიომი - “昏天黑地” (hūn tiān hēi dì) - „იგრძნო თავბრუსხვევა და თვალთ დაგიბნელდეს“ აღნიშნავს თავბრუსხვევის შეგრძნებას შემდეგ წინადადებაში: “当时 我流血过多，突然感到昏天黑地” (dāngshí wǒ liúxiě guòduō tūrán gǎndào hūn tiān hēi dì) - „ვინაიდან ბევრი სისხლი დავკარგე, უცბად ყველაფერი გაშავდა“. აღსანიშნავია, რომ ეს იდიომი არის პოლისემანტიკური. „შავი“ 黑 hēi ტერმინის მეტაფორული მნიშვნელობა ამ იდიომში გვხვდება შეზღუდული კონტექსტით.

ხშირად გვესმის ქართულ ენაზე მსგავსი სახის გამოთქმა: „თვალეში დამიბნელდა“, რაც ასევე გულისხმობს ცუდი შეგრძნებით გამოწვეულ ფიზიკურ შედეგს.

ფერის ტერმინმა „შავი“ შესაძლოა გამოხატოს რამე ცუდი და ბოროტი. ადამიანები ფიქრობენ, რომ შავი საგნები ისრუტავს და აკავებს სინათლეს და აღარ აბრუნებს უკან. მათ სჯერათ, რომ შავი კლავს ყველა დანარჩენ ფერს. აქედან გამომდინარე, მათ აქვთ სიბნელის თანდაყოლილი შიში და ხშირად უკავშირებენ შავ ფერს რამე ცუდს ან ბოროტს.

(Elliot&Maier 2007:237) ასეთი აზროვნება უწყობს ხელს შავის კონცეპტუალურ ტრანსფორმაციას ფერის მნიშვნელობიდან რაღაც ცუდის და ბოროტის გამომხატველ მნიშვნელობაში. დასავლეთის კულტურაში, სტერეოტიპულად, ბოროტი ჯადოქრები არიან შავად შემოსილნი. ჰოლივუდის ვესტერნების უმეტესობაში, ცუდ კოვბოებს ახურავთ შავი ფერის ქუდები, ხოლო კარგებს - თეთრი ფერის. ინგლისურ იდიომში “As black as one is painted” (ისეთი შავი, როგორც დახატულია), აღწერს ადამიანს, რომელიც სინამდვილეშიც ისეთივე ცუდია, როგორც მასზე ფიქრობენ. მაგალითად: “He drinks a lot, I agree, but I don’t think he is as black as he is painted” (გეთანხმები, ის ბევრს სვამს, მაგრამ არ მგონია, რომ ისეთი ცუდი (შავი) იყოს, როგორსაც მას ხატავენ). ჩინური ფერის ტერმინს “黑” იგივე მეტაფორული მნიშვნელობა აქვს. იდიომი “近墨者黑” (jìn mò zhě hēi) - „რაც არის მელანთან ახლოს, ისვრება შავად” ნიშნავს, რომ ადამიანი შეიძლება მორალურად გაიხრწნას, თუ მოხვდება ნეგატიურ გარემოცვაში, რაც ჩვენთვის კარგად ნაცნობი ქართული ანდაზაა „ხარი ხართან რომ დააბა, ან ზნეს იცვლის ან ფერსაო”. ამის ეკვივალენტური შინაარსის მატარებელი იდიომი ინგლისურ ენაში არის შემდეგი: “He that lies down with dogs must rise up with fleas” – „ის ვინც იძინებს ძაღლებთან ერთად, იღვიძებს რწყილებთან ერთად”. (CIET 1981: 333) ასევე, ქართულად ხშირად გვსმენია ადამიანის დასახასიათებლად გამოყენებული სიტყვა „შავგულა”, რაც ბოროტი სულის ადამიანზე მიუთითებს.

ფერის ტერმინით „შავი” შესაძლოა აღვწეროთ არასწორი საქციელი, მდგომარეობა, ქმედება. ზოგიერთი კოგნიტური ლინგვისტის მოსაზრების თანახმად, კავშირი შავსა და არასწორს შორის ავტომატურია. (Meier, Robinson & Clore 2004) ექსპერიმენტების საინტერესო სერიებში, მაიერმა და მისმა კოლეგებმა აჩვენეს აუცილებელი სისტემატური ასოციაცია სიბნელესა და ნეგატიურობას შორის. მუქი ფერები გამოხატავენ საგნების ნეგატიურ შეფასებას, ნეგატიური შეფასება კი აჩენს ფერებს უფრო მუქად. (Soriano & Valenzuela 2009: 328) ჩვენ ვიღებთ არასწორის ვიზუალურ აღქმას შავის ამ მეტაფორული გამოყენებით. ინგლისურ ენაში არსებობს ასეთი იდიომი - “To separate black and white” რაც ქართულ ენაზე ჩვენთვის კარგად ნაცნობი გამონათქვამია „განასხვავო ერთმანეთისგან შავი და თეთრი”, ნიშნავს იმას რომ მკაფიოდ გამიჯნო სწორი და არასწორი. ეს იდიომი შემდეგი ჩინური გამოთქმის ეკვივალენტია: “黑白分明” (hēi bái fēn míng), რაც ნიშნავს

გაავლო მკაფიო ზღვარი შავსა და თეთრს შორის. უფრო მეტი იდიომი მოიძებნება ჩინურ ენაში: “颠倒黑白”(dian dǎo hēi bái ) „ადგილები შეუცვლო თეთრსა და შავს”, რაც ნიშნავს აირიო სწორსა და არასწორს შორის. მიზეზი, თუ რატომ გამოხატავს ფერის ტერმინი „შავი” სამივე ენაზე ერთსა და იმავე მნიშვნელობას, მდგომარეობს ინგლისელი, ჩინელი და ქართველი ხალხის ერთნაირ ფსიქოლოგიურ მიდგომაში შავი ფერის მიმართ.

ფერის ტერმინმა „შავი” შეიძლება აღნიშნოს დაჟეჟილობები. იდომი “Black and blue” (შავი და ლურჯი) რაღაც სახით გამოხატავს ფიზიკური დაშავების ნიშნებს. მაგალითად, “The man threatened to beat the boy black and blue for stealing”(LDEI 1979: 38) - „კაცი ბიჭს ქურდობისთვის სასტიკი ცემით დაემუქრა”. ამ იდიომში ფერის წყარო გადადის სამიზნე სფეროში და აღნიშნავს ფიზიკურ შემთხვევას. ეს კავშირი მომდინარეობს ადამიანის გამოცდილებიდან, რომ დაჟეჟილი კანი გამოიყურება ან შავად ან ლურჯად. გარდა ამისა, იდიომი “Black and blue” (შავი და ლურჯი) პარალელურია სტრუქტურაში და ორივე მათგანი აღნიშნავს სისხლჩაქცევას. ქართული გამოთქმა „დაალურჯა”, ასევე, მიუთითებს მძიმე ფიზიკური ზეწოლის შედეგს.

ფერის ტერმინმა „შავი” შეიძლება აღწეროს ვალისგან გათავისუფლება. “One’s accounts are in the black” (მისი ანგარიშები არის გაშავებული), ნიშნავს, რომ ის თავისუფალია ვალისგან. ტერმინი „შავი” ამ იდიომში ნიშნავს ვალებისგან გათავისუფლებას. ამ მეტაფორული მნიშვნელობის საფუძველი მოიძებნება ტრადიციებში შემდეგი სახით: შავი მელანი გამოყენებულია პოზიტიური ფიგურების გამოსახატავად, მაშინ როცა წითელი მელანი გამოყენებულია დეფიციტის გამოსახატავად, მაგალითად გამაფრთხილებელი ნიშანი. ამ იდიომის მაგალითია: “I had a letter from my bank today telling me I owed them 60 dollars. I was surprised because I thought I was in the black”.(LDEI 1979: 39) - „დღეს მივიღე წერილი ბანკისგან, სადაც მატყობინებდნენ, რომ 60 დოლარი მქონდა მათი ვალი. გამიკვირდა, რადგან ვფიქრობდი, რომ დავფარე ეს ვალი”.

ფერის ტერმინმა „შავი” შეიძლება გამოხატოს სიბინძურე. შავი ფერი შთაბეჭდილებას ახდენს ჩვენზე თავისი სიბნელით და ამიტომ ატარებს სიბინძურის მნიშვნელობას. იდიომი - “As black as the ace of spade” (შავი, როგორც ყვავის ტუზი) გამოიყენება ვინმეს ან რამე ბინძურის აღსაწერად. მაგალითად, “The children had been playing in the mud and they

were as black as the ace of spades when they came in for tea”( NTC 1979: 36) - „ბავშვები თამაშობდნენ ეზოში, ტალახში და როდესაც მოვიდნენ ჩაის დასალევად, შავი ტუზივით ჭუჭყიანები იყვნენ”. ეს მაგალითი იმის დემონსტრირებას ახდენს, რომ ჭუჭყიანის აბსტრაქტულ, კოგნიტიურ მოდელს საფუძვლად უდევს კონკრეტული შავი ფერი. ამ გზით, შავი ფერით, მკითხველისთვის აღსაქმელი ხდება ჭუჭყიანის აბსტრაქტული კონცეფცია.

შავი ფერით შეიძლება გამოიხატოს უიღბლობა. ინგლისის კულტურაში ხანდახან შავი მიიჩნევა უიღბლობის ფერად. ამ სიტყვათხმარების წარმოშობის სათავე უცნობია, სავარაუდოდ იმიტომ რომ უძველეს დროში ადამიანებმა ბევრი არაფერი იცოდნენ გარშემო არსებული სამყაროს შესახებ, ეწინოდათ ბუნებრივი სამყაროსი, განსაკუთრებით ღამის, სიბნელის. ისინი ვერ იგებდნენ ამ ბუნებრივ ფენომენს და ფიქრობდნენ, რომ ღამესთან ერთად მოვიდოდა უბედურებაც. იდიომი “A black day” (შავი დღე) ძირითადად აღნიშნავს ნაღვლიან ან ტრაგიკულ დროს. გადმოცემით, რომაელები კალენდარზე ნიშნავდნენ იღბლიან დღეებს თეთრი ქვით ან ცარციით და უიღბლო დღეებს შავით. (Cao 2009: 168)

ქართულში ბევრი გამონათქვამია, რომელიც შავი ფერის ტერმინის მატარებელია და უბედურებასა და უიღბლობას მოასწავებს, მაგ.: „შავ დღეზე გაჩენილი” – (შავ დღეზე დაბადებული) – (უბედური, საცოდავი); „შავად ათენებს”- (უბედურდება); „შავად გათენდება” – (უბედური დღე დადგება); „შავებს ჩააცმევს” – (დაადარდიანებს, შეაწუხებს); „შავი ბედი” – (უიღბლობა, უბედურება); „შავი დღე” – (უბედური დღე); „შავი ორშაბათი” – (ცუდი დღე); „შავი ღრუბელი” – (უბედურების მომასწავებელი რამ).

ჩინურში შავმა ფერმა „黑” (hēi) შეიძლება აღნიშნოს უპასუხისმგებლო კომენტარები. იდიომი “说黄道黑”(shuō huáng dào hēi) ნიშნავს უპასუხისმგებლო კომენტარის გაკეთებას, რომელმაც კამათი გამოიწვია. მომდევნო წინადადება წარმოადგენს ამის ნათელ მაგალითს:

“说话要有根据，不可乱造谣言，说黄道黑”

(Shuōhuà yào yǒu gēnjù bù kě luàn zào yáoyán shuō huáng dào hēi)

„ადამიანი უნდა მოერიდოს რამის მტკიცებას კარგი განზრახვის გარეშე. არ უნდა გაავრცელოს უპასუხისმგებლო ჭორები ან კომენტარები”. ნათელია, რომ მოყვანილ

მაგალითში ფერთა ტერმინები 黄 huáng (ყვითელი) და 黑 hēi (შავი) არა მხოლოდ ფერებს გამოხატავენ, არამედ მიუთითებენ უპასუხისმგებლო კომენტარების მეტაფორულ მნიშვნელობაზე. რიჩარდსის (Richards 1936) ტერმინის გამოყენებით, ეს იდიომი კოდირებულია ორი ძრავით, მაგალითად, ჩინური ფერის ტერმინები 黄 და 黑 აღნიშნავენ უპასუხისმგებლო კომენტარების ერთსა და იმავე არსს.

黑 hēi - Black შავი აღნიშნავს უწესრიგობას და არეულობას. ეს მეტაფორული მნიშვნელობა საფუძველს იღებს ყოველდღიური გამოცდილებიდან. როგორც ყველამ ვიცით, ადამიანები კარგად ვერ ხედავენ სიბნელეში და კანონდარღვევებიც ძირითადად საიდუმლო ან ბნელ ადგილას ხდება. აქედან გამომდინარე, 黑 - შავი იღებს მეტაფორულ მნიშვნელობებს: უწესრიგობა და არეულობა. იდიომი “昏天黑地” (hūn tiān hēi dì) აღნიშნავს ბნელ წესებსა და სოციალურ უწესრიგობას შემდეგ წინადადებაში:

“军阀混战之时，社会一片昏天黑地”

“Jūnfá hùn zhàn zhī shí shèhuì yī piàn hūn tiān hēi dì”

„სხვადასხვა მხედართმთავარს შორის ომის დროს, საზოგადოებაში იყო უწესრიგობა და არეულობა“. აღსანიშნავია, რომ იდიომს “昏天黑地” (hūn tiān hēi dì) აქვს რადიკალურად განსხვავებული მნიშვნელობა გამოყენების სხვადასხვა კონტექსტში. მას ასევე შეუძლია გამოხატოს თავბრუსხვევის შეგრძნება

„წითელი“ ფერის შემცველი მეტაფორები

ტერმინი „წითელის“ კონცეფცია რიგ საკითხებში ინგლისურ, ჩინურ და ქართულ ენებზე ერთი და იგივეა: სისხლის და ცეცხლის ფერი. აღნიშნული ფერის ტერმინები გამოიყენება ინგლისური, ჩინური და ქართული იდიომატური გამონათქვამების მეტაფორებში. ეს ფენომენი ნათლად ამჟღავნებს ადამიანების ვნებას ცხოვრებისადმი. შემდეგი განხილვა კარგად დაგვანახებს ამ საკითხს.

ერთ პლანეტაზე და გარემოში მცხოვრებ ადამიანებს აქვთ ერთნაირი გრძნობები, აღქმები და აზროვნების სტრუქტურა, ამიტომ ერთსა და იმავე ფერის მიმართ ასოციაციას აქვს საერთო საფუძველი. ამ სტატისტიკის მიხედვით, წითელი ფერის ტერმინებს ინგლისურ და ჩინურ იდიომატურ გამოთქმებში აქვთ მსგავსი მეტაფორული მნიშვნელობა.

ტერმინმა „წითელი“ შეიძლება გამოხატოს მხიარულება. წითელი ხშირად ასოცირდება მზესთან და ცეცხლთან და ამიტომ აღძრავს სითბოს და მხიარულების შეგრძნებას. ინგლისურ ენაში მხიარულ დღესასწაულებს, როგორცაა, მაგალითად, შობა, ხშირად იდომატურად უწოდებენ “Red-letter days” (წითელი ასოების დღეებს, იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ ასეთი დღესასწაულები კალენდრებზე ძირითადად აღნიშნულია წითელი ფერით და არა შავით. მაგალითად, “It’ll be a red-letter day for us when we’ve paid off all our debts”- „ჩვენთვის იქნება წითელი დღე მაშინ, როდესაც დავფარავთ ყველა ვალს”. (LDEI 1979: 87) ასეთი მეტაფორული მნიშვნელობის ლინგვისტიკური რეალიზაცია გვხვდება ჩინურ იდომშიც. ეს არის მეტაფორული აზროვნება და არა ფიზიოლოგია, რომელიც ჩინურ ენაში ამ წყვილს - წითელი და მხიარულება - საფუძვლად უდევს. ტერმინი 红 (წითელი) შემდეგ იდომში -“红白喜事” (hóng bái xǐ shì) „საქორწილო ცერემონიები და დაკრძალვები” ეხება საქორწილო ცერემონიალს და მხიარულების მნიშვნელობას ატარებს. ამით ნათლად ჩანს, რომ სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე ადამიანებს, მიუხედავად მათი განსხვავებული კომპლექსის, კულტურისა და რასისა, ხშირად აქვთ საერთო ცხოვრებისეული გამოცდილება, როგორცაა მაგალითად მხიარულება. ასეთი ცხოვრებისეული გამოცდილების დამსახურებით ფორმირდება ხოლმე ერთმანეთის მსგავსი მეტაფორები სხვადასხვა ენაში.

მრავალფეროვანი შემეცნებითი მოდელების წყალობით, ინგლისელებმა განავითარეს ფერის აღქმა, რომელიც სრულიად განსხვავდება ჩინელი ხალხის აღქმისგან. ხალხების ცივილიზაციის განვითარებასთან ერთად, წითელმა ფერმა მიიღო ბევრი მეტაფორული მნიშვნელობა, რომელიც უნიკალურია თითოეული ერისთვის.

წითელმა ფერმა შეიძლება გამოხატოს გაბრაზება. ემოციის სფეროს მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ადამიანებში სიბრაზის კონცეფცია ასოცირდება წითელ ფერთან. (Fetterman 2011:318) ეს აღმოჩენა მყარდება ლაკოფის (Lakoff) მტკიცებით, რომ ადამიანები ფიქრობენ მეტაფორებით ანუ კონცეპტუალიზირებული სიბრაზე არაპირდაპირ აღძრავს მის მეტაფორულ რეფერენტებს. იდომი “See red” (დაინახო წითელი) ნიშნავს სასტიკად გაბრაზებას. შემდეგი წინადადება უკეთესად გაგვარკვევს ამ იდომში:

“He saw red just because I mentioned his ex-wife’s name”. (LDEI 1979:198) ის სასტიკად გაბრაზდა მხოლოდ იმიტომ რომ მისი ყოფილი ცოლის სახელი ვახსენე. განვიხილოთ



გაბრაზებასთან ასოცირებული ქართული იდიომატური გამონათქვამი: „წითელ პერანგს უკერავს”, რაც ნიშნავს, რომ ჯავრობს ვინმეზე, წყრება ვინმეზე.

წითელმა შეიძლება აღნიშნოს სისასტიკე და ცოდვა. ეს მეტაფორული მნიშვნელობა სავარაუდოდ უკავშირდება ტერმინ „წითელსა” და სისხლს შორის ასოციაციას, რადგან ამ შემთხვევაში ადგილი აქვს ფერთა დამთხვევას. თუმცა, მნიშვნელობა, რომელიც ამ ტერმინმა სიტყვა სისხლისგან მიიღო, დამოკიდებულია სისხლის განმარტებასთან. ინგლისურ ენაში სისხლი დაკავშირებულია სისასტიკესთან და ცოდვასთან, ვინაიდან ის ასოცირდება ჭრილობასთან და სიკვდილთან. ანალოგიურად, წითელმაც შეიძლება გამოხატოს სისასტიკე და ცოდვა. პოპულარული მაგალითი ამ მნიშვნელობის იდიომში არის “Catch someone red-handed” (დაიჭირო ვინმე წითელხელიანი) პირდაპირი გაგებით ნიშნავს, რომ დაიჭირო ვინმე, რომელსაც ჯერ კიდევ ეტყობა სისხლის ლაქები დაუბანელ ხელებზე. შემდეგ წინადადებაში - “The police caught the criminal red-handed as he came out of the bank carrying a large bag of money”, - „პოლიციამ დაიჭირა „წითელ-ხელიანი” დამნაშავე, რომელიც გამოვიდა ბანკიდან ფულით სავსე ჩანთით”, აქ ტერმინი „წითელი” აღნიშნავს არაკანონიერი გზით მოპოვებულ ფულს, რომელიც დამნაშავეს უჭირავს ხელში. (DCEI 2008:235)

განვიხილოთ შემდეგი ქართული გამონათქვამები, რომელიც ასევე სისასტიკესა და ცოდვის ჩადენას უკავშირდება: „წითელ ბაწარს შეაბამს” – (ყელს გამოჭრის, სიცოცხელს გამოასალმებს); „წითელ მამალს ააფრენს” – (ცეცხლს წაუკიდებს, გადაწვავს).

წითელმა შეიძლება აღნიშნოს ვალი, დანაკარგი, ზარალი. ამ მეტაფორული მნიშვნელობის საფუძველი შეიძლება ვიპოვოთ ბუღალტერიის სფეროში, სადაც წითელი მელნით აღნიშნავდნენ დანაკლისს, როგორც გამაფრთხილებელ ნიშანს, მაშინ როცა შავი მელნით აღნიშნავდნენ პოზიტიურ ციფრებს. აქედან გამომდინარე, ვალის ქონა ან დეფიციტში ყოფნა კონცეპტუალიზირებულია ტერმინით „წითელი”. იდიომი “In the red” (წითელში) ატარებს დანაკარგის, ზარალის მნიშვნელობებს შემდეგ წინადადებაში: “Sales began to drop and the company was soon in the red” (გაყიდვების რიცხვი დაეცა და კომპანიამ განიცადა დიდი დანაკარგი/ მიადგა დიდი ზარალი). ჩინურ ენაში გამოიყენება 赤字(chìzì) -, „წითელი სიტყვა” დანაკარგის აღსანიშნავად. სიტყვა 赤 chī (წითელი) არის 红 hóng-ის (წითელი) ალტერნატიული ტერმინი ჩინურ ენაში. ეს გამოთქმა ნასესხებია ინგლისური

ენიდან თარგმნის პროცესში. ვინაიდან ეს ნასესხები ფრაზა დიდი ხნის განმავლობაში იყო ხმარებაში, იგი ფართოდ გავრცელდა ჩინურ ენაში. (Wang 2010:75) თუმცა ეს მეტაფორული გამოყენება არ იძებნება ჩინურ იდიომში. განვიხილოთ ქართული გამონათქვამი, რომელშიც წითელი ფერის ტერმინი ფიგურირებს: „წითელი ზოლივით გასდევს“ – (მკვეთრად არის გამოხატული, ხაზგასმულია). წითელი ფერი ქართულ კულტურასა და ადამიანის ფსიქოლოგიაში მკვეთრად გამოხატულ ფერს წარმოადგენს, რომლის გამოყენებითაც შესაძლებელია რაიმეს მკვეთრად, მკაფიოდ გამოხატვა.

წითელმა ფერმა შეიძლება აღნიშნოს საფრთხე. წითელი ფერი ადვილად იპყრობს ადამიანების ყურადღებას, ამიტომ ინგლისურ იდიომში ის ხშირად ასახავს საფრთხის ფენომენს, გაფრთხილებას, რომ მოსალოდნელი საფრთხე ახლოს არის. (Elliot & Maier 2007:243) ამასთან ერთად, ხარებთან ბრძოლის კულტურული ტრადიციის შედეგად, სიტყვა წითელსა და სახიფათოს შორის გაჩნდა ასოციაცია, ვინაიდან წითელი ფერი გამოიყენება ხარის გასაღიზიანებლად. იდიომი “See the red light” (დაინახო წითელი ფერი) ინგლისურ ენაში არაფორმალურად აღნიშნავს იწინასწარმეტყველო სავარაუდო საფრთხე მომავალში. მაგალითად, “He saw the red light when he had painfull aches during this holiday; when he got home the doctor told him that he was suffering from a serious disease” (NTC 1993) - „მან დაინახა წითელი ფერი (იწინასწარმეტყველა საფრთხე) როდესაც იგრძნო საშინელი ტკივილები დასვენების დროს; როცა შინ დაბრუნდა, ექიმმა უთხრა, რომ მას ჰქონდა სერიოზული დაავადება“. ქართულშიც ხშირად გვსმენია გაბრაზებულ ადამიანზე გამონათქვამი „წითელი აენტოო“, რაც ნიშნავს რომ ძალიან გაბრაზდა, განრისხდა, მოთმინების ფიალა დაკარგა. წითელი ფერი ასევე გამოიყენება ჩინურ ენაში საფრთხის განსასაზღვრად. მაგალითად, ამინდის პროგნოზში წითელი გამაფრთხილებელი სიგნალები აღნიშნავს ქარბუქის, კოკისპირული წვიმის, ძლიერ ქარის და ა.შ. სავარაუდო საფრთხეს, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს ამინდის გაუარესებით. თუმცა, ეს მეტაფორული მნიშვნელობა არ იძებნება ჩინურ ენაში.

წითელმა ფერმა შეიძლება განსაზღვროს სითბო. წითელი ფერი ხშირად დაკავშირებულია მზესთან, რაც იწვევს ადამიანებში სითბოს შეგრძნებას. ასოციაცია მზესა და წითელ ფერს შორის, ინგლისელ ხალხში შემდეგი იდიომის ფსიქოლოგიური გათავისების მიზეზია: “The red carpet” (წითელი ხალიჩა). პირდაპირი მნიშვნელობით ის

აღნიშნავს სუფთა და წითელი ხალიჩის დაგებას ვინმესთვის, ხოლო მეტაფორულად კი განსაკუთრებით თბილ მოპყრობას. ამ იდიომის მაგალითია: “The queen gets red carpet treatment wherever she goes” - „დედოფალს ყველგან წითელი ხალიჩით ხვდებიან, სადაც არ უნდა წავიდეს”. (LDEI 1979:59)

ქართულ ენაში გხვდება შემდეგი იდიომატური გამოთქმა „წითელ კვერცხს უგორებს”, რაც გულისხმობს ვინმეს გულის მოგებას, ვინმეს სიამოვნებას.

ჩინურ ენაში 红(hóng) - წითელი ატარებს თავის უნიკალურ მეტაფორულ მნიშვნელობას. ის ასოცირდება დადებით მნიშვნელობასთან, როგორცაა სისწორე, სამართალი, პოპულარობა, ბედნიერება და წარმატება.

红(hóng) – (წითელი) ტერმინმა შეიძლება აღნიშნოს სისწორე და სამართალი. ასოციაცია წითელსა და მზეს შორის შესაძლოა ტრანსფორმირდეს ფერის აღმნიშვნელიდან მორალის სფეროში. ჩვენ ვიცით რომ მზე გვამღევეს სინათლეს და ფანტავს სიბნელეს. შედეგად, მზის ფერი - წითელი, ატარებს სისწორის და სამართლიანობის მნიშვნელობას. მაგალითად, იდიომა “不分青红皂白”(bù fēn qīng hóng zào bái ) (სიტყვასიტყვითი თარგმანი: არ შეგეძლოს განასხვავო ინდიგო, წითელი, შავი და თეთრი) ეს ნიშნავს, რომ არ შეგეძლოს სწორის და არასწორის, სამართლიანის და უსამართლოს გარჩევა. ამ იდიომს გააჩნია განმეორებითი სტრუქტურა და აქ 青(qīng) ინდიგო აღნიშნავს არასწორს და უსამართლოს, მაშინ როცა 红(hóng) - წითელი და 白(bái) - თეთრი გამოხატავს სწორსა და სამართლიანს.

წითელმა შეიძლება გამოხატოს პოპულარობა და წარმატება. ვინაიდან ჩინურ ენაში სიტყვა წითელს დაყვება პოზიტიური ფონი, მეტაფორული კავშირი სიტყვა - წითელსა და წარმატებას შორის ბუნებრივად ჩნდება ჩინელების ცნობიერებაში. მაგალითად, იდიომა - “大红大紫”(dà hóng dà zǐ) – (ძალიან წარმატებული ან პოპულარული) აღნიშნავს მდგომარეობას, როდესაც სარგებლობ დიდი პოპულარობით ან წარმატებით. დამატებით, ამ იდიომს ორი კოდირებული ფერი აქვს - 红(წითელი) და 紫(მეწამული), რომელთა მნიშვნელობაში ხაზგასმულია განლაგება. ცხადია, რომ წითელი პოპულარული ფერია ჩინეთში და ეს ტერმინი ხალხის მიერ პოზიტიურად აღიქმება.

ტერმინს 红 (hóng) წითელი შემდეგ იდიომში - “红颜薄命”(hóng yán bómìng) „ლამაზ გოგოს აქვს უიღბლო ცხოვრება“, მიიჩნევენ როგორც ლამაზი გოგონების აღმნიშვნელ მეტაფორად. ამ იდიომში ტერმინი „წითელი“ აღნიშნავს ლამაზ სახეს. აქ გამოყენებულია ნაწილი იმისათვის რომ გამოიხატოს მთელი: ლამაზი სახე წინაპირობაა ლამაზი ქალის. აქედან ჩანს, რომ აღნიშნული შემთხვევა მიეკუთვნება უფრო მეტონიმს, ვიდრე მეტაფორას.

„ყვითელი“ ფერის შემცველი მეტაფორები

სხვა ფერთა ტერმინებისგან განსხვავებით, ყვითელი ფერის მეტაფორული მნიშვნელობა დაფუძნებულია ადამიანთა გამოცდილებაზე და ფერთან მიმართებაში მათ ფსიქოლოგიურ რეაგირებაზე. გაანალიზების შედეგად დადგინდა, რომ ინგლისურ ენაზე ფერის ტერმინის „ყვითელი“ მეტაფორული მნიშვნელობა საკმაოდ განსხვავდება მისი ჩინური ეკვივალენტისგან. მხოლოდ ერთი მსგავსი მეტაფორული მნიშვნელობა მოიძებნა ამ ორ ენაზე. რაც შეეხება ქართულ ენაზე არსებულ იდიომატურ გამონათქვამებს, რომლებშიც ფერის ტერმინი „ყვითელი“ გვხვდება, ასეთი მხოლოდ ორია.

სამივე ენის ფერის ტერმინმა - „ყვითელი“, “Yellow” და “黄”(huáng) შეიძლება აღნიშნოს სიბერე, მაგრამ ამ მსგავს მნიშვნელობას აქვს სხვადასხვა მოტივაცია სამ ენაში. მოტივაცია ამ შემთხვევაში უკავშირდება მეტაფორის ექსპერიმენტულ საფუძვლებს. ბუნებაში, მცენარეთა სამყაროში, ფოთლები ძირითადად ყვითლდება შემოდგომაზე. მცენარე ყვითელი ფოთლებით მიაწვდის ენერჯის ნაკლებობაზე. ადამიანის ცხოვრება კონცეპტუალიზდება შემდეგი ფორმით: იწყება კვირტით, შემდეგ აყვავდება და ბოლოს მთავრდება ფოთლების დაჰყვობით. ყვითელ ფერს აქვს ბუნებრივი კავშირი სიბერესთან, ჩვენ წარმოვიდგენთ სიცოცხლის ციკლს, მცენარის ცხოვრების სამი ეტაპის თვალსაზრისით. ამ ციკლის ბოლო ეტაპის მეტაფორული გამოხატვა ასახულია ინგლისურ იდიომში - “A yellow leaf” (ყვითელი ფოთოლი), რაც ნიშნავს ადამიანის ცხოვრების გვიან წლებს. ამ იდიომში, ტერმინის „ყვითელი“ მეტაფორულმა მნიშვნელობამ ჩამოაყალიბა კონცეპტუალური მეტაფორა “Life is plant” (ცხოვრება მცენარეა). მსგავსი აღქმითა და ლოგიკით ქართული იდიომატური გამოთქმა „ყვითელი ფოთოლივით გაცრეცილი“,

გულისხმობს ვიზუალურად დამჭკნარს, დაბერებულს. ასევე, ფიზიკურად ავადმყოფ ადამიანზე, რომლის ფერიც არ მოსწონთ, ხშირად იტყვიან „ყვითელი ფერი ადევსო“, რაც ნიშნავს ავად არის, ავადმყოფობისგან ცუდად გამოიყურება.

ძირითად შემთხვევებში, განსაკუთრებით, თეთრი ფერის ხელშესახები საგნები ყვითლდება ასაკის მატებასთან ერთად. ჩინურ ენაში, ადამიანის ცხოვრება შედარებულია ასეთ ხელშესახებ ნივთებთან: დაწყებული ახალი ვიზუალურად და დროთა განმავლობაში გაყვითლებით ასაკის მატებასთან ერთად. იდიომი “人老珠黃” (rén lǎo zhū huáng) ნიშნავს, რომ ადამიანი ისე ბერდება, როგორც ნახმარი, გაყვითლებული მარგალიტი. ეს იდიომი გაგებულ ან არის შემდეგი კონცეპტუალური მეტაფორით: “Life is an object which would turn yellow with age” - „ცხოვრება არის ობიექტი, რომელიც ყვითლდება ასაკთან ერთად, და ტერმინები “Yellow” – “黃” აქ აღნიშნავენ სიბერეს.

ინგლისური, ჩინური და ქართული ენები გადატვირთულია ადათ-წესებთან, კულტურასთან და ისტორიასთან დაკავშირებული უამრავი უნიკალური თვისებით. ინგლისურ იდიომატურ გამოთქმებში ყვითელი ძირითადად ატარებს უარყოფით მნიშვნელობას. გოეთე (1840:123) აღწერს ყვითელ ფერს, როგორც „რბილი და მხიარული ფერი, მაგრამ ხანდახან უსიამოვნო. სხვა ფერთან ოდნავი შეხების შედეგად, ის დეგრადირდება და ხდება უსიამოვნო და ჭუჭყიანი”.

ყვითელი გამოხატავს სიმხდალეს. ყვითელი ფერი შესაძლოა სტერეოტიპულად ასოცირებული იყოს იუდასთან, რომელმაც გასცა იესო. ვინაიდან იუდა ატარებს ყვითელ მანტიას, ამიტომ ეს ფერი ატარებს სიმხდალის ნეგატიურ მნიშვნელობას. იდიომი - “A yellow streak” (ყვითელი შტრიხი) შემდეგ წინადადებაში გამოყენებულია როგორც მეტაფორა - “Bert has a yellow streak in him” (ბერტს აქვს ყვითელი შტრიხი), პირდაპირი მნიშვნელობით ეს წინადადება ითარგმნება - „ბერტში არის რაღაც” და ვინაიდან ეს წინადადება პიროვნებას ეხება, გადაითარგმნება ასე - „ბერტის ხასიათში არის რაღაც”. რა თქმა უნდა ადამიანი და ფერები მიეკუთვნებიან ორ სხვადასხვა კატეგორიას. შუძლებელია, რომ ადამიანს ჰქონდეს ფერი თავის სხეულზე. სინამდვილეში, ამ გამონათქვამს უნდა ჰქონდეს მეტაფორული მნიშვნელობა. ფერის ტერმინი „ყვითელი” იდიომში ატარებს სიმხდალის მეტაფორულ მნიშვნელობას, ასე რომ ეს იდიომი აღნიშნავს

მხდალსა და ლაჩარს. ის სათავეს იღებს 1800-იანი წლებიდან. თუ ამერიკელი ჯარისკაცები სიმხდალეს ავლენდნენ ბრძოლაში, სხვა ოფიცრები მათ ყვითელ ხაზებს ახატავდნენ ზურგზე. ამ ფაქტით დასტურდება ის, რომ ტერმინი ყვითელი ინტერპრეტირებულია იდიომში “Yellow streak”, როგორც სიმხდალე. აქედან გამომდინარე „ბერტს აქვს ყვითელი შტრიხები”, ნიშნავს რომ ბერტი მხდალია.(Cao 2009:90)

ყვითელი გამოხატავს სენსაციას. ტერმინი ყვითელი, შეიძლება გამოყენებული იყოს ინგლისურ ენაში როგორც სკანდალებზე ფოკუსირებული რედაქცია. იდიომი “Yellow journalism” (ყვითელი ჟურნალისტიკა) და “Yellow press” (ყვითელი პრესა) დაკავშირებულია სენსაციის მაძიებელ გამომცემლობებთან, რომლებიც განსაკუთრებით ორიენტირდება სკანდალებზე. ყვითელი ფერი ამ ორ იდიომში ატარებს სენსაციის მნიშვნელობას. ეს მნიშვნელობა სათავეს იღებს ინგლისური პუბლიკაციებიდან New York World და New York Journal American, რომლებიც სპეციალიზირდებოდნენ სენსაციური რეპორტაჟების მომზადებაში ადრეული მე-19-დან გვიან მე-20 საუკუნის პერიოდში. ამ ორივე გამომცემლობას ჰქონდა ფერადი კომიქსის ხაზი, რომელსაც ერქვა “The Yellow Kid” (ყვითელი ბავშვი) და ფერის ტერმინი „ყვითელი” იდიომიდან - “Yellow journalism” (ყვითელი ჟურნალისტიკა) და “Yellow press” (ყვითელი პრესა) იღებს მეტაფორულ მნიშვნელობას - „სენსაცია” (Huang 2007: 126). ეს ორი იდიომი შეიძლება დამაბნეველი იყოს ჩინელი მკითხველისთვის. ჩინურ ენაზე პორნოგრაფიულ წიგნებს ჰქვია “黄色书刊” (huángsè shūkān) - ყვითელი წიგნი. როდესაც ისინი გადააწყდებიან ისეთ გამონათქვამებს, როგორებიცაა „ყვითელი პრესა” და „ყვითელი ჟურნალისტიკა”, ისინი იფიქრებენ ფრაზაზე “黄色书刊” და ამ იდიომის ინტერპრეტაციას დაუკავშირებენ პორნოგრაფიულ პუბლიკაციებს. სინამდვილეში, ინგლისური ეკვივალენტი ტერმინისა “黄色书刊” არის ლურჯი წიგნი, რადგან ინგლისურში ტერმინ ლურჯს აქვს პორნოგრაფიის მეტაფორული მნიშვნელობა.

ტერმინი 黄 (huáng) - ყვითელი ხშირად გამოიყენება ინგლისურ იდიომატურ გამოთქმებში, მაგრამ ჩინურ და ქართულ იდიომატურ გამოთქმებში მისი გამოყენება შეზღუდულია. დადგენილია, რომ ჩინური ფერის ტერმინს “黄” (ყვითელი) აქვს ორი

მეტაფორული მნიშვნელობა, რომელიც არ არის აღმოჩენილი ინგლისურ და ქართულ გამოთქმებში.

ფერის ტერმინმა 黄(huáng) ყვითელი, შეიძლება აღნიშნოს მომწიფებული ადამიანი ან საგანი. ყვითელი არის ყანის ფერი, როდესაც ხორბალი მოსავლისთვის მზად არის, ამიტომ ეს ტერმინი 黄 ბუნებრივად დაკავშირებულია სიმწიფესთან. ეს კავშირი აყალიბებს ყვითელის მეტაფორული მნიშვნელობის საფუძველს იდიომში “青黄不接” “qīng huáng bù jiē” - „ბელელი თითქმის ცარიელია, თუმცა მწვანე მოსავალი მინდორში ჯერ არ გაყვითლებულა”. ტერმინი მწვანე “青” (qing) აქ პირდაპირი გაგებით ნიშნავს მოსავალს და მისი მეტაფორული მნიშვნელობაა მოუმწიფებელი მემკვიდრეები. ტერმინი 黄 (ყვითელი) კი პირდაპირი მნიშვნელობით ნიშნავს მწიფე მოსავალს და მეტაფორულად კი მომწიფებულ ნიჭს. იდიომი ატარებს მნიშვნელობას, რომ მომწიფებული ნიჭი ბერდება, მაგრამ მისი მოუმწიფებელი მემკვიდრეები ვერ აგრძელებენ მის გზას. ეს იდიომი შეიძლება აღვწეროთ მეტაფორით “Life is plant” (ცხოვრება მცენარეა).

黄(huáng) - ყვითელი აღნიშნავს უპასუხისმგებლო კომენტარს. “说黄道黑” (shuō huáng dào hēi) (თქვი ყვითელი და შავი) ნიშნავს გააკეთო უპასუხისმგებლო კომენტარი, რომელიც გამოიწვევს კამათს. აღსანიშნავია, რომ ტერმინები - 黄 (ყვითელი) და 黑(შავი) წარმოდგენილია პარალელური სტრუქტურით და აქვთ იდენტური შინაარსი - უპასუხისმგებლო კომენტარი.

ერთ-ერთი ჩინელი ლინგვისტი აღნიშნავს, რომ ჩინურ ენაში ფერი ყვითელი მეტაფორულად დაკავშირებულია რაიმე ხილულთან. ამის არგუმენტად მას მოყავს შემდეგი იდიომი: “黄粱美梦” (huáng liáng měi mèng) „ტკბილი, ოქროს, ფეტვის სიზმარი”, რაც ნიშნავს არარეალისტურ ფანტაზიას. (Wang 2010:28) აღნიშნული იდიომი წარმოიშვა ღარიბი მეცნიერის ისტორიიდან, რომელსაც ესიზმრებოდა, რომ გახდა თანამდებობის პირი, მაგრამ როცა გამოფხიზლდა, ნახა, რომ ჰქონდა მხოლოდ ერთი ქვაბი ფეტვი, რომელიც ცეცხლზე მზადდებოდა. ტერმინი „ყვითელი” ამ იდიომში აღწერს მხოლოდ ფეტვის ფერს და არ გააჩნია რაიმე მეტაფორული დატვირთვა. ცოტა პრობლემატურია იმის მტკიცება, რომ ჩინურ იდიომში ყვითელი ფერი აღნიშნავს რამეს ვიზუალურად ხილულს. (DCEI 2008:158)

„ლურჯი“ ფერის შემცველი მეტაფორები

ლურჯი ფერის ხსენებაზე ადამიანებს ბუნებრივად წარმოუდგებათ თვალწინ ცა და ზღვა. ლურჯი ფერი აღძრავს სიმშვიდის შეგრძნებას. თუმცა სხვა ასოციაციებიც უკავშირდება ლურჯ ფერს, რაც გამოწვეულია მისი კოგნიტიური მოდელით. ტერმინი 靑 (lán) „ლურჯი“ ფართოდ გამოიყენება ჩინურ ლიტერატურაში ცის და ზღვის აღსაწერად, მაგარამ ეს არ ატარებს რამე განსაკუთრებულ მეტაფორულ დატვირთვას.

ფერის ტერმინი ლურჯი, ჩინურად - 靑 (lán) და ინგლისურად - Blue, საკმაოდ პროდუქტიულია მეტაფორებში და მისი მეტაფორული მნიშვნელობის უმრავლესობა უნიკალურია ინგლისური იდიომისთვის. ეს ფენომენი ადასტურებს, რომ ინგლისელებს ძალიან გათავისებული აქვთ ლურჯი ფერი.

ლურჯმა ფერმა შეიძლება აღნიშნოს დეპრესია. ზოგიერთი ადამიანი ფიქრობს, რომ არ არის აზრს მოკლებული ის ფაქტი, რომ ზღვაზე შტორმიანი ამინდი ცხოვრებას ანიჭებს ლურჯ ფერს, ნაღვლიან და მელანქოლიურ შეგრძნებას. მაშინ როცა სხვები ამტკიცებენ, რომ ეს მეტაფორული მნიშვნელობა მომდინარეობს სიტყვა „ბლუზისგან“, რაც წარმოადგენს ჯაზის ნელ, მელანქოლიურ სტილს და რომელიც მე-19 საუკუნის შუა ხანებში შექმნეს აფრო-ამერიკელმა ადამიანებმა სამხრეთ ამერიკაში. გონივრულია იმის მტკიცება, რომ ლურჯის მნიშვნელობა დაკავშირებულია წვიმასთან, რომელიც, თავის მხრივ, გამოხატავს დეპრესიულ ემოციას. რაც არ უნდა იყოს, ლურჯს გააჩნია მეტაფორული მნიშვნელობაც. მიჩნეულია, რომ ის ასოცირდება დეპრესიასთან. ინგლისურ ენაზე არის ამის დამადასტურებელი ტიპური იდიომი, მაგალითად, “In a blue mood” და “Feel blue” და სხვა, რომლებიც გამოხატავენ დეპრესიის ემოციას. მაგალითად “They were in a blue mood, after the failure in the football match” ნიშნავს, ისინი ცუდ ხასიათზე დადგნენ, ფეხბურთის მატჩის წაგების გამო. (Elliot & Maier 2007: 248)

ფერის ტერმინი „ლურჯი“ რუსთაველის პოემაში დაკავშირებულია ცემასთან, დეპრესიასთან, ტკივილთან. აქვე მოვიყვანთ დავარ ქაჯის მიერ ნესტანის ცემის ეპიზოდს, რომელსაც ასმათი ტარიელს უყვება:



„ხელი მიჰყო, წამოზიდნა, თმანი გრძელნი დაუფუშნა,  
დაალება, დაალურჯა, მედგრად პირნი მოიქუშნა“...

მე-19 საუკუნის რომანტიკულ პოეზიაში ლურჯმა და ცისფერმა მიუღწეველი, მაგრამ სასურველი ოცნების, იდეალის, მისტიკურის, შეუცნობლის დატვირთვა შეიძინა (გავიხსენოთ ნიკოლოზ ბარათაშვილის ცნობილი ლექსი „ცისა ფერს, ლურჯსა ფერს“...) ან თუნდაც ამ ფერის გამოსახვა იმპრესიონისტულ მწერლობასა და მხატვრობაში, თუმცა „ვეფხისტყაოსანი“ ლურჯისა და მისი ტონების ამგვარ სიმბოლიკას არ იზიარებს. (მაკა სახურია 2019)

ლურჯმა შეიძლება აღნიშნოს ბრაზი და შიში. მიზეზი ამ ორი ემოციის ერთად წარმოდგენის არის ის, რომ ისინი „თანაბრად მაღალ ემოციურ მდგომარეობას და კონცეფციას გამოხატავენ“. (Fetterman 2011:319)

იდიომი “To have a blue fit” ნიშნავს ტემპერამენტის შემოტევას ან საშინლად გაბრაზებას. უელსელი რომანისტი კენ ფოლეთი (2007) თავის რომანში “Triple” ახდენს იდიომის “A blue fit” (ლურჯი განწყობა) ფერის მეტაფორული მნიშვნელობის დემონსტრირებას:

“Sitting in the untidy little office, watching the smug Herr Pfeffer rummage through his old press releases, Dickstein thought: If only you knew what’s in my mind, little bureaucrat, you’d have a blue fit and he suppressed a grin and felt a little more cheerful.” - „იქდა რა ბინძურ პატარა ოფისში და უყურებდა ჰერ პფეფერი როგორ ჩიჩქნიდა თავის ძველ პრეს-რელიზებს, დიკსტაინმა გაიფიქრა: რომ იცოდე რა არის ჩემ გონებაში ახლა, შენ პატარა ბიუროკრატო, საშინლად შეგეშინდებოდა და მან ჩაახშო თავისი ბრაზი და ცოტა გახალისდა“. როგორც მაგალითიდან ჩანს, ავტორი ლურჯ ფერს ახსენებს მეტაფორული მნიშვნელობით და არა ნამდვილი ფერის ფორმით. ლურჯის მეტაფორული მნიშვნელობა შეიძლება დაკავშირებული იყოს წვიმასთან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რაც ადვილად აღძრავს დეპრესიულ ემოციებს და ეს მნიშვნელობა არის კიდევ უფრო გაფართოებული და აღწერს მომიჯნავე ემოციებს, როგორც არის - ბრაზი და შიში. ლურჯ ფერს ადამიანები უკავშირებენ დეპრესიას. დროის გასვლასთან ერთად, ადამიანის გონებაში დეპრესია გახდა რაღაც ქვეცნობიერი და ენა წარმოადგენს ამ ქვეცნობიერის გამოხატვის ერთადერთ საშუალებას. (He 2011: 138)

ლურჯმა შეიძლება გამოხატოს უხამსი საქციელი. ეს მეტაფორული მნიშვნელობა არის უფრო ემპირიული, ვიდრე კონცეპტუალური. ის საფუძველს იღებს ფრანგული წიგნების ტომებიდან სახელად - “La Bibliotheque Blue” (ცისფერი ბიბლიოთეკა), რომელიც ხასიათდება უხამსი ისტორიებით. აქედან გამომდინარე, ეს ტერმინი ინგლისურ ენაშიც დაკავშირებულია უხამსობასთან. ამის მაგალითია იდიომი “A blue film” (ცისფერი ფილმი), რაც ნიშნავს პორნოგრაფიულ ფილმს. ამისგან განსხვავებით, ჩინურ ენაში უხამსობის მნიშვნელობა აღინიშნება მეტაფორით 黄(huáng) - ყვითელი ფერის ტერმინით, ამიტომ ინგლისური იდიომის “Blue film” ჩინური ეკვივალენტია ფრაზა “黄色电影” (huángsè diànyǐng) – „ყვითელი ფილმი”.

ლურჯმა შეიძლება აღნიშნოს სისხლჩაქცევა. ლურჯი ფერის არსი შესაძლოა ტრანსფორმირებული იყოს ფიზიკურ შეგრძნებებში. ეს ტრანსფორმაცია დაფუძნებულია ჩვენს გამოცდილებაზე, რომ დაჟეჟილი კანი იცვლის ფერს და ლურჯდება. იდიომი - “Black and blue” არის ამის მაგალითი. “To beat someone black and blue” ნიშნავს, ისე ძლიერად დაარტყა ვინმეს, რომ დაალურჯო. ქართულშიც ლურჯი ფერით გამოიხატება დაჟეჟილობა (დაალურჯა). ეს დაჟეჟილი ადგილი შეიძლება კანზე ჩანდეს მწვანედ ან იასამნისფრად და ამიტომ სხვადასხვა კულტურაში შესაძლოა სხვა ფერის ასპექტი იყოს არჩეული ამ მრავალმხრივი რეალობის გამოსახატავად.(Ogarkova 2007: 120)

ჩინელები ირჩევენ ტერმინებს - “青”(qīng) მწვანეს და “紫”(zǐ)- იასამნისფერს სისხლჩაქცევების აღსაწერად. მაგალითად იდიომი “鼻青眼紫”(bí qīng yǎn zǐ) „დასიებული ცხვირით და თვალებით” აღწერს სისხლჩაქცევის მუქ ფერს სახეზე.

ლურჯმა შეიძლება გამოხატოს ლოიალურობა, სინამდვილე და სანდომიანობა. იდიომი “True blue” გამოიყენება ძალიან ლოიალური და სანდომიანი ადამიანის აღსაწერად. ეს უკეთესად გასაგები იქნება შემდეგი დიალოგიდან:

“Don’t worry. I’ll lend you some money.” - არ იდარდო, მე გასესხებ ფულს;

–“Oh, will you? Thanks. You’re really true blue.” - მართლა მასესხებ? მადლობა. შენ ნამდვილი ადამიანი ხარ.

ინგლისურ იდიომთან შედარებით ტერმინი ლურჯი - 蓝 (lán) ჩინურ მეტაფორებში ერთფეროვანია. ჩინელი მკვლევრის კვლევის მიხედვით, 蓝 - ლურჯი ფერი თავიდან დაკავშირებული იყო ინდიგოსფერ მცენარესთან, რომელსაც საღებავად იყენებდნენ. ის არ გამოიყენებოდა ჩინურ ენაში როგორც ფერის ტერმინი, სანამ თანგის დინასტიის (618-907) დროს არ დაიმკვიდრა ადგილი. (He 2011)

ტერმინმა „ლურჯი“ შეიძლება აღნიშნოს წინაპრები. ფერის ეს ტერმინი - 蓝 (ლურჯი) იდიომში “青出于蓝而胜于蓝” (qīng chū yú lán ér shèng yú lán) განსაზღვრავს ინდიგოს მცენარეს. 青 (qing) - ინდიგო არის მიღებული მწვანის და ლურჯი ფერების კომბინაციით. ამ იდიომის პირდაპირი მნიშვნელობა არის ის, რომ ფერი ინდიგო მიიღება ინდიგოს მცენარისგან, მაგრამ არის უფრო ლურჯი ვიდრე მცენარე, რომლისგანაც ის წარმოიშვა. იდიომი გამოხატავს აზრს, რომ შთამომავლები სწავლობენ წინაპრებისგან და ჯობნიან კიდევ მათ. ფერის ტერმინი - 青 (ინდიგო), თუმცა ზოგადად ნიშნავს ინდიგოს მცენარეს, ამ იდიომში მეტაფორულად აღნიშნავს წინაპრებს და ამიტომ მუდმივი გამოყენების საფუძველზე ეს იდიომი ასეთი სახით ჩამოყალიბდა.

„მწვანე“ ფერის შემცველი მეტაფორები

მწვანე ფერი ყველაზე ხშირად ბუნებაში გვხვდება, მწვანე ბალახის და ხეების სახით. ტერმინი „Green“ ხშირად გამოიყენება ინგლისურ იდიომში, ქართულში იშვიათად გვხვდება, ხოლო ჩინურ იდიომში მწვანე ფერის - 绿 (lǜ) რაიმე მეტაფორული მნიშვნელობა ვერ მოვძებნეთ, თუმცა ეს არ ამტკიცებს რომ ჩინელი ხალხისთვის მწვანე ფერი უცხოა. ბევრი ჩინური იდიომი არსებობს ლექსიკონებში მწვანე ფერის ტერმინის გამოყენებით, მაგრამ მათ არ გააჩნიათ მეტაფორული მნიშვნელობა. მაგალითად “绿衣使者” (lǜyī shǐzhě) ფოსტალიონი, რომელსაც მწვანე ტანსაცმელი აცვია, თუმცა ეს იდიომი კონკრეტული მეტაფორული მნიშვნელობის მატარებელი არ არის.

მწვანემ შეიძლება აღნიშნოს მოუმწიფებლობა და გამოუცდელობა. სხვადასხვა კოგნიტიური მოდელის შედეგად ჩამოყალიბდა ერთი და იგივე ფერის მრავალფეროვანი

ფსიქოლოგიური აღქმა. მწვანე წარმოადგენს ფუფუნების ორნამენტს ჩინელი ხალხის თვალში, მაშინ როცა ინგლისელებისთვის ის ასოცირდება დაუმწიფებელ ხილთან. (Huang 2003:127) ეს იმიტომ რომ დაუმწიფებელი ხილის უმეტესობა, როგორცაა ყურძენი, ვაშლი და ფორთოხალი, მწვანეა და მათი შეჭმა ჯერ ძალიან ადრეა. აქედან გამომდინარე, ინგლისელი ხალხი ხშირად აკავშირებს მწვანე ფერს მოუმწიფებლობასთან. ეს კავშირი უდევს საფუძვლად მწვანე ფერის მეტაფორულ მნიშვნელობას: მოუმწიფებლობის და გამოუცდელობის აღმნიშვნელია მწვანე, რაც წარმოადგენს მოუმწიფებელი ხილის ანალოგს. თუ ადამიანი მოუმწიფებელია, მას აკლია გამოცდილება. იდიომი “As green as grass” - მწვანე როგორც ბალახი - ნიშნავს გამოცდილების ნაკლებობას. ამის მაგალითია შემდეგი წინადადება: „When she left school and started her first job, she was as green as grass” (LDEI 1979: 139) – „როდესაც მან დაამთავრა სკოლა და დაიწყო თავისი პირველი სამსახური, მწვანე ბალახს ჰგავდა (იყო გამოუცდელი)”. მოუმწიფებლობის და გამოუცდელობის აბსტრაქტული კონცეფცია ამ მეტაფორაში განისაზღვრება კონკრეტული ფერით - მწვანე.

ქართველი მეცნიერისა და რუსთველოლოგის, ვიქტორ ნოზაძის კვლევით, მწვანე ფერი ქრისტიანულ ღვთისმეტყველებაში დაკავშირებულია იმედთან, სიკეთესთან, მოლოდინთან, ძიებასთან და იგი აღნიშნავს, რომ ქრისტიანობაში „მწვანე” სამებისა და ეპიფანიის ფერია. პოემის მთავარი სიმბოლოა ნესტანის მწვანე კაბა, რომელიც მას ტარიელთან შეხვედრის დროს ემოსა და შემდეგ ქაჯთა ხელში ხანგრძლივი ტყვეობის მანძილზე გაუხდელად ეცვა. მართალია, უნუგეშო იყო ნესტანის მდგომარეობა ქაჯთა ტყვეობაში, მაგრამ მას იმედი მაინც არ დაუკარგავს. მისი მწვანე კაბაც სწორედ ამ იმედის განსახიერებაა. (ვიქტორ ნოზაძე 1953)

მწვანემ შეიძლება აღნიშნოს ნებართვა. მწვანე არის ფერების სპექტრის შუაგულში და ადამიანებს აღუძრავს სიმშვიდის შეგრძნებას. ეს არის გავრცელებული ნიშანი, რომელიც მსოფლიო მასშტაბით გამოიყენება შუქნიშნებში და მიუთითებს, რომ არ არის საფრთხე და შეიძლება გზის გაგრძელება. იდიომი “Give the green light” (ნებართვის მიცემა რამე საქმის დასაწყებად) საგზაო წესებში უსაფრთხო გადაადგილების მნიშვნელობიდან, ტრანსფორმირდა კანონის ცნებად. ტერმინი მწვანე აქ განსაზღვრავს ნებართვას. ეს იდიომი ადვილად გასაგებია შემდეგ წინადადებაში: “The government gave the green light to the

minister's plans for reducing unemployment” (NTC 1993:198) (მთავრობამ აუნთო წითელი შუქი მინისტრის გეგმას უმუშევრობის შემცირების შესახებ). აქედან ჩანს, რომ ემპირიული აღქმა თამაშობს გადაწყვეტ როლს ფერთა მეტაფორების წარმოქმნაში.

მწვანემ შეიძლება აღნიშნოს ექვიანობა. დასავლეთის სამყაროში, შურის ცნება დაკავშირებულია ნაღვლის ბუმბთან, რომელიც არის მოყვითალო-მომწვანო ფერის (Ogarkova 2007:114), აქედან გამომდინარე, ტერმინი მწვანე იდიომში “Green with envy” (ძალიან ექვიანი) აღნიშნავს ექვიანობას. მეტაფორული მნიშვნელობის მაგალითი გამოიხატება შემდეგ წინადადებაში: “She will be green with envy when I tell her that I have bought myself a new car” (LDEI 1979:128) - „ის გამწვანდება შურისგან, როცა ვეტყვი, რომ ჩემთვის ახალი მანქანა ვიყიდე”. ვინაიდან ეს ემოციური ფიზიოლოგია ყველა კულტურაში ასე თუ ისე ერთგვარია, შესაძლოა იყოს მოლოდინი, რომ ის ყველა ენაზე ერთი და იგივე ფერით გამოიხატება, თუმცა ეს ასე არ არის. პალმერი (Palmer 1996:88) განსაზღვრავს, რომ „სხვადასხვა ერს შეიძლება ჰქონდეს ფერების სხვადასხვა სისტემა და კულტურის გავლენის მიხედვით ის შეიძლება განსხვავდებოდეს მნიშვნელობით”. მაგალითად, ჩინელ და ინგლისელ ხალხს აქვთ შურის კონცეპტუალიზაციის სხვადასხვა ტენდენცია: ჩინელები იყენებენ ტერმინს „წითელი” 红 (hóng) რომ გამოხატონ შური, ექვიანობა. ფრაზა “眼红” (yǎnhóng)- „წითელი თვალი” ატარებს შურის მნიშვნელობას შემდეგ მაგალითში:

“我们对那些通过诚实劳动挣钱的百万富翁绝不眼红”

(wǒmen duì nàxiē tōngguò chéngshí láodòng zhèngqián de bǎiwàn fùwēng juébù yǎnhóng)

„ჩვენ არ გვშურს იმ მილიონრების, რომლებიც კეთილსინდისიერად შოულობენ ფულს.”

ქართულ კულტურაში მწვანე ფერმა შეიძლება გამოხატოს ტრაბახი, განდიდება, თავის ქება, რომლის დამამტკიცებელი ქართული იდიომატური გამოთქმებიც არსებობს: „მწვანე კიტრივით მოაქვს თავი” - (ახალშემოსულ კიტრივით თავს იწონებს; უსაფუძვლო ტრაბახი, ბაქი-ბუქი, თავის განდიდება). ხალხური გამოცანის მიხედვით: „თავი მოაქვს მწვანეთა (სიმწვანით), მუცელსა ჰგვრემს მწარეთა“. ამ თქმას ხატოვნად ისეთ ადამიანზე იტყვიან, ვისაც საქებარი არაფერი აქვს და მაინც თავს იწონებს, ბაქი-ბუქობს, ტრაბახობს (სახოკია 1954: 52-53).

მწვანე ფერმა შეიძლება გამოხატოს ახალგაზრდობა. ბუნებრივი მცენარეების სამყაროში, მწვანე არის უმთავრესი ფერი, რომელიც წარმოადგენს აყვავების/კეთილდღეობის სიმბოლოს. მწვანე ფოთლიანი მცენარე აღნიშნავს ძლიერ, ენერგიით სავსე ცხოვრებას. ადამიანის სიცოცხლე შეიძლება კონცეპტუალიზებული იყოს შემდეგი ფორმით: იწყება გაღვივებით, შემდეგ გრძელდება აყვავებით და მთავრდება ჭკნობით. აქედან გამომდინარე, მწვანე ფერის კონცეფციას ბუნებრივი კავშირი აქვს ახალგაზრდობასთან. ეს იმას ნიშნავს, რომ ცხოვრების აღქმის თვალსაზრისით, ჩვენ ცხოვრებას ბუნებრივ სამყაროში ვყოფთ მცენარის სიცოცხლის სამი ეტაპის მსგავსად. მეორე მეტაფორული ეტაპი აღწერილია შემდეგ ინგლისურ იდიომში: “In the green years” (სიმწვანის წლებში), რაც ნიშნავს ადამიანის გაფურჩქვნის წლებს. აქ ეს იდიომა გაგებულია კონცეპტუალური მეტაფორით - “Life is plant” - ცხოვრება მცენარეა. ამ გზით, კონკრეტული მწვანე ფერი ინტერპრეტირებულია ახალგაზრდობის აბსტრაქტული კონცეფციით.

მწვანემ შეიძლება გამოხატოს კარგი სიტუაცია. ტერმინის „მწვანე“ გამოყენება რამე დადებითის აღსანიშნავად ადასტურებს, რომ სიმწვანე არის კარგ მდგომარეობაში მყოფი მცენარეების სიმბოლო (მაგალითად, მცენარეები საკმარისი მორწყვითა და მზის სინათლით არიან მწვანეები). ასეთი დამოკიდებულება შეიძლება ზუსტად გამოიხატოს იდიომით “The grass is greener on the other side of the hill” - „ბალახი უფრო მწვანეა მდელის მეორე მხარეს, რაც მეტაფორულად ნიშნავს, რომ ცხოვრება უფრო უკეთესი და მარტივი გვგონია იქ, სადაც ჩვენ არ ვართ). ამის კარგი მაგალითია შემდეგი წინადადება: “He always thinks the grass is greener on the other side of the hill and is not satisfied with his present work” (ის ყოველთვის ფიქრობს, რომ იქ უკეთესია, სადაც ის არ არის და უკმაყოფილოა თავისი სამსახურით). ამრიგად, ტერმინი „მწვანე“ გადაყვანილია თავის აბსტრაქტული მნიშვნელობის ფორმაში და აღნიშნავს კარგ სიტუაციას. საინტერესო დამთხვევაა ის, რომ არსებობს ამ იდიომის ეკვივალენტი ჩინური იდიომი: “这山望着那山高” (zhè shān wàng zhe nà shān gāo) (არასდროს ხარ ბედნიერი ან კმაყოფილი იქ, სადაც ხარ). ამ ორ იდიომს აქვს განსხვავებული ლექსიკური ერთეულებით გამოხატულება, მაგრამ ერთი არსი.

„ნაცრისფერი” ფერის შემცველი მეტაფორები

ნაცრისფერს იგივე ფერფლისფერს, ძალიან ცოტა მეტაფორული მნიშვნელობა მოეძებნება ინგლისურ და ჩინურ იდიომატურ გამოთქმებში, ქართულში კი თითქმის საერთოდ არ გვხვდება, გარდა ერთი გამონათქვამისა „ნაცრისფერი დღეები” - დეპრესიული, არაფრის მომტანი დღეები. ჩვენს კვლევას აღნიშნული ფერის ტერმინის განვითარებასთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ ამტკიცებს ბერლინის და ქეის მიერ შემოთავაზებული მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ფერების ევოლუციის თანმიმდევრობაში ნაცრისფერი 11 მთავარ ფერს შორის ენის ტერმინოლოგიაში ყველაზე ნაკლებად განვითარებული ფერია. (Berlin and Kay 1969)

ნაცრისფერმა შეიძლება გამოხატოს გაურკვეველობა. ნაცრისფერი წარმოადგენს თეთრის და შავის კომბინაციას, თუმცა უმეტესად ორი ფერის შერევა წარმოქმნის ნაცრისფერს, ასე რომ ნაცრისფერი წარმოადგენს ბუნდოვან ფერს. ეს აღუძრავს ადამიანებს გაურკვეველობის შეგრძნებას, ასე რომ ის შეიძლება გამოყენებული იყოს რაღაც გაურკვეველის ან ერთმანეთისგან ძნელად გასარჩევის აღსაწერად. იდიომი “Gray area” (ნაცრისფერი სივრცე) არის გამოყენებული იმ გარემოს ან სფეროს აღსაწერად, რომელიც ძნელია მიაკუთვნო გარკვეულ კატეგორიას. ჩვენ ვიცით, რომ სივრცის კონცეფციას არანაირი კავშირი არ აქვს ფერის ცნებასთან, მაგრამ ვინაიდან ტერმინი ნაცრისფერი უკავშირდება გაურკვეველობის ცნებას, ფრაზის „ნაცრისფერი გარემო” მეტაფორული მნიშვნელობა ხდება გასაგები. ამის მაგალითია შემდეგი წინადადება: “Publicity is a gray area in that firm for it is shared between the marketing and design divisions” (NTC 1993:128) (გამომცემლობა არის ნაცრისფერი სივრცე იმ ფირმაში, რადგან ის გაყოფილია მარკეტინგისა და დიზაინის განყოფილებებად”. ამ იდიომიდან ჩანს, რომ სამიზნე მნიშვნელობის განსასაზღვრად ჩვენ უნდა ვერკვეოდეთ მისი საწყისი სფეროს მნიშვნელობაში.

ჩინური ტერმინი “灰” (huī) - ნაცრისფერი ზოგადად არსებითი სახელია, რომელიც აღნიშნავს მცენარეულ ფერფლს. თანდათანობით მისი მნიშვნელობა გაფართოვდა. ნაცრისფერის - 灰 (huī) მეტაფორულ მნიშვნელობას ჩინურ იდიომში აქვს თავისი თავისებურებები.

灰 (huī) - ნაცრისფერმა შეიძლება აღნიშნოს დეპრესია. ჩინურ ენაზე ფერის ტერმინი灰 აღნიშნავს მცენარის ფერფლს, რაც თავის მხრივ აღნიშნავს რამის დასასრულს. შედეგად, ის ხშირად გამოიყენება დეპრესიული მდგომარეობის გამოსახატავად. ამასთან ერთად, ვიზუალური ფსიქოლოგიის მიხედვით, ნაცრისფერი გარემო ან სცენა აღძრავს დეპრესიულ შეგრძნებებს. (He 2011:28) ფერის აღქმა ტრანსფორმირდება ემოციის აღქმად. რიჩარდსის (Richards 1936) ტერმინოლოგია რომ მოვიშველიოთ, ნაცრისფერი არის საშუალება, რითაც ფერი გადადის ემოციის სფეროში. როდესაც ადამიანი ცუდ ხასიათზეა, ის ხშირად ძალაგამოცლილია და გამოიყურება დეპრესიულად, რაც ფსიქოლოგიური რეაქციის მსგავსია, რომელსაც იწვევს ნაცრისფერი ფერი. ეს მსგავსებები წარმოქმნის საფუძველს, რომელიც აკავშირებს ერთმანეთთან მატაფორის არსსა და საშუალებას. ჩინურ ენაში გვხვდება იდიომი, რომელიც მართულია მისი მეტაფორული მნიშვნელობით, მაგალითად “灰心丧气” (huī xīn sàng qì) - გახდეს იმდევაცრუებული. ტერმინი 灰 ამ იდიომში აღნიშნავს დეპრესიის არსებობას, რაც წარმოადგენს შესაბამის ფსიქოლოგიურ რეაქციას ნაცრისფერ ფერზე.

„იასამნისფერი“ ფერის შემცველი მეტაფორები

იასამნისფერის მეტაფორული მნიშვნელობა ფაქტობრივად არ ფიქსირდება ინგლისურ და ქართულ იდიომატურ გამონათქვამებში და ჩინურ ენაზე ფერის ტერმინის - 紫(zǐ) – (იასამნისფერი) მხოლოდ სამი მნიშვნელობა მოიძებნა. ეს აღმოჩენა კვლავ ემთხვევა ბერლინისა და ქეის თეორიას ფერის განვითარების თანმიმდევრობის შესახებ, რომლის მიხედვითაც ენის მთავარი ფერების ტერმინოლოგიაში იასამნისფერი ნაკლებად განვითარებული ფერია. (Berlin and Kay 1969)

紫 (zǐ) იასამნისფერმა შეიძლება აღნიშნოს პოპულარობა და წარმატება. თანგის დინასტიის (618-907) მეორე იმპერატორმა ტაი-ძუნიმ ბრძანა, რომ ოფიციალურ პირებს მესამე რანგის ზემოთ უნდა ცმოდათ იასამნისფერი სამოსი, ხოლო მეხუთე რანგის წარმომადგენლებს კი წითელი ფერი. (Ma Mei 2011) ამის შედეგად, ფერთა ტერმინებმა - 紫 (იასამნისფერი) და 红 (წითელი) მიიღეს კულტურული მაჩვენებლებით ფორმირებული მნიშვნელობა - წარმატება და პოპულარობა. მაგალითად, იდიომი “大红大紫” (dà hóng dà zǐ)



ძალიან წარმატებულს და პოპულარულს ნიშნავს. ის გამოიყენება ვინმე ძალიან წარმატებულის და პოპულარულის აღსაწერად.

紫 (zǐ) იასამნისფერმა შეიძლება აღნიშნოს კეთილგანწყობა. ტრადიციულად, ჩინურ კულტურაზე ძალიან დიდი გავლენა მოახდინა დაოსიზმმა, რომელმაც არა მხოლოდ ფილოსოფია, ლიტერატურა და პოლიტიკა მოიცვა, არამედ ადამიანების პოტენციური აზროვნებაც. მაგალითად, ჩინურ ენაზე კეთილგანწყობა შეიძლება კონცეპტუალიზირებული იყოს იასამნისფერი ტერმინით. ეს მნიშვნელობა ძალიან ახლო კავშირში არის იმ მოსაზრებასთან, რომელიც მიიჩნევს იასამნისფერს კეთილგანწყობის სიმბოლოდ დაოსიზმში. იდიომში “紫气东来”(zǐ qì dōng lái) „იასამნისფერი ჰაერი მოდის აღმოსავლეთიდან“, ნიშნავს კეთილგანწყობის წინათგრძნობას და ტერმინი იასამნისფერი აღნიშნავს კეთილგანწყობას. ძველ დროში, ეს იდიომა ხშირად იყო ამოტვიფრული შესასვლელის კედლის ფირფიტებზე ლიტერატურის წარმომადგენლების ან ოფიციალური პირების სახლებზე, როგორც კეთილგანწყობის სიმბოლო. (Ma Mei 2011:132)

紫 (zǐ) - იასამნისფერი ტერმინით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შეიძლება გამოიხატოს სისხლჩაქცევა სხეულზე. ყველამ ვიცით, რომ მაგრად დარტყმის შედეგად კანი მიიღებს იასამნისფერს. აქედან გამომდინარე არ არის გასაკვირი, რომ სისხლჩაქცევა გამოიხატოს ტერმინით „იასამნისფერი“. ტერმინის - იასამნისფერი - 紫, მეტაფორული მნიშვნელობა გააქტიურებულია შემდეგ იდიომში - “鼻青眼紫”(bí qīng yǎn zǐ) რაც გამოხატავს მძიმე დაშავებას განსაკუთრებით სახის არეში. აღნიშნული მეტაფორის საფუძვლები, ჩვეულებრივ, მივიწყებულია ხშირი გამოყენების შედეგად. უფრო მკაფიოდ რომ განვმარტოთ, მეტაფორები დროთა განმავლობაში „ლექსიკალიზდება“ და ჩანს ისე, თითქოს ის უფრო ლიტერატურული მნიშვნელობისაა, ვიდრე მეტაფორული. (Goatly 1997)

ამასთან ერთად, სამივე ენას აქვს გადგმული თავისი ფესვები სამ სხვადასხვა კულტურაში და შესაბამისად, ამ კულტურების წარმომადგენელი ადამიანები სხვადასხვა კოგნიტიურ მოდელებს იზიარებენ. ინგლისური და ქართული ენების იდიომატურ გამოთქმებში ფერის მეტაფორები საკმაოდ განსხვავდება ჩინური ენის მეტაფორებისგან. ინგლისელი, ჩინელი და ქართველი ხალხი ხშირად იყენებს სხვადასხვა ფერს იმისათვის,

რომ გამოხატოს ერთი და იგივე მეტაფორული მნიშვნელობა. განვიხილოთ მოყვანილი მაგალითები ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

**ცხრილი № 2.** სხვადასხვა ფერის ტერმინი სამ ენაზე, რომელიც გადმოსცემს ერთსა და იმავე მეტაფორულ მნიშვნელობას:

მეტაფორული მნიშვნელობა	ინგლისური ფერის ტერმინი	ჩინური ფერის ტერმინი	ქართული ფერის ტერმინი
სიმშვიდე სიწმინდე	White	紅	თეთრი
გამოუცდელობა	Green	白	0
დეპრესია	Blue	灰	ნაცრისფერი

ამასობაში, სამივე ენის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ინგლისურ, ჩინურ და ქართულ ენებზე გამოიყენება სხვადასხვა ფერის ტერმინოლოგია ერთი და იგივე მეტაფორული მნიშვნელობის გამოსახატავად.

მოკლედ რომ ვთქვათ, მოცემულ თავში მოყვანილი მაგალითები წარმოადგენს ფერის მეტაფორების ობიექტურ და სისტემატურ ასახვას იდიომში. ფერების მეტაფორების შედარება ინგლისურ, ჩინურ და ქართულ იდიომატურ გამოთქმებში ამჟღავნებს კოგნიტიური მოდელების მსგავსებებს სამივე ენის კულტურაში. როგორც აღვნიშნეთ,

კოგნიტიური მოდელი არის კონკრეტულ სფეროში გამოცდილებისა და დაგროვილი კონტექსტების შეჯამება. (Schmid and Ungerer 1996: 58–60)

ერთი მხრივ, ყველა ადამიანი საერთო სამყაროში ცხოვრობს და ჩვენი აღქმის ფიზიკური მექანიზმი ძირითადად საერთოა. აქედან გამომდინარე, გარკვეულ სფეროებში ჩვენ მიერ დაგროვილი გამოცდილება რაღაც მხრივ ერთმანეთის თანხვედრაშია. მაგალითად, შავი მეტაფორები ძირითად შემთხვევაში სამივე ენაზე მუდამ ნეგატიური კონტექსტის მატარებელია, როდესაც აღწერს ფსიქოლოგიურ თვისებებს. სხვადასხვა ეროვნების ადამიანებს ბუნებრივად აქვთ თავბრუსხვევის ერთნაირი შეგრძნება: ჩვენ ყველა ვგრძნობთ, რომ თვალწინ ყველაფერი შავდება, ამიტომ შავი ფერი სამივე ენაზე გამოიყენება იდიომში მეტაფორული მნიშვნელობით - თავბრუსხვევა, როგორსაც წარმოადგენს იდიომი “Go black” (გაშავება) ინგლისურში, “昏天黑地” (hūn tiān hēi dì) ჩინურში, „თვალთ დამიბნელდა“- ქართულში. მეორე მხრივ, ფერების მეტაფორები არსებობენ თავისთავად, გარკვეულ დონეზე, ჩვენი გამოცდილების და ენის გავლენის შედეგად მიღებული, ასე რომ სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ადამიანები სხვადასხვანაირად ფიქრობენ და სხვადასხვა მეტაფორით გამოხატავენ აზრს. როგორც რობერსონი (Roberson 2005:58) აღნიშნავს, „სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე ადამიანებს ახასიათებთ დიფერენციაციის სხვადასხვა თვისება და ერთი და იგივე ფერის სხვადასხვანაირად აღქმა. როდესაც ინგლისელი ან ქართველი ადამიანი ხედავს წითელ ფერს, ღიზიანდება და მას შეიძლება წარმოუდგეს თვალწინ სიბრაზე ან სისასტიკე, ასე რომ ნეგატიური მნიშვნელობის მქონე წითელი მეტაფორები დომინირებენ წითელი იდიომის ჯგუფში. ამის საპირისპიროდ ჩინელ ხალხს სწამს, რომ წითელი არის წარმატებისა და პოპულარობის მომტანი სიმბოლო და აქედან გამომდინარე, წითელი მეტაფორები ძირითადად პოზიტიურ მნიშვნელობას ატარებენ ჩინურ ენაში.

### 3.4 ინგლისურ და ჩინურ იდიომატურ გამოთქმებში არსებული საბაზისო ფერების

#### შედარებითი კვლევა

მოგეხსენებათ, რომ ბუნებრივ გარემოს გააჩნია ფერები, ყველა ენას კი მსოფლიოში გააჩნია საკუთარი ფერთა შესატყვისი/ტერმინი. ამ ფერთა ტერმინებს შორის არსებობს განსაკუთრებული ნაწილი, რომელიც საბაზისო ფერების სახელით არის ცნობილი. ინგლისურ ენაში 11 საბაზისო ფერთა ტერმინი არსებობს: შავი, თეთრი, წითელი, მწვანე, ყვითელი, ლურჯი, ყავისფერი, იისფერი, ვარდისფერი, ნარინჯისფერი და ნაცრისფერი. რაც შეეხება ინგლისურსა და ჩინურს, მათ ცხრა საერთო საბაზისო ფერთა ტერმინი აქვთ.

მოცემულ ქვეთავში, შედარებითი კვლევის საფუძველზე, ყურადღებას გავამახვილებთ საბაზისო ფერთა ტერმინების მეტაფორულ მნიშვნელობებზე, რომელიც ემყარება ჩინელი ლინგვისტის გვეიმეი ხეს ლინგვისტურ მონაცემებს. (Guimei He 2011)

ჩვენი კვლევის ერთ-ერთი მიზანია ინგლისური და ჩინური ფერთა მეტაფორების გამოყენების მსგავსებისა და განსხვავებების შესწავლა.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად გამოვიყენეთ კვლევის ორი მეთოდი:

1. ზოგადად ფერების ტერმინების შესწავლა
2. ინგლისური და ჩინური ფერთა ტერმინების შესწავლა–შედარება

დასავლეთის ქვეყნებში ფერთა ტერმინების კვლევას დიდი ხნის ისტორია გააჩნია. დაახლოებით 2500 წლის წინ ფერი სისტემატურად შეისწავლებოდა როგორც ძირითადი შემეცნებითი სფერო. არისტოტელე მიიჩნევდა, რომ მარტივი ფერები დაკავშირებულია ძირითად ელემენტებთან ფიზიკურ სამყაროში და ფერთა ბუნების მიხედვით მარტივი ფერები „შავისა“ და „თეთრის“ სინთეზს წარმოადგენენ. 1666 წელს, ნიუტონმა თანმიმდევრულად გამოარჩია 6 ფერი: წითელი, ნარინჯისფერი, ყვითელი, მწვანე, ლურჯი და იისფერი. შეიძლება ითქვას რომ ფერთა სიმრავლემ ბევრ მკვლევარს მისცა მათი შესწავლის სტიმული. 1962 წელს ეთნოლოგებმა ბრენტ ბერლინმა და პაულ კეიმ საბაზისო ფერების ტერმინებთან დაკავშირებით წიგნი გამოსცეს. მათ კვლევის საფუძველზე აჩვენეს მტკიცებულებები, რომ ხალხი ფერთა კატეგორიზაციისთვის ფოკუსურ ფერებს ეყრდნობა. შესაბამისად, აღნიშნული ფოკუსური ფერები საბაზისო

ფერთა სიტყვებიდან წარმოიქმნა ენებში. ბერლინმა და კეიმ 98 ენა მოიშველიეს და აღმოაჩინეს რომ საბაზისო ფერთა ტერმინები და მათი გამოხატულებები დაახლოებით 11 ძირითადი ფერიდან მოდის:

შავი	მწვანე < ყვითელი	იისფერი
< წითელი <	ლურჯი < ყავისფერი <	ვარდისფერი
თეთრი	ყვითელი < მწვანე	ნარინჯისფერი
		ნაცრისფერი

ეს გამოსახულება გვეუბნება, რომ თუკი ენას მხოლოდ ორი ფერის სიტყვა გააჩნია, ისინი უნდა იყოს შავი და თეთრი; თუკი ენას მესამე ფერი გააჩნია, ის წითელი იქნება; თუკი მეოთხე ფერი აქვს, ის მწვანე ან ყვითელი იქნება და დანარჩენი ანალოგიით შეიძლება გამოიყოს. (Berlin, B&P. Kay 1962)

80-90-იან წლებში ფერთა ტერმინების კვლევა პიკს მიუახლოვდა. ცინხუას უნივერსიტეტის პროფესორმა იანგ იონგლინმა ფერთა გამოყენების სისტემაში დიდი კვლევა ჩაატარა. ფერთა ტერმინის სისტემას გააჩნია საკმაოდ განსხვავებული კულტურული კონოტაცია, რაც ტერმინთა სრული სისტემის შესწავლისთვის ბევრ მკვლევარს უხსნის გზას.

როგორც უნივერსალური ფენომენი, ფერი ადამიანის გამოცდილების მნიშვნელოვანი ნაწილია და ყოველდღიურ ცხოვრებაშიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ადამიანები ფერებს საკუთარი გაგებისა და ფიქრების გადმოსაცემად იყენებენ.

ფერთა მეტაფორების შედარებითი კვლევის ჭრილში განვიხილოთ ინგლისურ-ჩინური მაგალითები:

მაგ.: 1. “He is black hearted”

პირველ წინადადებაში მოცემული ფერი პირდაპირი მნიშვნელობით არ უნდა გავიგოთ, აქ მეტაფორულ შედარებას აქვს ადგილი. “Black hearted” ნიშნავს ბოროტს, უარყოფითს.

ქართულში მას „შავგულა“ შეესაბამება. განვიხილოთ უფრო მეტი მაგალითი: “A black day”; “A black sheep” and “a black look”. “A black sheep” როგორც ზემოთ თავში აღვნიშნეთ, ოჯახის იმ წევრს გულისხმობს, რომელიც სამარცხვინოდ გამორჩეულია დანარჩენებისგან.

“红” - წითელი და “白” - თეთრი მიუთითებენ განსხვავებულ შემთხვევებზე ჩინეთში. შემთხვევებს არ აქვთ ფერები, მაგრამ ჩინეთში წითელი ფერი მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ეს ფერი ასოცირდება ქორწილთან, ბედნიერებასთან. ჩინურ კულტურაში, თეთრი სამგლოვიარო ფერია, აქედან გამომდინარე “白事” დაკრძალვას ნიშნავს.

2. “He was blue over his dismissal”

3. “黄色电影”

მეორე მაგალითში ფერი ლურჯი მარტივად აღსაქმელია. ინგლისურ ენაში აღნიშნული ფერი ასოცირდება ცუდ შეგრძნებებთან. “Having the blues” ნიშნავს მოწყენილ, მოღუშულ, დეპრესიულ ხასიათს. მესამე წინადადებაში “黄色电影”, ყვითელი ფერი გამოხატავს პორნოგრაფიულ ფილმს. ამ თვალსაზრისით, ფერთა მეტაფორების შედარებითი კვლევა ძალიან სასარგებლოა ენობრივი ბარიერების გადალახვისთვის.

ჩვენ ვცხოვრობთ ფერთა სამყაროში, ლურჯი ცა, მწვანე ხე, ოქროსფერი მზე და ა.შ. რომელბიც ქმნიან ჩვენს გარემოს. როდესაც ვიყენებთ ფერებს რაღაცის გამოსახატავად, ჩვენ მივმართავთ მეტაფორას. თითოეული ფერის ტერმინის მეტაფორული გამოყენების მიხედვით, მთავარი ფერის კონცეპტუალური მეტაფორები შეიცავენ მსგავსებასა და განსხვავებას ინგლისურსა და ჩინურ ენებს შორის. აქ განვიხილავთ 5 საბაზისო ფერს, რადგან ეს ის ფერებია, რომლის მაგალითებიც ორივე ენაში უხვად გვხვდება.: black და 黑, white და 白, red და 红, yellow და 黄, blue და 蓝.

1.Black და 黑 (hei)

ადამიანებისთვის შავი ფერი სიბნელის სიმბოლოს წარმოადგენს. უკანონო ქმედებები ძირითადად სიბნელეში ხდება. “Black money” ჩინურად “黑钱”-ს ნიშნავს, რაც არალეგალურად მოპოვებულ ფულს გულისხმობს, ქართულშიც შევეუსაბამებთ ანალოგიური მნიშვნელობით გამოთქმას „შავი ფული“. ინგლისურად “Black future”

გულისხმობს უიმედო მომავალს, რაც ანალოგიურად გადმოდის ჩინურ ენაში “你的前途很黑暗”. ჩინურ ენაში შავი ფერი ხშირად ასოცირდება ცუდ ხარისხთან, რაც დაკავშირებულია სამინელ, ბოროტ და არალეგალურ მნიშვნელობასთან. “黑手” სადაც “黑” ნიშნავს მემბოხეს, ადამიანს რომელიც მანიპულირებს სხვა ადამიანით. შავი ფერი ინგლისურშიც და ჩინურშიც ასევე გამოხატავს აღშფოთებას, გაჯავრებას. “A black look” ინგლისურად ნიშნავს გაბრაზებულ სახეს და ჩინურ ენაზეც მოიპოვება მისი ეკვივალენტური შესატყვისი “黑面”, “黑着脸”. ინგლისურ ენაში არსებობს გამოთქმა “Black Friday”, რომელსაც რამდენიმე მნიშვნელობა აქვს, მაგალითად ნიშნავს ფასდაკლებას ან ფასების ლიკვიდაციას, ასევე მიუთითებს უბედურ დღეზე და ჯვარცმის დღეზე ქრისტიანებისთვის. მიუხედავად ამისა, ბიზნეს ინგლისურში შავ ფერს დადებითი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს. მაგალითად ფრაზები “In the black” და “Black figure” მიანიშნებს მომგებიანი ბიზნესის წარმოებაზე. ჩინურ ენაში ტერმინს “黑” გააჩნია განსაკუთრებული კონოტაციები. “黑五类”, სადაც შედის მემამულეები, მდიდარი გლეხები და ა.შ. თანამედროვე ჩინურში კი “黑马” ნიშნავს მოულოდნელ გამარჯვებას.

## 2. White და 白(bai)

თეთრი ფერი თოვლის ფერია. ინგლისურში, ჩინურსა და ქართულ ენებში თეთრი ფერი სისუფთავესთან ასოცირდება. დასავლურ კულტურაში ადამიანებს სწამთ, რომ იესოსა და მის ანგელოზებს თეთრი ფერის სამოსი მოსავთ, ასე რომ ქრისტიანობაში თეთრი ფერი სიწმინდესთან ასოცირდება. “White spirit” გულისხმობს ისეთ ადამიანს, რომელსაც სუფთა გული აქვს და ყოველთვის კეთილ საქმეს ემსახურება. ჩინურში მოვიპოვეთ ანალოგიური მნიშვნელობის მატარებელი გამოთქმა, სადაც თეთრ ფერს პოზიტიური დატვირთვა აქვს. მაგალითად, “He is white-handed”, რაც ნიშნავს პატიოსან და უდანაშაულო ადამიანს. ჩინურად მისი ანალოგია “他是清白无辜的”.

ინგლისურ ენაში “A white elephant” ნიშნავს საკუთრებას, რომელიც უსარგებლოა და ხშირად ძვირად შესანახი და აქ “White” უსარგებლოს მნიშვნელობით გამოიყენება. ჩინურ ენაშიც გვაქვს მსგავსი მნიშვნელობა “白说”, “白做”, რაც გამოუსადეგარს,

უსარგებლოს ნიშნავს. ძველად, ჩინურ ენაში “白衣” გამოიყენებოდა გაუნათლებელის მნიშვნელობით. პეკინის ოპერაში ნიღბის ფერებიდან თეთრი ფერი “唱白脸” გამოხატავს ეშმაკ, მელაკუდა და მლიქვნელ ადამიანს.

### 3. Red და 红 (hong )

წითელი ფერი სამხიარულო ფერს წარმოადგენს. ჩინურ სამყაროში მას ძალიან დიდი დატვირთვა აქვს, ის ბედნიერების გამომხატველი ფერია. გამოთქმა “红喜事” ნიშნავს ქორწილს, რადგან წითელი ბედნიერი შემთხვევების ფერია. დასავლეთის ქვეყნებში, წითელი ცეცხლისა და სისხლის ფერია. ინგლისურ ენაში წითელი ფერი ბევრ შემთხვევაში გამოიყენება გაფრთხილების ნიშნად.

ასევე გვხვდება შემდეგ კონტექსტშიც “To become red-faced” ნიშნავს გაბრაზებული ან დარცხვნილი ადამიანის გამომეტყველებას.

ჩინურ ენაში “红区”, “红色政权” დაკავშირებულია რევოლუციასთან. ინგლისურ ენაზე “Be in the red” ნიშნავს ვალში ყოფნას, პირიქით თუკი გამოვიყენებთ აღნიშნულ გამოთქმას “He is out of the red”, მივიღებთ მნიშვნელობას იმისას, რომ მას არ აქვს ვალი. ჩინურ ენაზე “赤字” აქვს ანალოგიური მნიშვნელობა, რაც გამოთქმას “Be in the red” გულისხმობს. ჩინურ ენაში წითელი ფერი ახლოს არის მანდილოსნებთან, რამდენადაც ძველად ჩინელ ქალებს მოსწონდათ წითელ ფერებში გამოწყობა “红颜”, “红妆”, “红粉佳人”. ინგლისურ ენაში კი უფრო ხშირად ვარდისფერით გამოიხატება ლამაზი ქალის ან ნამდვილი მანდილოსნის სახე.

### 4. Yellow და 黄(huang)

ყვითელი არის ნათელი, მზიანი, კაშკაშა ფერი. ინგლისურსა და ჩინურში უფრო ხშირად აღნიშნულ ფერთა ასოციაციები ემთხვევა და დადებით მნიშვნელობას იძლევა. მაგალითად ინგლისურ ენაში “Yellow boy” ოქროს მნიშვნელობით გამოიყენება, ჩინურში კი იგი ჟღერს როგორც “黄金”. ინგლისურ ენაში ყვითელი ხშირად გამოიყენება სარედაქციო კომენტარში არაკეთილსინდისიერი სტილის ან სენსაციური წესით



ჩვეულებრივი ამბების წარსადგენად. "ყვითელი პრესა" აღნიშნავს გაზეთს, რომელიც შეგნებულად შეიცავს სენსაციურ საინფორმაციო საშუალებებს მკითხველის მოზიდვის მიზნით. ბევრ ამერიკულ ოჯახში წააწყდებით მოზრდილ, სქელტანიან წიგნს სახელწოდებით "Yellow Page", მაგრამ ეს არ არის "黄色书" ჩინური მნიშვნელობით, არამედ "黄页". ეს არის სხვადასხვა მაღაზიის, ბიზნეს-ორგანიზაციის, სატელეფონო ნომრების წიგნი, რომელიც სხვადასხვა კატეგორიის მიხედვით არის დალაგებული.

ჩინურ ენაში ხუთი ელემენტის თეორიის მიხედვით, ფერი "黄" (ყვითელი) ყვითელი „დედამიწის“ სიმბოლოა ფერია, რომელიც სამყაროს ცენტრში დგას და კეთილშობილებისა და სიმდიდრის ფერად ითვლება. ასევე "黄"-ს აქვს "皇"-ის მსგავსი ალიტერაცია, ეს უკანასკნელი კი იმპერატორს ნიშნავს. აქედან გამომდინარე, ყვითელი ფერი საიმპერატორო ძღვევამოსილების გამომხატველი ფერია. ინგლისურ ენაში ამ მხრივ სამეფო ფერი იისფერია. ყვითელი ჩინურ ენაში ასევე მარცხს, დაშორებასაც ნიშნავს. მაგალითად "我和他黄了" ნიშნავს "He and I broke up".

## 5. Blue და 蓝(lan)

ლურჯი ფერის მეტაფორა ინგლისურსა და ჩინურ ენებში მცირეა. ლურჯი არის ბუნებრივი ფერი. ლურჯს მოაქვს სიმშვიდისა და მობილიზების შეგრძნება, იგი ცის ფერია. ჩინურ ენაში ლურჯის ეკვივალენტური შესატყვისებია "蓝" ან "青".

“炉火纯青” [lú huǒ chún qīng] (სიტყვასიტყვით: ღუმელის ცეცხლი გალურჯდა)

„ლურჯი ცეცხლი“ გამოიყენება ცოდნის, უნარ-ჩვევების ან მეთოდების სრულყოფის მისაღწევად. მაგალითად: “你的钢琴技巧已经炉火纯青了” (nǐ de gāng qín jì qiāo yǐ jīng lú huǒ chún qīng le) (Your piano skills are perfect) „შენი საფორტეპიანო უნარები სრულყოფილია“.

ინგლისურად ლურჯი ჩვეულებრივ ასოცირდება მწუხარებისა და დეპრესიის განცდასთან. თუკი ვამბობთ რომ “He is in a blue mood” ან “He has the blues”, ნიშნავს რომ ის ან მოღუშულია ან დეპრესიულ მდგომარეობაშია. “A blue Monday” რაც გულისხმობს

სამსახურის პირველ დღეს ან განტვირთული უქმეების შემდეგ სკოლის დაწყების პირველ დღეს.

ინგლისურ ენაში ლურჯი საყოველთაოდ განიხილება როგორც მამაკაცის ფერი. მაგალითად, პოლიციელებსაც ლურჯი ფერი აცვიათ, ეს ფერი ასევე მაღალი სოციალური პოზიციის მაჩვენებელი ფერია. მაგალითად, ცისფერსისხლიანიო როდესაც იტყვიან, იგულისხმება რომ ის არისტოკრატიული ოჯახის წევრია. ამერიკულ ინგლისურში “Blue book” არ ნიშნავს ლურჯ ყდიან წიგნს, არამედ იგი ცნობილი ადამიანების, განსაკუთრებით ხელისუფლების წარმომადგენლების სახელებს გულისხმობს.

ფერი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ხალხის ყოველდღიურ ცხოვრებასა და კულტურათაშორის კომუნიკაციაში. ჩვენ ჩავატარეთ ინგლისური და ჩინური საბაზისო ფერების შედარებითი კვლევა, რათა მათი გამოყენების მნიშვნელობითა და კულტურული ფონის ანალიზის გზით გავერკვეთ მათ მსგავსებებსა და განსხვავებებში, მაგრამ მაინც არსებობს შეზღუდვები, უპირველეს ყოვლისა, სამყაროში ბევრი ფერის ტერმინი არსებობს და შეუძლებელია ყველა მათგანის შედარება. მიმდინარე თავში ჩვენ ვფოკუსირდით მხოლოდ ხუთი საბაზისო ფერის ტერმინზე, რადგან ინგლისურ და ჩინურ ენებში აღნიშნული ხუთი ფერის (შავი, თეთრი, წითელი, ყვითელი, ლურჯი) მაგალითები სხვა დანარჩენ ფერთან შედარებით უხვად გვხვდება. მეორე საკითხი გახლავთ ის, რომ ინგლისურსა და ჩინურში ფერთა ტერმინების გამოყენებით ბევრი გამონათქვამია, რასაკვირველია ყველას ჩამოთვლა ფიზიკურად შეუძლებელია, მაგრამ აქ განხილული მაგალითები სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ ვიპოვოთ მსგავსება-განსხვავებები ორი ენის მოცემულ რეგისტრში და უფრო მეტიც, გავიგოთ კულტურებს შორის დამოკიდებულება, მსგავსება, რაც რეალურად არსებობს.

### 3.4.1 წითელი ფერის განმარტების მსგავსება-განსხვავება ინგლისურ, ჩინურ და ქართულ იდიომატურ გამოთქმებში

ახლა განვიხილოთ წითელი ფერის დატვირთვა ინგლისურ, ჩინურ და ქართულ იდიომატურ გამოთქმებში. წითელი ფერი, “Red” და “紅” სამივე მოცემულ ენაში გამოხატავს როგორც მსგავს მეტაფორულ მნიშვნელობებს, ასევე განსხვავებულ დატვირთვას გადმოგვცემს განსხვავებულ კონტექსტში. უპირველეს ყოვლისა, განვიხილოთ მსგავსი სახის მნიშვნელობების იდიომატური გამოთქმები წითელ ფერთან მიმართებაში. როგორც აღვნიშნეთ, წითელი ფერი ყოველთვის ასოცირდება სითბოსთან და ბედნიერებასთან. მაგალითად, ისეთი დღესასწაული როგორც არის შობა და იდიომატურად მას უწოდებენ “Red-letter days”, კალენდარში აღნიშნულია სადღესასწაულო წითელი ფერით და არა შავით. (LDEI 1979:86) მსგავსი დადებითი მნიშვნელობის მატარებელია წითელი ფერი ჩინურ იდიომატურ გამოთქმაშიც: “紅白喜事”, რაც ინგლისურად ჟღერს როგორც “Wedding ceremonies and funerals”, სადაც სიტყვა ქორწილი ასოცირდება ჩინურ წითელ ფერთან და არის დადებითი და პოზიტიური განწყობის მატარებელი.

სამი ქვეყნის განსხვავებული კულტურიდან გამომდინარე, ფერებს ასევე აქვთ განსხვავებული მეტაფორული დატვირთვა. მაგალითად, ინგლისურ და ქართულ ენებში წითელი ფერი შეიძლება გამოხატავდეს გაჯავრებას, გაღიზიანებას. არსებობს ასეთი იდიომატური გამოთქმა “See red”. (LDEI 1979: 269) განვიხილოთ მსგავსი ემოციური ფონის ქართული იდიომატური გამონათქვამები „წითელ ბაწარს შეაბამს” – (ყელს გამოჭრის, სიცოცხელს გამოასალმებს); „წითელ მამალს ააფრენს” – (ცეცხლს წაუკიდებს, გადაწვავს); „წითელ პერანგს უკერავს” – (ჯავრობს ვინმეზე, წყრება ვინმეზე. წითელი ფერი ასევე შეიძლება გამოხატავდეს ვინმესთვის სიამოვნების მინიჭებას, ვინმეს გულის მოგებას, მაგ.: „წითელ კვერცხს უგორებს” – (ცდილობს ვინმეს ასიამოვნოს, მისი გულის მოგებას ცდილობს).

როგორც აღვნიშნეთ, წითელი ფერი ასევე შეიძლება გვთავაზობდეს შემდეგ მნიშვნელობებს: ვალსა და დანაკლისს. განვიხილოთ შემდეგი მაგალითი: “Sales began to drop and the company was soon in the red”. “In the red” გამოიყენება დანაკლისის

მნიშვნელობით. ჩინურ ენაში ჩვენ ვიყენებთ “赤字” (chizi) “Red word” რაც ასევე გამოხატავს დანაკლისს, წაგებას. “赤” ნიშნავს წითელს, რომელიც ალტერნატიული ტერმინია “红”-ის, ეს გამოხატულება ნასესხებია ინგლისური ენიდან და ჩინელები ძალიან აქტიურად იყენებენ ამ აღნიშვნას იდიომატურ გამოთქმებში.

წითელი ფერი ასევე შეიძლება გამოხატავდეს შიშს, საფრთხის მოახლოებას. აღნიშნული ფერი ხშირად და ადვილად იქცევა გარშემომყოფების ყურადღებას, აქედან გამომდინარე ამ ფერით რიგ შემთხვევაში გამოხატავენ გაფრთხილებას.

წითელი ფერი შიშის, მოსალოდნელი საფრთხის მნიშვნელობით ჩინურ იდიომატურ გამოთქმებშიც გვხვდება, მაგალითად, ამინდის პროგნოზირების დროს, წითელ ფერს იყენებენ მოსალოდნელი საფრთხის, შტორმის, ცუნამის ან ძლიერი ქარის დროს.

წითელი ფერი შეიძლება წარმოდგენილი იყოს იდიომატურ გამოთქმებში სიტბოს მნიშვნელობით. წითელ ფერსა და მზეს შორის ასოციაციამ ინგლისელები მიაჩვია შემდეგი იდიომატური გამოთქმის გამოყენებას: “The red carpet”. პირდაპირი მნიშვნელობით აღნიშნული გამოთქმა გულისხმობს სუფთა და წითელი ხალიჩის დაგებას ვინმესთვის, მაგრამ მეტაფორული მნიშვნელობით გულისხმობს გულთბილ დამოკიდებულებას ვინმესადმი.

ჩინურ ენაში წითელი ფერი ატარებს შემდეგ მეტაფორულ დატვირთვას: უფლებას, სამართლიანობას, წარმატებასა და პოპულარობას. ჩინელები ფიქრობენ, რომ წითელი ფერი ასოცირდება მზესთან, რომელიც სინათლეს გვამღევეს, სამართლიანად ახშობს სიბნელეს. აქედან გამომდინარე, ჩინურ ენაში მზე ასოცირდება სამართლიანობასთან. მაგალითად, ჩინელებს აქვთ ასეთი სახის იდიომატური გამოთქმა: “不分青红皂白” (bu fen qing hong zao bai). მოცემული იდიომატური გამოთქმა გულისხმობს სამართლიანობასა და უსამართლობას შორის განსხვავების გაკეთების შეუძლებლობას.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, წითელი ფერი გვთავაზობს წარმატებისა და პოპულარობის მნიშვნელობას. მაგალითად, ჩინელებს აქვთ შემდეგი იდიომატური გამოთქმა: “大红大紫”, რაც ნიშნავს ძალიან პოპულარულსა და წარმატებულს. იქიდან

გამომდინარე რომ წითელი ჩინურ კულტურაში ბედნიერების, ბარაქის, წარმატების მომტანი ფერია, შესაბამისად უმეტეს შემთხვევაში ასოცირდება პოზიტიურ გარემოებებთან.

### 3.4.2 თეთრი ფერის განმარტების მსგავსება-განსხვავება ინგლისურ, ჩინურ და ქართულ იდიომატურ გამოთქმებში

ფერები „თეთრი“ და „შავი“ უფრო ხშირად გამოიყენება მეტაფორული დატვირთვით ორივე ენაში. მაგალითად, ფერის ტერმინი „თეთრი“ ინგლისურში, ჩინურსა და ქართულში ხშირად ასოცირდება სიწმინდესთან და სისუფთავესთან. ასევე ხშირად გვხვდება „სიცარიელის“ მნიშვნელობით, რაც სიღარიბეს გულისხმობს. მაგალითად, ჩინელებს აქვთ გამოთქმა “白手起家”, რაც ნიშნავს სიღარიბეში ყოფნას. ინგლისურ ენაშიც მოიპოვება მსგავსი სახის გამოთქმა “Bleed white”, რაც ნიშნავს ფულთან მიმართებაში „დახარჯვას“.

აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ თეთრსა და შავ ფერს აქვთ კონტრასტული ვიზუალური მხარე, ამიტომ ისინი ყოველთვის ასოცირდება ჭეშმარიტებასა და მცდარობასთან, სამართლიანობასა და უსამართლობასთან. მაგალითად, ინგლისურ ენაში არსებობს ასეთი სახის გამოთქმა “To separate from black and white”, რაც ნიშნავს გააკეთო სწორი არჩევანი ჭეშმარიტებასა და მცდარობას შორის, ქართულში შეგვიძლია შევუსაბამოთ შემდეგი გამონათქვამი: „გაკეთო არჩევანი თეთრსა და შავს შორის“ ანუ მიხვდე განსხვავებას სწორსა და მცდარობას შორის. ჩინურშიც მოგვეპოვება სინონიმური იდიომატური გამოთქმა, მაგალითად “黑白分明”, რაც ნიშნავს იპოვო განსხვავება თეთრსა და შავს შორის, ანუ განსხვავება კარგსა და ცუდს შორის.

განვიხილოთ მაგალითი, სადაც ფერის ტერმინი „თეთრი“ მეტაფორული დატვირთვით არის წარმოდგენილი:“白費唇舌”(baifei chun she) რაც ნიშნავს ყბედობას, უმიზნო და არაფრის მომტან საუბარს, სადაც გამოყენებული ფერის ტერმინი 白

გამოყენებულია „უსარგებლო“-ს მნიშვნელობით. ინგლისურ ენაშიც მოგვეპოვება სინონიმური მეტაფორული გამოთქმა, მაგრამ აქ ფერი არ არის მოცემული “Speak to the wind” - „ქარს ელაპარაკო“, რაც გულისხმობს უშედეგო კამათსა და საუბარს.

სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებს აქვთ განსხვავებული აღქმა ფერთა მიმართებაში. მაგალითად, არსებობს ასეთი ინგლისური გამოთქმა “White lie”, რაც ნიშნავს დადებით, კეთილ ტყუილს, რომელიც არ ითვალისწინებს ვინმეს რეალურად მოტყუებას, გამოიყენება მძიმე მდგომარეობის განსამუხტად. ტერმინი “White” ამ შემთხვევაში ატარებს დადებით მეტაფორულ მნიშვნელობას. (LDEI 1979:195) ქართულად მისი ანალოგია „კეთილი ტყუილი“.

ახლა განვიხილოთ თეთრი ფერი იდიომატურ გამოთქმებში, როგორც დამარცხებისა და წარუმატებლობის ნიშანი. მაგალითად, ძველად, საომარი მდგომარეობის დროს, თეთრი ფერის დროშა ითვლებოდა დამარცხების სიმბოლოდ და მისი აღმართვა ხდებოდა იმ მხარის მიერ, რომელიც ომში დამარცხდებოდა. იდიომატური გამოთქმა “Show the white flag” ნიშნავს დამარცხების აღიარებას, რაც ჩვენთვის კარგად ნაცნობი „თეთრი ფერის დროშის აღმართვაა“. ჩინურ იდიომატურ გამოთქმებშიც გვხვდება თეთრი ფერის ვარიაცია აღნიშნულ კონტექსტში, მაგალითად: “白旗”, რაც ნიშნავს თეთრ დროშას და გვთავაზობს იმავე მნიშვნელობას, რაც ინგლისურსა და ქართულ მაგალითებში განვიხილეთ, მხოლოდ უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ აღნიშნული იდიომატური გამოთქმის მსგავსი სახით გამოყენება იშვიათად გვხვდება.

განსხვავებულმა გამოცდილებამ და ტრადიციამ „თეთრ“ ფერს შესძინა საპირისპირო მნიშვნელობები. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თეთრი ფერის მნიშვნელობა გულისხმობს დამარცხების, წარუმატებლობის სიმბოლოს, ამის პარალელურად თეთრი ფერი გვევლინება როგორც წარმატების სიმბოლო. ასევე შეიძლება გამოხატავდეს მოწყალების, კმაყოფილების მნიშვნელობას. მაგალითად, ქრისტიანულ სარწმუნოებაში იესო და მისი ანგელოზები შემოსილები არიან თეთრ ფერებში, ასე რომ თეთრი ფერი გამოხატავს დადებით განწყობას. როგორც ზემოთ თავში მოგახსენეთ, ისტორიული ცნობებით ფიქსირდება, რომ ძველად რომაელები იყენებდნენ თეთრი ფერის ქვას ან ცარცს, რომლითაც აღნიშნავდნენ ნაყოფიერ დღეს კალენდარზე. არსებობს კიდევ ასეთი სახის

იდომატური გამოთქმა “White moment of life”, რაც გულისხმობს ცხოვრების საუკეთესო დღეებს. (Cao 2009:153)

“白” ანუ თეთრი ფართოდ გამოიყენება ჩინურ იდომატურ გამოთქმებშიც. ამ შემთხვევაში განვიხილავთ თეთრი ფერის გამოყენებას ჩინურ იდომატურ გამოთქმებში სამი განსხვავებული მეტაფორული დატვირთვით. მაგალითად, თეთრი ფერი ჩინურ გამოთქმებში გამოხატავს სიცხადეს, ჭეშმარიტებას. ჩინელებს აქვთ ასეთი სახის იდომატური გამოთქმა “不明不白”, რაც ნიშნავს რომ აზრი გაუგებარია ანუ არ არის სუფთა, ცხადი.

თეთრი ფერი გამოუცდელსაც გულისხმობს ჩინურ იდომატურ გამოთქმებში, რაც თეთრი ფერის კანთან არის დაკავშირებული. ჩინელებს შედარებით თეთრი ფერის კანის მქონე მოსწავლეები წარმოედგინათ როგორც გამოუცდელი პიროვნებები, რადგან მიაჩნდათ რომ, კანის სითეთრიდან გამომდინარე ისინი შინ ჩაკეტილები მეცადინეობდნენ და არ ჰქონდათ კომუნიკაცია გარესამყაროსთან, აქედან წარმოიშვა ჩინური გამოთქმა “白面书生”, რაც გულისხმობს ცხოვრებაში გამოუცდელ მოსწავლეს. ქართულ ენაში თეთრი ფერის ტერმინის შემცველ შემდეგ იდომატურ გამოთქმებს ვხვდებით: „თეთრ კბილს უჩვენებს” – (პირფერობს, ფარისევლობს); „ღამის თეთრად გათენება” – ( უძილო ღამე); „თეთრი ფული” – (ვერცხლის ფული).

### 3.4.3 შავი ფერის განმარტების მსგავსება-განსხვავება ინგლისურ, ჩინურ და ქართულ იდომატურ გამოთქმებში

ახლა კი განვიხილოთ შავი ფერის ვარიაცია იდომატურ გამოთქმებში. როგორც მოგეხსენებათ, შავი ფერი საშიშ და ამოუცნობ გარემოსთან ასოცირდება. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, აღმოჩენილია რამდენიმე მსგავსი მეტაფორული მნიშვნელობის მქონე გამოთქმა ინგლისურ, ჩინურ და ქართულ ენებში. შავი ფერი ასოცირდება თავბრუსხვევასთან. როდესაც ადამიანს თავბრუსხვევის შეგრძნება აქვს, თვალებში

უბნელდება და ყველაფერი მუქი ფერის ხდება. ეს უნივერსალური ფიზიკური შეგრძნება ორივე ენაში, ინგლისურში, ჩინურსა და ქართულში ერთსა და იმავე ფერით არის გამოხატული. მაგალითად: “Something went black”. მსგავსი სახის იდიომატური გამოთქმა ჩინურშიც გვაქვს, მაგალითად: “昏天黑地” რაც ინგლისურად ასე ჟღერს “Feel dizzy and dimmed in eyesight”, რაც ქართულში ჩვენთვის კარგად ნაცნობი გამოთქმაა „თვალეებში დაუბნელდა”.

შავი ფერი, როგორც ზემოთ თავებში მოგახსენეთ, სამივე ენაში წარმოგვიდგება როგორც ბოროტებისა და ნეგატიურობის სიმბოლო. შავი ასევე შეიძლება გამოხატავდეს უბედურებას, მარცხს. მაგალითად, ინგლისურ კულტურაში, გარკვეულ რეგისტრში შავი ითვლება უბედურ ფერად. ამის გამოყენების საფუძველი თვალსაჩინოდ არ არის გარკვეული. ალბათ, ძველ პერიოდში, სანამ ადამიანები სამყაროს სათანადოდ შეიმეცნებდნენ, დღის ცვალებადობა ღამით მხოლოდ სიბნელესთან ასოცირდებოდა, რასაც ტრაგიკულად აღიქვამდნენ. ინგლისურ ენაში არსებობს გამოთქმა “A black day”, რაც გულისხმობს ტრაგიკულ ჟამს. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, რომაელები ნაყოფიერ დღეს კალენდარში თეთრი ფერის ქვით ან ცარციტ აღნიშნავდნენ, ხოლო უბედურ დღეებს - შავით. ახლა კი განვიხილოთ ქართული იდიომატური გამონათქვამები, სადაც შავი ფერის ტერმინი ფიგურირებს და ძირითადად ნეგატიური დატვირთვა აქვს: „შავ დღეზე გაჩენილი” – (შავ დღეზე დაბადებული) – (უბედური, საცოდავი); „შავ ქვას აჭმევს” – (წყევლა); „შავ ქვასაც ვერ გაიგებს”-(სრულიადაც ვერაფერ მიხვდება); „შავად ათენებს”- (უბედურდება); „შავად გათენდება” – (უბედური დღე დადგება); „შავებს ჩააცმევს” – (დაადარდიანებს, შეაწუხებს); „შავი ბაზარი” – (არაოფიციალური, სპეკულანტური ბაზარი); „შავი ბედი” – (უიღბლობა, უბედურება); „შავი დღე” – (უბედური დღე); „შავმა კატამ გადაირბინა მათ შორის” – (ურთიერთობის გაფუჭება, უთანხმოება); „შავი სამუშაო” – (სამუშაო, რომელიც არ საჭიროებს სპეციალურ ცოდნას); „შავი ორშაბათი” –(ცუდი დღე); „შავი სია” – (არასაიმედოდ მიჩნეულ პირთა სია); „შავი ქვა და ნაცარი ცხელი” – (სიკვდილი და სიმწარე, უბედურება); „შავი ღრუბელი” – (უბედურების მომასწავებელი რამ); „შავი ჭირი” - (მძიმე ავადმყოფობის შეყრა); „კუპრივით შავი” – (ფიზიკურად შავი).



### 3.4.4 ყვითელი ფერის განმარტების მსგავსება-განსხვავება ინგლისურ, ჩინურ და ქართულ იდიომატურ გამოთქმებში

ახლა კი განვიხილოთ ყვითელი ფერის მნიშვნელობა ინგლისურ, ჩინურ და ქართულ იდიომატურ გამოთქმებში. როგორც კვლევებმა აჩვენა, აღნიშნულ ენებში მოცემული ფერის ტერმინის საერთო მნიშვნელობით გამოყენების მხოლოდ რამდენიმე მაგალითი გვხვდება გამოთქმებში, დანარჩენ რეგისტრში რადიკალურად განსხვავებულია ყვითელი ფერის გამოყენება. მაგალითად, ყვითელი ფერი ინგლისურ, ჩინურ და ქართულ ენებში შეიძლება გამოხატავდეს ხანდაზმულობას. მაგ.: „ყვითელი ფოთოლივით გაცრეცილი” - დამჭკნარი, დაბერებული; ერთ-ერთ ინგლისურ იდიომატურ გამოთქმაში “A yellow leaf” გულისხმობს სიცოცხლის ბოლო წლებს. ჩინელებსაც მოეპოვებათ მსგავსი მნიშვნელობის გამოთქმა: “人老珠黄”(ren lao zhu huang), რომლის იმპლიციტური მნიშვნელობაც ასოცირდება სიბერესთან და შედარებულია ტარებისგან გაცვეთილი, ყვითელი მარგალიტის ფერთან. შესაძლოა ყვითელი ფერის ტერმინმა ჩინურ იდიომატურ გამოთქმაში ავადმყოფობა და ფიზიკური სისუსტე აღნიშნოს “面黄肌瘦”. ქართულშიც ხშირად ვხვდებით გამონათქვამს „ყვითელი ფერი ადევს”, რაც გულისხმობს ასევე ავადმყოფობისგან გამოწვეულ ვიზუალურ ფერს სახეზე.

ყვითელი ფერი აღიქმება სიმხდალისა და ლაჩრობის მნიშვნელობის მატარებელ სიმბოლოდ. ეს ფერი იუდას სტერეოტიპთან ასოცირდება, რომელსაც ზუსტად რომ ყვითელი ფერის ტანისამოსი ეცვა, თუმცა მეორე მხრივ შესაძლოა სიწმიდესთანაც იყოს დაკავშირებული. მაგალითად, საიდუმლო სერობის დროს იესოს მიერ გამოყენებული წმიდა ბარძიმიც მოყვითალო-მოოქროსფერო იყო.

ასევე აღვნიშნეთ, რომ ყვითელი ფერი ინგლისურ ენაში ასოცირდება სენსაციასთან. მაგალითად, ხშირად გვსმენია „ყვითელი პრესა”, „ყვითელი ჟურნალისტიკა”, რომლის გამომხატველი ტერმინების გამოყენება სათავეს ინგლისური ბექდური მედიისგან “New York World” და “New York Journal American” იღებს, სადაც მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისის სენსაციური ამბები იბეჭდებოდა.

რაც შეეხება მწვანე ფერის მეტაფორულ გამოყენებას იდიომატურ გამოთქმებში, ინგლისურ ენაში ბევრი მაგალითის მოყვანა შეგვიძლია, რასაც ვერ ვიტყვით ჩინურ და ქართულ გამონათქვამებზე. რამდენიმე მაგალითი, რომელიც ლექსიკონებშია დაფიქსირებული, არ გვადლევს მეტაფორულ მნიშვნელობებს.

### 3.4.5 ლურჯი ფერის განმარტების მსგავსება-განსხვავება ინგლისურ, ჩინურ და ქართულ იდიომატურ გამოთქმებში

ლურჯი ფერის ტერმინი ინგლისურ გამოთქმებში სამეფოსა და კეთილშობილების გამომხატველი ფერია. გამოთქმა “Blue-blooded” „ცისფერსისხლიანს” გულისხმობს, რომელიც არისტოკრატიული და მაღალი სოციალური წრის წარმომადგენლებს ეწოდებოდათ. ლურჯი ფერი ინგლისურ კულტურაში პორნოგრაფიული წიგნებისა და ფილმების გამომხატველი ფერია. “Blue Movie” ნიშნავს ისეთ ფილმს, რომელიც სექსუალური სცენებით არის გაჯერებული. განვიხილოთ კიდევ ერთი მაგალითი: “Some of his jokes were a bit blue” - „მისი ხუმრობები ცოტაოდენ უხამსი იყო”. ასევე, შესაძლოა გამოხატოს დეპრესიული, მოწყენილი და უიმედო განწყობა, მაგალითად “The song makes me feel blue”; “He had been feeling blue all day”.

ჩინურ ენაში ფერის ტერმინი 蓝 (lan) ცისფერი/ლურჯი სიმშვიდის გამომხატველი ფერია, თუმცა მრავალფეროვანი მნიშვნელობით არ ხასიათდება. არსებობს ასეთი ჩინური გამოთქმა “蓝领” (lan ling), რაც ლურჯ საყელოიან მუშებს გულისხმობს, რომლებიც ქარხნებში ან სხვა სახის სამუშაო ადგილებზე ფიზიკურად მუშაობენ, ხოლო გამოთქმა “白领”(bai ling) მის საპირისპირო მნიშვნელობას გვადლევს.

ჩინურ გამოთქმებში ფერის ტერმინი „ლურჯი” გამოხატავს წინაპრებს. მაგალითად იდიომა “青出于蓝而胜于蓝” (qīng chū yú lán ér shèng yú lán) გამოხატავს აზრს, რომ შთამომავლები წინაპრებისგან სწავლობენ და ჯობნიან კიდევ მათ. ქართულში გვხვდება

გამოთქმა „დაალურჯა“, რაც ადამიანზე ფიზიკური ზეწოლის შედეგად გამოწვეული ვიზუალური შედეგია მხოლოდ.

ფაქტობრივად, ინგლისურ და ჩინურ იდიომატურ გამოთქმებში ლურჯი ფერის ტერმინის მსგავსება ნაკლებად გვხვდება, რაც შეეხება ქართულს, თითქმის არ გვხვდება.

### **3.5 ინგლისურ და ჩინურ იდიომატურ გამოთქმებში შემავალი ფერთა ტერმინების სემანტიკურ დონეზე შედარება**

იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული ენები მდიდარია ლექსიკური მარაგით, ერთეულებით, შესაბამისად ინგლისურ-ჩინურ ენებზე არსებული იდიომატური გამოთქმებიც მრავლად შეიცავს ფერთა აღმნიშვნელ ტერმინებს.

ბერლინმა და ქეიმ კვლევების საფუძველზე 11 საბაზისო (ძირითადი) ფერი გამოყვეს, ესენია: შავი, თეთრი, წითელი, ყვითელი, მწვანე, ლურჯი, ყავისფერი, იასამნისფერი, ვარდისფერი, ნარინჯისფერი, ნაცრისფერი. (Berlin & Kay 1969) თავიანთ კვლევაში მათ სამი ძირითადი ფერი შეარჩიეს: თეთრი, შავი და წითელი, რათა ადვილად განხორციელებადი ყოფილიყო ინგლისური და ჩინური ენების იდიომატური გამოთქმების სემანტიკურ დონეზე შედარება. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ორივე ქვეყნის ეროვნება თითქმის ერთნაირად აღიქვამს ბუნებრივ ფერებს, მაგრამ განსხვავებული კულტურული ფონისა, მაინც ვხვდებით განსხვავებებს. აღნიშნული განსხვავებების საფუძველი შეიძლება იყოს რელიგიათა სხვაობა, გეოგრაფიული პირობები, ჩვეულებები, ეროვნული ფსიქოლოგია და ა.შ.

მოგეხსენებათ, რომ სიტყვის, როგორც ლინგვისტური ერთეულის მნიშვნელობის შესწავლას, სემანტიკა ჰქვია. არსებობს სიტყვის სხვადასხვა მნიშვნელობით გაგება:

1. კონცეპტუალური მნიშვნელობა: ეს გულისხმობს სიტყვის მნიშვნელობის ბირთვის აღქმას. მაგალითად, მზე არ უნდა გავიგოთ როგორც მხოლოდ პლანეტა, არამედ მისი

კონცეპტუალური მნიშვნელობის მიხედვით, მზე არის სინათლის, სითბოსა და ენერგიის წყარო.

2. ასოციაციური მნიშვნელობა: გონება ასოციაციით უკავშირდება სიტყვის მნიშვნელობას, მაგალითად, პატარძალს ქორწილში თეთრი კაბა აცვია, რადგან თეთრი ასოცირდება სისუფთავესთან, სიფაქიზესთან, უბიწოებასთან და ა.შ.

3. სოციალური მნიშვნელობა: ეს ნიშნავს სიტყვის გამოყენებას სხვადასხვა სოციალურ რეგისტრში ან სხვადასხვა გარემოებაში, მაგალითად Horse ზოგადად ცხენია, როდესაც პოემებში შეიძლება შეგხვდეს Steed, მაშინ როდესაც პატარები მას Gee-gee-ის ეძახიან.

4. ეფექტური მნიშვნელობა: მას განსაზღვრავს ავტორის გრძნობები და მისი დამოკიდებულება სიტყვისადმი. მაგალითად, სიტყვა ძალი ალნიშნავს ცხოველს, მაგრამ ავტორმა ის შესაძლოა გამოიყენოს როგორც კეთილი პარტნიორის, ერთგული არსების, საუკეთესო მეგობრის მნიშვნელობით.

#### თეთრი ფერი

მაგალითად, კონცეპტუალური გაგებით, არსებობს ასეთი გამონათქვამი ჩინურად “白昼” (Bai Zhou) რაც ნიშნავს დღის სინათლეს. ინგლისურ ენაში “White coffee” გულისხმობს რძიან ყავას. ასოციაციური მნიშვნელობებით, ფაქტობრივად მსგავსია ალნიშნული ფერის აღქმა ორივე ენაში. მაგალითად, ინგლისურში არსებობს ასეთი სახის გამონათქვამი: “White Hand”, რაც ნიშნავს პატიოსან ადამიანს. ჩინურში არსებობს გამონათქვამი: “白璧无瑕” (bai bi wu xia) და ისეთ ადამიანს აღწერს, რომელიც საუკეთესოა ყოველგვარი მცირე ნაკლის გარეშე. ინგლისური გამონათქვამი “White elephant” ნიშნავს გამოუყენებელს და არა საჭიროს, რაც შეეხება ჩინურ გამონათქვამს “白吃白喝” (bai chi bai he), გულისხმობს ისეთ ადამიანს, რომელიც სხვის კმაყოფაზე სვამს და ჭამს. ასევე, არსებობს ინგლისური გამონათქვამი “White flag”, რაც გულისხმობს დანებებას, დამარცხების აღიარებას. “白日做梦” (bai ri zuo meng), ეს გამოთქმა ახასიათებს ისეთ პიროვნებას, რომელსაც არარეალური და არამიზნობრივი ოცნებები და სურვილები აქვს.

## შავი ფერი

შავი ფერი ღამის, სიბნელის ფერია. ფერი რომელიც გაშინებს და გამწუხრებს. ადამიანები, რომელთაც ახლობელი გარდაეცვლებათ, ატარებენ შავ ფერს. მაგალითად ინგლისურ გამონათქვამში “A black day” ნიშნავს საშინელ დღეს და ქართულში ანალოგიური მნიშვნელობის ბევრი შესატყვისი გამონათქვამი გვაქვს: „შავი დღე” – (უბედური დღე) ; „შავი ორშაბათი” – (ცუდი დღე).

ხოლო ჩინურში “月黑风高” (yue hei feng gao), რომელიც აღწერს ასევე საშინელ სიტუაციას, სამივე ენის გამონათქვამების მნიშვნელობები ერთმანეთს ემთხვევა.

მაგალითად გამონათქვამი “Black sheep”, რომელიც საკუთარი ოჯახის წევრებისგან განსხვავებულია, ზუსტად რომ ამ ორი სიტყვის თანმიმდევრული შეთანხმებიდან მომდინარეობს. მსგავსება შეიძლება ვიპოვოთ შემდეგ ქართულ გამონათქვამთან: „წითელი კოჭი”, რომელიც ასევე განსხვავებული და გამორჩეულია ოჯახის წევრებისგან. როდესაც ვიყენებთ შავი ფერის ტერმინს ადამიანის აღსაწერად, აშკარაა რომ ამ ადამიანს ბევრი უარყოფითი თვისება აქვს. ინგლისურ ენაში არსებობს ასეთი გამონათქვამი: “Every bean has its black” რაც ნიშნავს რომ სრულყოფილი არავინაა. ჩინურ ენაში გვაქვს ასეთი გამონათქვამი: “近朱者赤, 近墨者黑” (jin zhu zhe chi, jin mo zhe hei), რაც ნიშნავს რომ კარგ კომპანიონს, პარტნიორებს ერთმანეთზე კარგი ზეგავლენა აქვთ მაშინ, როდესაც ცუდის შემთხვევაში პირიქითაა.

## წითელი ფერი

წითელ ფერს ღრმა აღქმა და დანიშნულება აქვს. კონცეპტუალური მნიშვნელობის მიხედვით, ინგლისურ-ჩინურ ლექსიკონში განმარტებულია როგორც “The color of blood or fire”. მაგალითად, იდიომატურ გამოთქმაში “Red-blooded” აღნიშნავს და აღწერს ადამიანს, რომელიც ძალიან ენერგიული და აქტიურია, მაშინ როდესაც ჩინურ გამოთქმაში “白发红颜” ხატავს რეალურად ასაკოვანი ადამიანის კარგი ჯანმრთელობის მდგომარეობას. (CIET 1981)

ჩინური იდიომატური გამოთქმა “灯红酒绿” ხშირად გვხვდება ჩინურ ლიტერატურაში, სადაც წითელი ფერი ინტიმურ და ექსტრავაგანტულ ცხოვრებას ასახავს. ინგლისურად გვაქვს სინონიმური გამონათქვამი “Red-light district”, რომელიც მიუთითებს ბორდელების რაიონზე ქალაქებში. ინგლისურსა და ჩინურშიც აღნიშნული გამონათქვამები ატარებენ მსგავს მნიშვნელობებს. ჩინური ახალი წლის - გაზაფხულის ფესტივალის დადგომისას ჩინელები სახლებს წითელი ფერის ლამპრებით რთავენ, რაც მათ სასიამოვნო და ბედნიერ გარემოს უქმნით. ამერიკაში კი 70 წლის ქალბატონებს წითელი ფერი აცვიათ, რითაც ისინი თავიანთ სოციალურ სტატუსს და ახალგაზრდულ იმიჯს ხაზს უსვამენ. მაგალითად, ამერიკელების საყვარელი ფერი შობის დღესასწაულზე გახლავთ კაშკაშა წითელი და მწვანე, რადგან წითელი ფერი მხიარულ გარემოს ქმნის, ხოლო მწვანე სიცოცხლის ფერია. ჩინური იდიომატური გამოთქმა “红红火火”, რომელიც წითელი ფერის ტერმინს შეიცავს, ხალხს უსურვებს კეთილ სურვილებს, ბედნიერებას, სიხარულს. ინგლისური გამონათქვამი “A red-letter day” გულისხმობს ფესტივალებსა და დიდ დღესასწაულებს. ერთი სიტყვით რომ აღვნიშნოთ, წითელი ორივე ენაში სადღესასწაულო მდგომარეობის გამომხატველია. თუმცა სხვადასხვა რეგისტრში წითელი ფერი განსხვავებული მნიშვნელობის გამომხატველი შეიძლება იყოს, მაგალითად, ადამიანი, რომელიც შეცდომას უშვებს, ჩვენ ხშირად ვიყენებთ წითელ ფერს, რათა აღვწეროთ მისი სახე. აქედან გამომდინარე ინგლისურსა და ჩინურში აღნიშნული ემოციური ფონის გამოსახატავად სინონიმური გამონათქვამები მოიძებნება, მაგალითად “become red-faced” - “面红耳赤”. ანალიზის სახით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ თეთრი, შავი და წითელი ფერები ინგლისურსა და ჩინურში ხშირ შემთხვევაში მსგავს და სინონიმურ მნიშვნელობებს გვაძლევს და გვაჩვენებს.

### 3.6 მე-3 თავის დასკვნები

ზემოთ განხილული კვლევის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ:

1. წინამდებარე თავში, „ფერთა ტერმინების კვლევა ინგლისურ, ჩინურ და ქართულ იდიომატურ გამოთქმებში“, მოცემული მაგალითების საფუძველზე, ინგლისურ, ჩინურ

და ქართულ ენებში არსებობს როგორც მსგავსი სახის ფერთა მეტაფორული მნიშვნელობები, ისე რადიკალურად განსხვავებული ფერთა ვარიაციები. ხშირ შემთხვევაში, მაგალითად, შავი და თეთრი მსგავსი მეტაფორული მნიშვნელობების მატარებელია ინგლისურ, ჩინურ და ქართულ იდიომატურ გამოთქმებში. მოცემულ მაგალითებში ნათელია ის ფაქტიც, რომ ორ ფერთა კომბინაციას შეიძლება ჰქონდეს ორი მსგავსი ან საპირისპირო მნიშვნელობა, მაგალითად: “大红大紫”, აქ მოცემულია ორი ფერთა კომბინაცია, 红 და 紫 ანუ წითელი და იასამნისფერი, რაც გამოხატავს წარმატებულსა და პოპულარულ მეტაფორულ მნიშვნელობებს, “黑白分明” აქ კი მოცემულია შავი და თეთრი ფერები, რომლებიც ჭეშმარიტებისა და მცდარობის მეტაფორული მნიშვნელობების მატარებელია.

2. ინგლისურ, ჩინურ და ქართულ იდიომატურ გამოთქმებში ფერების მეტაფორული განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ ინგლისურ და ქართულ იდიომატურ გამოთქმებში ფერთა ტერმინები უფრო ხშირად ადამიანის ემოციური მდგომარეობის აღსაწერად გამოიყენება, მაშინ როდესაც ჩინურ ენაში აღნიშნულ კონტექსტში ფერები იშვიათად გვხვდება.

3. ინგლისური, ჩინური და ქართული ფერთა ტერმინების კლასიფიკაციის საკითხში მოცემულია სხვადასხვა მკვლევრის მიერ წარმოდგენილი ფერთა ვარიაციები (Berlin, B&P. Kay 1962); (Guimei He 2011), (გაიანე მანასიანი 2011); (მაკა სახურია 2019), რის საფუძველზეც გამოვყავით ინგლისურ და ჩინურ ენებში არსებული ფერთა ტერმინების რვა შესაფერისი წყვილი: თეთრი, შავი, წითელი, ყვითელი, ლურჯი, მწვანე, ყავისფერი, იასამნისფერი, ხოლო ქართულში 6 შესაფერისი წყვილი. ამის შედეგად, საბოლოო ჯამში 138 ინგლისური, 115 ჩინური და 32 ქართული ფერებთან დაკავშირებული იდიომის შეკრება და შედარება განხორციელდა.

4. შედარების საფუძველზე დადგინდა, რომ სამივე ენაში არსებული ფერთა შემცველი იდიომატური გამოთქმები ხშირ შემთხვევაში არ აღნიშნავენ და გამოხატავენ ფერებს, ზოგიერთ შემთხვევაში არ გააჩნიათ მეტაფორული ფუნქცია.

5. კველვის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართული იდიომატური გამოთქმები, რომლებიც ფერთა ტერმინებს შეიცავს, საკმაოდ მწირია. გამოყენებული იქნა სამი ქართული იდიომატური გამონათქვამების ლექსიკონი: ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი თედო სახოკია, თბილისი, სახელგამი, 1950-1955; საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ქართული იდიომების ელექტრონული ლექსიკონი; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული იდიომების ელექტრონული ლექსიკონი. საერთო ჯამში მოპოვებულია 32 იდიომი, რომელიც ფერის ტერმინს შეიცავს. საკმაოდ რთული აღმოჩნდა შედარების პროცესი სხვა მოცემულ ენებთან, მაგრამ შესაძლებელია ზოგადი ფონის დანახვა და პარალელების გავლება ინგლისურ და ჩინურ იდიომატურ გამონათქვამებთან.

6. ბევრ იდიომატურ გამოთქმაში ფერთა ტერმინები გამოყენებულია მეტონიმური მნიშვნელობით.

7. მოვახდინეთ ხუთი საბაზისო ფერის ტერმინის შედარება, რადგან ინგლისურ და ჩინურ ენებში აღნიშნული ხუთი ფერის მაგალითები სხვა ფერებთან შედარებით უხვად გვხვდება.

8. ასევე სამივე ენაში ერთსა და იმავე ფერის ტერმინებმა შეიძლება გამოხატოს ერთმანეთის მსგავსი მეტაფორული მნიშვნელობები, განსაკუთრებით, თეთრის, შავისა და წითელი ფერების ტერმინებმა. მიუხედავად ამისა, არ შეიძლება უარვყოთ, რომ ფერთა მეტაფორების ზოგიერთი მსგავსება არის უბრალოდ დამთხვევა და არა რამე სხვა ფაქტორი.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ ინგლისურსა და ქართულ ენებში მოცემულ ფერთა ვარიაციებს აქვთ ემოციური დატვირთვა, მაგალითად წითელი ფერი ასოცირდება მხიარულებასა და გაბრაზებასთან, მაშინ როდესაც ჩინურ ენაში ფერთა მეტაფორული მნიშვნელობა იშვიათად არის დაკავშირებული ემოციურ გამოხატულებასთან. ეს ალბათ გამომდინარეობს სამი ქვეყნის განსხვავებული კულტურიდან, სადაც მათ განსხვავებული აღქმა გააჩნიათ ემოციის, საგნებისა თუ საკითხის მიმართ. გაანალიზების შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სხვადასხვა ენის მატარებელ ადამიანებს ხშირად აქვთ



საერთო ფსიქოლოგიური რეაქცია ფერზე, რისი მიზეზიც არის კოგნიტიური გამოცდილების საერთო თვისებები, მსგავსებები ობიექტურ სამყაროში, სოციალური და კულტურული ფონის მსგავსებები, სადაც ადამიანები ცხოვრობენ.

## თავი IV

ინგლისური და ჩინური იდიომატური გამოთქმების თარგმნის თავისებურებანი, მათი ეკვივალენტური შესატყვისები და შედარებით-შეპირისპირებითი კვლევის ანალიზი ქართულ ენაზე

### 4.1 ინგლისური და ჩინური იდიომატური გამოთქმების თარგმნის თავისებურებანი და მათი ეკვივალენტური შესატყვისები ქართულ ენაზე

ჩინური იდიომის თარგმნა, ინგლისურ და ქართულ ენებზე და პირიქით, თარგმნის პრაქტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემაა. ბევრი კვლევა მიემდვნა ჩინური იდიომების თარგმნას ინგლისურ ენაზე და პირიქით, მაგრამ ჯერჯერობით არცერთი სამეცნიერო ნაშრომი - ქართულ ენაზე. სწორედ, რომ მიმდინარე თავი ემსახურება ჩინური და ინგლისური იდიომების თარგმნის საკითხს ქართულ ენაზე და პირიქით.

მაგალითად, ჯანგ ფეიძის ნაშრომში „ჩინური და ინგლისური იდიომის თარგმნის სპეციფიკა“ კარგად არის ნაჩვენები ბევრი პრაქტიკული მაგალითი, რომელიც თარგმნის დროს მნიშვნელოვან პრობლემებს გადაგვიჭრის. ჩინელმა მთარგმნელმა ჩენ ვენზომ აღმოაჩინა გასაღები, სათანადოდ როგორ უნდა ითარგმნოს ჩინური იდიომატური გამოთქმები ინგლისურ ენაზე და პირიქით.

ჩინური იდიომატური გამოთქმების თავისებურებიდან გამომდინარე, ბევრი მკვლევარი ფიქრობს, რომ იდიომის თარგმნა დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული. სიტყვასიტყვითი თარგმნის მეთოდს თუ მივყვებით, შეიძლება მისი მეტაფორული მნიშვნელობა დაიკარგოს. მაგალითად, არსებობს ასეთი ჩინური გამოთქმა "铁杵磨成针" რაც სიტყვასიტყვით ითარგმნება როგორც "To grind steel rods into needles" და მეტაფორულად გულისხმობს შემდეგს: "With assiduous attention or effort, one can accomplish what appeared at first to be impossible" ანუ ამ იდიომატურ გამოთქმას იყენებენ მაშინ, როდესაც ერთი შეხედვით გადაუღებელი სიტუაციას შენი დიდი მონდომებითა და ძალისხმევით დაამარცხებ და გაიმარჯვებ ანუ მიზანს მიაღწევ. ქართულ ენაზე შეგვიძლია შევუსაბამოთ ლექსიკურად განსხვავებული კომპონენტების

შემადგენლობით არსებული იდიომატური გამონათქვამი: „გველის ხვრელში გაძრომა“, რაც გულისხმობს ყოველი ღონის ხმარებას მიზნის მისაღწევად.

როგორც მოგეხსენებათ, ყველა ერს თავისი განსხვავებული კულტურა და ცხოვრების სტილი გააჩნია, ამიტომ ბუნებრივიცაა, რომ ერთი ერის გამოთქმებს იშვიათად მოეძებნება სრული პარალელი მეორე ენაზე.

მიუხედავად თარგმნის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების ცოდნისა, თუკი არ ვიცნობთ ჩინური კულტურის მახასიათებლებსა და ელემენტებს სათანადო დონეზე, ძალიან რთულია არა მხოლოდ ჩინური, არამედ ზოგადად იდიომატური გამოთქმების ეკვივალენტის შექმნა მეორე ნებისმიერ ენაზე. ასე რომ, მთარგმნელების დიდი ძალისხმევით უნდა მოხდეს თარგმანის იმ სათანადო მეთოდის ათვისება, რომლის საშუალებითაც განხორციელდება ინგლისური და ჩინური იდიომების ზუსტი მნიშვნელობების თარგმნა ქართულ ენაზე.

არსებობს ისეთი სახის იდიომატური გამოთქმები, რომლებიც თარგმნის არცერთ მეთოდს არ ერგება, პრაგმატული და სიტყვასიტყვითი ასპექტის გათვალისწინება აქ უადგილო ხდება, ეს გამოწვეულია განსხვავებული კულტურული და ისტორიული ფაქტების გათვალისწინებით.

ძალიან საინტერესო თემატიკას წარმოადგენს ჩინური იდიომის თარგმნის ფუნქციური შესაბამისობა ინგლისურ და ქართულ ენებზე. აქ პირველი რაც უნდა გავითვალისწინოთ, ეს არის სიტყვასიტყვითი თარგმანი, რომელიც წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ მეთოდს თარგმნის პროცესში. ის მოითხოვს, რომ თარგმნის დროს უნდა ვიყოთ მაქსიმალურად ერთგული იმ წყარო ერის, საიდანაც ვთარგმნით და შევინარჩუნოთ დედნისეული ელემენტები. სიტყვასიტყვითი თარგმნის მთავარი სახეობაა პირდაპირი თარგმანი, რომელიც გამოიყენება ორ სიტუაციაში. პირველი ეს არის ჩინური იდიომის ორიგინალის ნიშნებისა და მეტაფორული მნიშვნელობების შესაბამისობა ინგლისურ და ქართულ ენებთან, მეორე რეგისტრში, ორიგინალის ენაზე იდიომატური გამოთქმა ითარგმნება პირდაპირ, რათა შემდეგ მოხდეს მნიშვნელოვანი ინფორმაციის გადახარისხება. ამის ნათელსაყოფად წარმოგიდგინებ ერთ-ერთ ჩინურ გამოთქმას: 宝玉道：“我就是个多愁多病的身，你就是那倾国倾城”， რომელიც

ინგლისურად ასე უღერს: "I am the one sick with longing - Baoyu said, "and your are the beauty which caused cities and kingdoms to fall." აღნიშნულ გამოთქმაში "倾国倾城", "国" და "城" იმავე შესატყვისით გადმოდის რაც "City" და "Kingdom". ამ ჩინურ იდიომატურ გამოთქმაში მთარგმნელი იყენებს ჰიპერბოლას, რათა აღწეროს ლამაზი გოგონა მეტი ეფექტურობით. აქედან გამომდინარე, მთარგმნელი პირდაპირ ეკვივალენტურ შესატყვისს იყენებს და არ ცვლის თარგმნის დროს მნიშვნელობებს, რაც მკითხველს გაუადვილებს გამოთქმული აზრის გაგებას. (Huang Pinpin 2003) რაც შეეხება მის ქართულ ენაზე თარგმნას, ანალოგიური ლექსიკური ერთეულებით გადმოთარგმნა აზრს გაუგებარს გახდის, ამიტომ შეგვიძლია, ჩვენთვის გასაგებ ენაზე, მისი სილამაზე გადატანითი მნიშვნელობით შემდეგი გამონათქვამით გამოვხატოთ: „მისმა სილამაზემ ყველა დაიმონა ქალაქი თუ ქვეყანა“.

ახლა კი განვიხილოთ განსხვავებები და მსგავსებები ჩინურ, ინგლისურ და ქართულ იდიომატურ გამოთქმებს შორის.

უპირველეს ყოვლისა დავიწყოთ მსგავსებით. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ბევრი იდიომატური გამოთქმა სათავეს იღებს ხალხის ყოველდღიური ცხოვრებიდან, ამ მხრივ ჩინურ, ინგლისურ და ქართულ იდიომატურ გამოთქმებს ნამდვილად აქვთ საერთო. ამ სამი ერის წინაპრების მთავარ კონცეფციას წარმოადგენდა „გული“, რომელიც არის ფიქრის, გრძნობებისა და სულის ცენტრალური ნაწილი. სწორედ რომ ეს წარმოშობს ბევრ გამოთქმას, რომელიც „გულის“ ელემენტს შეიცავს. თვალსაჩინოებისთვის წარმოგიდგინოთ რამდენიმე მაგალითს:

“To set one's **heart** at rest” - “放心” - „გულზე მოშვება”

“To pluck up one's **heart**”- “鼓起勇气”- „გაგულადება”

“What the **heart** thinks the tongue speaks” – “言为心声” - „გულისხმა”

ჩინურ და ინგლისურ იდიომატურ გამოთქმებში არა მხოლოდ შინაარსობრივ მსგავსებას ვხვდებით, არამედ ფორმის, კეთილხმოვანების, რითმისა და გამეორების თვალსაზრისითაც არის დამთხვევა.

მაგალითად:

“As busy a bee” (alliteration)

“A friend in need is a friend indeed” (rhyme)

“Measure for measure” (repetition)

“三个臭皮匠，顶个诸葛亮” (rhyme)

“种瓜得瓜，种豆得豆” (repetition)

რაც შეეხება განსხვავებებს, იქიდან გამომდინარე, რომ სამივე ქვეყნის კულტურა, აზროვნება და ფსიქოლოგია განსხვავებულია ერთმანეთისგან, იდიომატურ გამოთქმებშიც ერთსა და იმავე ელემენტს შეიძლება ჰქონდეს განსხვავებული დატვირთვა, თუმცა ინგლისურ და ქართულ კულტურებს უფრო ნაკლები სხვაობა აქვთ, ვიდრე ინგლისურსა და ჩინურს. მაგალითად, განვიხილოთ სიტყვა „ძალი“. დასავლეთის ქვეყნებში უყვართ ძალი იმდენად, რომ მთელი ცხოვრების მანძილზე უვლიან მათ საკუთარი ოჯახის წევრებით, ასევე შეიძლება ითქვას თანამედროვე ჩინეთზე. მათი გადმოსახედიდან ძალები კეთილგანწყობილები არიან თავიანთი პატრონების მიმართ. ინგლისურსა და ქართულში გვხვდება კიდევ ასეთი იდიომატური გამოთქმები: “As faithful as dog;” - „ძალივით ერთგული”; “Love me, love my dog” - „თუკი შენ მეგობარვით მეპყრობი, ჩემი მეგობარც ისევე უნდა მიიღო, როგორც საკუთარი”. აქ სიტყვა “Dog” გულისხმობს „მეგობარს”.

განვიხილოთ მსგავსი მაგალითები:

“Lucky dog”

“A clever dog”

“Dog tired”

“Dog does not eat dog”

ახლა კი განვიხილოთ ქართული იდიომატური გამოთქმები, სადაც ძალი ფიგურირებს:

„ძალის ბედი”

„ძალი პატრონს ვერა სცნობს“

„ძალის ფეხის გამობმა“

„ძალის ყბის გამობმა“

„ძალი გარეთ არ გაიგდება“

როგორც ვნახეთ, ინგლისურსა და ქართულში სიტყვა „ძალის“ შემცველი იდიომატური გამოხატულებები არც თუ ისე ცოტა გვხვდება და ძირითადად დადებით კონტექსტში. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ჩინეთში ძალი ძალიან უყვართ, უვლიან და დასავლეთის ხალხის მსგავსად ოჯახის წევრებად აღიქვამენ, მათ იდიომატურ გამოთქმებში მაინც შემორჩენილია ძალის ნეგატიური მნიშვნელობები:

“狗腿子” - “Lackey” - ლაქია, მაწანწალა, მოსამსახურე;

“狗 急跳墙” - “A cornered beast will do something desperate” - კუთხეში მომწყვდეული მხეცი ( ძალი) ყოველივე საშინელების ჩამდენია;

“痛 打 落水 狗” - “Relentlessly beat the dog in the water”-სიკვდილამდე, სულის ამოსვლამდე სცემო ცუდ ბიჭებს (ძალებს);

“狗 嘴里 吐 不出 象牙” - “A filthy mouth can't utter decent language” - სიტყვასიტყვითი თარგმანი: „ძალის პირში სპილოს ძვალს ვერ აღმოაჩენ“ - მეტაფორა: „ცუდ ადამიანს კარგს ვერ ათქმევინებ“.

იმისათვის რომ ენა უფრო ცოცხალი და ექსპრესიული გახდეს, მეტაფორა და შედარება ამის მთავარი გამოხატულებაა იდიომატურ გამოთქმებში, რომლებშიც თითოეული ენა საკუთარ კულტურას, ეროვნულ რეალიებსა და განსხვავებულ ასოციაციურ ფსიქოლოგიას გადმოსცემს. მაგალითად, ჩინურ ენაში არის ასეთი იდიომა: “大海 捞 针”, რომელიც სიტყვასიტყვით ითარგმნება, როგორც: „ზღვაში ნემსის პოვა“, რაც გულისხმობს უშედეგო ძებნას. “To engage in hopeless search” და ეს გამოთქმა ინგლისურად შემდეგნაირად ჟღერს: “To look for a needle in a haystack”, სადაც ორიგინალის სიტყვა “大海” ანუ „ზღვა“ შეცვლილია ინგლისურ თარგმანში სიტყვა “Haystack”-ით ანუ „თივის ზვინით“. (Wang Ziyu 2007) ქართულში მოგვეპოვება

მსგავსი შინაარსის მატარებელი რამდენიმე ანალოგიური გამონათქვამი: „თივის ზვინში ნემსის პოვა“; „ზღვაში ქვიშის დათვლა“; „აქლემის ნემსის ყუნწში გაძრომა“ და თითოეული გამონათქვამის მეტაფორული მნიშვნელობა უშედეგო და უიმედო ქმედებაზე მიუთითებს.

განვიხილოთ სხვა მაგალითებიც:

“To spend money like **water**” – “挥金如土” - „ქარს გაატანო ფული“ (ფულის გაფლანგვა) სამივე ენაზე მოცემული გამონათქვამები, განსხვავებული ლექსიკური კომბინაციით, ერთსა და იმავე მეტაფორულ მნიშვნელობას გადმოგვცემს „ფულის ფლანგვას“, მხოლოდ ინგლისურში „წყლის“ ელემენტი გვაქვს მოცემული, ჩინურში „მიწის“, ხოლო ქართულში - „ქარის“. შედეგი საინტერესოა იმდენად, რამდენადაც იკვეთება განსხვავებული ერების ასოციაციური მიდგომა ფულთან მიმართებაში.

“No **smoke** without fire” – “无风不起浪” - „ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანს“. ინგლისურად, როგორც ცეცხლის გარეშე კვამლი ვერ წარმოიქმნება, ჩინურად, როგორც ქარის გარეშე ტალღა ვერ წარმოიქმნება, ისე ქართულად გაზაფხულის მოსვლა წარმოუდგენელია მხოლოდ ერთი მერცხლით. მოცემული გამონათქვამები, რომლებშიც მიზეზ-შედეგობრიობის საფუძველზე აგებული ბუნების კანონია ჩადებული, ისევ და ისევ ზოგადი, საერთო საფუძვლითა და განსხვავებული ლექსიკური ერთეულებით გამოხატულ გამონათქვამებთან გვაქვს საქმე.

“Neither **fish** nor **fowl**” – “非驴非马” - „არც ღვინოა და არც წყალი“

ძალიან საინტერესოა ზემოთ მოცემული სამივე იდიომი, რომლის მთავარი შინაარსიც მდგომარეობს შემდეგში: რთულია ვინმეს ან რამეს იდენტიფიკაციის, გამიჯვნის, დადგენის განსაზღვრა. ინგლისურად: „არც თევზია და არც ფრინველი“; ჩინურად: „არც ვირია და არც ცხენი“; ქართულად: „არც ღვინოა და არც წყალი“. როგორც ხედავთ, ერთი აზრის გაგება, სამივე მოცემული გამონათქვამიდან, რომელიც ასევე, სხვადასხვა ლექსიკური ერთეულით გამოხატავს სათქმელს, ცალსახად შესაძლებელია.

ახლა კი დროა, გავეცნოთ იდიომატური გამოთქმების თარგმნის სხვადასხვა მეთოდს. სიტყვასიტყვითი თარგმანი არ ნიშნავს თარგმნას იმის გათვალისწინებით, რომ ყველა სიტყვა უნდა იყოს შენარჩუნებული დედნიდან. მთარგმნელები ცდილობენ ამ მეთოდის გამოყენებას იმისათვის, რომ მკითხველმა ზედმიწევნით გაიგოს იმ კულტურის თავისებურება, რომელი ენიდანაც ითარგმნება ესა თუ ის იდიომატური გამოთქმა.

განვიხილოთ ინგლისური ენიდან ჩინურ და ქართულ ენებზე ნათარგმნი იდიომატური გამოთქმები:

“To fight to the last man” – “战斗到最后一个人” - „ბრძოლა სისხლის ბოლო წვეთამდე”

“To break the record” – “打破纪录” - „რეკორდის მოხსნა”

“Golden age” – “黄金时代” - „ოქროს ხანა”

“To turn over a new leaf” – “揭开新的一页” - „ახალი ფურცლიდან დაწყება”

“He laughs best who laughs last” – “谁笑在最后, 谁笑得最好” - „იციანის ის, ვინც ბოლოს იციანის”

ახლა კი განვიხილოთ ჩინური ენიდან ინგლისურ და ქართულ ენებზე ნათარგმნი რამდენიმე იდიომატური გამოთქმა, რომელიც ვთარგმნეთ როგორც პირდაპირი თარგმნის მეთოდით, ისე ამავე ენებზე უკვე არსებული ეკვივალენტური, მზა გამონათქვამებით:

“易如反掌” - “As easy as turning over one’s hand” - „ისეთი მარტივი, როგორც ხელის გულის ჩვენება”;

“知无不言, 言无不尽” - “Knowledge is nothing but the endless words”- „ცოდნა სხვა არაფერია, თუ არა მისი სიტყვებით გადმოცემა”;

“到什么山唱 什么歌” – “To sing different songs on different mountains”(adapt oneself to an occasion) - „სადაც ხარ, იქაური ქუდი დაიხურეო”.

ახლა კი განვიხილოთ ჩინური ენიდან ნასესხები იდიომატური გამოთქმები:



“To lose face” – “丢脸” -,სახის დაკარგვა” (თავის შერცხვენა);

“To shoot the arrow at a target” – “有的放矢” - „მიზანში გარტყმა”

“Well-fed and well-clad” – “丰衣足食” „მდიდარი” (ნაჭამ-ნასვამი, ჩაცმულ-დახურული)

ახლა კი განვიხილოთ ჩინურ ენაზე ნასესხები იდიომატური გამოთქმები:

“武装牙齿” - “Armed to the teeth” - „კბილებამდე შეიარაღებული”

“门户开放 政策” – “The open-door policy” - „ღია კარის პოლიტიკა”

“在某人鼻子底下” – “Under one’s nose” - „ცხვირ წინ” (ძალიან ახლოს, დასანახ ადგილას)

აქვე განვიხილავთ იმ ინგლისურ, ჩინურ და ქართულ გამონათქვამებს, რომლებიც ერთმანეთის უბადლო ეკვივალენტებია არა მხოლოდ მნიშვნელობით, არამედ მეტაფორული შედარებითაც:

“Walls have ears” – “墙有耳” - „კედლებსაც კი ყურები აქვს”

“Kill two birds with one stone” – “一举两得” - „ერთი გასროლით ორის მოკვლა”

“To add fuel to the fire” – “火上加油” - „ცეცხლზე ნავთის დასხმა”

“Man proposes, God disposes” – “某事在人，成事在天” - „კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდა”

ვაწყდებით თავისუფალი თარგმნის მეთოდსაც, რაც მდგომარეობს შინაარსის ზედმიწევნით გადმოცემაში, რომლის დროსაც სტილის შენარჩუნება უგულებელყოფილია. ამ შემთხვევაში, იდიომატური გამოთქმების თარგმნის დროს არ ვიყენებთ ეკვივალენტურ თარგმანს, მაგრამ მაქსიმალურად ვცდილობთ დედნისეული შინაარსის შენარჩუნებას. აღნიშნულის ნათელსაყოფად განვიხილოთ მაგალითი: "Among so many well-dressed and cultured people, the country girl felt like a fish out of water." იდიომატური გამოთქმა "Like a fish out of water" სიტყვასიტყვით ჩინურად ასე გადმოითარგმნებოდა "象出水的鱼" რაც არ გამოხატავს სათანადოდ სოფლელი გოგონას დაბნეულობას და ეკვივალენტური თარგმანი ნამდვილად ვერ მოახდენს დედნისეულ შთაბეჭდილებას მკითხველზე, ასე რომ ჩინელებმა იგი თავისუფალი თარგმნის მეთოდით გადმოითარგმნეს და იგი ასე ჟღერს "很不自在", რაც ნიშნავს არაკომფორტულ

მდგომარეობაში ყოფნას და შეგვიძლია განვიხილოთ უკვე ჩინურ თარგმანში: "同这么穿着体面而又有教养的人在一起, 这位乡下姑娘感到很不自在." (Ma Mei 2011) რაც შეეხება მის ქართულ თარგმანს, ძალიან მარტივია, რადგან შეგვიძლია შევუსაბამოთ ქართულ ენაზე უკვე არსებული იდიომი „როგორც თევზი წყალში“, „გოგონა წვეულებაზე თავს ვერ გრძნობდა ისე, როგორც თევზი წყალში“ ანუ გოგონა მისთვის არა კომფორტულ გარემოში იმყოფებოდა.

იდიომატური გამოთქმების თარგმნის დროს მივმართავთ ერთ დამატებით მეთოდსაც, რაც სიტყვასიტყვითი და თავისუფალი თარგმნის კომბინირებული მეთოდით გამოიხატება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ჩინურ იდიომატურ გამოთქმებს ვთარგმნით ინგლისურ და ქართულ ენებზე. მაგალითად: "不到黄河心不死" რაც სიტყვასიტყვით ასე ითარგმნება: არ მოვკვდები მანამ, სანამ ყვითელ მდინარემდე არ მივალწევ" - "The heart will not die until reach Yellow River", რაც გულისხმობს "Until all is over hope never dies". ჩინურ მაგალითში სიტყვათშეთანხმება "心不死" უთარგმნიათ სიტყვასიტყვითი თარგმნის პრინციპით, მაშინ როდესაც "不到黄河" თავისუფალი თარგმნის მეთოდით არის ნათარგმნი და ინგლისურად ჟღერს როგორც "Until all is over" - "不到黄河" სიტყვასიტყვით ნიშნავს „სანამ ყვითელ მდინარემდე მივალწევდე“, რომლის პირდაპირი თარგმნის შემთხვევაშიც მკითხველი დაიბნეოდა და ვერ გაიგებდა მის იმპლიციტურ მნიშვნელობას, ქართულში კი მას მარტივი ეკვივალენტური მზა გამონათქვამი შეგვიძლია შევუსაბამოთ: „იმედი ბოლოს კვდება“.

არსებობს ისეთი სახის იდიომატური გამოთქმებიც, რომელთა თარგმნასაც ერთი ენიდან მეორეზე ჭირდება ანოტაცია. მაგალითად, ინგლისურ ენაზე არსებობს ასეთი იდიომატური გამოთქმა "To carry coals to Newcastle", რაც ჩინურად შემდეგნაირად უთარგმნიათ: "多此一举", რაც ნიშნავს „არა სასურველი მოქმედების გაკეთებას, ზედმეტი ძალისხმევის გამოყენებას“. რასაკვირველია, ჩინელებისთვის გაუგებარი ადგილია "Newcastle", რაც წარმოადგენს ქვანახშირის მწარმოებელ ცენტრს ინგლისში, ამიტომ ჩინელებს ანოტაციაც დაურთავთ აღნიშნული ადგილის თარგმნის დროს.

ძალიან დიდ სირთულესთან არის დაკავშირებული ისეთი იდიომატური გამოთქმების თარგმნა ერთი ენიდან მეორეზე, რომლებიც ეროვნული რეალიების

მატარებელია. ასეთი სახის გამოთქმები ძირითადად თავისუფალი თარგმნის მეთოდით ითარგმნება. განვიხილოთ მაგალითი: “有眼不识泰山”, რაც ინგლისურად შემდეგნაირად უთარგმნიათ: "To fail to recognize a great person", უნდა აღინიშნოს, რომ ორიგინალის ენაზე "泰山" ერთ-ერთი ცნობილი მთის გეოგრაფიული დასახელებაა ჩინეთში, მაგრამ იგი პირდაპირი თარგმნის მეთოდით რომ ეთარგმნათ, მკითხველი სავარაუდოდ ვერ ჩაწვდებოდა "泰山"-ის ალეგორიას, ამიტომ იგი მთარგმნელმა მოხერხებულად "Great person"-ს შეადარა და ამით ნათელი გახადა გამოთქმის არსი.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ აქ წარმოდგენილი მაგალითების განხილვა ნათელყოფს იდიომატური გამოთქმების თარგმნის მრავალფეროვან მეთოდს. განვიხილეთ სიტყვასიტყვითი, თავისუფალი, ანოტაციური თარგმნის გზები, რომლებსაც მრავალმხრივი განშტოება აქვთ და განსხვავებული გამონათქვამების თარგმნის დროს უნდა ვიცოდეთ რომელი მეთოდი გამოვიყენოთ.

ეკვივალენტური თარგმნის დროს უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ როგორც ჩინურ ისე ინგლისურ და ქართულ ენებში ბევრი ეროვნული რეალიის მატარებელი გამოთქმა არსებობს, ამიტომ მათი სიტყვასიტყვითი თარგმანი გაართულებს შინაარსის გაგებას. უკეთესი იქნება, თუკი ასეთი სახის გამოთქმებს თავისუფალი თარგმნის მეთოდით ვთარგმნით, რაც მკითხველს უფრო გაუადვილებს იმპლიციტური აზრის გაგებას, ხოლო სიტყვასიტყვითი თარგმნის მეთოდის გამოყენება შეგვიძლია იმ მიზნითაც, რომ გავამდიდროთ ამა თუ იმ ენის ლექსიკური მარაგი.

#### **4.2 ინგლისური და ჩინური იდიომატური გამოთქმების თარგმნის მეთოდები და მათი თარგმნის სპეციფიკა ქართულ ენაზე**

ინგლისელი, ჩინელი და ქართველი ხალხი სრულიად განსხვავდებიან ერთმანეთისგან. მათ გამოთქმებში ვხვდებით მსგავსებებსა და განსხვავებებს. ენაში არსებული გაუგებრობები წარმოადგენს მთავარ მოვლენას, რაც კულტურის წყაროების, რელიგიური რწმენისა და ფასეულობების განსხვავებულობით არის გამოწვეული, რომლებიც თავის

მხრივ ქმნიან ბარიერებს თარგმანში. თუ როგორ გავუმკლავდეთ ასეთ კულტურულ განსხვავებებს იდიომის თარგმნის დროს, ყველა მთარგმნელისთვის რთულ პრობლემას წარმოადგენს. ჩვენ შეგვიძლია მოვარგოთ თარგმნის შესაფერისი მეთოდი კონკრეტულ კონტექსტს და სიტუაციას. ვინაიდან თარგმნის მიზანი არის ის, რომ გამოიყენოს ერთი ენა მეორეს ჩასანაცვლებლად და შესაბამისად გადმოსცეს იგივე ინფორმაცია ისე, რომ თავდაპირველი აზრი და ხასიათი სრულად გამოხატოს და ამავდროულად, გახადოს თარგმანი ადვილად გასაგები, რომელიც შინაარსით და ფორმით ორიგინალთან შესაბამისობაში იქნება, ამისათვის ჩვენ უნდა მივმართოთ თარგმნის სათანადო მეთოდებს. პირდაპირი და თავისუფალი თარგმანი არის ის ორი მთავარი და საჭირო მიდგომა, რომელთა საშუალებითაც უნდა გავუმკლავდეთ ასეთ უხერხულ სიტუაციებს.

სანამ გადავალთ თარგმნის მეთოდების დეტალურ გარჩევაზე, უნდა აღინიშნოს, რომ არ არსებობს ბოლომდე „პირდაპირი“ ან აბსოლუტურად „თავისუფალი“ ვერსიები მთარგმნელობით პრაქტიკაში და განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭება რომელიმე მათგანისთვის მიგვიყვანს თარგმნის სასაცილო შედეგებამდე. მოდით, განვიხილოთ ერთი ჩინური იდიომა, რომელიც, განსხვავებული თარგმნის მეთოდით, შეიძლება ითარგმნოს სხვადასხვაგვარად:

პირველი მაგალითი: “杯弓蛇影”

1. აგერიოს ჭიქაში არეკლილი თასმის გამოსახულება გველის ანარეკლში (პირდაპირი თარგმანი);

2. თვითშექმნილი ეჭვი, გამოგონილი შიშები (თავისუფალი თარგმანი).

რა თქმა უნდა, ორივე ვერსია გასაგებია და ეს იდიომა შეიცავს ალუზიას. როდესაც კაცმა დალია ღვინო, მას მოეჩვენა გველი ჭიქაში და საშინლად შეეშინდა. მოგვიანებით, როდესაც მიხვდა რომ ეს იყო მხოლოდ თასმის ანარეკლი, რომელიც კედელზე ეკიდა, დამშვიდდა. თუ მკითხველმა იცის ამ იდიომის ალუზია, თარგმნის პირველი ვერსია (1) არის საკმარისი. ხოლო თუ მკითხველმა არ იცის ეს ალუზია, მაშინ მეორე ვერსია (2) იქნება მისაღები. (Huang Pinpin 2003)

ორივე თარგმანი ადვილად იკითხება და გასაგებია. რომელი მათგანია საუკეთესო, დამოკიდებულია კონკრეტულ სიტუაციასა და მკითხველზე. თუ თარგმანი განკუთვნილია ჩინელი მკითხველისთვის, ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ პირდაპირი თარგმნის მეთოდი, თუ თარგმანი განკუთვნილია ინგლისურენოვანი და ქართულენოვანი მკითხველისთვის, მაშინ უკეთესი იქნება თავისუფალი თარგმნის ვერსიები, რათა მკითხველმა ადვილად გაიგოს მნიშვნელობა.

ზოგადად, არსებობს ბევრი იდიომი, რომელიც შეიძლება ითარგმნოს ორივე მეთოდით - პირდაპირით და თავისუფალით. ზემოთ მოყვანილი მაგალითის მიხედვით, ჩვენ ვხედავთ რომ არც პირდაპირს და არც თავისუფალ თარგმანს არ აქვს საზღვრები. პირდაპირი თუ თავისუფალი თარგმნის გამოყენება დამოკიდებულია გადასათარგმნი და თარგმნილი ენების ურთიერთკავშირზე. თუმცა კულტურული განსხვავებების გავლენის გამო, ზოგიერთი იდიომი შეიძლება გადმოიცეს მხოლოდ თავისუფალი თარგმანით და არა პირდაპირით. როგორც ნიდამ (Nida 1944) თქვა: „ნებისმიერ თარგმანში იქნება სემანტიკური შინაარსის რაღაც „დანაკარგი“, მაგრამ ეს პროცესი ისე უნდა იქნას შეფუთული, რომ ეს დანაკარგი დაყვანილი იყოს მინიმუმამდე“. მოდით განვიხილოთ თარგმნის მეთოდები სათანადოდ.

კამათი, პირდაპირი და თავისუფალი თარგმნის მეთოდების შესახებ, ყოველთვის მთავარ საკითხს წარმოადგენდა თარგმნის სფეროში. მისი თეორიების შესწავლისა და პრაქტიკაზე დაკვირვების შედეგად, მივიღეთ დასკვნა, რომ არცერთი ამ ორი მეთოდთაგანი არ არის ზუსტი, არამედ არის შედარებითი, მათ შორის არ არის აბსოლუტური საზღვრები. დაწყებული ცნობილი ლიტერატურული შედეგებით და დამთავრებული ჩვეულებრივი წინადადების თარგმნის დროს, მთარგმნელს სჭირდება ეს ორი მეთოდი და მათი კომბინაცია. იდიომის თარგმნის დროს, პირდაპირი თარგმანი შეიძლება იქნას გამოყენებული მაშინ, როდესაც ყველა მნიშვნელობის თარგმანა (მათ შორის პირდაპირი მნიშვნელობა, ხატოვანი მნიშვნელობა და გადატანითი მნიშვნელობა) სათარგმნი ტექსტიდან შესაძლებელია რომ გადათარგმნილი იყოს სამიზნე ენაზე ორიგინალი ტექსტის სტილით, რომელიც შენარჩუნებული იქნება ნათარგმნი ტექსტში. მთარგმნელს შეუძლია ისესხოს სინონიმური იდიომი სხვა ენიდან, თუ ის მიაგნებს ეკვივალენტს მოცემულ სხვა ენაზე, რომელსაც ექნება იგივე ან მსგავსი ლიტერატურული,

ხატოვანი თუ ნაგულისხმევი მნიშვნელობა. თავისუფალი თარგმანი შეიძლება იქნას გამოყენებული განსაკუთრებით მაშინ, როცა იმპლიციტური მნიშვნელობა ვერ გადმოიცემა ზუსტი თარგმანით, ინგლისურ, ჩინურ და ქართულ იდიომებს შორის კულტურული განსხვავებების გამო. იმისათვის რომ შევინარჩუნოთ ორიგინალი ტექსტის სტილი, შეგვიძლია გამოვიყენოთ კომბინირებული თარგმნის მეთოდი - პირდაპირს პლიუს თავისუფალი თარგმანი, საჭირო სიტყვების დახმარებით, რათა სწორად და მიზანმიმართულად გადმოვცეთ იდიომის მნიშვნელობა.

### პირდაპირი თარგმანი

ენა და უნივერსალურ-კულტურული მსგავსებები ის ორი ძირითადი ფაქტორია ობიექტურ სამყაროში, რომელიც ქმნის კულტურათაშორის კომუნიკაციას. სხვადასხვა ენობრივი ჯგუფის ადამიანებმა შეიძლება გაიზიარონ ერთნაირი გრძნობები, ემოციები და ფიქრი, რადგან სხვადასხვა ეროვნების ადამიანებს, გარკვეული მიმართულებით, აქვთ ერთნაირი განცდები უნიკალური ბუნების წყალობით. ამრიგად, იდიომის პირდაპირი თარგმნის დროს, შესაძლოა აზრის არასწორად გაგება არ მოხდეს, როდესაც ნათარგმნ ტექსტს აქვს იგივე პირდაპირი თუ ხატოვანი მნიშვნელობა, რაც ნაგულისხმევ ტექსტს. განვიხილოთ პირდაპირი მეთოდით თარგმნილი გამოთქმების მაგალითები ინგლისურიდან ჩინურ და ქართულ ენებზე:

1. “An eye to eye, a tooth for tooth” – “以眼还眼, 以牙还牙” - „თვალი თვალის წინ, კბილი კბილის წინ”;
2. “The last supper” - “最后的晚餐” - „უკანასკნელი ვახშამი” - „საიდუმლო სერობა”;
3. “A gentleman’s agreement” – “君子协定” - „ჯენტლმენური სიტყვა”
4. “To turn over a new leaf” – “掀开新的一页” - „ახალი ფურცლიდან დაწყება”;
5. “A wolf in sheep’s clothing” - “披着羊皮的狼” - „მგელი გადაცმული ცხვრის ტყავში”.

ახლა კი განვიხილოთ ჩინური ენიდან ინგლისურ და ქართულ ენებზე პირდაპირი და თავისუფალი თარგმნის მეთოდებით ნათარგმნი გამონათქვამები:

1. “雪中送炭” – “Give help when others need it urgently” - „დახმარების ხელის გაწოდება”; (თავისუფალი თარგმანი);

2. “画饼充饥” – “Imaginary satisfaction” - „წარმოსახვითი დაკმაყოფილება”; (თავისუფალი თარგმანი);

3. “玩火自焚” – “Playing with fire” - „ცეცხლთან თამაში”; (პირდაპირი თარგმანი);

4. “路遥知马力,日久见人心” - “It takes a long journey to see true friendship” - „მეგობრობა დროში გამოიკვდება”; „ადამიანი რომ გაიცნო, ასი ფუთი მარილი უნდა ჭამო”. (თავისუფალი თარგმანი).

### სინონიმური იდიომების თხოვება უცხო ენიდან (პირდაპირი თარგმანი)

ვინაიდან სხვადასხვა კულტურის ხალხი იზიარებს საერთო სოციალურ გამოცდილებას, ემოციებსა და აზროვნებას სამყაროს აღქმის მიმართ, ამიტომ არსებობს იდიომატური გამოთქმები ერთ ენაზე, რომლებსაც გააჩნიათ ეკვივალენტები მეორე ენაზე. მათ აქვთ ერთი და იგივე პირდაპირი და ხატოვანი მნიშვნელობა და ატარებენ საერთო იმპლიციტურ აზრს, ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ორივე ენის მსგავსი სახის იდიომში არის ჩაბეჭდილი ერთი და იგივე კულტურული ინფორმაცია. როდესაც მთარგმნელს არ შეუძლია იპოვოს იდიომის ეკვივალენტი სათარგმნ ენაზე, მას შეუძლია ისესხოს სინონიმური იდიომატური გამონათქვამები სხვა ენიდან. მაგალითად, “Easy come, easy go”-ს (სიტყვასიტყვითი თარგმანი: ადვილად მოდის, ადვილად მიდის) ლიტერატურული თარგმანი ჩინურ ენაზე იქნება “来得容易,去得快”, ხოლო ქართულად: „ქარის მოტანილს, ქარი წაიღებს”; განვიხილოთ შემდეგი ინგლისური გამონათქვამის ეკვივალენტური იდიომები ჩინურ და ქართულ ენებზე: „Strike while the iron hot”-“趁热打铁” - „შანსი ხელიდან არ გაუშვა”. “Practice makes perfect” - “熟能生巧”, ქართულად შეგვიძლია შევეუსაბამოდ უკვე არსებული გამონათქვამი: „გამეორება ცოდნის დედაა”.

როგორც ვნახეთ, ზემოთ მოყვანილი გამონათქვამების ნათარგმნი ტექსტები რაღაც მხრივ ინარჩუნებენ ორიგინალი ტექსტის სტილს და მარტივია გასაგებად.

განვიხილოთ შემდეგი ინგლისური მაგალითები და მათი თარგმანები ჩინურ და ქართულ ენებზე:

1. “Walls have ears” - “隔墙有耳” - „კედლებსაც კი ყურები აქვს”; (პირდაპირი თარგმანი)
2. “Like father, like son” - “有其父必有其子” - „რაც მამაა, ის შვილია”;(პირდაპირი თარგმანი)
3. “Great minds think alike” – “英雄所见略同” - „დიადი მოაზროვნეები ერთნაირად ფიქრობენ”; (კომბინირებული თარგმანი)
4. “Castles in the air” – “空中楼阁” - „ოცნების კოშკები”; (კომბინირებული თარგმანი)

განვიხილოთ შემდეგი ჩინური მაგალითები და მათი თარგმანები ინგლისურ და ქართულ ენებზე:

1. “赴汤蹈火” – “To go through fire and water” - „ორ ცეცხლს შუა სიარული”; ბეწვის ხიდზე გავლა; ( თავისუფალი თარგმანი)
2. “火上浇油” - “Pure oil on fire” - „ცეცხლზე ნავთის დასხმა” (პირდაპირი თარგმანი)
3. “半途而废” – “To give up half way” - „შუა გზაში მიტოვება” (პირდაპირი თარგმანი)
4. “滴水穿石” – „The water keeps dripping and can pierce through the stones”(პირდაპირი თარგმანი)-“Keep working hard, things will succeed”(თავისუფალი თარგმანი); -„გქონდეს ძალისხმევა და შრომისმოყვარეობით მიაღწევ დასახულ მიზანს”(თავისუფალი თარგმანი);
5. “事实胜过雄辩” – “Facts speak louder than words” - „ფაქტები სიტყვებზე მეტს ამბობენ”.(პირდაპირი თარგმანი)



## თავისუფალი თარგმანი

იდიომის თარგმნის პროცესში, პირდაპირმა თარგმანმა შეიძლება ვერ გადაჭრას ყველა პრობლემა, რომელიც მას თან სდევს. ამ შემთხვევაში, ჩვენ უნდა შევწიროთ სტილი ან ორიგინალი ტექსტის სახოვანება, რომ შევინარჩუნოთ სათარგმნი ტექსტის შინაარსი. ზოგიერთ შემთხვევაში, თავისუფალი თარგმანი კარგი მეთოდია იდიომის სათარგმნად. (Wang Ziyu 2007:123)

სხვადასხვა კულტურული ფონის გამო, ძალიან ძნელია შევინარჩუნოთ ნათარგმნი ტექსტში სათარგმნი ტექსტის პირდაპირი და სახოვანი მნიშვნელობა. თუ სათარგმნი ტექსტის სახოვანება ვერ შენარჩუნდება იდიომის თარგმნის დროს, მთარგმნელმა უნდა შეცვალოს იგი ისეთი ფორმით, რომელიც უფრო ახლოს იქნება ნათარგმნი ტექსტის მკითხველთან. ასეთი ქმედებით, ნაგულისხმევი მნიშვნელობა სათარგმნი ტექსტში შესაძლებელია სრულად გადმოიცეს ისე, რომ აისახოს რეალური მნიშვნელობა პრაგმატული მიზნით. ზირანი ხსნის საკუთარ ნაშრომში (H. Ziran 1988) და მოყავს მაგალითი ამის საილუსტრაციოდ. „როდესაც ვთარგმნით ჩინურად ინგლისურ ენაზე ნათარგმნი იდიომს - “When in Rome, do as the Romans do” (როცა რომში ხარ, მოიქეცი რომაელივით), უნდა გავითვალისწინოთ, რომ თუ ეს იდიომი სიტყვასიტყვით გადაითარგმნება ჩინურ ენაზე - “当你在罗马时。就要像罗马人一样做事情”, ჩინელი ხალხი დაიბნევა იმ ფაქტის გამო, თუ რატომ არის ნახსენები მაინცდამაინც რომი და არა ნებისმიერი სხვა ადგილი. ჩინელებმა აღნიშნული გამოთქმა თარგმნეს ისე, რომ მასში ჩადებული აზრი შენარჩუნებულიყო, მაგრამ რომი და რომაელები არსად უხსენებიათ - “人乡随俗” არის ნაგულისხმევი მნიშვნელობა, რომელიც დევს ამ ანდაზაში “When in Rome, do as the Romans do”, ქართულად კი მისი ეკვივალენტი, მზა შესატყვისი იდიომი გამოგვადგება „სადაც ხარ, იქაური ქუდი დაიხურეო”.

განვიხილოთ ინგლისური იდიომის მაგალითი: “A cat on hot bricks”. ამ იდიომიდან შემდეგი სურათი წარმოგვიდგება: კატა, რომელიც ცხელ აგურზე დადის, რაც გულისხმობს „მტკივნეულსა” და „მოუხერხებელს”. იდიომის თარგმნის დროს, მთარგმნელმა უნდა შეცვალოს სათარგმნი ტექსტის ხატოვანება ისე, რომ გასაგები იყოს

ნათარგმნი ტექსტი მკითხველისთვის. არსებობს ჩინური იდიომა “热锅上的蚂蚁”, რომელშიც ასახულია ჭიანჭველები ცხელ ტაფაზე, რაც ატარებს იმავე მნიშვნელობას, რასაც ინგლისური იდიომა “A cat on hot bricks” და გამოხატავს ძალიან ანერვიულებულსა და გაფიცებულს.

### პირდაპირი თარგმანი

ზედაპირულად რომ ვთქვათ, პირდაპირ თარგმანს მიეკუთვნება ფრაზა - „არ შევცვალთ ორიგინალი სიტყვები და წინადადებები”, უფრო მკაცრად რომ ვთქვათ, უნდა ვეცადოთ „შევინარჩუნოთ ორიგინალი ტექსტის სენტიმენტები და სტილი”. თარგმანის ამ მიმართულებაში წინადადებები წარმოადგენს მთავარ ერთეულს და ამავდროულად გათვალისწინებულია მთლიანი ტექსტი. უფრო მეტიც, ასეთი თარგმნის დროს უნდა ვეცადოთ აღვადგინოთ ორივე - იდეოლოგიური შინაარსი და ორიგინალი ნამუშევრის სტილი, ასევე მაქსიმალურად შევინარჩუნოთ სიტყვები. ერთი წინადადებით რომ გადმოვცეთ, ეს არის თარგმნის მეთოდი, რომლის საშუალებითაც რიტორიკული თვისებები, ეროვნული და რეგიონული თავისებურებები შენარჩუნებულია გადათარგმნილ ენაზე ისე, რომ არ ირღვევა ენობრივი წესები და გამოხატვის ეფექტი. მისი გამოყენება ძირითადად შეიძლება შემდეგი პირობებით:

ინგლისურ, ჩინურ და ქართულ იდიომატურ გამოთქმებს, გარდა კულტურული შინაარსისა, აქვთ აგრეთვე მსგავსი პირდაპირი მნიშვნელობები. მაგალითად, ინგლისური იდიომა “Like father, like son”-“有其父必有其子”- „რაც მამაა, ის შვილია”; “An eye for an eye, a tooth for a tooth” - „以眼还眼, 以牙还牙”- „თვალი თვალის წინ, კბილი კბილის წინ”. ჩინური იდიომა - “熟能生巧” შეიძლება გადმოიცეს შემდეგი სახით: “Practice makes perfection” - „პრაქტიკას მივყავართ სრულყოფილებამდე”. როდესაც სამივე ენის წარმომადგენელი ხალხი გადააწყდება ზემოთ ჩამოთვლილ გამონათქვამებს და მათ ეკვივალენტებს, ადვილად გაიგებენ კულტურულ გზავნილს, ისევე როგორც იდიომის მნიშვნელობას.

ინგლისურ, ჩინურ და ქართულ იდიომატურ გამოთქმებს გააჩნიათ მსგავსი პირდაპირი მნიშვნელობები და მათი შინაარსიდან დასკვნა ადვილად გამოაქვს მკითხველს. მაგალითად, “实事求是” შეიძლება გადაითარგმნოს ასე: “Seek truth from the facts” „სწორად აღიქვა ფაქტები” ან „ფაქტებში ეძიებდე სიმართლეს”.

ზოგიერთ ინგლისურ იდიომს არ გააჩნია არც მეტაფორული აღქმა, არც ალუზია და ისინი წარმოადგენენ მხოლოდ ფიქსირებულ ფრაზებს. შესაბამისად, ჩვენ შეგვიძლია ისინი სიტყვასიტყვით ვთარგმნოთ ჩინურად და ინგლისურად. მაგალითად, “To have pity on sb.” - „შეგეცოდოს ვინმე”, „თანაუგრძნო ვინმეს” - “同情某人”; “To knit one’s brows” - “皱眉头” - „წარბის შეკვრა, შუბლის შეჭმუხვნა, გაბრაზება”; “To laugh in one’s face” - “当面嘲笑” - „ვინმეს დასცინო”; “To lay something to heart” - “把某事放在心上” - „გულთან ახლოს მიიტანო” და “Last but not least” - “最后但不是最不重要的(一点)” - „ბოლო, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანი”.

არსებობს ისეთი სახის გამონათქვამები, რომლებმაც უნივერსალური მნიშვნელობა შეიძინეს ყველა ენაზე, მაგალითად, “Pandora box” - „პანდორას ყუთი”. ეს ფრაზა ბერძნული მითოლოგიიდან გავრცელდა ინგლისურ ენაში. პანდორა იყო პირველი ქალი, რომელიც გამოაგზავნეს ღმერთებმა დედამიწაზე ხალხის დასასჯელად. ზევსმა მისცა მას ყუთი, რომელიც იმ კაცისთვის უნდა გადაეცა, რომელსაც ცოლად გაჰყვებოდა. როდესაც ეს ყუთი ბოლოსდაბოლოს გაიხსნა, ყუთიდან ყველა სიბოროტე ამოფრინდა და მას მერე უქმნის პრობლემებს კაცობრიობას. ასე რომ მას აქვს გადატანითი მნიშვნელობა - „საჩუქარი ან სხვა რამ, რომელიც ერთი შეხედვით ძალიან ძვირფასი ჩანს, მაგრამ შეუძლია დიდი ზიანის და უბედურების მოტანა”. დღევანდელ დღეს, ეს ფრაზა არა მხოლოდ ინგლისურ ენაშია გავრცელებული, არამედ ჩინურსა და ქართულშიც ვხვდებით. მისი ჩინურ ენაზე სიტყვასიტყვითი თარგმანი გახლავთ შემდეგი: “潘多拉盒子”, ხოლო თავისუფალი თარგმანი იქნება - “灾难; 麻烦; 祸害的根源”. განვიხილოთ უფრო მეტი მაგალითი: “Judas kiss” - “犹大之吻” (比喻背叛行为)” - „იუდას კოცნა/ამბორი” (გამცემლობა, გაყიდვა, გაწირვა);

“Armed to the teeth”—“武装到牙齿 (比喻全副武装)” - „კბილებამდე შეიარაღებული”;

“As wise as Solomon”—“像所罗门一样聪明” (比喻非常富有智慧) - „სოლომონ მეფესავით ბრძენი”;

“Crocodile tears”—“鳄鱼的眼泪” (比喻假慈悲) - „ნიანგის ცრემლები”;

“New wine in old bottle”—“旧瓶装新酒”(比喻旧形式不能适应新内容)-„ახალი ღვინო ძველ ბოთლში”;

(Packed, squashed, etc) like sardines—“(挤得)像罐头里的沙丁鱼 (比喻拥挤不堪)” - „სარდინებივით ჩაწყობილი”;

“Sphinx’s riddle”—“斯芬克司之谜” (比喻难解之谜)-„ სვინქსის გამოცანა, საიდუმლო”;

“The fifth column”—“第五纵队” (比喻间谍) - „მეხუთე კოლონა”;

“The Last Supper”—“最后的晚餐” (比喻灾难的来临)-„ საიდუმლო სერობა”;

“Trojan horse”—“特洛伊木马” (比喻暗藏的敌人或危险)-„ ტროას ცხენი”;

ზოგიერთ ინგლისურ იდიომს გააჩნია მეტაფორული მნიშვნელობა, რომლის გაგებაც ზედაპირულად არ შეუძლია ჩინელ და ქართველ მკითხველს განსხვავებული კულტურული ფონის გამო. მთარგმნელს შეუძლია თარგმნოს ისე, რომ ზუსტად გადმოსცეს მათი მეტაფორული მნიშვნელობა ორივე ენაზე, მაგრამ არა პირდაპირი თარგმნის მეთოდით, მაგალითად:

“In a pig’s whisper”—“低声地; 顷刻间” - „ თვალის დახამხამებაში”;

“To be full of beans” - “精力充沛”-„ენერგიით და ენთუზიაზმით სავსე”;

“To bend an ear to” - “聚精会神地听:倾听”-„ყური დაუგდო”;

“To bury one’s head in the sand” - “掩耳盗铃”-„გაეცე რეალობას”;

“To hang on somebody’s lips” - “倾听” - „ გულისყურით მოსმენა”;

“To hang on somebody’s sleeve” - “依赖某人” - „ სხვის ხარჯზე ცხოვრება”;

“To make a monkey of somebody” - “愚弄某人” - „დაცინვა” (Huang Pinpin 2003:58)

### პირდაპირი და თავისუფალი მთარგმნელობითი მეთოდების კომბინაცია

როდესაც თარგმანში იკარგება ნაგულისხმევი მნიშვნელობა, ასეთ შემთხვევაში, მთარგმნელმა უნდა დაიხმაროს ისეთი მეთოდი, რომელიც მოიცავს ორივეს - პირდაპირს და თავისუფალ თარგმანს. ეს არა მხოლოდ ადადგენს ლიტერატურულ ან სახოვან მნიშვნელობას, იმისთვის რომ შენარჩუნდეს ორიგინალი ტექსტის სტილი, არამედ ასევე გადმოსცემს ნაგულისხმევ მნიშვნელობას. მაგალითად, ჩინური იდიომი “盲人骑瞎马” ინგლისურად თარგმნილია როგორც „Blind man on a blind horse, rushing headlong to disaster” - „ბრმა კაცი ბრმა ცხენით მიექანება დაღუპვისკენ, უფსკრულისკენ” პირველი ნაწილი “Blind man on a blind horse” თარგმნილია პირდაპირი მნიშვნელობით, ხოლო მეორე ნაწილი “Rushing headlong to disaster” შეიცავს საკვანძო სიტყვას და ანდაზის მორალს, ქართულში უკვე არსებობს მსგავსი შინაარსის მატარებელი გამონათქვამი, ამიტომ თავისუფლად შეგვიძლია შევუსაბამოთ ჩინურ იდიომს: „მკვდარი მკვდარს აეკიდა, სამარემდე მიმათრიეო”.

განვიხილოთ მომდევნო იდიომი: “黄鼠狼给鸡拜年” სიტყვასიტყვით ითარგმნება შემდეგნაირად: „სინდიოფალა ქათამს ახალ წელს ულოცავს” - ბევრისთვის შეიძლება პირდაპირი მნიშვნელობით ნათარგმნი იდიომის ნაგულისხმევი აზრი გაუგებარი აღმოჩნდეს, მაშასადამე, უნდა დაემატოს რაღაც კომპონენტი, რათა გასაგები გახდეს შინაარსი. პირდაპირი და თავისუფალი თარგმნის მეთოდების კომბინაციით ეს იდიომი - “黄鼠狼给鸡拜年” გადაითარგმნება შემდეგნაირად: „სინდიოფალა მიდის ქათამთან, რათა პატივი სცეს მას, არც ისე კარგი განზრახვით”. მაგალითები გვიჩვენებს, რომ ამ სტრატეგიის გამოყენებით, ნაგულისხმევი მნიშვნელობა გადმოიცემა პირდაპირი და მეტაფორული თარგმანების კომბინაციით.

მიუხედავად იმისა, რომ მკითხველს შეუძლია გაიგოს პირდაპირი თუ მეტაფორული მნიშვნელობა გადასათარგმნი ტექსტის კულტურული კონფლიქტის წარმოშობის გარეშე, მისთვის მაინც ძალიან რთულია მიხვდეს ნაგულისხმევ მნიშვნელობას. პირდაპირი და თავისუფალი თარგმნის მეთოდების კომბინაცია ჩინური, ინგლისური და ქართული იდიომატური გამონათქვამების თარგმნისას საჭიროა იმისთვის, რომ შევინარჩუნოთ სათარგმნი ენის სახოვანება, სტილი და რაც მთავარია გადმოვცეთ შინაარსი.

იდიომის თარგმნა ძირითადად მთარგმნელისთვის და თარგმანის თეორეტიკოსებისთვის სირთულეს წარმოადგენს. თარგმნის პროცესში აუცილებელია სწორი და სათანადო მეთოდის შერჩევა, ხოლო თუ რომელი მეთოდის გამოყენება არის საჭირო დამოკიდებულია ამა თუ იმ სიტუაციასა და კონტექსტზე, მთარგმნელის მიზანზე, ტექსტის სტილსა და შინაარსის დამოკიდებულებაზე. ერთი და იგივე იდიომიც კი შეიძლება წარმოდგენილი იყოს სხვადასხვა გზით, ასე რომ საჭიროა გაგრძელდეს იდიომის თარგმნის მეთოდების შესწავლა, რათა გადაიჭრას კულტურული ბარიერის პრობლემა თარგმანში. მიმდინარე ნაშრომი იმედია ბევრ დაინტერესებულ მკითხველს დაეხმარება, გაიგოს მეტი ჩინური, ინგლისური და ქართული იდიომატური გამოთქმების თარგმანსა და შედარებაზე კულტურათაშორისი კომუნიკაციის მიზნით და ასევე დაეხმარება მთარგმნელებს თავისი მოვალეობის უკეთესად შესრულებაში.

#### **4.3 ინგლისური, ჩინური და ქართული იდიომატური გამოთქმების თარგმნისადმი**

##### **პრაგმატული მიდგომა კულტურულ ჭრილში**

კლერ კრამშმა გააკეთა განცხადება ენისა და კულტურის კავშირის შესახებ, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობს აკადემიური წრეების მკვლევრებს შორის. მან განსაზღვრა ტერმინი „ენა“ თავისი წიგნის დასაწყისში შემდეგი ფორმით:

„ენა არის ძირითადი საშუალება, რომლის მეშვეობითაც ჩვენ ვაწარმოებთ ჩვენს სოციალურ ცხოვრებას. როდესაც ის კომუნიკაციის კონტექსტში გამოიყენება და

დაკავშირებულია კულტურასთან მრავალფეროვანი და კომპლექსური გზებით”. (Kramsch 1998: 7)

იდიომი ენის განსაკუთრებული ნაწილია. როგორც წესი, მათი მნიშვნელობა შეზღუდულია და ძალიან მჭიდრო კავშირშია გამორჩეულ კულტურულ მახასიათებლებთან და მიდგომებთან. იდიომს აღწერენ როგორც ადამიანთა გამჭირახობისა და სიბრძნის კრისტალიზაციას, ენის მარგალიტებს. ზოგიერთის თვალსაზრისით, იდიომი გარკვეული სოციალური საზოგადოების კულტურული ცნებების ანარეკლია და ის განასახიერებს ენის კულტურულ თავისებურებებს ყველაზე კონცენტრირებული და ძირეული ფორმით. ინგლისურ, ჩინურ და ქართულ ენებზე უხვად არის წარმოდგენილი იდიომი. მათ შორის შედარების გაკეთება აუცილებელია.

უარენის მიხედვით, სიტყვა „იდიომი” ინგლისურ ენაში გამოიყენება სპეციალური ფრაზების აღსაწერად, რომლებიც ენის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ნაწილია. არ არის აუცილებელი, რომ ეს ფრაზები ზუსტად შეესაბამებოდეს ენის სტანდარტულ გრამატიკულ ნორმებს. მათ შეიძლება ჰქონდეთ ორივე - იდიომატური და ლიტერატურული მნიშვნელობა. (Warren 2005: 38)

ვებსტერის ამერიკული ენის მსოფლიო ლექსიკონის (The Webster’s New World Dictionary of the American Language) 1972 წლის მეორე გამოშვებაში, სიტყვა იდიომი განმარტებულია შემდეგი ფორმით: „მზა ფრაზა, კონსტრუქცია ან გამონათქვამი, რომელიც შეუსაბამობაში მოდის ენის ჩვეულ შაბლონებთან, ან აქვს ენისგან და სიტყვისგან განსხვავებული მნიშვნელობა”.

ჩინურ ენაზე ასევე არსებობს ენობრივი კონსტრუქციები, რომლებიც ინგლისური და ქართული გამონათქვამების მსგავსია, რაც ვიხილეთ ზემოთ მოყვანილ მაგალითებში. ინგლისური იდიომის მსგავსად, ჩინური „ჩენგიუ” (成语) - „იდიომი” არის სიტყვათა ჯგუფი ან ფრაზები, რომელიც დამკვიდრდა დიდი ხნის გამოყენების შედეგად და მიღებულია პრაქტიკაში. ინგლისური და ქართული იდიომატური გამონათქვამებისგან განსხვავებით „ჩენგიუ” ხშირ შემთხვევაში შედგება ჩინურ სიმბოლოთა ფიქსირებული რაოდენობისგან, რომელთა გამოთქმა რითმისკენ მიდის. ეს არის ჩინური იდიომის

განმარტება ვიწრო თვალსაზრისით. (现代汉语词典 2002) „თანამედროვე ჩინური ლექსიკონის“ (现代汉语词典) მიხედვით, „ჩენგიუ“ განმარტებულია შემდეგი ფორმით: “人们长期以来习用的,简洁精辟的定型词组或短句”- „ჩენგიუ“ არის გარკვეული ფრაზების ან წინადადებების ჯგუფი, რომელიც მოკლე და ყოვლისმომცველია და ხალხთა ჯგუფის მიერ წლების გამოყენების შედეგად იქნა მიღებული. ჩინური იდიომატური გამოთქმების უმეტესობა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1.2 თავში, შედგება ოთხი ჩინური სიმბოლოსგან.

ლონგმენის ინგლისური იდიომის ლექსიკონი (LDEI 1979) განსაზღვრავს იდიომს შემდეგი მნიშვნელობით: „ხალხური სიბრძნის მოკლე, ყველასთვის ცნობილი პრინციპი, ძირითადად ფორმაში მოქცეული, ხშირად შეიცავს თამამ გამოსახულებას და ჟღერადობას, რომელიც ყურადღებას იპყრობს“. იდიომი განისაზღვრება როგორც „ბევრის სიბრძნე და ერთის გონებამახვილობა“. ეს ხალხური გამონათქვამია, რომელიც აჯამებს სიტუაციას, გადმოსცემს წარსული ამბის განსჯას ან რჩევას იძლევა მომავალი ქმედებისთვის. გთავაზობთ გამონათქვამებს, რომლებიც გამოხატავენ ერთხმად აღიარებულ აზრებს და შესაძლოა იყოს საყოველთაოდ ნაცნობი: “Knowledge is power” - „ცოდნა ძალაუფლებაა“, “Union is strength” - „ძალა ერთობაშია“, “Truth conquers all things” - „სიმართლე იპყრობს, ამარცხებს ყველაფერს“. ბევრი გამონათქვამი, მაგალითად ზოგიერთი ხალხური თქმულება ან ხალხური სიმღერა, ნამდვილად საერთაშორისოა.

ცალკე უნდა განვიხილოთ ჟარგონული გამონათქვამები, რომლებიც ფართოდ გავრცელებულია არაფორმალურ საუბრებში და დამწერლობაში, მაგრამ არ არის მიღებული ფორმალურ კონტექსტში. ჟარგონული ფრაზები გამოიყენება ნებისმიერი პროფესიის სამსახურეობრივ საუბრებში, ვაჭრობაში, სპორტში, სასკოლო და სოციალურ ჯგუფებში. ჟარგონი ხშირად პოპულარულია თავისი იუმორისტული, გონებამახვილური და ხატოვანი შინაარსით. სიკვდილი შეიძლება იქნას აღწერილი როგორც “Kicking the bucket”; “Hopping over the perch;” “Turning up one’s toes”; “To take Ferry”; “To play last pike”; “To drop a cue”; “To give up the ghost” და ა.შ. ძალიან საინტერესოა ქართულ ენაზე არსებული ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც სიკვდილს გამოხატავენ ასევე: „სული დალია“; „თქვენი ჭირი წაიღო“; „პატრონს ჩაბარდა“; „ფეხები გაფშიაკა“; „მარილზე გავიდა“; „წერილი წაიღო“.



არსებობს უამრავი შემდგარი ფრაზა, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ჩინურ ენაში. ვინაიდან ისინი ძირითადად შედგება ოთხი იეროგლიფისგან, მათ ასევე უწოდებენ შემდგარ ფრაზებს. ჩინური შემდგარი ფრაზები წარმოადგენს ძლიერ, მოკლედ ჩამოყალიბებულ და მკაფიოდ გამოხატულ აზრს. გარდა ამისა, ჩინური შემდგარი ფრაზები სავსეა კლასიკური ალუზიებით, რაც მას უფრო ძნელად გასაგებს ხდის. იდიომი “**纲举目张**” გულისხმობს, რომ „როდესაც ძირითადი აზრი ხდება გასაგები, ყველაფერი თავის ადგილზე ლაგდება“; იდიომი “**重蹈覆辙**” გულისხმობს „იგივე ძველი დამძლეული გზის გავლას, ან იგივე ბედის გამეორებას“.

ჩინური ზოგადი გამონათქვამები არის პოპულარული, ადვილად გასაგები და ფართოდ გამოიყენება სალაპარაკო ენაში. შემდგარ ფრაზებთან შედარებით, ისინი უფრო თავისუფალი არიან სინტაქსში. მაგალითად, ზოგადი გამონათქვამი: “**杀鸡给猴看**” (თავისუფალი თარგმანი: ვინმეს დასჯა სხვების საჩვენებლად) შედგება ხუთი სიმბოლოსგან, მაშინ როცა ანალოგიური იდიომი “**杀鸡吓猴**” მხოლოდ ოთხ სიმბოლოს შეიცავს, თუმცა ამ ორი ფრაზის მნიშვნელობა ერთი და იგივეა.

„იდიომი ყოველდღიური გამოცდილების ნაყოფია“. ინგლისის ყოფილმა პრემიერ მინისტრმა ჯონ რასელმა გამონათქვამების შემდეგი აღწერა შემოგვთავაზა. მისი აზრით, იდიომი არის „ერთი ადამიანის გონებამახვილობა და მთელი კაცობრიობის სიბრძნე. ის არის ცხოვრებისეული გამოცდილების შეჯამება და საზოგადოებაში ქცევის წესების სახელმძღვანელო“.

რაც შეეხება ქართული ფრაზეოლოგიის საფუძვლიან შესწავლას, ფაქტობრივად თედო სახოკიას უმდიდრესი სამტომეულით „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“ იწყება. ნაშრომი მართალია არ შეიცავს იდიომატიკასთან დაკავშირებულ თეორიულ საკითხებს და გახლავთ ლექსიკოგრაფიული ხასიათის საგანძური, თუმცა, მასში უხვადაა თავმოყრილი ლიტერატურიდან, სასაუბრო ენიდან და დიალექტებიდან ამოკრეფილი 7000 გამონათქვამი, გადატანითი მნიშვნელობით გამოყენებული სიტყვები, ფრიად დასაფასებელია ის ფაქტი, რომ თითოეულ გამონათქვამს ახლავს განმარტება და ხშირ შემთხვევაში ერთვის ეტიმოლოგიაც.

უკვე 80-იანი წლებიდან გრძელდება ქართული ფრაზეოლოგიის კვლევა არა მხოლოდ თეორიული, არამედ პრაქტიკული თვალსაზრისითაც, რამაც შედეგად მოგვცა ბევრი საინტერესო პრაქტიკული ნამუშევარი.

ერთი სიტყვით შევეხოთ ალეგორიულ გამონათქვამებსაც, რომლებიც მიეკუთვნებიან ზოგადი გამონათქვამების კატეგორიას იმ განსხვავებით, რომ მათ გააჩნიათ განსაკუთრებული სტრუქტურა ვინაიდან შეიცავენ ანალოგიას. ალეგორიული გამონათქვამი ყოველთვის არის მკაფიოდ გამოხატული, მაგალითად, განვიხილოთ ფრაზა “老鼠过街,人人喊打”, ამ ალეგორიული გამონათქვამის პირველი ნაწილი - „ვირთხას რომელიც კვეთს ქუჩას” არის ანალოგი, მაშინ როდესაც ფრაზის მეორე ნაწილი „მისდევს ყველა გამვლელი” - არის ინტერპრეტაცია. ალეგორიული ნათქვამი მწერლობაში, რომელიც აზრობრივად ადვილად გასაგებია, მკაფიო შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე.

ენის ცვალებადობა და განვითარება არის უნივერსალური და აბსოლუტური პროცესი, მაშინ როცა ენის სტაბილურობა არის შედარებითი. იდიომი, როგორც ენის განსაკუთრებული ნაწილი როგორც ჩინურ, ისე ინგლისურ და ქართულ ენებში, შინაარსისა და ფორმის თვალსაზრისით ხასიათდება ზოგადი თავისებურებებით.

ზოგადად, იდიომის ცვლილება არ ხდება, ვინაიდან ისინი დამკვიდრებულია გამოყენების შედეგად. არცერთი შემადგენელი სიტყვა არ შეიძლება იყოს თვითნებურად გამოტოვებული ან ჩანაცვლებული სინონიმით. სიტყვების განლაგებაც იშვიათად შეიძლება შეიცვალოს. სიტყვის ან კოლოკაციის შეცვლის ნებისმიერი მცდელობა გააფუჭებს იდიომს და შესაძლოა აზრი დააკარგინოს. იდიომი თავის სტრუქტურაში ფიქსირდება და არ იძლევა მისი კომპონენტების შეცვლის საშუალებას, მაგრამ მთარგმნელი თავისი პროფისიონალიზმით უნდა შეეცადოს, რომ გამონათქვამის აზრი, ხატოვნება და სტილი მაქსიმალურად შეინარჩუნოს თარგმნის პროცესში.

ინგლისურ, ჩინურ და ქართულ ენებში იდიომი წარმოადგენს წინადადებას ან ფრაზას. ის შედგება ერთზე მეტი სიტყვისგან. ყოველი იდიომი მიჩნეულია სემანტიკურ ერთეულად. სემანტიკური ერთიანობა გულისხმობს იმ ფაქტს, რომ იდიომი სემანტიკურად არის ინტეგრირებული მთლიანობაში. თუმცა ყოველ სიტყვას, რომელიც

შეადგენს იდიომს, აქვს ინდივიდუალური ლიტერატურული მნიშვნელობა, თუმცა ისინი კარგავენ თავიანთ ინდივიდუალურ იდენტობას იდიომში. ცალკეული იდიომის მნიშვნელობას არ წარმოადგენს მხოლოდ მასში შემავალი თითოეული სიტყვის კომბინაცია. მეორე მხრივ, ხშირად იდიომი იღებს ახალ მნიშვნელობას, როდესაც ის მიჩნეულია სემანტიკურ ერთეულად.

კრამში თავის ნაშრომში „ენა და კულტურა“ გვთავაზობს იდიომის შემდეგ განმარტებას:

„იდიომი არის ენის განსაკუთრებული ნაწილი. ის ძირითადად სპეციალიზირდება მნიშვნელობით და მჭიდრო კავშირშია გამორჩეულ კულტურულ მახასიათებლებთან და კულტურულ დამოკიდებულებებთან. მიჩნეულია, რომ იდიომი არის კულტურულად ყველაზე დატვირთული ელემენტი ნებისმიერი ენის ლექსიკონში. ის გამოხატავს ენის განსაკუთრებულ თავისებურებებს. სხვადასხვა ქვეყნის კულტურებს შორის ძალიან დიდი განსხვავებაა და ეს განსხვავება იმდენად დიდია, ლექსიკოგრაფები სავარაუდოდ ფიქრობენ, რომ შუძლებელია კულტურასთან დაკავშირებული იდიომის ეკვივალენტების მოძებნა. ადამიანები ხშირად უკავშირებენ გარვეულ თავისებებს სხვადასხვა არსებასა და საგანს. თარგმანი მოიცავს როგორც ენას, ასევე კულტურას, ამიტომ სათარგმნი ენისა და სამიზნე ენის კულტურების სხვაობამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს თანმიმდევრული თარგმანის გაგებაზე“. (Kramsch 1998:137)

ბევრი საინტერესო კვლევა თუ მოსაზრება არსებობს ზოგადად იდიომის განმარტებისა და კერძოდ ინგლისური, ჩინური და ქართული იდიომატური გამოთქმების თარგმნის მეთოდების შესახებ. ბევრი ერთმანეთის აზრს იზიარებს და თანხვედრაში მოდის, ბევრიც კი არ ემხრობა ერთმანეთს და კონკრეტულ, სხვებისგან დამოუკიდებელ კვლევას ავითარებს. ფაქტი ერთია, რომ იდიომატური გამოთქმები თითოეული ქვეყნის კონკრეტული, სოციალური საზოგადოების კულტურული ცნებების გამოხატულებაა, რომლებიც განასახიერებენ ენის კულტურულ თავისებურებებს ყველაზე კონცენტრირებული და ძირეული ფორმით, ამიტომ მათი გადათარგმნა ერთი ენიდან მეორე ენაზე დიდი სიფრთხილით უნდა მოხდეს, რათა მათში ჩადებული აზრი მარტივად და გასაგებად იყოს გადმოცემული.

## საერთო დასკვნები და რეკომენდაციები

მოცემულ თავში შევაჯამებთ წინა თავების კვლევებსაც. წარმოგიდგენთ ნაშრომის ძირითად აღმოჩენებს, აღვწერთ ჩატარებული კვლევის როლს, გამოვავლენთ კვლევის შეზღუდვებს და წარმოგიდგენთ რჩევებს შემდგომი კვლევის გასაგრძელებლად.

უპირველეს ყოვლისა შევაჯამებთ იმ შედეგებს, რომლებიც ინგლისური, ჩინური და ქართული იდიომატური გამონათქვამების წარმომავლობის თეორიებისა და მათ ფორმირებაზე გარემო ფაქტორების ზემოქმედების კვლევის შედეგად მივიღეთ. ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ინგლისური, ჩინური და ქართული იდიომატური გამოთქმების აზრის გაგების განსხვავებულობაზე გავლენას ახდენს კულტურის, ისტორიის, რელიგიის, ადათ-წესების, გეოგრაფიული მდებარეობის, განსხვავებული ფსიქოლოგიისა და ა.შ. ფაქტორები, რომლებიც სამივე ენის წარმომადგენელ ქვეყანას ერთმანეთისგან განსხვავებული აქვს. თუმცა, ასევე კვლევის შედეგმა ცხადყო, რომ სამივე ენის იდიომატურ გამოთქმებში ვაწყდებით მსგავს ძირითად მორალურ ცნებებსა და ღირებულებებს, რაც ზემოთ მოყვანილ მაგალითებში ნათლად გამოჩნდა. რეკომენდებულია კვლევის გაგრძელება იმ გარემო ფაქტორების შესახებ, რომლებიც გავლენას ახდენენ ინგლისური, ჩინური და ქართული იდიომატური გამოთქმების ჩამოყალიბებასა და ფორმირებაზე. გარდა ჩვენ მიერ განხილული ფაქტორებისა, შესაძლებელია აღმოჩნდეს მთელი რიგი გარემოებები, რომლებიც იქცევა სამივე ენის იდიომატური გამოთქმების შექმნის საფუძვლად.

რაც შეეხება ინგლისურ, ჩინურ და ქართულ იდიომატურ გამოთქმებში არსებულ ფერთა ტერმინებს, კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ინგლისურ და ჩინურ გამონათქვამებში ფერის ტერმინის შემცველ მაგალითებს უხვად ვხვდებით, ხოლო ქართულში მხოლოდ 32 გამონათქვამი მოვიპოვეთ, რომელიც ფერებს შეიცავს. სამივე ენაზე არსებულ გამონათქვამებში შემავალი ზოგიერთი ფერთა ტერმინი ატარებს მსგავს მეტაფორულ მნიშვნელობას, განსაკუთრებით შავი, თეთრი და წითელი ფერები. უფრო კონკრეტულად, მსგავსი კოგნიტიური მოდელების გამო, სამივე ტერმინი - „შავი“, “Black” და “黑” - ასოცირდება ნეგატიურ მნიშვნელობასთან, როგორც არის ბოროტება და სიმცდარე. ინგლისური “Red” და ქართული „წითელი“ შეიძლება ასოცირდებოდეს

გაბრაზებასთან, გაცხარებასთან, გაჯავრებასთან, ხოლო ინგლისური “Red” და ჩინური “红” (hóng) შეიძლება ასოცირდებოდეს სიხარულისა და ბედნიერების გამომხატველ დადებით ემოციებთან.

ასევე, ვნახეთ, რომ ერთი და იგივე მეტაფორული მნიშვნელობა სამივე ენაზე სხვადასხვა ფერის ტერმინით გამოიხატება. მაგალითად, ინგლისურში გამოყენებულია ტერმინი “White” თეთრი, ჩინურში “紫” (zǐ) იასამნისფერი, ხოლო ქართულში „წითელი”, რათა გამოხატონ იდიომში სიამოვნების მინიჭებისა და კეთილგანწყობის იდეა. გარდა ამისა, ინგლისურ ენაში გამოყენებულია “Green” მწვანე, ხოლო ჩინურში “白” (bái) თეთრი „გამოუცდელიობის” გამოსახატავად.

როგორც ვნახეთ, მსგავსი მეტაფორული მნიშვნელობა შესაძლოა გამოიხატოს სხვადასხვა ფერის ტერმინით მოცემულ ენებში. მაგალითად, ინგლისურ და ქართულ გამონათქვამებში ტერმინების - „წითელი” მნიშვნელობა შესაძლოა ტრანსფორმირდეს ემოციის აღქმად და გამოხატოს სიბრაზე. ამასთან ერთად, ჩინურ და ქართულ იდიომატურ გამონათქვამებში შეიძლება გამოვიყენოთ ფერის ტერმინები “白” (bái) თეთრი და “黄” (huáng) - ყვითელი, იმისთვის, რომ გამოვხატოთ სიბერე.

ასევე აღმოჩნდა, რომ თუ იდიომი შეიცავს ორი ფერის ტერმინს, ესე იგი არსებობს ორი შესაძლებლობა. ერთი არის ის, რომ ორი ფერის ტერმინი ატარებს მსგავს მეტაფორულ მნიშვნელობას, ამ სახის იდიომატურ გამოთქმებს ხშირად პარალელური სტრუქტურები გააჩნიათ. მაგალითად, განვიხილოთ ინგლისური იდიომი “Black and blue” - „შავი და ლურჯი”, რაც გულისხმობს ფიზიკურად ისეთ ნაცემს, რომ მთლიანად სისხლჩაქცევები ჰქონდეს სხეულზე. ორივე ტერმინი - შავიც და ლურჯიც ამ იდიომში აღნიშნავს სისხლჩაქცევას, ასევე, ანალოგიური მნიშვნელობით გვაქვს ქართული მაგალითი: „დალურჯებულ-დალილავებული”. ჩინური იდიომი - “大红大紫” (dà hóng dà zǐ) - „ძალიან წარმატებული და პოპულარული” აღნიშნავს პოპულარობისა და წარმატების მდგომარეობას, ამიტომ ორივე ტერმინი “红” (hóng) წითელი და “紫” (zǐ) იასამნისფერი ამ იდიომში ატარებს პოპულარობისა და წარმატების მნიშვნელობას. მეორე შესაძლებლობა არის ის, რომ ორი სხვადასხვა ფერის ტერმინი ერთ იდიომში გამოხატავდეს ერთმანეთის საპირისპირო მნიშვნელობას. მაგალითად, ინგლისურ იდიომში “To separate black and

white” (გამიჯნო შავი და თეთრი), ნიშნავს მკაფიო განსხვავება გააკეთო სწორსა და არასწორს შორის, აქედან გამომდინარე, ტერმინი “Black and white” (შავი და თეთრი) აღნიშნავს ერთმანეთის საპირისპირო კონცეფციებს - სწორს და არასწორს. ჩინელებს გააჩნიათ ამის ეკვივალენტი იდიომი: “黑白分明” (hēi bái fēnmíng)- „განასხვავო შავი თეთრისგან”. ფერის ტერმინები - “黑”(hēi) - შავი და “白”(bái)- თეთრი, ამ შემთხვევაშიც ატარებენ ერთმანეთის საპირისპირო მნიშვნელობებს - სწორსა და არასწორს. ამავე მნიშვნელობით გვხვდება იდიომატური გამონათქვამი ქართულ ენაზე: „თეთრზე ამბობს შავიაო” ანუ სწორზე ამბობს არა სწორია, მცდარია.

მიმდინარე კვლევაში ასევე გამოიკვეთა, რომ ზოგიერთ ჩინურ და უცხოურ კვლევებში არეულია ფერის მეტაფორების და მეტონიმების მნიშვნელობა და ფერის მეტონიმების მაგალითები არასწორად არის მოყვანილი, მაშინ როდესაც იგულისხმება ფერის მეტაფორები. რეკომენდებულია კვლევის გაგრძელება ფერის მეტაფორებისა და ფერის მეტონიმების შესწავლის მიმართულებით, რათა ადგილი არ ჰქონდეს მათ ერთმანეთში არევას.

ვნახეთ, რომ ინგლისურ და ქართულ იდიომატურ გამოთქმებში ფერის აღქმა ხშირად ტრანსფორმირდება ემოციების გამოსახატავად. მაგალითად, წითელმა ფერმა შეიძლება აღნიშნოს სიხარულიც და გაბრაზებაც, ლურჯმა ფერმა შესაძლოა გამოხატოს დეპრესია, სიბრაზე და შიში, მწვანემ შეიძლება აღნიშნოს ეჭვიანობა. ამ სახით, სხვადასხვა ემოციის ბუნება უფრო ადვილად გასაგები ხდება. ქართულ ენაზე არსებული ფერის შემცველი იდიომატური გამონათქვამები იმდენაც მწირია, რომ შედარების გაკეთება, ფერთა აღქმის საკითხში ემოციური ფონის გამოსახატავად, გაძნელებულია. რაც შეეხება ჩინურ იდიომში მოცემულ ფერთა ტერმინებს, ისინი, გარდა “红”(hóng) - წითელისა და “灰”(huī)- ნაცრისფერისა, ძალიან იშვიათად გამოხატავენ ემოციას. ფერთა მეტაფორების მსგავსებები და განსხვავებები ინგლისურ, ჩინურ და ქართულ გამონათქვამებში, რომლებიც განხილულია წინამდებარე თავში, გვაძლევს მინიშნებებს კულტურათაშორის კომუნიკაციებზე.

რაც შეეხება ინგლისური და ჩინური იდიომატური გამოთქმების თარგმნის სპეციფიკას და მათ თარგმნას ქართულ ენაზე, შეიძლება ითქვას, რომ ნაშრომში წარმოდგენილი

მაგალითების განხილვა ასახავს იდიომატური გამოთქმების თარგმნის მრავალფეროვან მეთოდს. ჩვენ განვიხილეთ სიტყვასიტყვითი, თავისუფალი, კომბინირებული, ანოტირებული თარგმნის მეთოდები, რომელთაც გააჩნიათ ფართო სპექტრის მახასიათებლები. თარგმნის დროს ზუსტად უნდა ვიცოდეთ, რომელი მეთოდი მივუსადაგოთ იდიომატურ გამოთქმას. ეკვივალენტურ თარგმანში უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ ჩინურ, ინგლისურ და ქართულ ენებზე არსებობს მრავალი ეროვნული რეალია, ამიტომ მათი სიტყვიერი თარგმნით გადმოტანა ერთი ენიდან მეორეზე გაართულებს შინაარსის გაგებას. უკეთესი იქნება, თუ ამგვარ გამოთქმებს ვთარგმნით თავისუფალი მეთოდით, რაც მკითხველს გაუადვილებს იმპლიციტური კონცეფციის გაგებას. კარგად რომ შესრულდეს თარგმანი, საჭიროა, ვიცოდეთ სამივე ენას შორის არსებული მსგავსებები და განსხვავებები და მხედველობაში მივიღოთ კოგნიტიური მოდელები და კულტურული ფონი. როგორც ვნახეთ, ზემოთ განხილული მაგალითების საფუძველზე, ინგლისური და ჩინური იდიომების ქართულ ენაზე თარგმნა განხორციელდა უკვე არსებული, მზა გამონათქვამების შესაბამისობით.

დაბოლოს, ჩვენ მიერ წარმოდგენილი ნაშრომი, რომელიც ოთხი ძირითადი კვლევითი მიმართულებით განხორციელდა, ინგლისური, ჩინური და ქართული იდიომატური გამოთქმების ზოგადი განმარტებისა და ასპექტის, მათ ფორმირებაზე გარემო პირობების, მათში შემავალი ფერთა მეტაფორებისა და მათი თარგმნის მეთოდების შესწავლით, საინტერესო და ღრმა საფუძველი მოუზადა ამ სფეროში მოღვაწე მკვლევრებს, მთარგმნელებს, ლინგვისტებს, რომლებსაც ეძლევათ კვლევის გაგრძელების შესაძლებლობა. უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტიც, რომ მიმდინარე კვლევისთვის მონაცემების შეგროვება ცნობილი მკვლევრების საინტერესო, რელევანტური ნაშრომებიდან და ავთენტური ლექსიკონებიდან განხორციელდა.

ენა ცოცხალი ორგანიზმია, რომელიც ყოველთვის განიცდის ცვლილებას, იგი იზრდება, ვითარდება და მდიდრდება. ენასთან ერთად ასევე იცვლება და იზრდება იდიომის რაოდენობაც. წინამდებარე ნაშრომი დიდად დაეხმარება იმ ყველა მკვლევარს, რომელიც ინგლისურ, ჩინურ და ქართულ ენებზე არსებული იდიომატური გამონათქვამების, მათში შემავალი ფერთა მეტაფორებისა და მათი თარგმნის მეთოდების შესწავლით არის დაინტერესებული.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. არჩვაძე ნ. „კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია: იდეიდან შედეგამდე“, 2015
2. ლობჯანიძე ი. „იდიომების სტრუქტურა და სემანტიკა ქართულში (შედარებითი შეპირისპირებითი ანალიზი: ინგლისური, ახალი ბერძნული და რუსული ენების მასალის საფუძველზე)“, 2012
3. კანდელაკი ლ. „ინგლისური მეტაფორული იდიომები და მათი ქართული ეკვივალენტები“, 1955
4. მანასიანი გ. „შემოქმედებითი მიდგომა ფერთა ნომინაციის პროცესში და ფერის აღმნიშვნელი სიტყვების მნიშვნელობის ზღვარი“, 2011
5. სახოკია თ. „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“, 1950-1955
6. სტამბოლიშვილი ნ., ბახტაძე ნ., „იდიომების წარმოშობის ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ფაქტორები“, 2019
7. Berlin, B&P. Kay, “Basic Color Terms”, University of California Press. Eds., 1962
8. Cao, “Cross-language Frame Semantics Transfer in Bilingual Corpora”, 2009
9. Collins H, "A Book of English idioms with Explanations", Greenwood Publishing Group, Incorporated, 1956
10. Elliot & Maier, “ Color and Psychological Functioning”, 2007
11. Fetterman, “Interdisciplinary Discourses in Language and Communication”, 2011
12. Goethe, “Theory of Colors”, 1840
13. Goatly, “The Language of Metaphors”, 1997
14. Guimei He, “A Comparative Study of Color Metaphors in English and Chinese”, 2011
15. Hill J., “Idioms of Masculinity”, 1984
16. Huang Pinpin, "Cultural Differences and Idiom Translation", 2003
17. Huang, “Intention in Pragmatics”, 2007
18. Jin Yuting, “Idiom and Its Cultural Differences between China and the West”, 2011
19. Kramsch C. “Language and Culture”, 1998
20. Lakoff and Johnson, “The Metaphorical Structure of the Human Conceptual System”, 1980
21. Ma Mei, “A Pragmatic Approach to Idiom Translation from a Cultural Perspective”, (ISBN 1009-5039), 2011



22. Meier, Robinson & Clore, "Automatic Inferences About Stimulus Valence Based on Brightness", 2004
23. Nida E. A. "Linguistic Interludes", Summer Institute of Linguistics, 1944
24. Ogarkova, "A Corpus-based Study of the Concepts of Envy and Jealousy in Modern English", 2007
25. Palmer, "Language Testing in Practice: Designing and Developing Useful Language Tests", 1996
26. Roberson, "Color Categories are Culturally Diverse in Cognition As Well As in Language", 2005
27. Richards, "The Interaction-Organization Theory", 1936
28. Roberson, "Color Categories are Culturally Diverse in Cognition As Well As in Language", 2005
29. Roberts M.H., "The Science of Idiom", 1944
30. Salvador, D., "Idiom and Allusion", 2016
31. Schmid and Ungerer, "An Introduction to Cognitive Linguistics", 1996
32. Smith F. "Bilingualism and Mental Development", 1923
33. Soriano & Valenzuela, "Emotion and Color Across Languages", 2009
34. Tan Hua Peng, "Chinese Idioms", 1986
35. Vizetelly F. H. "Idioms and Idiomatic Phrases in English Speech and Literature", 1923
36. Wang, "Language Iconicity from Sociolinguistic Perspective", 2010
37. Wang Ziyu, "Idioms and Their Translation from Chinese into English", 2007
38. Warren C., "A Model of Idiomaticity", 2005
39. Wierzbicka, "The Meaning of Color Terms: Semantics, Culture and Cognition Linguistics", Oxford University Press, 1999
40. Woody, Urban Dictionary, 2004
41. Zhang Bingyan, "Color Metaphors in English and Chinese Idioms a Cognitive Approach", 2012
42. Zhang Lexing, "A Comparison Between Chinese And English Cultures", Beijing: Science Press, 2010

43. Ziran H., "Pragmatics and English Study", 1988
44. 陈定安, "English and Chinese Comparative Study", 中国对外翻译出版公司商务印书馆有限公司, 1991
45. ლექსიკონი №1. English Idioms Dictionary, 1993 (NTC -აბრევიატურა)
46. ლექსიკონი №2. Longman Dictionary of English Idioms, 1979 (LDEI -აბრევიატურა)
47. ლექსიკონი №3. Neufeldt V., Guralnik D.B., "Webster's New World College Dictionary", Macmillan, 1996
48. ლექსიკონი №4. A New Concise Dictionary of Chinese-English Idioms 1981 (DCEI 2008 - აბრევიატურა)
49. ლექსიკონი №5. A Handbook of Chinese Idioms with English Translation , 1981 (CIET 1981- აბრევიატურა)
50. ლექსიკონი №6. Richards J.K., Platt J.T., Weber Heidi, "Longman Dictionary of Applied Linguistics", 1985
51. ლექსიკონი №7. Zhiyong Hu, "A Chinese-English Dictionary of Chinese Idioms and Phrases", (ISBN: 9787313062581), 2010
52. ლექსიკონი №8. The Webster's New World Dictionary of the American Language, 1972
53. ლექსიკონი №9. Webster's New World College Dictionary, 1996
54. ლექსიკონი №10. 朱源, 徐, "汉英成语大词典. 大连海事大学出版社", 2019
55. ლექსიკონი №11. 汉英中华文化图词典, 上海外语教育出版社, 2000
56. ინტერნეტ წყარო №1. <https://prezi.com/piizzctfvucp/idiom-and-allusion/>
57. ინტერნეტ წყარო №2. <https://www.google.com/amp/s/www.urbandictionary.com/define.php%3fterm=woody&amp=true>
58. ინტერნეტ წყარო №3. <https://justlearnchinese.com/how-to-use-chinese-idiom/>
59. ინტერნეტ წყარო №4. <https://www.noveltyjournals.com/journal/IJNRHSS/Issue-5-September-2019-October-2019/0> (Tsikhiseli, "Different Translation Methods of Chinese-English Idioms", International Journal of Novel Research in Humanity and Social Sciences, ISSN 2394-9694, 2019)
60. ინტერნეტ წყარო №5. <https://ijisrt.com/specificities-of-translation-of-english-and-chinese-idioms> (Tsikhiseli, "Specificities of Translation of English and Chinese Idioms",

International Journal of Innovative Science and Research Technology, ISSN 2456-2165, 2019)

61. ინტერნეტ წყარო№6. <https://researchpublish.com/issue/IJSSHR/Issue-1-January-2019-March-2019> (Tsikhiseli, “Comparative Study of English and Chinese Idioms”, International Journal of Social Science and Humanities Research, ISSN 2348-3164, 2019)
62. ინტერნეტ წყარო№7. <http://www.nplg.gov.ge/civil/statiebi/idioma/idioma.htm>
63. ინტერნეტ წყარო№8. <http://idioms.iliauni.edu.ge/?q=ka>

### დანართი:

დანართში წარმოდგენილია ჩატარებული პრაქტიკული სამუშაოს მნიშვნელოვანი ნაწილი, სადაც მოცემულია ინგლისური, ჩინური და ქართული იდიომატური გამოთქმების შედარებითი-შეპირისპირებითი კვლევის მაგალითები ცხრილების სახით.

ცხრილი№3. ცოცხალი გარემოს როლი ინგლისური, ჩინური და ქართული იდიომატური გამოთქმების ფორმირების საკითხში

სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული გარემო პირობების ასახვა ინგლისურ იდიომატურ გამოთქმებში	ჩინურენოვანი ეკვივალენტური შესატყვისი, სადაც სოფლის მეურნეობის ამსახველი ტერმინები არ ფიგურირებს	სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული გარემო პირობების ასახვა ქართულ იდიომატურ გამოთქმებში
1. Feel like a fish out of water	1. 感到不自在	1. თავს ვერ გრძნობს ისე, როგორც თევზი წყალში
2. Have all one's eggs in one basket	2. 孤注一投	2. კიტრივით მოაქვს თავი
3. Ride on the high horse	3. 盛气凌人	3. წითელ კვერცხს უგორებს
4. Put out to grass	4. 年老退休	4. ყურებზე ხახვის დაჭრა
ძალის ტერმინის გამოყენება ინგლისურ იდიომატურ გამოთქმებში	ჩინურ ენაზე ნათარგმნი ანალოგიური იმპლიციტური აზრის მნიშვნელობით, სადაც ძალის ტერმინი არ ფიგურირებს	ძალის ტერმინის გამოყენება ქართულ იდიომატურ გამოთქმებში
5. As faithful as a dog	5. 极其忠诚	5. ძალივით ერთგული

6.A lucky dog	6. 幸运儿	6.ძაღლის ბედი
7.To be top dog	7.重要的人	7.ისეთი ამინდია, ძაღლი გარეთ არ გაიგდება
ძაღლის ტერმინის გამოყენება ჩინურ იდიომატურ გამოთქმებში	ინგლისურენოვანი თარგმანი, რომელიც გადმოსცემს ჩინურენოვანი გამონათქვამის ანალოგიურ შინაარსს ძაღლის ტერმინის გარეშე	ქართულენოვანი თარგმანი, რომელიც გადმოსცემს ჩინურენოვანი გამონათქვამის ანალოგიურ შინაარსს ძაღლის ტერმინის გარეშე
8. 狗胆包天	8. Monstrous audacity	8.უსაზღვროდ თამამი (სითავხედებში გადასული)
9. 狗急跳墙	9. A cornered beast will do something desperate	9. კუთხეში მომწყვდეულ მხეცს, პასუხი არ მოეკითხება (ძალიან საშიში)

ცხრილი № 4. რელიგიისა და რწმენის გავლენის ასახვა ინგლისურ, ჩინურ და ქართულ იდიომატურ გამოთქმებში

რელიგიური ტერმინების გამოყენება ინგლისურ იდიომატურ გამოთქმებში	რელიგიური ტერმინების გამოყენება ჩინურ იდიომატურ გამოთქმებში	რელიგიური ტერმინების გამოყენება ქართულ იდიომატურ გამოთქმებში
10.God helps those who help	10.跑了和尚,跑不了庙	10.აღდგომის დღის

themselves		გათენება
11.As poor as church mouse	11.无事不登宝殿	11.ანგელოზმა ჩამოიარა
12.To play the devil with	12.借花献佛	12.აირია მონასტერი
რელიგიური ტერმინების გამოყენება ინგლისურ იდიომატურ გაოთქმებში	ანალოგიური იდიომატური გამოთქმების ჩინურენოვანი თარგმანი	ანალოგიური იდიომატური გამოთქმების ქართულენოვანი თარგმანი
13.Judas's kiss	13.犹大之吻	13.იუდას ამბორი
14.A tower of Babe	14.巴别塔	14.ბაბილონის გოდოლი
15.To turn the other cheek	15.甘受侮辱	15. მეორე ლოყის მიშვერა
16.Man proposes god disposes	16.谋事在人，成事在天	16.კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდა (ანდაზა)
ბერძნული მითოლოგიის ასახვა ინგლისურ იდიომატურ გამონათქვამებში	ანალოგიური გამონათქვამების ჩინურენოვანი თარგმანი	ანალოგიური გამონათქვამების ქართულენოვანი თარგმანი
17.Achilles' heel	17.致命弱点	17.აქილევსის ქუსლი
18.The sword of Damocles	18.达摩克利斯之剑	18.დამოკლეს მახვილი
19.A Pandora's box	19.潘多拉盒子	19.პანდორას ყუთი

ცხრილი №5. ფერთა ზეგავლენა ინგლისური, ჩინური და ქართული იდიომების ფორმირებაზე

თეთრი და შავი ფერის ვარიაციები ინგლისურ იდიომატურ გამონათქვამებში	ანალოგიური გამონათქვამების ჩინურენოვანი თარგმანი	თეთრი და შავი ფერის ვარიაციები ქართულ იდიომატურ გამონათქვამებში
20. In black and white	20. 白纸黑字	20. შავ-თეთრი
21. A black day	21. 不吉利的日子	21. შავი დღე
22. A business in the black	22. 利的事业营	22. შავი ბიზნესი

ცხრილი № 6. ფერთა ტერმინები ინგლისურ, ჩინურ და ქართულ იდიომატურ გამოთქმებში

საბაზისო ფერთა ტერმინების გამოყენება ინგლისურ გამონათქვამებში	ანალოგიური გამონათქვამების ჩინურენოვანი თარგმანი/განმარტება	ანალოგიური გამონათქვამების ქართულენოვანი თარგმანი/განმარტება
23. Black money	23. 黑钱	23. შავი ფული
24. Black future	24. 你的前途很黑暗	24. შავბნელი მომავალი
25. A black look	25. 黑面; 黑着脸	25. გაცეცხლება, გაბრაზება
26. White-handed	26. 他是清白无辜的	26. სუფთა ხელები, უდანაშაულო
27. A white elephant	27. 白说, 白做	27. თან უსარგებლო, თან პრობლემის მომტანი
28. Be in the red	28. 赤字	28. ფინანსური დანაკლისი; ვალში ყოფნა

29.To separate from black and white	29. 黑白分明	29.განასხვავო ერთმანეთისგან როგორც თეთრი და შავი
30.Show the white flag	30. 白旗	30.თეთრი დროშის აღმართვა
31.A yellow leaf	31. 人老珠 黄	31.ყვითელი ფოთოლივით გაცრეცილი
32.Black sheep	32. 粉白黛黑	32.წითელი კოჭი
33.Every bean has its black	33. 近朱者赤,近墨者黑	33.ყველას აქვს ერთი შავი ლაქა
34.To become red-faced	34. 面红耳赤	34.გაწითლდა, გაცეცხლდა

საბაზისო ფერთა ტერმინების გამოყენება ჩინურ გამონათქვამებში	ანალოგიური გამონათქვამების ინგლისურენოვანი თარგმანი/განმარტება
35. 我和他黄了	35. He and I broke up
36. 红白喜事	36. Wedding ceremonies and funerals
37. 昏天黑地	37. Feel dizzy and dimmed in eyesight
38. 近墨者黑	38. He lies down with dogs must rise up with fleas
39. 灯红酒绿	39. Red-light district
40. 红红火火	40. A red-letter day

ცხრილი № 7. ინგლისური, ჩინური და ქართული იდიომების თარგმნის  
თავისებურებანი

ტერმინის „გული“ შემცველი იდიომატური გამონათქვამები ინგლისურ ენაზე	ანალოგიური გამონათქვამების ზუსტი ეკვივალენტური	ანალოგიური გამონათქვამების ზუსტი ეკვივალენტური შესატყვისი ქართულ ენაზე
--	--	---



	შესატყვისი ჩინურ ენაზე	
41.To set one's heart at rest	41.放心	41.გული დაასვენე, მოეშვი
42.To pluck up one's heart	42.鼓起勇气	42.გაგულადება
43.To have a heart	43.发慈悲	43.თანაგრძნობის გამოხატვა

ჩინური იდიომატური გამონათქვამები	ჩინური ენიდან ნასესხები იდიომატური გამონათქვამები	ქართულ ენაზე არსებული მზა გამონათქვამების შესაბამისობა
44.丢脸	44.To lose face	44.შუბლის ძარღვის გაწყვეტა; შერცხვენა
45.有的放矢	45.To shoot the arrow at a target	45.მიზანში გარტყმა
46.丰衣足食	46.Well-fed and well-clad	46.ჩაცმულ-დახურული; მორთულ-მოკაზმული

ცხრილი № 8. ინგლისური, ჩინური და ქართული იდიომების თარგმნის მეთოდები

ინგლისური იდიომატური გამონათქვამები	პირდაპირი თარგმნის მეთოდით ნათარგმნი გამონათქვამები ჩინურ ენაზე	პირდაპირი თარგმნის მეთოდით ნათარგმნი გამონათქვამები ქართულ ენაზე
47.An eye to eye, a tooth for tooth	47.以眼还眼,以牙还牙	47. თავალი თვალის წინ, კბილი კბილის წინ

48. The last supper	48. 最后的晚餐	48. საიდუმლო სერობა
49. A gentleman's agreement	49. 君子协定	49. ჯენტლმენური სიტყვა
50. To turn over a new leaf	50. 掀开新的一页	50. ახალი ფურცლიდან დაწყება
51. A wolf in sheep's clothing	51. 披着羊皮的狼	51. ცხვრის ტყავში გადაცმული მგელი

ცხრილი № 9. თავისუფალი თარგმანი

52. When in Rome, do as the Romans do	52. 入乡随俗	52. სადაც ხარ, იქაური ქუდი დაიხურეო
53. A cat on hot bricks	53. 热锅上的蚂蚁	53. ბეწვის ხიდზე გავლა
54. In a pig's whisper	54. 低声地; 顷刻间	54. თვალის დახამხამებაში
55. To be full of beans	55. 精力充沛	55. ენერჯის წყარო
56. To bury one's head in the sand	56. 掩耳盗铃	56. სირაქლემას პოზიცია
57. To hang on somebody's sleeve	57. 依赖某人	57. სხვაზე დამოკიდებული, სხვის კმაყოფაზე მყოფი
58. To make a monkey of somebody	58. 愚弄某人	58. დაცინვა, აბუჩად აგდება

ცხრილი № 10. პირდაპირი თარგმანი

59. Like father, like son	59. 有其父必有其子	59. რაც მამაა, ის შვილია
60. An eye for an eye, a tooth for a tooth	60. 以眼还眼, 以牙还牙	60. თვალი თვალის წინ, კბილი კბილის წინ

61. Seek truth from the facts	61. 实事求是	61. სიმართლეს ეძიებდე ფაქტებში
62. Practice makes perfection	62. 熟能生巧	62. პრაქტიკას მივყავართ სრულყოფილებამდე
63. To have pity on somebody	63. 同情某人	63. უთანაგრძნო ვინმეს
64. To knit one's brows	64. 皱眉头	64. წარბის შეკვრა, კოპების შეკვრა
65. To lay something to heart	65. 把某事放在心上	65. გულთან ახლოს მიტანა
66. Pandora box	66. 潘多拉盒子	66. პანდორას ყუთი
67. Judas kiss	67. 犹大之吻	67. იუდას ამბორი
68. Armed to the teeth	68. 武装到牙齿	68. კბილებამდე შეიარაღებული
69. As wise as Solomon	69. 像所罗门一样聪明	69. სოლომონივით ბრძენი
70. Crocodile tears	70. 鳄鱼的眼泪	70. ნიანგის ცრემლები
71. The fifth column	71. 第五纵队	71. მეხუთე კოლონა

72. The Last Supper	72. 最后的晚餐	72. საიდუმლო სერობა
73. Trojan horse	73. 特洛伊木马	73. ტროას ცხენი
74. The sword of Damocles	74. 达摩克利斯之剑	74. დამოკლეს მახვილი
75. A tower of Babel	75. 巴别塔	75. ბაბილონის გოდოლი